

ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

24 ნომბერი 2006

№24



კონსერვატიზმის იდეა
ქართველი პასტერნაკი
პიკარესკული რომანი აშორდიაზე
რა დროს ლექსიაო, მოუკვდა პატრონი
ჩემი თბილ-თბილი სიზმრები
ლუნაჩარსკის ქუჩის ამბები

შინაარსი

ილიას კვალზე	2	ივანე ამირხანაშვილი პროცესი რომორც პროცესი
რეპორტაჟი	3	ეკა ბუჯიაშვილი ზარები ილიას სამრეკლოდან
მესაკან-ინტერვიუ	6	ხმაურიდან ისევ მაღალი ლიტერატურისაკენ (საუბარი ზურაბ კანდელაკთან)
ჩვენი ყოფა, წუთისოვლი	7	რასელ კერკი კონსერვატიზმის იდეა
პროზა	12	გელა ჩქვანავა ლუნაჩარსკის ქუჩის ამბები
პოეზია	20	თეა თოფურია ჩემი თბილ-თბილი სიზმრები და სხვა ლექსები
პოეტის ერთი ლექსი	23	დოდონა კიზირია მომავალი
პირველი შთაბეჭდილება	23	ლუკა ავალიშვილი დოდონა კიზირიას თოფი
ანეკდოტი	24	როსტომ ჩხეიძე დანგრეული გუდეები
დებატები	28	რეიმონდ ალენი მარჯვე ამოხსნა
ფიქარი	35	ვანო ჩხიკვაძე მცირე პროზა
დოკუმენტური პროზა	39	ელგუჯა თავბერიძე აირავი ივერია
კრიტიკა	45	გიორგი ცქიტიშვილი თამარ დედოფალი კნუტ ჰამსუნის თვალთ
ანისტოლე	49	ნოდარ აფხაძე საყვარელი მიმომხარე ასე ვიპოვე
ახალი თარგმანები	50	ორჰან ფამუქი ჯეკეთ ბეი და მისი ვაჟები
ნაკვეთები	61	მასვილსიტყვაობის ნიმუშები
მოზაიკა	63	თავი უფადარს მამნივა

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 95-23-24

რეკლამა – (995 77) 48-12-24

გავრცელება – (995 99) 93-18-52

ფაქსი: (995 32) 96-20-62

E-mail: info@mtserloba.ge



მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჯანიძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე

გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: შავი ზღვის სანაპირო
სოლომონ აშორდია

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 8 დეკემბერს

ივანე ამირხანაშვილი

პროცესი როგორც პროცესი

რა არის ლიტერატურის ყველაზე ადამიანური თვისება? უცნაური შეკითხვაა, მაგრამ მოდი, დროებით გვერდზე გადავდოთ პროვოკაციის საცთური, რაც შეკითხვაში უთუოდ დევს და ალაღად ვუპასუხოთ: თამაში! – კულტურის უნივერსალური პრინციპი. ნუ მივადგებით მანცდამანც ყბადაღებულ ჰოიზინგას, სად იყო ეს მფრინავი ჰოლანდიელი, როცა ჯერ კიდევ კანტი იკვლევდა თამაშის ესთეტიკის საფუძვლებს.

შემთხვევითი არ არის, რომ ბოლო ათწლეულის ქართული ლიტერატურა „მოთამაშე ცნობიერებამ“ გამოაფხიზლა. პოსტმოდერნისტული იმიტაციებისა და თავისუფალი ილუზიების დამკვიდრება კომპლექსებისგან თავის დაღწევის სიგნალი აღმოჩნდა, რაც, მართალია, მოდურობას ვერ ასცდა, მაგრამ, როგორც ცნობილია, მოდას აქვს ერთი კარგი თვისება – რაც უნდა რადიკალური ფორმით შემოვიდეს ლიტერატურაში, დროთა განმავლობაში თვითონვე ინესრიგებს თავს ცალკეული ავტორების მეშვეობით.

ერთ-ერთი ასეთი ავტორია ლაშა იმედაშვილი. იგი განეკუთვნება იმ მწერალთა ტიპს, რომლებიც მოდას კი არ ერგებიან, არამედ თვითონ ირგებენ მას.

უდავო ღირსება მისი პოსტმოდერნისტული ოპუსებისა არის ის, რომ აქ აუცილებელ მინიმუმამდე დაყვანილი ირონია – ქართული პოსტმოდერნის გამაღიზიანებელი მოტივი, რომლის ქარბმა გამოყენებამ ლამის თვითლიკვიდაცამდე მიიყვანოს მოდურ მიმდინარეობას აყოლილი პროზა.

გარდა იმისა, რომ რესპექტაბელობა ლაშა იმედაშვილის მოთხრობების სამარკო ნიშანია, განწყობილებათა რადიკალიზმს მის მიერ არჩეული თემებიც გამოორცხავს.

მაგალითად, ისეთი თემა, როგორც არის წინამურის ტრაგედია, პოპულარული ბელეტრისტული ეფექტების გამოყენების საშუალებას არ იძლევა და არც არის საჭირო; ამიტომ მოსაძებნი იყო ფორმა, რომელიც ჩვეულებრიობის ჩარჩოებში მოაქცევდა არაორდინარულ თემას.

თუ ალლო არ მლაღატობს, რაღაც ამგვარი აუცილებლობის კარნახით უნდა იყოს დაწერილი ლაშა იმედაშვილის მოთხრობა „შავი ფერის საკი“ – პოსტმოდერნისტული დეტექტივი, რომელშიც ისტორია წარმოდგება როგორც ტექსტი.

წინამურის ტრაგედიის ფაქტოლოგიური კვლევა დასრულებულია, ისტორია იმაზე მეტს ვეღარ იტყვის, რაც ვიცით. სადაც ისტორია უძღურია საკუთარი თავის წინაშე, იქ ჩნდება ლიტერატურა, რომელიც კოლექტიური მეხსიერების ფორმას იდეად გარდაქმნის. ეს არ არის მითისქმნადობა. ეს არის პოსტმოდერნი მოქმედებაში ანუ პროცესი, როცა ისტორიის ტექსტი ან, გნებავთ, „დროის ნიგნი“ ლიტერატურის ხელში გადადის.

პროცესი როგორც პროცესი: როსტომ ჩხეიძემ ახლახან გამოცემულ თავის ბელეტრისტულ ნიგნს „ეკლიანი და პატარა გზა“, რომელიც ილია ჭავჭავაძის მკვლევობას ეხება, დეტექტიური ცდა უწოდა.

ლაშა იმედაშვილის მოთხრობა არის ბელეტრისტული კომენტარი საუკუნის მკვლევლობისათვის. დეტალების დაწვრილებითი ანალიზი, მშვიდი, თავდაჭერილი თხრობა, მოვლენათა მკაცრი თანმიმდევრობა, დეტექტიური გამოცანის ეფექტური ახსნა – ყოველივე ჟანრული კოლორიტის სრული დაცვით ვითარდება. სამძებრო წყვილიც კარგად ჯდება კლასიკურ ჩარჩოში, საქმეს იძიებენ პეტრე ვეტუშევსკი და აბელ იაშვილი, ორივე რეალური პირია – დამატებითი ინტრიგა სიუჟეტისათვის! პირველი, როგორც ცნობილია, თბილისის საპოლიციამისტეროს სამძებრო ნაწილის გამგე იყო, მეორე – დუშეთის მაზრის ექიმი, რომელმაც ილიას გვამის გაკვეთა ჩაატარა. პროტაგონისტს, რა თქმა უნდა, ევტუშევსკია.

მოთხრობაში უნაკლოდ არის გათამაშებული შავი საკის, ანუ საკვოიაჟის მოტივი.

ვისაც წაუკითხავს წინამურის ტრაგედიის მასალები, მას, რა თქმა უნდა, გაახსენდება ილიას ბოხჩა, რომელიც მკვლევლობის ადგილიდან გაქრა. სწორედ ბედის ირონიაა, რომ მასში ენყო ილიას მოხსენებები სიკვდილით დასჯის გაუქმებისა და საქართველოს ავტონომიის შესახებ.

მწერალს მთელი ყურადღება გადააქვს იმ ფაქტზე, თუ როგორი შესაშური სიბეჯითით ეძებს ევტუშევსკი მკვლევლობის ინიციატორსა და შავი ფერის საკს. ამ სიუჟეტური ფანდის მნიშვნელობა სულ ბოლოს, ნაწარმოების ფინალში გამოჩნდება.

მხატვრული თვალსაზრისით საინტერესოა რამდენიმე პასაჟი, რომელთაგან გამოვყოფდი პოლიციის აგენტ ალიხანოვისა და „კოლეჟსკი სეკრეტარის“ ზაქრო ზავრიევის სასამართლო დრამას, აგრეთვე, ძველი თბილისის ბოჰემურ პეიზაჟს. ლაშა იმედაშვილი შთამბეჭდავი შტრიხებით აცოცხლებს მეოცე საუკუნის დასაწყისის თბილისს, რომელიც ისევ მამაპაპური დარდიმანდობის ბურუსშია გახვეული, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ დარდიმანდები მინისქვეშა დუქნებიდან ევროპულ რესტორნებში ამოდიან და რუსულ კატლეტებს, იტალიურ მაკარონს, ფრანგულ პაპიროსსა და შამპანურს უსინჯავენ გემოს.

მთავარი კი მაინც დეტექცია – კვანძის გახსნა. სიუჟეტში ჩანსულ-ჩახლართული საიდუმლო უნდა გამჟღავნდეს, მაგრამ სად? სად და – თბილისის ვაგზალზე, საიდანაც აბელ იაშვილი პეტრე ვეტუშევსკის რუსეთში აცილებს.

იაშვილმა მეგობარს ხელში შავი ფერის საკი უნდა დაუნახოს!

მერე შენც გაგახსენდება მოთხრობის დასაწყისში წაკითხული სრულიად უწყინარი ეპიზოდი, როცა საიდუმლო შეხვედრიდან სასტუმროს ნომერში დაბრუნებული ევტუშევსკი მაგიდაზე შავი ფერის საკს ჩამოედებს...

კვანძი შეუმჩნევლად იხსნება, თუ არ დაუკვირდი, შეიძლება ვერც შენიშნო და მთელი ემოცია სასონარკვეთილი აბელ იაშვილის თვითმკვლევლობის ამბავზე შემოგებახარჯოს.

ნავიდა ევტუშევსკი რუსეთში და თან გაიყოლა ილიას ბოხჩა – შავი ფერის საკი. რა გამოდის? ევტუშევსკი ავანტიურისტია, მეტიც, ილიას მკვლელობა მან დაგეგმა, მან განახორციელა და მანვე გამოიძია.

დარღვეულია დეტექტივის კლასიკური სამკუთხედი: მსხვერპლი – დამნაშავე – გამომძიებელი.

გამომძიებელი, რომელიც უპირობოდ სიკეთის სახელით უნდა გამოდიოდეს, თვითონ აღმოჩნდება დამნაშავის როლში.

სხვა რა არის ლიტერატურა? დაარღვიე წესი, ოღონდ რაც შეიძლება საინტერესოდ. ამ მხრივ აქ ყველაფერი რიგზეა.

რეპორტაჟი

ეკა ბუჯიაშვილი

ზარები ილიას სამრეკლოდან

დილიდან ქარი ებრძოდა მზეს...

ხან გამოანათებდა, ხანაც ღრუბელი წაეფარებოდა.

ნოემბრის სუსხიანი დღე იყო, თუმცა უამინდობა ვერ შეაჩერებდა მათ, ვინც ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში იკრიბებოდა.

ჟამსაბრუნავს 169-ე წელიწადი მოებრუნებინა ილიას დაბადებიდან. ერიც და ბერიც ამ დღესასწაულისთვის ემზადებოდა.

ჩვენი მანქანაც საგურამოსკენ მიქროდა. ვუახლოვდებოდით წინამურს, სადაც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, ილია II ელოდნენ.

გარეთ კი ქარი ებრძოდა მზეს და ცაც თანდათანობით იქუფრებოდა.

„წმიდა ილია მართალო, ევედრე ღმერთსა ჩვენთათვის“ – მღერის მგალობელთა გუნდი.

წირვას აღავლენს პატრიარქი ობელისკთან.

სულ ცოტა ხანში ილიას სახლ-მუზეუმში გამართულ საზეიმო ცერემონიაზე სრულიად საქართველოს კათალიკოსი დალოცავს შეკრებილებს და ეტყვის:

„ეს არის ბედნიერი დღე მთელი საქართველოსთვის. ჩვენ ვიმყოფებით იმ ადგილას, სადაც ცხოვრობდა და ქმნიდა ილია. ეს სახელი ებრაულად „ძალა ღვთისას“ ნიშნავს. მართლაც დიდი ღვთიური ძალა გამოავლინა მან თავის ცხოვრებაშიც, შემოქმედებაშიც... წმიდა ილია მართა-

ლი საქართველოსთვის მეფეც იყო და პატრიარქიც. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული, მისი ლოცვა კი შეენიოს ერს, ქვეყანას.

ილია ყოველ წელს აღნიშნავდა წმიდა ილია წინასწარმეტყველის დღესასწაულს, რომელსაც, ტრადიციულად, სასულიერო პირებიც ესწრებოდნენ. მათ შორის იყო მისი მოძღვარი ალექსანდრე ოქროპირიძეც...

დღეს აქ შევიკრიბეთ იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ გამოვხატოთ თავგანცემა ილიასადმი. ბედნიერი ვარ იმით, რომ იგი წმინდანად ჩემი პატრიარქობის დროს აღიარეს და ნიშნად ჩემი დიდი სიყვარულისა მისადმი, მინდა ამ სახლ-მუზეუმს საჩუქრად გადავცე წმიდა ილია წინასწარმეტყველის ხატი“.

ეს ყველაფერი სულ ცოტა ხანში იქნება და იმ მადლს დაავგვირგვინებს, ახლა, წინამურში, ილიას ობელისკთან, პატრიარქის ლოცვით რომ იღვრება.

ცისკენ მიედინება სანთლების კვამლი და საკმევლის სურნელება.

ვდგავარ და ვუყურებ როგორ ასველებს წვიმა წარწერას:

„1907 წელს, 12 სექტემბერს (30 აგვისტოს ძველი სტილით), თვითმპყრობელობის დაქირავებულმა აგენტებმა აქ ვერაგულად მოჰკლეს ქართველი ხალხის დიდი მწერალი ილია ჭავჭავაძე“...

სინამდვილეში – სოციალ-დემოკრატებმა.

წვიმაა მხოლოდ?

– ციცერონს – პოლიტიკოსს, ფილოსოფოსს, ორატორს, სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულების აღმომჩენსა და ჩამხშობს, „პატერ პატრაეს“ ტიტული მიანიჭა ხალხმა; ასეთივე სახელი მისცეს რომის იმპერატორს, ავგუსტუსსაც; რუსებმაც დაუფასეს შვედებთან გამარჯვება პეტრე პირველს და მას „ოტეც ოტერესტვა“ უწოდეს; უიტმენს, დიდ ამერიკელ მწერალს, თანამემამულენი კოლუმბზე დიდ პატივს მიაგებენ, რადგან მან აღმოაჩინა ამერიკის სული... ასეა ყველგან, სადაც აღამიანთა თავ-



კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე წირვას აღავლენს ილია ჭავჭავაძის ობელისკთან

განწირვას არ ივინყებენ, ასეა ჩვენშიც – კონსტანტინე გამსახურდიამ ყველას დაასწრო და ჯერ კიდევ 1957 წელს, მას, ვინც თავისი ცხოვრება მამულს შესწირა, „პატერ პატრე“ უწოდა –

მამა სამშობლოსა!

დღეს სწორედ ჩვენი ერისა და ქვეყნის მამის, ილიას დაბადების დღეს აღვნიშნავთ, – ასე ხსნის საზეიმო ცერემონიალს ბატონი გია ჯოხაძე.

გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი, ქალბატონი იზა ორჯონიკიძე კი ამბობს:

– გამეხარდებოდა ეს ეზო სავსე იყოს იმ ქართველებით, ვისაც კარგად ახსოვს ილიას სიტყვები: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა, მე ვარო შენი თანამდევნი უკვდავი სული“... გამეხარდებოდა იმიტომ, რომ მემშინია ჩვენი ცხოვრების ორომტრიალში, ჩვენი ასწრაფებული დროის მღვრიე ტალღებში, არ დაიკარგოს ის, რაც ილიამ გვიანდერძა და რისთვისაც ის ვანამეთ.

გაისად 170 წელი შესრულდება ქართლის ცხოვრებაში, დავით აღმაშენებლის შემდეგ ყველაზე დიდი ქართველის დაბადებიდან და მე-100 წელი მიიწურება მისი ჩვენი ხელით მოკვდინებიდან.

დიდი ცოდვა გვანევს მხრებზე ყველას, მათაც კი, ვისაც არანაირი ბრალი არ მიგვიძღვის ამ საშინელ მკვლელობაში. ეს ისეთი ცოდვაა, რომელიც საუკუნეებს გადაეცემა და თაობები უნდა ვინანიებდეთ, რათა მუდმივად ვგრძნობდეთ ამ ცოდვის სიმძიმეს და გვახსოვდეს, რომ ნებისმიერ დროს შეიძლება განმეორდეს იგივე, რადგან ილიას სული ხომ ცოცხალია და ცოცხალი, მაგრამ... ბერძნობის დღეებშიც ისევ არიან და ამის დავინყება არ შეიძლება.

უკვე რამდენიმე წელია ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ხელმძღვანელობის თაოსნობით, შპს „კალასის“ ძალისხმევით დაარსებული „ილიას ფონდიდან“, დანესდა ილია ჭავჭავაძის სახელობის ლიტერატურული პრემია „საგურამო“ და მედალი: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა“. უკვე მეოთხე წელია ეს ჯილდოები სხვადასხვა ნომინაციაში გაიცემა. სახლ-მუზეუმის დირექტორი, ბატონი ანდრო ბედუკაძე ლიტერატურულ პრემიებს წლევეანდელ ლაურეატებს გადასცემს:

პროზაში – **ზაირა არსენიშვილს;**

პოეზიაში – **ელა გოჩიაშვილს;**

თარგმანში – **მანანა გიგინეიშვილს;**

კრიტიკაში – **ელგუჯა თავბერიძეს.**

ბატონი ანდრო იმასაც გვამცნობს, რომ ამ ჯილდოებს წელს კიდევ ერთი ნომინაცია დაემატა – პრემია ჰუმანიტარული მეცნიერების დარგში გადაეცა ბატონ **რევაზ სირაძეს**, ხოლო ილია ჭავჭავაძის სახელობის მედალი წელს ბატონ **ოთარ ჩხეიძეს** მიენიჭა. ჯილდოს ბატონი ოთარის ვაჟს, როსტომ ჩხეიძეს გადასცემენ.

დაჯილდოების ცერემონიალი სრულდება, მე კი ვცდილობ ლაურეატებს გავესაუბრო და მათი განწყობილება გაგიზიაროთ:

ელგუჯა თავბერიძე:

„ჩემთვის სანუკვარი პრემიაა, რადგან ილიას სახელს უკავშირდება. ილია ჩემთვის საქართველოა და ის მანამ

იარსებებს, ვიდრე ამქვეყნად ქართველებად ყოფნა გვინერია. ის სულ უნდა გვახსოვდეს – ყოველ წუთს, ყოველ წამს, რომ ვიყოთ უკეთესნი და შეგვეძლოს ფიქრი უკეთეს საქართველოზე, ნებისმიერი თაობა ილიას ნაზრევს უნდა მოუფრთხილდეს, მისი ფიქრებით უნდა იფიქროს და იცხოვროს ამ ქვეყნად“.

ელა გოჩიაშვილი:

„იცით როგორი შეგრძნება მაქვს? თითქოს ვხედავ, როგორ დაგვეტრიალებს ილიას სული და ჩვენ მის წინაშე უწინარესად როგორც ქართველები უნდა ვიყოთ მართლები, ქართველობა უნდა ვქმნათ და ვაშენოთ. ეს დიდი ჯილდოა ჩემთვის და მადლობა ყველას, ვინც მის ღირსად ჩამთვალა“.

ზაირა არსენიშვილი:

„ისეთი ალღევებული ვარ... იცით ყველაფერი, რაც ილიას სახელს უკავშირდება, დიდი მადლია. დღეს მე ამ მადლიერებით და უდიდესი სიხარულით ვარ სავსე, ალბათ არცერთი ჯილდო ასეთი ძვირფასი არ იქნებოდა ჩემთვის...“

რევაზ სირაძე:

„არის ამ ქვეყნად სიკეთე – ძვირი და ძვირფასი, იშვიათი, მაგრამ გაცილებით დიდი, ვიდრე თავს დამტყდარი უბედურებები ერთად. ასეთი სიკეთე ტრიალებს ახლა აქაც. ეს სიკეთე ნუ მოგვიშალს ღმერთმა“.

როსტომ ჩხეიძე:

„ყველას დიდ მადლობას მოვახსენებ დღევანდელი დღისათვის. ილიას წინააღმდეგ ბრძოლა არ დასრულებულა მის მოკვლასთან ერთად. ბრძოლა გრძელდება და არანაკლები გავეშებით, ვიდრე თავის დროზე. ერთი რელიგია შეემსხვრა ილიას წინააღმდეგ ბრძოლას – ეს იყო სოციალიზმი, მეორე რელიგიის მსხვერველც კაბადონზეა – ეს არის მეორე ინტერნაციონალური რელიგია – გლობალიზმი... და დგება ხანა ეროვნული სახელმწიფოებრიობისა, ხანა, რომელიც იწინასწარმეტყველა ილია ჭავჭავაძემ. დღეს დიდი რყევების ეპოქაში ვიმყოფებით, მაგრამ სახელმწიფოს მყარი საფუძვლები, ამოშენებული ილიას მოძღვრებაზე, არსებობს და სამიშიც არაფერი უნდა იყოს. ბრძოლა გრძელდება. ეს უნდა გვახსოვდეს!“

აღმართს მივუყვებით –

გზას ილიას სახლ-მუზეუმიდან წმ. ილია მართლის სახელობის ტაძრამდე, რომელიც ილიას ფონდიდან გამოყოფილი სახსრებით აშენდა.

ბატონი **ანდრო ბედუკაძე** მესაუბრება:

– ამ დღეს ყოველთვის აღვნიშნავდით, – ამბობს იგი, – მაგრამ ასეთი ფორმით და მასშტაბებით მეოთხე წელია იმართება, ვიკრიბებით, თავყანს ვცემთ ილიას, გავცემთ ლიტერატურულ პრემიებს, მედალს... შესაძლოა, გაისად კიდევ ერთი პრემია დაემატოს, საპრემიო თანხებიც გაიზარდოს. ჩვენ ამ ჯილდოების პრესტიჟს ძალიან ვუფრთხილდებით, რადგან ილიას სახელს უკავშირდება. პირველი მედალი პატრიარქმა მიიღო, მეორე – ანზორ ერქომაიშვილმა, მესამე – ანა კალანდაძემ, მეოთხე კი – ოთარ ჩხეიძემ...

– **თქვენ დაჯილდოების ცერემონიაზე თქვით, რომ ილიას 170 წლის იუბილესათვის იწყებთ მზადებას. უკვე გაქვთ გეგმები?**

– მზადებას 2007 წლიდან კი არა, უკვე დღეიდან ვინცებთ. კარგი იქნება, თუ მომავალ წელიწადს ილიას წლად გამოვაცხადებთ. გაიმართება შეხვედრები, დისკუსიები, განხილვები, წიგნების პრეზენტაციები, საგანგებოდ მომზადდება სატელევიზიო გადაცემათა ციკლები... ილია ხელახლა წასაკითხია, ხელახლა აღმოსაჩენია... გამოსაცემად მზადდება მისი ოცტომეული. უკვე დაიბეჭდა მეცხრე წიგნი. ჩვენი ვალია ილიას ნაშრომები მსოფლიოსაც გავაცნოთ, რადგან ის აქტიურად იყო ჩაბმული მსოფლიო მასშტაბის მოვლენებში და მისი არაერთი წინასწარმეტყველება ახდა...

– ბატონო ანდრო, ალბათ სახლ-მუზეუმთან დაკავშირებითაც გაქვთ გეგმები?

– სახლ-მუზეუმის მთავარი პრობლემა ის არის, რომ ექსპოზიცია არ გვაქვს. ალბათ, მომავალ წელს გაიხსნება. ადგილობრივი ხელმძღვანელობა დახმარებას დაგვიპირდა. უკვე გითხარით, რომ ბევრნაირი პრობლემა მოგვიგვარა შპს „კალასმა“. მისი დახმარებით ილიას ფონდიდან ბევრი კარგი საქმე გაკეთდა, კეთდება ახლაც და ამისთვის ძალზე მადლიერები ვართ.

აღმართს მივუყვებით...

ილიას აღმართს.

უეცრად ბატონი როსტომ ჩხეიძე გვაჩერებს, უკან გვახედებს და ამბობს:

– ათწლეულების წინათ, სადღაც აქ იდგა არტურ ლაისტი, გაჰყურებდა ქართულ მთებსა და მინდვრებს და ეხვეწებოდა ილიას: აი, იქაც წავიდეთ რა, აი, ისიც ვნახოთო.

იდგა ილია და მხრეებს იჩეჩავდა: რად უნდა წავიდეთ, აქედან რა, ცუდად მოსჩანსო?

ათწლეულების შემდეგ ჩვენც ვიდექით მის სახლთან და გავყურებდით ქართულ მთებსა და მინდვრებს.

ნოემბრის სუსხიანი დღე იდგა და ამ სიმალიდან კარგად ვხედავდით, როგორ არხევდა ქარი საქართველოს.

მოჩანდა... ილიას აღმართიდან ხელისგულზე მოჩანდა სამშობლო!

„აშენდა 2001-2004 წლებში, უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია II ლოცვა-კურთხევით. პროექტის ავტორია არქიტექტორი არჩილ მინდიაშვილი, ტაძარი აკურთხა მეუფე თადეოზმა...“ – ეს წარწერაა წმ. ილია მართლის სახელობის ტაძრის შესასვლელთან. დილით აქ ფშავისა და მთიანეთის მთავარეპისკოპოსმა მეუფე თადეოზმა წირვა აღავლინა წმ. ილია მართლის სახელზე. სხვათა შორის მის მეუფებას 60 წელი შეუსრულდა და ილიას ფონდი თურმე პრემიას მისთვისაც ამზადებს. თავისი განწყობილება **მეუფე თადეოზმა** ჯერ კიდევ სახლ-მუზეუმში ყოფნისას გავიზიარა:

„ჩემთვის გამოუთქმელი მადლია დღევანდელი დღე, რადგან საქართველოს ილია მოუვლინა უზენაესმა. ის იყო უგვირგვინო მეფე, რომლის გზასაც არ უნდა გადაუხვიოს ერმა. ეს გზა მიგვიყვანს ილიას ნანატრ საქართველოში.

პატრიარქი ხშირად გვმოდვრავს: ჩვენ ურთულეს ხანაში მოგვინია ცხოვრება, თუმცა ქართველი ერი ამასაც დაძლეოს, ოღონდ უნდა გვენამდეს ჭეშმარიტი ღმერთი...

ჩვენ წმ. გიორგის ხალხი ვართ, ჩვენ მზე თამარის ერი ვართ, წმ. ილია მართლის მრევლი ვართ... „ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაში ვარსკვლავები“ – უამრავი წმინდანი იშვა ჩვენი ერის ნიაღში, იმიტომ გადავრჩებით!.. დღესაც ბევრი რჩეული ჰყავს ქართველ ხალხს... აი, თუნდაც, კარგად ვიცნობ ილიას მედლის წლევეანდელ ლაურეატს, ბატონ ოთარ ჩხეიძეს. მე მისი სტუდენტი ვიყავი. ის დიდი ადამიანია, მასზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი, კარგი წიგნიც კი დაინერებოდა... მასში დავანებულია ჭეშმარიტად ქართული სული და თავისი ყოფით და მოღვაწეობით ახარებს საქართველოს. ღმერთმა გვიძლიეროს იგი... ღმერთმა დალოცოს ჩვენი ქვეყანა, აკურთხოს ჩვენი ერი ყოვლადწმიდამ და წმიდა ილია მართალმა“.

ტაძრის სატრაპეზოში ტრაპეზი სრულდება.

სამრეკლოზე ზარები ახმაურდნენ.

და ამ გუფუნში ასეთ რამეს მეუბნება ქალბატონი მანანა გიგინეიშვილი:

„ილია დღეს ისე სჭირდება საქართველოს, როგორც არასდროს. ასე მგონია ჩვენს ქვეყანას ასეთი განსაცდელი არ ჰქონია. ახლა კულტურას, ჩვენს სულიერებას ემუქრება საფრთხე. როცა საქართველოს ანადგურებდნენ, კულტურისა და განათლების წყვეტა არ ხდებოდა, როცა აქ იკლებდნენ მონასტრებს, უცხოეთში გვქონდა სასულიერო ცენტრები, იქაურ ქართულ მონასტრებში გრძელდებოდა კულტურული ცხოვრება და მერე, როცა ჩვენი ქვეყანა ამოისუნთქებდა, ისევ იწყებდა აყვავებას განათლებით. დღეს კი... ხედავთ რაც ხდება. ამიტომ ილიას გზით სიარული, ილიას მონასტრება, მისი ფიქრებით ცხოვრება ისე გვჭირდება, როგორც არასდროს. პირადად მე შეძრული ვარ, არასოდეს მიმიღია ჯილდო და უცებ – პრემია, რომელიც ილიას სახელს ატარებს. იცით, ილია ჩემთვის, ისევე, როგორც, ალბათ, ყველა ქართველისთვის, მამასავითაა. მე იმას არ ვამბობ, რომ ის ყველაზე დიდი ფიგურაა საქართველოსთვის, არა, საბედნიეროდ, ასე არ არის, მაგრამ... აი, მაგალითად, რუსთაველი ადამიანი რომ იყო, ამის წარმოდგენაც კი მიჭირს, ილიას მიმართ კი განცდები ძალზე რეალურია, ხელშესახებია, მატერიალურია... ის თანმდევი უკვდავი სული, რომელსაც ილია გრძნობდა, ხედავდა და თავის შემოქმედებაში ასხამდა ხორცს, ახლა თვითონ არის... ილიას სულთა ჩვენი პატრონი და ღმერთმა მოგვცეს ძალა, რომ ვიგრძნოთ ის, დავინახოთ და მივიღოთ მას.“

დაღამებულა...

ილიას აღმართიდან ყოფიერების გზებისაკენ ვეშვებით.

წვიმიან ტრასაზე მიქრის მანქანა.

ხვალ ალბათ წვიმაც გადაიღებს...

ხვალ ალბათ ქარებიც ჩადგებიან...

ხვალ იქნებ უფრო დაგვიმოკლდეს გზა ილიას საქართველომდე...

მაგრამ ეს იქნება ხვალ...

მანამდე კი... თითოეულ ჩვენგანს საკუთარი საკეთებელი გვაქვს და მეც ვშლი რვეულს და ვინცებ წერას:

ჯერ ისევ ქარი ებრძოდა მზეს...

სმაურიდან ისევ მაღალი ლიტერატურისაკენ

*

საუბარი
ზურაბ კანდელაკთან



ვთქვი კიდევაც, ეს ჰგავდა მძიმე და მსუბუქი წონის მოჭიდავეთა ერთ ასპარეზზე გამოსვლას. მსუბუქი წონის მოჭიდავე, რაც უნდა მაგარი იყოს, მძიმე წონაში ვერასოდეს გაიმარჯვებს. ასეა! ეს შეგრძნება თუ „კომპლექსი“ სულ დამყვებოდა, ვერც მოვიშორებდი, ისეთ სიმაღლეზე არიან ევროპელები.

– ბატონო ზურაბ, თქვენ ბრძანდებით ბერლინში, სადაც უკვე მეოცედ ჩატარდა ტელე და რადიოსპექტაკლების საერთაშორისო კონკურსი „ევროპის პრიზი“. საინტელიგენტო იყო ის თქვენთვისაც, რადგან საქართველო მეთედ იღებდა მონაწილეობას.

ამჯერად როგორი შთაბეჭდილებებით დაბრუნდით?

– შარშან ამ კონკურსზე ჩვენმა რადიოსპექტაკლმა „კუკარაჩა“ ჟიურის სპეციალური პრიზი აიღო. ნოდარ დუმბაძის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით გავაკეთე სცენარი, ოღონდ სხვანაირად იყო გადაწყვეტილი შინაარსი.

საერთოდ, ეს გახლავთ ძალზე პოპულარული ტელე-რადიო ფესტივალი, რომელზეც შემდეგი ნომინაციებია: მხატვრული და დოკუმენტური ტელეფილმი, რადიოდრამა და დოკუმენტური რადიო. ახლა დაემატა: მხატვრული და დოკუმენტური ინტერნეტი და ახალგაზრდული პროგრამები. ეს ფესტივალი ევროპარლამენტის პატრონაჟით ტარდება.

საკონკურსოდ წარმოდგენილი იყო 40 რადიოსპექტაკლი.

ადრეც მითქვამს და ახლაც ვიტყვი, ამ ფესტივალზე შეფასების უცნაური სისტემა აქვთ. ჟიურის ყველა წევრი თვითონ არის კონკურსის მონაწილე. ეს, რასაკვირველია, განაპირობებს სუბიექტურ დამოკიდებულებას - ერთს ამბობენ, მეორეს ფიქრობენ და საბოლოოდ რასაც წყვეტენ, ეს კიდევ ცალკეა.

წელს ჩვენ წავიღეთ მიხეილ ანთაძის მოთხრობა „ცოფის“ მიხედვით დადგმული რადიოსპექტაკლი. მოთხრობას დავუმატეთ გოგოლის „შეშლილის ჩანაწერებიდან“ ძალების მიმოწერა და, ფიქრობ, საინტერესო გამოვიდა. განხილვაზე ყველამ აღნიშნა ჩვენი ნამუშევარი და ძალიან კარგი გამოხმაურება ჰქონდა, მაგრამ ამით დამთავრდა. თუმცა ყველაფერი მოიწონეს - ტექსტითა და მუსიკით დაწყებული და მსახიობების თამაშით დამთავრებული, მაგრამ საბოლოოდ პრიზები მაინც ერთმანეთში დაინანილეს.

მოსმენილი რადიოდადგმების განხილვაში ყველას შეუძლია მონაწილეობის მიღება. მინიმალურია 5 ქულა, მაქსიმალური - 50. ჟიურის და, საერთოდ, კონკურსის „სკანდინავიურ-გერმანული“ ტენდენცია წელსაც გამოჩნდა. ამას თავის მართლებებისთვის არ ვამბობ. რა თქმა უნდა, მიზეზი ჩვენი ტექნიკური ნაკლიც იყო, რაც ტექნიკური საშუალებების უქონლობით არის გამოწვეული.

ევროპაში საოცარი ტექნიკური სიახლეებია. მოვისმინეთ, მაგალითად, კვადრო ჩანაწერი, გავოცდი. ისეთი შეგრძნებაა, რომ ოთხივე მხრიდან გესმის ხმა. აგერ, შენ უკან ისვრიან, აი, ზევიდან ვილაც იძახის. საოცარი ეფექტია!

ვერ ვიტყვი, რომ ადრინდელივით უყურადღებოდ არის დღეს რადიო ხელმძღვანელობისგან მიტოვებული. ეს ორი წელია დაგვეტყო უკეთესობა, მაგრამ კარგი მიკროფონების პრობლემა ისევ გვაქვს. იმედია, ესეც მოგვარდება. თორემ უმიკროფონოდ კარგი რადიოსპექტაკლი ვერაფრით გამოვა.

– საკონკურსო რადიოსპექტაკლები თემების მრავალფეროვნებით თუ გამოირჩეოდა? რა თემაზე იყო რადიოსპექტაკლი, რომელმაც გაიმარჯვა?

– გაიმარჯვა დანიურმა რადიოსპექტაკლმა. საზოგადოდ, ტერორიზმი იყო კონკურსის მთავარი თემა. კიდევ კარგი, აქტუალური და მსოფლიო საჭირობოროტო საკითხები წამოსწიეს წინ, თორემ წინა წლებში ან ჰომოსექსუალისტი, ან ლეზბოსელი, ან რაღაც გადახრების მქონე არასრულფასოვანი პერსონაჟები იყვნენ მთავარ გმირებად. სხვა შემთხვევაში დადგმების მიმართ ყურადღებას დიდად არ იჩენდნენ. ეტყობა, უკვე რაღაც გლობალურით არიან შემოფოთებული.

დანიელებს, მართლაც, საოცარი სპექტაკლი ჰქონდათ. მათი აზრით, 11 სექტემბერი ამერიკაში მოახდინა, ანუ ამ ტრაგედიის სცენარი მოამზადეს და „დანერეს“ ფილმებმა, რომანებმა, პუბლიკაციებმა, რომელსაც ჰოლოცუდი იღებდა და ფართოდ წარმოაჩენდა. ტერორისტებს სწორედ მათ მისცეს მზა „რეცეპტი“.

მთელი სპექტაკლი დაახლოებით ისე მიდის, თითქოს სცენარს წერენ. მთელი ამ ხნის მანძილზე დაუსრულებლად ატრიალებენ ერთ სახელს - მოჰამედს. ამან გარკვეული უზენებულობა შექმნა და შენიშვნაც გამოითქვა. იქნებ სხვა სახელი შეგერჩიათო. ბუნებრივია, მაჰმადიანთა მიმართ და მათი აღმსარებლობისადმი პატივისცემის გამო.

ამავე პიესაშია ნორდოსტისა და ბესლანის ამბები ჩართული.

ამ დროს ნორვეგიელებს ჰქონდათ სპექტაკლი იმაზე, როგორ ააფეთქეს ტერორისტებმა ლონდონში წყალბადის ბომბი. ეს მათ საოცარი ტექნიკური ეფექტებით აქვთ შესრულებული. ერთგვარი პარადოქსია. ამასაც „რეცეპტი“ ხომ არ დაერქმევა?!

საერთოდ, რადიოდრამამ რითი მოიპოვა პოპულარობა? პიესებს რადიოსთვის წერდნენ დიდი მწერლები: ბეკეტი, ბიოლი, ფრიში, იონესკო, ფოლკენერი და სხვები.

თვითონ ჟანრი იძლევა დიდ თავისუფლებას. სადაც გინდა, იქ გადაიტან მოქმედებას, როგორც გინდა, ისე გადაწყვეტ სათქმელს.

ახლა კი ტექნიკურ ეფექტებზე გადავიდა ყველა. ხმაურზეა აწყობილი ბევრი რადიოდადგმა. მე ხმაურიდან მაღალი ლიტერატურისაკენ გადავიხრები. ასე ფიქრობენ უკ-

ვე ეეროპაშიც. ბოლოს და ბოლოს, ამ ხმაურის ეფექტებს ამონურავ და რა დარჩება? არაფერი! რალაც გარკვეული კრიზისი დგება. ამას რადიოში მაღალი ლიტერატურის დაბრუნება თუ უშველის.

მაგალითად, გერმანელებმა მოგვასმენინეს სხვადასხვა ქვეყნის სტადიონებზე ჩანერილი შეძახილები, ოვაციები, ყვირილი. დიდი წარმატებით გავიდა ეთერშიო, გვარწმუნებდნენ. გაუგებარია!

- ახლა რაზე მუშაობთ?

- ეს არის პოლონური პიესა, რომელიც 1996 წელს არის დანერილი და ვერავის დააჯერებ, რომ ის დღეს არ დანერილა, იმდენად ასახავს ჩვენს დღევანდელობას. ეს არის ანჟეი მულიარჩიკის პიესა „მთავარ ქუჩაზე გადმომდგარი აივანი“.

აივანზე არიან გადმომდგარი მთავარი პერსონაჟები. ერთი და იგივე მოქმედება მეორდება. კაცი გამოდის, კლავს ტირანს და იკავებს მის ადგილს. ახლა ის ხდება ტირანი. შემდეგ მას კლავენ და სხვა ხდება ის, რაც იყო მისი წინამორბედი - და ასე ტრიალებს კარუსელივით.

- სად და როგორ მიაგენით ამ პიესას?

- ამ პიესას პირველად 1996 წელს მოსკოვში, ოსტანკინოში გავეცანი, როდესაც კონკურსის ჟიურის წევრი გახლდით. ჩემს ხმაზე იყო დამოკიდებული, გავიდოდა თუ არა გამარჯვებულთა შორის ეს პიესა და საბოლოოდ მან ერთ სხვა პიესასთან ერთად გაიყო მთავარი პრიზი.

ამ პიესის დადგმას ვაპირებ. ხალხის ყვირილი და მოთხოვნა, თავისუფლება გვინდაო, ცოტა ხნით მოაპოვებინებთ თავისუფლებას და შემდეგ ისევ მონობაში ვარდებიან

იმის გამო, რომ ტირანია კი არ იცვლება, არამედ უბრალოდ ფიგურები ჩაენაცვლება ერთმანეთს. აი, ეს გახლავთ მთავარი თემა.

- ახლა რას საქმიანობთ?

- რადიოს ეთერში 20-25 წუთიანი სერიאלები იდგმება. ხშირად ისინი ძველი ჩანაწერების განახლებით სრულდება. ამას წინათ გავიდა როსტომ ჩხეიძის „ეკლიანი და პატარა გზა“, რომელიც კობა ცხაკაიამ დადგა. ამ რეჟისორს რადიოსმენელი თუ „ჩვენი მწერლობის“ მკითხველი კარგად იცნობს. ბატონმა კობამ წელს კიდევ ორი რადიოსპექტაკლი დადგა საკუთარი პიესების მიხედვით. ესენია: „სიყვარულის წინვოვანი კავშირი“ და „ანგელოზის სამი ბუმბული“. ვფიქრობ, კიდევ ერთი წარმატებული ცდაა.

გავიხსენეთ და დავდგით რემარკის „ტრიუმფალური თალი“. ასევე სერიებად გავიდა ეთერში. რამ გამახსენა ეს რომანი? ჩემს ახალგაზრდობაში ბესტსელერი იყო, ხელიდან ხელში გადადიოდა და მომინდა, დღევანდელმა ახალგაზრდობამაც მოუსმინოს. სხვათა შორის, გაირკვა, რომ უსმენენ.

ზოგჯერ ძალზე მოძველებულ ფირებს კომპიუტერზე აღვადგენთ ხოლმე და სერიებად ვყოფთ. მე მგონი, გაამართლა ძველის გახსენებამ, რადგან ეს მიბრუნება ნამდვილი ლიტერატურისაკენ. ეს არის მთავარი, რადგან რადიოში სიტყვაა წარმმართველი და მთავარი ყოველთვის ეს უნდა იყოს.

ესაუბრა
თამარ ღონდაძე

რასელ კერკი

კონსერვატიზმის იდეა

„ჩლუნგი პარტიაა“ – ასე დაახასიათა ჯონ სტიუარტ მილმა კონსერვატორები. როგორც რამდენიმე სხვა შემაჯამებელი გამოთქმა, სადაც მოჩანს მეცხრამეტე საუკუნის ლიბერალთა თავდაჯერება, მუდამ გამარჯვებულნი ვიქნებითო, ეს აზრიც გადასინჯვას საჭიროებს ამ ჩვენს ეპოქაში – ლიბერალური და რადიკალური ფილოსოფიების გამიჯვნისა. მართლაც, მრავალმა მოსაწყენმა და თავცარიელმა ადამიანმა, თავისი ინერტულობა კონსერვატიზმის საფუძვლებს დაუკავშირა: „საზოგადოდ, პრაქტიკული მიზნისათვის, საკმარისი იქნებოდა, თუ კონსერვატორები სიტყვის უთქმელად ისხდებოდნენ და იფიქრებდნენ, ან სულაც მხოლოდ ისხდებოდნენ“ – ეს ფ. ჯ. ს. ჰერნშოუს შენიშვნაა.¹ უდიდესს, თავისი დროის კონსერვატორ მოაზროვნეთაგან, ედმუნდ ბერკს არ ერცხვინებოდა ელიარებინა მეგობრობა უბრალო ხალხთან, რომელთა გონებაც წინასწარწმენასა და ადათებს არა სცილდება; პირიქით, გულით უყვარდა ინგლისურ მუხებქვეშ თავშეყრილნი და ყრუნი რადიკალური განახლების მწერთა ბზუილისადმი. მაგრამ უკანასკნელი

ასორმოცდაათი წელია კონსერვატულ პრინციპებს განათლებული და გენიალური ადამიანებიც იცავენ. ამ წიგნის მიზანია კონსერვატული იდეების მიმოხილვა, მათი ღირებულების შემოწმება ამ თავგზაბუნულ საუკუნეში, თუმც კონსერვატული პარტიების ისტორიის დანერას არ ვიჩემებ. ამ ნაშრომს შეიძლება გრძელი ესეი ვუნოდოთ. რა არის არსი ბრიტანული და ამერიკული კონსერვატიზმისა? ინგლისსა და ამერიკაში გავრცელებულ რომელ იდეათა სისტემას ეყრდნობოდნენ კონსერვატული მისწრაფებების ადამიანები, როდესაც ეწინააღმდეგებოდნენ რადიკალურ თეორიებსა და სოციალურ ტრანსფორმაციებს საფრანგეთის რევოლუციის დასაწყისიდან მოყოლებული?

ლიფის რომ ჩაუვლი დუბლინში, ცოტას გასცდები დასავლეთისაკენ ოთხი კარის კამარას და ძველ, სადა კედელში ჩატანებულ კარს მიადგები. ეს გახლავთ სახურავმოხდილი ნანგრევი მეთვრამეტე საუკუნის სახლისა და, რაკი ჯერ კიდევ დგას, მამ აქამდე ვილაცას უცხოვრია შიგ, მაგრამ უკვე მსჯავრგამოტანილია; ნომერი 12, არან ქუეი, ადრე აგურის სამსართულიანი შენობა, სადაც ჯერ ჯენტლმენის საცხოვრისი იყო, მერე მაღაზიის დონემდე დაქვეითდა, ბოლო დროს მეორეხარისხოვანი სამთავრობო უწყება იდგა და 1950 წელს დაუნგრევიათ – ეს ისტორია 1729 წლიდან მოყოლებულ მძლავრ გარდაქმნებს შეგვახსენებს ირლანდიურ საზოგადოებაში. იმ წელს აქ დაიბადა უდიდესი ირლანდიელი – ედმუნდ ბერკი. თანამედროვე დუბლინის მესხიერება დიდად არა შორდება ო'კონელის დროს და ბერკის

დაბადების ადგილის გაქრობა, როგორც ჩანს, არავითარ პროტესტს არ იწვევს. მდინარის გასწვრივ მოჩანს, თუ როგორი იყო ერთ დროს მოიარას გრაფების ქალაქური სახლი, სადაც ამჟამად უკიდურესად გამათხოვრებულთა საზოგადოების დაწესებულებაა; იმის იქით გინესის უზარმაზარი ლუდსახდელია. ბერკის სახლის (ანუ იმ სევდიან ნანგრევთა, რაც შემორჩენილა) უკან, წმ. მიჩანის ძველი ეკლესიის მიმართულებით, სადაც გადმოცემის მიხედვით ბერკი მოუნათლავთ, აგურის დაფხავებული ქოხმახები გაჭიმულა, ფეხშიშველა ბალები რომ დაძვრებიან დარღვეულ კედლებზე. თუ ო'კონელის ქუჩისაკენ შეუხვევ, მსუბუქი გასეირნების შემდეგ ტრინიტი კოლეჯის კეთილშობილ ფასადსა და ბერკისა და გოლდსმიტის ძეგლებს მიაღებები; ჩრდილოეთით, პარნელის მოედნის ახლოს, შეგიძლია ცოცხალ ირლანდიელ ორატორებს მოუსმინო, ხმის გამაძლიერებლობით რომ გასძახიან, თუ რა წარმატებას მიაღწიეს და შვიდჯერ როგორ გაზარდეს ქერივთა პენსიები; და ამას სავსებით სერიოზულად აცხადებენ და უნებურად ჩაფიქრდები ბერკთან ერთად, „რა აჩრდილები ვართ და რა აჩრდილებს ავდევენებივართ!“

ბერკის დროების შემდეგ უამრავი ცვლილება მოხდა დუბლინში. და მაინც, სტუმარს ირლანდია ხანდახან ტრადიციის თავშესაფარს მოგაგონებს ჩვენს ცვალებადობათა საუკუნეში და დუბლინი კი ძველ, კონსერვატულ ქალაქს; და ასეც არის. მსოფლიო, რომელიც წყევლის ტრადიციას, განადიდებს თანასწორობას და მიესალმება ცვლილებას; მსოფლიო, რომელმაც გულში ჩაიკრა რუსო, თავფეხიანად გადაყლაპა და უფრო რადიკალური წინასწარმეტყველებით მოითხოვა; მსოფლიო, გამურული ინდუსტრიანიზმით, გასტანდარტებული მასებით, შეკავშირებული ხელისუფლებით; მსოფლიო, დაკოჭლებული ომით, აღმოსავლეთისა და დასავლეთის კოლოსებს შორის მოცახცახე, შემუსვრილი ბარიკადების მიღმა, გაცამტვერების უფსკრულში რომ იყურება: ეს არის ჩვენი ეპოქა, ეს არის ის საზოგადოება, ბერკმა რომ იწინასწარმეტყველა თავისი რიტორიკის დამბუგავი ენერგიით 1790 წელს. რადიკალმა მოაზროვნებმა საყოველთაო გამარჯვება მოიპოვეს. საუკუნუნახევრის მანძილზე კონსერვატორებმა დათმეს ბრძოლის ველი და დათმეს, თუ რამდენიმე წარმატებულ არიერგარდულ ქმედებას არ ვიგულისხმებთ, განადგურებულებმა.

და მაინც, მათი შემარყველი მარცხის მიზეზები მთლად ნათელი არ არის. რაც უნდა იყოს, ორი განმარტება შესაძლებელია: პირველი ის, რომ თანამედროვე მსოფლიოში „ყველაფერი შეკაზმულია და იმართება“ და კონსერვატული იდეები, რაც უნდა სალი იყოს, ვერ გაუძლებს ინდუსტრიალიზმის, ცენტრალიზაციის, სეკულარიზმისა და გამთანაბრებლობის იმპულსთა უაზრო ძალას; მეორე, კონსერვატორ მოაზროვნეებს აკლდათ გამჭრიახობა, საკმარისი იმისათვის, რომ თანამედროვეობის თავსატეხებისათვის ალლო აელოთ. ორივე ახსნას თავისი საფუძველი აქვს.

ეს წიგნი კონსერვატული აზროვნების კრიტიკაა; და ადგილი არ მეყოფა, რათა მეტად დაწვრილებით განვიხილო მატერიალური ძალები და პოლიტიკური მიმართულებანი, რომელნიც ერთსა და იმავე დროს აკვანიცა და რთველიც გახლდათ კონსერვატული იდეებისათვის. იმავე მიზეზის გამო მხოლოდ ლაკონურად თუ გამოვხებმაურები კონსერ-

ვატიზმის რადიკალ მონინალმდევეებს. მაგრამ პოლიტიკური ისტორია კარგად არის მოთხრობილი 1790 წლიდან მოყოლებული, ხოლო ლიბერალიზმისა და რადიკალიზმის დოქტრინები საკმაოდაა ფესვგადგმული სახალხო აზროვნებაში; მაშინ, როდესაც კონსერვატიზმზე ორიოდ ისტორიკოსი თუ წერდა. თუმცა ფრანგული და გერმანული კონსერვატული იდეებიც (ბრიტანულ და ამერიკულ აზროვნებასთან დაკავშირებული – ბერკისაგან დავალებული – მესტრი, ბონალი, გიზო, გენცი, მეტერნიხი და დიდი ტალანტის მქონე დუჟინი სხვანი) უაღრესად საინტერესოა, მაგრამ ეს ყველაფერი მეტისმეტად ჩახლართულია, რათა აქ განვიხილოთ; კონტინენტელ იდეათა მპყრობელ კაცთაგან, მხოლოდ ტოკვილია შესაფერისად აღიარებული ამ წიგნში და ისიც უფრო იმიტომ, რომ ხანგრძლივი გავლენა იქონია ამერიკელებსა და ინგლისელებზე.

„კონსერვატული გონი“ შეეხება მხოლოდ ბრიტანელსა და ამერიკელ მოაზროვნეებს, მათ, ვინც იდგნენ ტრადიციისა და სიძველეთა სადარაჯოზე. დიდი ქვეყნებიდან მხოლოდ ბრიტანეთი და ამერიკა გადაურჩნენ რევოლუციას 1790 წლის შემდგომ, რაც იმის დამადასტურებელია, რომ მათი კონსერვატიზმი ჯანსაღ ფესვებზეა ამოზრდილი და მისმა შესწავლამ კარგი ნაყოფი უნდა მოგვცეს. უფრო ბეჯითად რომ შემოვზღუდოთ მინდორი, ეს წიგნი ბერკის მიმდევარ მოაზროვნეთა მოღვაწეობას ანალიზებს. დარწმუნებულმა, რომ ბერკის სკოლა ჭეშმარიტ კონსერვატულ პრინციპებს ქადაგებს, შეგნებულად გამოვტოვე ისეთი – მეტისმეტად ანტიდემოკრატი – ლიბერალები, როგორიცაა ლოუი, ანტისახელისუფლებო ინდივიდუალისტები, როგორიცაა სპენსერი და კარლაილის მსგავსი ანტიპარლამენტური მწერლები. წინამდებარე თავებში განხილული ყოველი კონსერვატორი მოაზროვნე – თვით ბერკის თანამედროვე ფედერალისტებიც კი – დიადი ვიგის გავლენას განიცდიდნენ, თუმცა ხანდახან ბერკის იდეები მათამდე გარკვეული ინტელექტუალური ფილტრების გავლის შემდეგ აღწევდა.

შეგნებული კონსერვატიზმი, თანამედროვე გაგებით, 1790 წლამდე არ წარმოჩენილა, ვიდრე გამოქვეყნდებოდა „ფიქრები საფრანგეთის რევოლუციაზე“. იმ წელს ბერკის წინასწარმეტყველურმა უნარმა საზოგადოების ცნობიერებაში პირველად განსაზღვრა კონსერვატიზმისა და სახლის დაპირისპირებული პოლუსები. კარმანიოლმა* ახალი ეპოქის დასაწყისი გვაუწყა, ხოლო ინგლისის ჩრდილოეთში ამოხეთქილი ქვანახშირისა და ორთქლის კვამლიანი ენერგია სხვა რევოლუციის მანიშნებელი გახლდათ. თუ ვინმე შეეცდებოდა კონსერვატიულ იდეათა კვალს გაჰყვეს ადრეული ხანის ბრიტანეთში, გზა დაებნევა ვიგობასა, ტორიზმსა და ინტელექტუალურ ანტიკვარიალიზმში; რადგან თანამედროვე თვალსაზრისები, თუნდაც ადრევე ჩასახული, მაშინ ჯერ კიდევ არ გამოკვეთილიყო. არც ამერიკაში გამძაფრებულა ბრძოლა კონსერვატორებსა და რადიკალებს შორის მანამდე, სანამ მოქალაქე ჯენეტი** და ტომ პეინი ატლანტიკის გაღმიდან ფრანგული თავისუფლების ენთუზიაზმს შემოი-

* ფრანგ რევოლუციონერთა კოსტუმი

** ჟენე, ედმონ შარლ ედუარდ (1763-1834) ფრანგი დიპლომატი, ვინც ცდილობდა 1793 წელს ამერიკა ჩაეთრია დიდი ბრიტანეთისა და ესპანეთის წინააღმდეგ ომში.

ტანდენე: ამერიკული რევოლუცია, ინგლისური პოლიტიკური ტრადიციის მიხედვით, არსებითად კონსერვატიული რეაქცია იყო სამეფო სიახლის წინააღმდეგ. და თუ ვინმეს სურს იპოვნოს კონსერვატიზმის გზის გამკაფავი, ვინც ბერკზე უფრო ხნიერია, ვერ ჰპოვებს კმაყოფილებას ბოლინგბროკთან, ვისაც რელიგიური სკეპტიციზმი ღირსებას აკარგვინებს, ან მაკიაველურ ჰობსთან, ან იმ ძველმოდურ, აბსოლუტისტ ფილმერთან. ფოლკლენტი, კლარენდონი, ჰალიფაქსი და სტრაფორდი ოღონდაც რომ შესწავლას იმსახურებენ; უფრო მეტიც, რიჩარდ ჰუკერთან აღმოაჩინე ღრმა კონსერვატიულ შეხედულებებს, რაც ბერკს მემკვიდრეობით გადაეცა მის ანგლიკანიზმთან ერთად და რაც ჰუკერს სქოლასტიკოსებისა და მათი ავტორიტეტისაგან ცალკე აყენებს; მაგრამ უკვე მეთექვსმეტე საუკუნეს მივადექით და მერე მეცამეტეში გადავდივართ და ეს ნიგნი კი თანამედროვე პრობლემებს ეხება. ყოველგვარი პრაქტიკული თვალსაზრისით, ბერკი კონსერვატიზმის დამფუძნებელია.



რონალდ რეიგანი და რასელ კერკი

ქენინგი, კოლრიჯი, სკოტი, საუთი და უორდსუორთი თავიანთ პოლიტიკურ პრინციპებს ბერკის წარმოსახვისაგან სესხულობდნენ; ჰამილტონი და ჯონ ადამსი ბერკს ამერიკაში კითხულობდნენ, ხოლო რანდოლფმა ბერკის იდეები სამხრეთის შტატებში შეიტანა. ბერკის ფრანგმა მოწაფეებმა შეჰქმნეს სიტყვა „კონსერვატიული“, რასაც მიესალმნენ ქროუკერი, ქენინგი და პილი და სწორედ მათ განაცხადეს, მეტად აღარ ვიქნებით ტორები ან ვიგებიო, და ერთ დროს პიტისა და პორტლენდის მომხრეებმა ძალები შეაკავშირეს. ტოკვილმა ბერკის სიბრძნე თავის ლიბერალურ მიზნებს შეუხამა; მაკოლეიმ მისი რეფორმატორული ტალანტი თავის მოდელს მოარგო. და ამ კაცებმა ბერკის ტრადიცია მომდევნო თაობებს გადაულოცეს. მოწაფეთა ასეთი სიის შემხედვარემ ძნელია უკუაგდო ბერკის თავმონონება, ილაპარაკოს, როგორც ჭეშმარიტმა კონსერვატორმა გენიოსმა. ზოგიერთი ცნობილი სწავლული იმასაც კი შეეცადა, ჰეგელი ბერკის ერთგვარ თანაშემწედ გამოეცხადებინა. „სერ“, წარმოთქვა სემუელ ჯონსონმა ჰიუმის შესახებ, „ეს ყმანვილი შემთხვევით არის ტორი“. ჰეგელის კონსერვატიზმიც ასევე შემთხვევითია; როგორც ტოკვილი შენიშნავს: „ჰეგელი მოითხოვდა, რომ მისი დრო უძველეს დაკანონებულ ძალებს დამორჩილებოდა; მიაჩნდა, რომ ეს კანონიერი იქნებოდა არა მხოლოდ არსებობის, არამედ წარმოშობის გამოც. მისმა მოწაფეებმა სხვაგვარ ძალთა დაფუძნება ისურვეს. ამ პანდორას ყუთიდან გამოფრინდა ყველა სახის ზნეობრივი სწეულება, რითაც ხალხი დღესაც იტანჯება. მაგრამ, როგორც შევნიშნე, მთავარი რეაქცია სენსუალურ და სოციალისტურ ფილოსოფიებთან ჩნდება.“² შლეგელი, ჟორესი და სტოლბერგი და ტენის ფრანგული სკოლა, მოხიბლულნი იყვნენ ჰეგელითაც და ბერკითაც, რითაც ალბათ აიხსნება მათი დამაბზნეველი ზედაპირული მსგავსება და ძირფესვიანი დაპირისპირებულობა. ბერკი-

სათვის ჰეგელის მეტაფიზიკა ისეთივე საძაგელი იქნებოდა, როგორც მისი სტილი; თვითონ ჰეგელსაც, როგორც ჩანს, არ ნაუკითხავს ბერკი; და იმათ, ვინც ფიქრობს, ეს ორი კაცი, ერთისა და იმავე სისტემის განსხვავებულ ასპექტებს გამოხატავს, საშიშროება ემუქრებათ ერთმანეთში აურიონ ავტორიტარიზმი (ამ სიტყვის პოლიტიკური გაგებით) და კონსერვატიზმი. მარქსს შეეძლო და ისარგებლა კიდევ ჰეგელის საცავებიდან, მაგრამ თავისთვის გამოსადეგი ვერაფერი იპოვნა ბერკთან.

მაგრამ ასეთ განსხვავებებზე საუბარი უფრო შესაფერისია დამავირგვინებელი თავისათვის, ვიდრე შესავალისათვის. ამჯერად კონსერვატიზმის იდეის წინასწარი განსაზღვრაა საჭირო.

არცერთი გათვითცნობიერებული კონსერვატორი არ დათანხმდება ჩატენოს ღრმა და ინტელექტუალური სისტემა ორიოდე პრეტენზიულ ფრაზაში; ამჯობინებს ეს ხერხი რადიკალ ენთუზიასტებს დაუთმოს. კონსერვატიზმი არ არის გაყინული და უცვლელი დოგმატური სხეული და კონსერვა-

ტორებმა ბერკისაგან მემკვიდრეობით მიიღეს ტალანტი, დროის შესატყვისად წარმოაჩინონ თავიანთი შეხედულებანი. და მაინც, როგორც სამუშაო წანამძღვარი, შეიძლება აღინიშნოს, რომ სოციალური კონსერვატიზმის არსი კაცობრიობის უძველესი ზნეობრივი ტრადიციის შენახვაა. კონსერვატორები პატივს სცემენ წინაპართა სიბრძნეს (ეს სიტყვები უთქვამთ სტრაფორდსა და ჰუკერს მანამდე, სანამ ბერკი გამოამზეურებდა); ისინი ეჭვით უყურებენ ბითუმად მოსულ ცვლილებებს. ფიქრობენ, რომ საზოგადოება არის სულიერი რეალობა, დაჯილდოებული მარადიული სიცოცხლით, მაგრამ სუსტი აგებულებით; არ შეიძლება მისი მანქანასავით გატეხვა ან გადაკეთება. „რა არის კონსერვატიზმი?“ უკითხავს ერთხელ აბრაამ ლინკოლნს, „ეს ხომ ძველისა და ნაცადისადმი ერთგულებაა ახლისა და გამოუცდელის სანინააღმდეგოდ!“ აი, სწორედ ესაა, მაგრამ უფრო მეტიც გახლავთ. პროფესორი ჰერნშოუ თავის ნაშრომში, „კონსერვატიზმი ინგლისში“, თორმეტამდე პრინციპს ჩამოთვლის კონსერვატორობისა, მაგრამ შეიძლება უფრო მოკლედაც ჩამოყალიბდეს. ვფიქრობ, არსებობს ექვსი კრიტერიუმი კონსერვატიული აზროვნებისა:

1. რწმენა, რომ ღვთის ნება მართავს, როგორც საზოგადოებას, ასევე სინდისს; სჭედს მარადიულ ჯაჭვს სიმართლისა და მოვალეობისა, რაც აკავშირებს დიადსა და შუუმჩნეველს, ცოცხალსა და მკვდარს. პოლიტიკურ პრობლემათა საფუძველი რელიგიური და ზნეობრივი პრობლემებია. ვინრო რაციონალობა, რასაც კოლრიჯი მიხვედრას უწოდებს, თავისთავად ვერ დააკმაყოფილებს ადამიანურ მოთხოვნილებებს. „ყოველი ტორი რეალისტია“, ამბობს კიტ ფილინგი: „მან იცის, რომ არის დიადი ძალები ზევად და ქვეყნად, სადამდეც ადამიანის ფილოსოფია ვერ მიწვდება, ვერ მიაღწევს. ცუდად ვიქცევით, როდესაც არაფრად

ვაგდებთ კიჟინას, ადამიანის გონებას არ ენდობიანო: არც ვენდობით და არც შეიძლება ვენდოთ. ადამიანის გონებამ აღმართა ჯვარი გოლგოთაზე, ადამიანის გონებამ შეჰქმნა შხამით სავესე თასი,* ადამიანის გონების კანონიზაცია მოხდა ნოტრ დამში. პოლიტიკა ბუნებაზე მაღლა მდგომი სამართლიანობის წვდომისა და გამოყენების ხელოვნებაა.⁴³

2. სიყვარული ტრადიციული ყოფის ნაყოფიერი მრავალფეროვნებისა და იდუმალებისა, განსხვავებით ყველაზე უფრო რადიკალურ სისტემათა გამთანაბრებელი და უტილიტარული ვინო ერთფეროვნებისაგან. ამიტომაც არის, რომ ქუინტინ ჰოგი (ლორდ ჰეილშემი) და რ. ჯ. უაიტი კონსერვატივებს „ტკბობად“ წარმოსახავენ. ეს არის მხნე თვალსაზრისი ცხოვრებისადმი, რასაც უოლტერ ბეიგჰოთი უწოდებდა „მართებულ წყაროს სიცოცხლით სავესე კონსერვატივიზმისა“.

3. შეგნება, რომ ცივილიზებულ საზოგადოებას სჭირდება წესრიგი და კლასები. ერთადერთი ჭეშმარიტი თანასწორობა ზნეობრივი თანასწორობაა: ყველა დანარჩენი მცდელობა, მაცდუნებელი კანონმდებლობით თავსმოხვეული, იმედგაცრუებამდე მიგვიყვანს. საზოგადოება მოითხოვს წინამძღოლს და, თუ ხალხი მოსპობს ადამიანებს შორის ბუნებრივ განსხვავებას, ბონაპარტე შეავსებს სიცარიელეს.

4. რწმენა, რომ საკუთრება და თავისუფლება განუყოფლად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან და რომ ეკონომიკურ გათანასწორებას არ მოაქვს ეკონომიკური პროგრესი. გამოგლიჯე საკუთრება კერძო მფლობელობიდან და თავისუფლება გაქრება.

5. ნდობა ადათისა და უნდობლობა სოფისტებისა და წვრილმანი, ანგარიშიანი ხალხისადმი. კაცმა უნდა დაუდოს ზღვარი თავის მადასა და ნებას, რადგან კონსერვატორებმა იციან, რომ ადამიანს გრძნობა უფრო მართავს, ვიდრე გონება. ტრადიცია და ჯანსაღი ნეს-ჩვეულებანი აოკებს კაცის ანარქიულ იმპულსებს.

6. შეცნობა იმისა, რომ ცვლილება და რეფორმა არ არის ერთი და იგივე და რომ ცვლილებანი ხშირად პროგრესის ჩირადდნს კი არა ჰგავს, არამედ ყოვლისმშთანთქმელ ხანძარს. საზოგადოება უნდა გარდაიქმნას, მაგრამ აუჩქარებელი ცვლილება მის კონსერვატულობას მიანიშნებს, ადამიანის სხეულის მარადიული განახლების მსგავსად; წინდახედულება კი შესაფერისი იარაღია ცვლილებისათვის და სახელმწიფო მოღვაწე სოციალური ძალების რეალურ ტენდენციათა წინასწარშეცნობით გამოიცდება.

იდეათა ამ სისტემამ მრავალჯერ შეიცვალა მიმართულება და ბევრი რამ დაემატა, მაგრამ კონსერვატორები ამ პრინციპებს მაინც პოლიტიკური ისტორიისათვის იშვიათი თანამიმდევრულობით მიჰყვებიან.

მონიხალმდეგეთა პრინციპების დაჯგუფება უფრო ძნელია. რადიკალური აზროვნების თითქმის ხუთი სკოლა ექიმპებოდა ერთმანეთს სახალხო პატივისცემის მოსაპოვებლად მას შემდეგ, რაც ბერკი პოლიტიკას მოეკიდა: XVIII საუკუნის ფილოსოფიები** და ჰიუმი, რუსოსი და მისი მიმ-

დევრების რომანტიკული ემანსიპაცია, ბენტემელთა უტილიტარიზმი, კომტის სკოლის პოზიტივიზმი და მარქსისა და სხვა სოციალისტთა კოლექტიური მატერიალიზმი. ამ სიიდან გამოტოვებულია სამეცნიერო დოქტრინები, მათ შორის უმთავრესით – დარვინიზმიდან, რომელთაც დიდად იზრუნეს, რათა კონსერვატიული ნესრიგის უპირველეს პრინციპთათვის გამოეთხარათ ძირი. მრავალრიცხოვან რადიკალურ გამოვლინებათა გამოხატვა საერთო აღმნიშვნელით ალბათ თავდაჯერებულობა იქნებოდა, რაც უცხოა კონსერვატივიზმის ფილოსოფიური პრინციპებისათვის. ამავე დროს, თუ ერთი შეხედვით განაზოგადებდა ვინმე, შეიძლება თქმულიყო, რომ რადიკალიზმი 1790 წლიდან განწყობა საზოგადოების ადათებრივ ნესრიგზე თავდასასხმელად, შემდეგი პოზიციებიდან:

1. ადამიანის სრულყოფის შესაძლებლობა და საზოგადოების დაუსაზღვრელი პროგრესი: მელიორიზმი.* რადიკალებს სჯერათ, რომ განათლება, პოზიტიური კანონმდებლობა და გარემოს გარდაქმნა ადამიანებს ღმერთებად აქცევს; ისინი უარყოფენ, რომ კაცობრიობა ბუნებრივად მიდრეკილი სისასტიკისა და ცოდვისადმი.

2. ზიზი ტრადიციისადმი. გონება, იმპულსი და მატერიალისტური დეტერმინიზმი თანაბრად შერჩეული სოციალური კეთილდღეობისაკენ მიმავალი გზის მაჩვენებლად და უფრო სანდოდაცაა მიჩნეული, ვიდრე წინაპართა სიბრძნე. საყოველთაო რელიგია უკუგდებულია და მის შემცვლელად შემოთავაზებულია მრავალრიცხოვანი და ანტიქრისტიანული სისტემა.

3. პოლიტიკური გათანასწორება. გმობენ ნესრიგსა და უპირატესობას; ტოტალური დემოკრატია, პირდაპირი ცა და პრაქტიკულიც, გახლავთ აღიარებული რადიკალური იდეალი. ამ განწყობილების შესაბამისად, წარმოიშობა საერთო უკმაყოფილება პარლამენტური ნესრიგისადმი და მისწრაფება ცენტრალიზაციისა და შეკავშირებისადმი.

4. ეკონომიკური გათანაბრება. უძველეს უფლებას საკუთრებისა, გასაკუთრებით მინის საკუთრებისა, ეჭვის თვალთ უყურებენ თითქმის ყველა სახის რადიკალები; კოლექტივისტი რეფორმატორები არყევენ და აძაბუნებენ კერძო საკუთრების ინსტიტუტის საფუძვლებსა და განმტოვებას.

მეხუთე ადგილზე კაცი შეეცდებოდა მოეთავსებინა საერთო რადიკალური თვალსაზრისი სახელმწიფოს დანიშნულებისა, მაგრამ ამ შემთხვევაში უფსკრული განახლებათა სკოლების მოსაზრებათა შორის მეტისმეტად ღრმავა, რათა ამა თუ იმ დამაკმაყოფილებელ განზოგადებამდე მივიდეთ. ერთი რამ კი შეიძლება აღინიშნოს, რომ რადიკალები ერთიანდებიან სახელმწიფოს, როგორც ღვთაებრივად მოწესრიგებული ზნეობრივი არსის, გარდაცვლილთა, ცოცხალთა და ჯერარშობილთა სულიერი ერთობის ბერკისეული აღწერილობისადმი სიძულვილით.

წინასწარი მონახაზისათვის საკმარისია. რადიკალი, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ცვლილებებისადმი სიყვარულით ანთებული ნეოთერისტია; კონსერვატორი კი ის, ვინც უშუბერთან ერთად ამბობს, Ce sont les crampons

* იგულისხმება თასი, რომელიც სოკრატემ შესვა.

** ფილოსოფები – ინგლისურ ტექსტშია philosophes და არა philosophers; ორიგინალის ტერმინი აღნიშნავს XVIII საუკუნის ფრანგ განმანათლებლებს.

* მელიორიზმი – დოქტრინა იმის შესახებ, რომ მსოფლიოს გაუმჯობესება შესაძლებელია ადამიანის მცდელობის შედეგად.

qui unissent une génération à une autre – პოლიტიკისა და რელიგიის ეს უძველესი ინსტიტუტები. conservez ce qu'on t'a vu vos pères. თუ ვინმე რატომღაც ამაზე მეტ განსაზღვრას ეძებს, რაც მალე მიუბრუნდება კონკრეტულ მოაზროვნეებს, მით უფრო მიაღწევს საიმედო საფუძვლებს. მომდევნო თავებში დახატულია კონსერვატორი, როგორც სახელმწიფო მოღვაწე, კრიტიკოსი, მეტაფიზიკოსი და მწერალი. იდეის კაცები პარტიის ლიდერებზე მეტად წარმართავენ მოვლენათა მსვლელობას და ეს ნაპოლეონმაც იცოდა; მეც ჩემი კონსერვატორები შესაბამისად შევარჩიე. ზოგიერთ კონსერვატორ მოაზროვნეზე – მაგალითისათვის, ლორდ სოლისბერისა და მოსამართლე სთორიზე* – მეტის დაწერა მსურდა; ბერკის ზოგიერთი საინტერესო მონაფე, მათ შორის, არნოლდი, მორლი და ბრაისი, გამოვტოვე იმიტომ, რომ თანამიმდევრული კონსერვატორები არ ყოფილან. მაგრამ მივყევი ძირითად დინებას კონსერვატული იდეისა 1790 წლიდან 1952 წლამდე.

რევოლუციურ ეპოქაში ზოგჯერ კაცი გემოს უსინჯავს ყოველგვარ სიხალეს, მოყირჭდება ყოველი მათგანი და უბრუნდება უძველეს პრინციპებს, რომელნიც იმდენ ხანს იყვნენ უქმად, რომ განახლებული სიცოცხლით დაუბერავენ, როდესაც ხელახლა აღმოაჩენ. ისტორია ხშირად თითქოსდა რუღეცის ბორბალს მოჰგავს; არის სიმართლე ძველბერძნულ ციკლორობის იდეაში და შეიძლება შემობ-

* მოსამართლე სთორი – ჯოზეფ სთორი (1779 –1845) ამერიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, ამერიკის უდიდესი იურისტი

რუნდეს ნომერი, რომელიც კონსერვატულ წესრიგს აღნიშნავს. ერთ-ერთმა იმ აღმოდებულ ღრუბელთაგან, რომელიც ღვთისათვის არ გვემეტება და ჩვენს საქმიანობას მივანერო, შესაძლოა ისევე დაუნდობლად გააქროს ჩვენი დღევანდელი, დახვეწილი კონსტრუქციები, როგორც ფორბურგ სენ ჟერმინში დააბოლოვა საკუთარი თავისაგან დაღლილი საუკუნე. და მაინც, რუღეცთან შედარება არ მოეწონებოდა ბერკს (ან ჯონ ადამსს), ვინც იცოდა, რომ ისტორია დიად ჩანაფიქრს გადაეშლება. ჭეშმარიტი კონსერვატორი ფიქრობს ამ პროცესზე, რაც შანსივით ან ბედისწერასავით, ან უფრო მეტად პოლარობის ზნეობრივი კანონის წინასწარმეტყველურ ქმედებასავით მოჩანს. და ჩვენი საუკუნე რომ ეხილა, ბერკი არასოდეს შეურიგდებოდა აზრს, რომ დაჭლექებული საზოგადოება, თვითმკვლელობას მიახლოებული, ის დასასრულია, რაც განგებას ადამიანისათვის მოუშვადებია. თუ კონსერვატული წესრიგი მართლაც უნდა დაბრუნდეს, უნდა ვიცნობდეთ ტრადიციას, რაც მას თან ახლავს, რათა ხელახლა ავაშენოთ საზოგადოება; და თუ მას აღდგენა არ უნერია, მაინც უნდა ვიცნობდეთ კონსერვატულ იდეებს, რათა ავერიდოთ დამწვარ-დაფერფლილ წარჩენებს ცივილიზაციისა, გავექცეთ შეუზღუდავი თვითნებობისა და მადისაგან გაჩენილ ხანძარს.

- 1. პერნოუ, „რევოლუციური ერის ზოგიერთი გამორჩეული მოაზროვნის სოციალური და პოლიტიკური იდეები“, გვ. 8
- 2. სიმპსონი, „ტოკვილის მემუარები, წერილები და მემკვიდრეობა“, II, გვ. 260
- 3. ფილინგი, „ტორიზმი“, გვ. 37-38

რედაქციისაგან

რასელ კერკი დაიბადა პლიმუტში, მიჩიგანის შტატი, 1918 წელს და ცხოვრების უმეტესი ნაწილი, თავის წინაპართა საცხოვრისში, პიეტი ჰილში, მიკოსტაში, მიჩიგანის შტატი, გაატარა. აქ მან სათამაშოების ყოფილი საამქრო თავის ბიბლიოთეკად და სამუშაო ადგილად აქცია. მისი იტალიურ ყაიდაზე მოწყობილი სახლი სავსე იყო ქანდაკებებითა და ანტიკური არქიტექტურის ნიმუშებით, რითაც დასავლეთ მიჩიგანის მკვეთრ ურბანულობას უპირისპირდებოდა. ოცდაათი წლისამ ცოლად შეირთო ანეტ ივონ სესილ ქორთმანში. შინ ყოფნისას უყვარდა თხრობა აჩრდილებსა და მოჩვენებებზე; ამ სიუჟეტებს მოგზაურობისას აგროვებდა.

მისი სახლი მუდამ სავსე იყო ლტოლვილებით, სტუდენტებითა და კოლეგებით. რასელ და ანეტ კერკები ხშირად აწყობდნენ სამეცნიერო სემინარებს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებთან და ფონდებთან ერთად.

რასელ კერკი გარდაიცვალა 1994 წლის 29 აპრილს. მის სახლში დღეს გახსნილია „რასელ კერკის ცენტრი“, რასაც მისი მეუღლე ანეტ კერკი უძღვება.

რასელ კერკი იყო მწერალი, ფილოსოფოსი, კრიტიკოსი, მეცნიერი და პედაგოგი; ავტორია ოცდათორმეტი წიგნის, ასობით საჟურნალო ესეისა და ნოველისა. რაც მთავარია, იყო XX საუკუნის ამერიკული კონსერვატიზმის ერთ-ერთი მამამთავარი. „ნიუ იორკ ტაიმსი“ აღიარებდა კერკის უდიდეს გავლენას და წერდა, რომ კერკის წიგნმა „კონსერვატიული გონი“ გამორჩეული სახე და გენეალოგია შესძინა ამერიკულ კონსერვატორებს და ნააქეზა ომისშემდგომი მოძრაობა. რასელ კერკი რედაქტორობდა ყოველკვარტალურ ჟურნალებს – „უნივერსითი ბუკმან“ და „მოდერნ ეიჯ“. ასზე მეტ სერიო-

ზულ პერიოდულ გამოცემასთან თანამშრომლობდა მსოფლიოში. იყო მრავალი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი და ერთადერთი ამერიკელ მეცნიერთაგან, ვინც სკოტლენდის სენტ ენდრიუს უნივერსიტეტის დოქტორი გახდა. იყო მრავალი ლიტერატურული ჯილდოს მფლობელი, მათ შორის „ქრისტოფერ ვეორდისა“ წიგნისათვის „ელიოტი და მისი ეპოქა“. მისი მეორე წიგნი „კონსერვატიული გონი“ (1953) უკვე შვიდჯერ გამოიცა და ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ნაშრომად ითვლება პოლიტიკური იდეებისა და კულტურის სფეროში. ამ წიგნით ამაყობენ ამერიკელი კონსერვატორები და მდუმარედ, მაგრამ მოკრძალებითა და პატივისცემით გვერდს უვლიან ლიბერალები.

კერკი მეგობრობდა და თანამშრომლობდა თავისი დროის ისეთ ცნობილ ადამიანებთან, როგორებიც იყვნენ: ტ.ს. ელიოტი, როი კემპბელი, უინდჰემ ლუისი, დონალდ დევიდსონი, რეი ბრედბერი, ფლენერი ო'კონორი, მალკოლმ მაგერიჯი, რობერტ გრიფიზი და სხვანი.

როგორც წინასწარმეტყველმა ამერიკული კონსერვატიზმისა, რასელ კერკმა განასწავლა, აღზარდა და შთააგონა მთელი თაობა. პიეტი ჰილიდან მომზირალი, იგი ღრმად ჩანვდა ამერიკულ ლირებულებათა ფესვებს, დაწერა და გამოცა პოლიტიკური ფილოსოფიის უპირველესი ნაშრომები. მისი ინტელექტუალური დევანი წარმოადგენს პატრიოტიზმის შთამბეჭდავ აქტს. შევეყურებ მომავალს იმ იმედით, რომ მისი შემოქმედება კვლავ ღრმად გასაზღვრავს და დაიცავს ჩვენს ლირებულებებსა და ნაამაგარ ცივილიზაციას.“ ეს რონალდ რეიგანის სიტყვებია, ვინც რასელ კერკს 1989 წელს „საპრეზიდენტო სამოქალაქო მედალი“ გადასცა.

გელა ჩქვანავა

ლუნაჩარსკის ქუჩის ამბები

ჩემი პირველი მოთხრობები

მკერავი ნატალია შეროზია მაღალი და ძალზედ ენერგიული ქალი გახლდათ, ყავდა მეუღლე, ისიც მასავით ანონილი და ცხვირა, ხმამაღლა მოლაპარაკე გერონტი და, ვაჟიშვილი, ასევე (თავის ასაკთან შედარებით) მაღალი და ასევე ხმამაღლა მოლაპარაკე გოგიტა. ჰოდა, ეს უკანასკნელი თორმეტი წლის გახდა თუ არა, ნატალიამ რატომღაც გადაწყვიტა, რომ ვაჟი მამამისზე გაცილებით ნესიერი და, რაც მთავარია, გულისხმიერი გახდებოდა, თუკი გიტარაზე დაკვრასა და სიმღერას ისწავლიდა. ნატალიამ სულ მოკლე ხანში მასწავლებელიც იმოვა, თანაც ისეთი, შვიდსიმინიანი გიტარაზე დაკვრას რომ ასწავლიდა. ის დიდყურა და ფართოტუჩება მასწავლებელი ბირცხის ქუჩაზე ცხოვრობდა. მე გოგიტას ვურჩიე სულით არ დაცემულიყო, ისიც ვუთხარი, რომ გიტარაზე დაკვრა სულაც არ იყო დედიკოს ბიჭების საქმე, მაგალითად კი ვისოცკი დაუფსახელე, რის შემდეგაც გოგიტას გამოხედვაში ნალველი შეურბილდა.

– მოდი დავარაზვედკოთ, – მთხოვა მან. – გავიდეთ ბირცხაზე და როგორმე გავიგოთ, იცის თუ არა იმ ყურებპარტყუნა მასწავლებელმა ბლატნოი სიმღერების დაკვრა.

ნახევარი საათის შემდეგ ჩვენ უკვე გიტარის მასწავლებლის სახლთან ვიდექით. სახლი დიდი იყო, თანაც თეთრი, აივანზე რიკულები აკლდა და ამიტომ ის კბილებდაცვენილ მომღიმარ კაცს მივამგვანე. გოგიტამ თქვა, რომ ტარანზე მიდიოდა და მასპინძელს დაუძახა. მასწავლებელს მსუსხავი მზერა ჰქონდა და მე და გოგიტა იმ მზერით ბოლომდე გაგვბურლა.

– ლუნაჩარსკიდან ვართ. ჩვენი ქუჩის დიდი ბიჭები თქვენს გამო მთისქუჩელ დიდ ბიჭებს დაენიძლავნენ ლუდზე... მოკლედ, ჩვენმა ბიჭებმა თქვენზე თქვეს, რომ გიტარაზე ბლატნოი სიმღერებსაც უკრავთ და თანაც ისე, რომ ხალხს ცხარე ცრემლებით ატირებთ, მთისქუჩელმა დიდმა ბიჭებმა კი თქვენზე თქვეს, ბლატნოი სიმღერების დაკვრა არ იცისო, – მლიქვნელურად შესცინა გოგიტამ მასწავლებელს. – დიდმა ბიჭებმა, ჩვენებმაც და მთისქუჩელებმაც, ჩვენ გვთხოვეს თქვენთან მოვსულიყავით და გვეკითხა, უკრავთ თუ არა გიტარაზე ბლატნოი სიმღერებს და ასწავლით თუ არა მათ დაკვრას მოსწავლეებსაც ისე კარგად, რო-

გორც თქვენ იცით, ანუ ისე, რომ ხალხი ცხარე ცრემლებით ატიროს. ბიჭებმა გვითხრეს, ამას რომ კითხავთ, ბოდიში მოუხადეთ შენუხებისთვის, პასუხის მიღებას დაელოდეთ და მერე მადლობაც მოახსენეთო.



– კიდევ რას და-მაბრალეხთ! – აღშფოთდა მასწავლებელი, მუხლებზე გამობერილი სამმანეთიანი სპორტული შარვალი რომ ეცვა და თვალები ჩიყვიანივით გადმოქაჩა. – საპოჟნიკი კი არა ვარ, ბლატნოი სიმღერები დავუკრა!

– გმადლობთ!.. ნიზკო კლანიაემსა! – უთხრა გოგიტამ მასპინძელს და ისეთი სახე მიიღო, მეგონა მართლა წელში მოიხრებოდა, ამიტომ მასწავლებლის წინაშე წელში მოვიხარე და ისე დავუკარი თავი, რის გამოც გოგიტა დამცინავი მზერით გამიმასპინძლდა.

– მართლა საპოჟნიკი კი არა ვარ, ვილაც ყურებპარტყუნა მასწავლებლის წინაშე ორად მოვიკეცო! – თქვა გოგიტამ, როცა გორაზე, ბირცხიდან ლუნაჩარსკიზე გადასასვლეზე, აკაციის ტევრში სოხუმის „კოსმოსს“ ვენეოდით და მშობლიურ ქუჩას დიდი სიყვარულით გადავყურებდით. ლუნაჩარსკის გაღმა, ჩვენს პირდაპირ მთის ქუჩა მოჩანდა (ბირცხაზე ოდნავ დაბალი, ჩვენივე ზღვის დონიდან). ბირცხისა და მთის ქუჩას შორის ფხასავით გაჩხერილი ჩვენი ქუჩა ხევად მომეჩვენა, იმიტომ რომ სწორედ იმ დროს ჩეხოვის „ხევში“-ს ვკითხულობდი. მერე ჩვენი სამკერვალო ფაბრიკა და ელექტროქვესადგურის შენობა ჩეხოვისეულ, ცამდე აწვილ საკვამლემილებიან ფაბრიკებად აღვიქვი, მიუხედავად იმისა, რომ მათ არც საკვამლე მილები ჰქონდათ და, მით უმეტეს, არც კვამლი ასდიოდათ, სამაგიეროდ, ვიკვამლებოდით ჩვენ – მე და გოგიტა.

– Дело труба! – ვთქვი მე.

– რატომ არის, რომ ამ მშვენიერ ქვეყანაზე ისეთი კრეტინები იზადებიან, როგორც ის ყურებპარტყუნა მასწავლებელია? – მკითხა გოგიტამ. – სხვა მასწავლებელი უნდა მოვძებნოთ.

აღმოჩნდა, რომ სხვა მასწავლებლის მოძებნას აზრი არ ჰქონდა, რადგან, როგორც გოგიტამ გამოარკვია, ყურებპარტყუნა მასწავლებლის ცოლს ნატალიასთან კაბები შეეკერა, ხოლო ნატალიას მისგან გასამრჯელო არ აელო იმ პირობით, რომ პატივნაცემი კლიენტის ქმარი, ანუ ყურებპარტყუნა მასწავლებელი, ოთხი თვე უფასოდ ამეცადინებდა გოგიტას.

– Дело труба! – თქვა გოგიტამაც, მიუხედავად იმისა, რომ მას ჩეხოვის „ხევში“ არ წაეკითხა (გოგიტა საერთოდ არ კითხულობდა არაფერს).

გოგიტა ძალიან დაძაბული იყო. დაძაბული ვიყავი მეც და მქონდა კიდევ საამისო მიზეზი. საქმე ისაა, რომ ლუნაჩარსკიზე თანატოლებს შორის ყველაზე ჭკვიან და განათლებულ ბავშვად ვითვლებოდი, ამიტომ თუ ისეთი გაუნათლებელი ხულიგანი, როგორც გოგიტა იყო, გიტარის მასწავლებელთან დაინყებდა სიარულს, ჩემი პატივმოყვარე და თავმოძმონე დედა მაშინვე იმას ეტყოდა მასზე სულ ოდნავ ნაკლებად პატივმოყვარე და სულ ოდნავ ნაკლებად თავმოძმონე მამას, რომ მე უბრალოდ ვალდებული ვიყავი გიტარაზე დაკვრა მესწავლა. მე კიდევ დასანახადაც ვერ ვიტანდი მუსიკალურ ინსტრუმენტებს.

– რაც უნდა იყოს მთელი ორი წლითა ხარ ჩემზე უფროსი და თავი დიდი კომბინატორი გგონია. ჰოდა, მოახერხე რამე, – ვუთხარი გოგიტას.

გოგიტამ მიპასუხა, რამეს მოვიფიქრებო და მოიფიქრა კიდევ სულ რაღაც ერთ დღეში.

– ბირცხაზე რომ ერთი ბოზი ცხოვრობს... აი ის, რამაზოს ტრიპერი რომ აკიდა, ხომ იცი?.. ჰოდა, რამაზოს გერონტისთვის ვათქმევინებ, თითქოს ის ბოზი იმ ყურებპარტყუნა გიტარისტის საყვარელი იყოს. რომელი ჭკუათმყოფელი კაცი მიაბარებს თავის ერთადერთ ვაჟს ტრიპერიანის საყვარელს?

– გერონტი ყველაფერს მიხვდება და იმდენს გირტყამს, დღე ღამედ მოგეჩვენება, – ვუთხარი მე. – გინდა გაგეხუმრო?

– მე გიტარე ხიდის ქვეშ, არა? – მიპასუხა გოგიტამ და ნაღვლიანად გაიღიმა.

ამის შემდეგ ჩვენ სიგარეტის მოსაწევად წავედით გორაზე. აკაციების ქვეშ გოგიტას მორიგი შთაგონება ეწვია.

– ნატალია სულ იმას აყვედრის გერონტის, ერთხელაც არ გაგხსენებია ჩემი დაბადების დღე და ერთხელაც არ გიყილია ჩემთვის საჩუქარიო. გერონტი კიდევ ეუბნება, ყველაზე საუკეთესო საჩუქარი შენთვის მე ვარ და შეირგეო... მოკლედ, დედაჩემს მოტორიან გერმანულ საკერავ მანქანას უყყიდი. ამ მანქანის საყიდლად ორი... არა, სამი წელი ვაგროვებდი-მეთქი ფულს, ვეტყვი. ნატალიას გული აუჩუყდება, სიხარულისგან ატირდება და ნებას დამრთავს გიტარაზე არ ვიარო. სულ იმას ჩივის, ფეხითსატრიალო „ზინგერმა“ ვენების გაგანიერება დამმართაო... რამაზოს ვთხოვ და ის მიშოვის მანქანას იაფად. ნატალიას კიდევ ვეტყვი, ბოშები-საგან ვიყიდე-მეთქი მუქთად.

– გერონტი მაინც გცემს, – ვუთხარი მე. – ნატალია გერონტის ეტყვის, შეხედე ბავშვმა როგორი საჩუქარი გამიკეთა, შენ კიდევ მანეთიანის არაფერი გიჩუქებიაო. ჰოდა, გერონტი გაბრაზდება და ერთს მაგარს გითაქებს.

– სამაგიეროდ, გიტარის მასწავლებელთან არ ვივლი, – მიპასუხა გოგიტამ.

როცა რამაზოს ვთხოვეთ, როგორმე მოპარული საკერავი მანქანა გვიმოვეთ იაფადო, იმან სწორედ ყურებ-

პარტყუნა ჩიყვიანი მასწავლებელივით გადმოგვიქაჩა თვალები.

– თქვენ რა, გგონიათ რომ ისინი, ვისთანაც მე საქმეს ვიჭერ, საკერავი მანქანით გაისვრიან ხელს? – გვკითხა რამაზომ და მაშინვე დანაღვლიანდა. – აი, თურმე როგორი წარმოდგენა ჰქონიათ ჩემზე ჩემს მშობლიურ ქუჩაზე!

– მანდარინების ბაღი რომ აქვს ლუნაჩარსკის ბოლოში მამაშენს ნაყიდი, იმას გადაგიბარავთ სულ მთლიანად, – შესთავაზა გოგიტამ. – სამ დღეში დედას ვუტირებთ. შენც ადექი და დედაშენს და მამაშენს უთხარი, მე დავბარე-თქო, ჰოდა, ისინიც მოგეშვებიან, არ გაგიბურღავენ ტვინს, დასაბარია, დასაბარიაო...

– მერედა რა ფულით აპირებთ მანქანის ყიდვას? – დაინტერესდა რამაზო.

– ჩემს ველოსიპედს გავყიდი, – წამებულის ტონით უპასუხა გოგიტამ. – ჯანდაბას ველოსიპედი, დედაჩემი მინდა გავახარო. დედაჩემი მამაჩემს ეტყვის, ნახე რა საჩუქარი გამიკეთა გოგიტამო, გერონტი გაბრაზდება და ერთს მაგრა წამითაქებს. დედაჩემი კიდევ ტვინს შეუჭამს, ბავშვმა ჩემი გულისთვის ველოსიპედი გაყიდა, კეთილ ინებე და სამაგიერო უყიდეო... შეიძლება მოპედიც კი გავივრტყა.

– გერონტის ეგონება, რომ საკერავი მანქანა იმიტომ უყიდე ნატალიას ველოსიპედის ფულით, რომ მოპედი გინდოდა სამაგიეროდ და იმდენს გირტყამს, მოპედი საკერავი მანქანა გეგონება, ანდა პირიქით, – ვუთხარი გოგიტას.

– ჯერ ფული იშოვეთ და მერე მოდით. არ მიყვარს ისეთი ხალხი, ჯერ ცხენი რომ არა ყავთ და უნაგირს უკვეთავენ! – გვითხრა რამაზომ, გადააპურჭყა და გოგიტას უჩუმრად თვალი ჩამიკრა.

საქმე ისაა, რომ ნატალია შეროზია, ფეხით დასატრიალებელ „ზინგერის“ ანტიკვარულ საკერავ მანქანას რომ მიუჯდება, იმ მანქანის დგანდგარი ქუჩაში გამვლელების ყურსაც სწვდებოდა. ლავრენტი თოდუა კი ამბობდა, ისეთი შესახედავია ნატალია ამ დროს, გეგონება მოტილიკავე ახალგახედნილ ცხენზე დაჯირითობდეს და წარმომიდგენია, ქმარს რას უზამს ლოგინშიო.

– ჰოდა, გვასესხე სანამ ველოსიპედს გავყიდი – სთხოვა გოგიტამ.

რამაზომ პასუხად ერთ ადგილას გაგვაგზავნა. ჩვენც ავდექით და გოგიტას ველოსიპედის გასაყიდად წავეხეტეთ პლაჟებზე, რომ ლაშქრობების მოყვარულ ტურისტებთან გვეცადა ბედი. ტურისტებს ველოსიპედში ოცდახუთ მანეთზე მეტი არ შემოუთავაზებიათ, რამაც გოგიტა ისე გააბრაზა, რომ ერთ-ერთი ტურისტის ცოლს, ველოსიპედის ხელში ჩაგდება თხუთმეტ მანეთად რომ მოინდომა, სამი თითის კომბინაცია უჩვენა. ქალმა პასუხად ისეთი სილა უთავაზა გოგიტას, მის მოსასულიერებლად წყლის მოსატანად პირველი იმ ქალის ქმარი გაიქცა, თვითონ ქალმა კი ვარდი მიუტანა ცხვირთან, თითქოს ნიშადურის სპირტით ყოფილიყოს

გაჟღენთილი. გოგიტამ თვალი რომ გაახილა და ვარდი ნახა, იფიქრა, ჩემი ცხვირიდან წამომსკდარი სისხლით მოსვრილი ცხვირსახოციაო, და ისევ წაუვიდა გული.

– მოდი, ყვავილებით ვცადოთ საქმის გაკეთება, – თქვა გოგიტამ, როცა შინ ვბრუნდებოდით. – არასოდეს უჩუქებია გერონტის ნატალიასთვის ყვავილები!

ლუნაჩარსკელმა მეყვავილე სომეხმა, სათბურის შესასვლელთან რატომღაც ძროხის თავის ქალა რომ ჰქონდა მიჭედებული, ყვავილები ნისიად არ მოგვცა, სამაგიეროდ, მისმა ორნითოლოგმა სიძემ თავისი ჩიტები დაგვათვალერებინა, რომელთა გალიაზეც მეჩიტის ვაჟი (მეყვავილის შვილიშვილი) სპორტული მანქანების ნებოვან სურათებს აკრავდა. ვნახეთ თუთიყუში, სახელად „რომა“, „მპა“-ს, „პასტ პარვუს“-ს, „ია ნა მაშინე კრასოტკა, მაგუ პოდვესტი“-სა და „სვაბოდუ პოპუგაიამ“-ს რომ ყვიროდა სომხური აქცენტით.

იმ საღამოს მე ჩემი, რიგით მეორე მოთხრობა დავწერე, რომელსაც „სიურპრიზი“ დავარქვი. ჩემი „სიურპრიზის“ მთავარი გმირის პროტოტიპი გოგიტა იყო, ხოლო მთავარი გმირის დედის პროტოტიპად ყოფნის პატივი ნატალია შეროზიას ერგო ნილად. მოკლედ, ჩემი მოთხრობის მთავარ გმირს ძალიან უნდოდა გაეხარებინა დედა, ადგა და საფოსტო ყუთში ჩასვა თუთიყუში, რომელიც ძალიან ხმაშლილ ნარმოთქვამდა „მპა“-ს, მანამდე კი ფეხზე (იმაზე კი არა, რომლითაც ყუთს იყო მიბმული) პატარა ბარათი მიუმაგრა, რომელზეც ეწერა, „ყველაზე საყვარელი ადამიანისაგან“. ჩემი მოთხრობის სასწაულად ჭკვიანმა გმირმა მხოლოდ ერთი რამე ვერ გაითვალისწინა, კერძოდ ის, რომ კვირადღეს საფოსტო ყუთიდან გაზეთებს დედამისი კი არა, სხვა დღეებში სამსახურში მყოფი მამა იღებდა. მოკლედ, მამას ჯერ იყო და მოულოდნელობისაგან კინაღამ ენა წაერთვა, ხოლო როცა გონს მოეგო, იფიქრა, რომ ეს ცოცხალი ბარათი მის ცოლს ვიღაც თაყვანისმცემელმა გამოუგზავნა, სასწრაფოდ დაენია ფოსტალიონს და იმდენი ურტყა, ამ უკანასკნელს შუბლზე ორი კოპი დააჯდა და გაქცევის დროს ცალი „სკარახოდის“ ფირმის სანდალი ადგილზე დარჩა.

აღნიშნული მოთხრობის სიუჟეტი მეორე დღეს, როცა გორაზე აკაციებქვეშ სიგარეტს ვწეოდით, გოგიტას მოუწყევია. გოგიტამ თქვა, რომ მტრედს დაიჭერდა, ჩასვამდა დედამისის ფეხის საკერავი მანქანის გამოსანვე უჯრაში, ხოლო იმ ბარათზე, რომელსაც მტრედს ჩამოკიდებდა გულზე, უნახეს სიტყვებს დანერდა.

მე და გოგიტას თავიდან ლუნაჩარსკელი მემტრედე სტიოპკა სემიონოვისთვის გვინდოდა მტრედი მოგვეპარა, მაგრამ შეგვეშინდა, გავვიგებენო, და მთისქუჩელ ხრისტოს მოვპარეთ. თეთრი მტრედი გვინდოდა, მაგრამ მხოლოდ ნაცრისფერი მოვიხელთეთ და გოგიტასვე ინიციატივით გერონტი შეროზიას თაფლის არაყში დამბალი ხორბლის მარცვლები ვაყლაპეთ, რათა მას უჯრის გამოღებამდე არ ეხმაურა. მთვრალი მტრედი გოგიტამ სადილობის დროს ჩასვა დედამისის საკერავი

მანქანის უჯრაში. სადილობის შემდეგ, როცა ნატალიამ თავისი „რკინის ცხენის ჭენება“ დაინყო, მტრედს შიშისაგან გული გაუსკდა და სიკვდილამდე იმდენი ჩაისკინტლა, რომ სრულიად გააფუჭა ქალაღდი, რომელზეც ერთ-ერთი კლიენტი ქალის ზომები (ანუ, გერონტის ენით რომ ვთქვათ, „გაბარიტები“) ჩაენიშნა ნატალიას.

მკვდარი მტრედის დანახვაზე ნატალია ისე აკივლდა, მასთან მეზობლები შეგროვდნენ (ძალიან უყვარდათ ჩვენს მეზობლებს ერთმანეთის კვილზე შეგროვება).

ყველაზე საწყენი კი ის იყო, რომ გოგიტამ ყველაფერი მე გადმომაბრალა, მაგის იდეა იყოო. მეზობლები ისე მიყურებდნენ როგორც ჩუმჩუმელა დარტყმულს („приветливый мальчик с приветом“-ო, გაიხუმრა ნიკოლაი ლუცენკომ ჩემზე, ლავრენტი თოდუას ნაბაძვით რომ ენაკვიმატობდა), მე კი ყველას შევახსენე საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი – მე-17 სკოლაში გოგიტა იმით არის ცნობილი, რომ მასწავლებლებს რედიკულებში ბაყაყებს უსვამს-მეთქი, მაგრამ არ გაჭრა.

აი, ასეთი შედეგით დამთავრდა ჩემი რიგით მეორე მოთხრობა, ხოლო რაც შეეხება პირველს, მისი სიუჟეტი მეორესავით შეკრული არ ყოფილა, სამაგიეროდ, მესამე გამოდგა მეორეზე უკეთესი: ერთმა თმაგაცვენილმა ბულალტერმა, მთელს ქალაქში ცნობილი მკერავის ქმარმა, ძალიან რომ უყვარს ლიმონიანი ჩაის სმა, ზუსტად იცის ქალაქში ცნობილი ყველა ქალის წელისა და მკერდის გარშემოწერილობა (თან ციფრებისაგან შემდგარ მეტსახელებსაც უგონებს, მაგ: მე 17 სკოლის დირექტორის ცოლს „ოთხმოცდაათოთხმეტი / სამოცდაათოთხმეტზე“ შეარქვა). ქალაქის მილიციის უფროსი ერთ წვეულებაზე შემთხვევით იგებს, რომ მის ცოლს ყველა „მეტრაოთხმოცდაჩვიდმეტნახევარს“ ეძახის. ფიქრობს და ვერ მიმხვდარა, საიდან მიეკერა ეს მეტსახელი მის მეტრანახევრის სიმალის თანამესარეცლეს. მერე, როცა ცოლს ახალშეკერილი კაბის სანახავად გაყვება „პრიმერკაზე“ მკერავთან, აღმოაჩენს რომ თეთრი ძაფით დალაშბულ, დაუმთავრებელ კაბას შიგნიდან იგივე ციფრი აწერია. შინ მისული ცოლს მკერდის გარშემოწერილობას გაუზომავს და რწმუნდება, რომ ის ზუსტად მეტრაოთხმოცდაჩვიდმეტნახევარი სანტიმეტრია. ბოლოს გამოძიებას ჩაატარებს, მეტსახელის გამავრცელებელს მიაგნებს და სცემს.

– რა უბედურებაა, ყველა მოთხრობაში რატომ უნდა გაალახვინო შენი გმირები, არ გეცოდებიან მაინც? – აღშფოთდა გოგიტა, როცა ჩემი მესამე მოთხრობის შინაარსი გავაცანი.

– შენ რატომ არ ეცოდები გერონტის, რუსის ბარაბანივით რომ გირტყამს? – ვკითხე მე.

ამის შემდეგ გერონტი შეროზიამ გოგიტა სამჯერ სცემა: პირველად მაშინ, როცა სტიოპკა სემიონოვმა უთხრა, შენი ცოლის საკერავი მანქანის უჯრაში დაღუპული მტრედი მგონი ჩემი იყოო. მეორედ მაშინ სცემა გერონტომ თავისი ნაშიერი, როცა მან ორი დღის შინაპა-

ტიმრობის შემდეგ აღიარა, მტრედი მთისძირელ ხრისტოს მოვპარეო (ამჯერად ეყო სინდისი და თანამონანილედ არ დავუსახელებივარ). მეორე ცემის შემდეგ გოგიტა მამამისს დაემუქრა, კიდეც ერთხელ თუ დამაკარებ ხელს, მაშინ შენი და დედაჩემის ჯინაზე, რომელსაც გულდრძო ქმრის ხელში ისე დაუბლაგვდა გონება და სრულიად გაუქრა მადლიერების გრძნობა, რომ შვილის მიერ მისდამი მტრედით გამოჩენილი ყურადღების ფასს ვერ აღიქვამს, ნავალ და ტრიპერს ავიკიდებო, რისთვისაც გერონტიმ ის მესამედ სცემა. გოგიტამ ვენერიული დაავადების აკიდება ვერ გაბედა, სამაგიეროდ, მისთვის ნაყიდი შვიდსიმიანი გიტარა დაამტვრია პროტესტის ნიშნად, შინიდან გაიქცა და ჩვენს აგარაკზე ცხოვრობდა მთელი სამი დღე. მე კი მამაჩემმა იმიტომ მცემა, რომ ყველას დავუმალე გოგიტას ადგილსამყოფელი და სამი დღე უშედეგოდ ვაძებნიე მის სახლელულებს, მილიციასა და მეზობლებსაც.

ამის შემდეგ ჩემი რიგით მეორე მოთხრობა გადავაკეთე და გმირს დედის საამებლად საფოსტო ყუთში „მპუ“-ს მოლაპარაკე თუთიყუშის მაგივრად უბრალოდ ყვავილები ჩავანყობინე. მერე კიდეც ერთი მოთხრობა დავენერე სათაურით „ლოგიკა“, სადაც ვამბობდი, რომ მე ჩემი მოთხრობის – „სიურპრიზი“

– პირველსავე ვარიანტში უარი რომ მეთქვა თუთიყუშზე, გოგიტას არ მოაფიქრებოდა დედამისის საკერავი მანქანის უჯრაში მტრედის ჩასმა, პირდაპირ ყვავილებს ჩადებდა და არც მამამისი მოსცხებდა მტრედის მოპარვისთვის, რის შემდეგაც გოგიტა პროტესტის ნიშნად არ დაამტვრევდა გიტარას, არ გაიქცეოდა შინიდან, არ დაიმალებოდა ჩვენს აგარაკზე, რომლის გასაღები მე მივეცი, და არც მამაჩემი მცემდა საიდუმლოს შენახვისათვის. მოკლედ, მე იმის თქმა მინდა, ჩემს რიგით მეორე მოთხრობაში თუთიყუშის მაგივრად თავიდანვე ყვავილები რომ გამომეყენებინა, მამაჩემი არ მცემდა.

ხოლო რაც შეეხება გოგიტას, ის შინიდან გაქცევისათვის არ უცემიათ, რადგან ჩვენს აგარაკზე გაციებულყო და საავადმყოფოში მოუწია ყურყუტმა ფილტვების ანთების დიაგნოზით. ნატალიამ კი, რომელიც ყველა მდგომარეობიდან პოულობდა გამოსავალს, გოგი-

ტას მკურნალ ექიმს შესთავაზა, რომ მკურნალობის საფასურად კაბებს შეუკერავდა მის ცოლსა და ქალიშვილს. ექიმის კუდაბზიკა ქალიშვილი კი ისეთი უტიფარი ვინმე გამოდგა, რომ ნატალიასთან ერთის ნაცვლად სამი კაბა შეიკერა და ბოლოს სკანდალიც მოუწყო იმის გამო, რომ ნატალიამ სცადა ის თავისი ძმისშვილისთვის, კობტაპრუნა ბაჩუკისთვის გაერიგებინა. ასე რომ, მე ჩემს ახალ მოთხრობაზე დავიწყე მუშაობა და საკმაოდ



მხატვარი მარიამ კიკნაძე

კარგადაც: აღვწერე ნატალიას ფეხის საკერავი მანქანა (მის პატრონზე უკეთესადაც კი) და ექიმის ქალიშვილის მრგვალი მუხლისთავები – თვით მათი, არც თუ ისე მიმზიდველი სახის მქონე პატრონზე უფრო უკეთესად. ნაყოფიერი გამოდგა ის წელი ჩემთვის სიუჟეტების პოვნის თვალსაზრისით, მით უმეტეს, რომ აღმოჩნდა, ნატალიას კობტაპრუნა ძმისშვილს ყურებამდე შეყვარებოდა ექიმის ქალიშვილი, მანამდე „პრიშპების მოარულ საგამოფენო სტენდს“ რომ ეძახდა.

– თუ ღმერთი გნამს, იმ შენს მოთხრობაში ნუ დააქორწინებ ჩემს ბიძაშვილს ექიმის გოგოსთან, – მთხოვა გოგიტამ. – მოთხრობებში ისე გიყვილებს ხოლმე ენა, რომ უკვე მეშინია. ჩემმა იდიოტმა ბიძაშვილმა მართლა ცო-

ლად თუ დაისვა ის კუდაბზიკა გოგო, ბარცაყები რომ ულანდავს კაბიდან, მერე ნატალია იძულებული იქნება სულ უფასოდ უკეროს კაბები... არადა, შიფონის კაბები აცვია უმთავრესად. შენ არ იცი, რა დაძაბულია ნატალია, როცა შიფონს კერავს. ძველია მაგის მანქანა და ზოგჯერ ანაოჭებს მასეთ თხელ და სრიალა ნაჭრებს!

– მე გიტარე ხიდის ქვეშ! – მივუგე მე.

საავადმყოფოდან გამოენერა თუ არა, მე და გოგიტამ მის კობტაპრუნა ბიძაშვილს დავუნყეთ თვალთვალი და ჩვენი თვალთ ვნახეთ, როგორ ნაიყვანა მან ექიმის ქალიშვილი ეკლესიაში მტრედის გასაშვებად. მაშინ ჩვენს ქალაქში უცნაური მოდა დამკვიდრებულიყო, რომლის მიხედვით შეყვარებულებს ეკლესიაში მტრედები უნდა გაემვათ. მე კი, ჩემს წარმოსახვაში კობტაპრუნა ბაჩუკი და ექიმის კუდაბზიკა ქალიშვილი რომ არ დამექორწინებინა, გოგიტას თხოვნით სულ სხვა რამე-

ზე დავინყე მოთხრობის წერა: ჩემი მოთხრობის გმირი (რომლის პროტოტიპიც სტიოპკა სემიონოვი იყო) ეკლესიასთან დავაყენე მტრედების გამყიდველად. მტრედები განვრთნილნი იყვნენ და მყიდველები გაუშვებდნენ თუ არა, მაშინათვე პატრონის სახლში მიფრინავდნენ, სხვაგან არსად რომ გადაუხვევდნენ, ისე.

ჰენდელა

„ბრატანკოტემ“, რომელიც თავის ძმას, კოტეს სახელით კი არ მიმართავდა, არამედ „ბრატან მოი კოტეს“ ეძახდა (მეტსახელიც აქედან მიეკერა) და ამ დროს ირონიულიც იყო და ზომიერად ალერსიანიც, ერთ დილას გაიღვიძა და თქვა, ეს ცხოვრება სულ ფეხებზე მკიდიაო, და ამ განცხადებით თავისი სახლეულები შეაშფოთა. საქმე ისაა, რომ ბრატანკოტე ასე მაშინ ამბობდა, როცა ყოფილი ბერძენი ცოლი მონატრებოდა, რომელთან დაშორების შემდეგ არასოდეს უცეკვია თავისი საყვარელი ცეკვა „სირტაკი“.

ბრატანკოტეს, როცა თავისი ყოფილი ცოლი მონატრებოდა, მოსაწევს მიეძალებოდა ხოლმე, ლუნაჩარსკიზე ბავშვებისაგან ნათხოვი ველოსიპედით დაქროდა და თან კიტრებს ჭამდა. ძალიან უყვარდა ბრატანკოტეს კიტრი და ცხოვრებას წელიწადში სულ ცოტა ორჯერ მანაც იკიდებდა ფეხებზე – პირველად გაზაფხულზე, როცა ტურისტი ქალები მორცხვად შიშვლდებიან პლაჟებზე, წყლიდან ამოსვლისთანავე შემცივნებულები მაშინათვე დიდ პირსახოცებში გაეხვევიან ხოლმე და, მეორეჯერ შუა ზაფხულში, როცა ტურისტ ქალებს ტურები სიცივისაგან კი არ უღურჯდებათ, არამედ კავალრებთან კოცნისაგან უწითლდებათ და ძუძუების კერტებიც სიცივისაგან კი არ ებერებათ, არამედ ზედმეტი ნდომისაგან. იმ გაზაფხულს კი ბრატანკოტეს ისე ძალიან მონატრა თავისი ყოფილი ცოლი, რომ ჩვეულებრივზე მწარედ დაბოლდა, რის გამოც სიფრთხილე დაკარგა, შარვლის ტოტი ორჯერ ჩაჰყვა ველოსიპედის ჯაჭვში, ორივეჯერ ასფალტზე მოადინა ზღართანი და იდაყვები გადაიტყავა, ერთხელ კი სამკერვალო ფაბრიკიდან გამოსულ, ერთ პატიოსან, თუმცა შილიფად ჩაცმულ ქალს გავაზე წაკრა ხელი, როცა ველოსიპედით გვერდზე ჩაუქროლა. ბრატანკოტე ამბობდა, ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ ის ქალი ტურისტი მეგონაო, მაგრამ თითქმის არავინ არ დაუჯერა.

ის, ვისი ქალწულებრივი რბილობების სიღბო ბრატანკოტემ საკუთარი ხელისგულით შეიგრძნო, პატარა, ოთხკუთხა რედიკულებს ატარებდა და ლუნაჩარსკელებს ამ რედიკულებისა და თეძოების გარდა, საკმაოდ დიდ მკერდს, დეკოლტირებულ მკერდზე დასვენებულ ოქროს მასიურ ჯაჭვსაც ახარებდა თავის ლამაზ თვალებთან ერთად. მეორე დილით მკერავმა ქალმა ბრატანკოტეს სახლს იისფერ მანქანაში ჩატვირთული სამი

ბიძაშვილი მიაყენა. ქალის ბიძაშვილები ლიპიანი ტიპები იყვნენ და მძიმედ ხვნეშოდნენ. მოსულების დაძახილებაზე სახლიდან ხაშით გამაძლარი ბრატანკოტეს მამა, ლავრენტი თოდუა, მეტსახელად „ირორდი“ (რაც მეგრულად „შენ ყოველთვის იყავის“ ნიშნავს) გამოვიდა და სტუმრებს არყისა და ნივრის სუნითა და კმაყოფილი ღიმილით გაუმასპინძლდა, რადგან მან ბრატანკოტეს უზნეო საქციელის შესახებ არაფერი იცოდა.

– ნახეთ როგორ უტიფრად იცინის! – თქვა მოსულთაგან ერთმა, ცხვირის ნესტოებს ქვემოთ ნიკოტინისაგან შეყვითლებულ უღვაშებს იქით ოქროს კბილები რომ უჩანდა.

– დაგვცინის! – დაასკვნა მეორემ, თავმოტვლეპილმა, ყბებამდე ჩამოზრდილ ბაკენბარდებში ყურებზე ამოსული ბალანი რომ ჩანვნოდა და მოსულებიდან ყველაზე ყოჩალი მზერა ჰქონდა.

– შვილებზე უარესი ტუტუცია, მაგას რომ უყურებთ! – ისროლა იისფერი მანქანიდან ბრატანკოტეს მიერ შეურაცხყოფილმა ქალმა და ირორდის ზიზიანი მზერა ესროლა. – შეხედეთ ერთი, როგორ იცინის!.. ვაიმე, არ შემიძლია!

ამ სიტყვების შემდეგ ქალს სიძულვილისაგან კინალამ გული წაუვიდა.

– ვინ ჩემი ფეხები ხართ? – ამაყად იკითხა ირორდიმ და ფეხი დააბაკუნა, სწორედ ისე, როგორც თავის თავნება ძაღლს, „გრაფს“ უბაკუნებდა, როცა ის დიასახლისის მიერ ყუთში გახარებულ ალოეს მიაშარდავდა.

ირორდის პირველი ბაკენბარდებიანი „გაეცნო“ – მან მასპინძელს მუშტი პირდაპირ მარცხენა თვალში დაანათა. ხოლო იმან, ვისაც სიმსუქნისაგან ჩამოღვენილი ლოყები ჰქონდა, თავი კუჭის თავში მარჯვე ჩარტყმით დაამახსოვრა. შეყვითლებულუღვაშებიანმა კი, სანამ თავის წილ დარტყმას შეასრულებდა, იისფერ მანქანაში მჯდომი ქალისკენ გამოიხედა და ირორდიზე ჰკითხა, ეს კაცი ნამდვილად შენი შეურაცხყოფელის მამა თუ არისო.

– შვილზე ნაკლები ჩათლახი არ არის, რომ იცოდეთ! – მაშინვე გამოეპასუხა ქალი.

ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ირორდის პირში ჩათლახი უწოდეს, საშინლად ალეღდა და ფეხების ბაკუნს მოყვა, სწორედ ამ დროს ზედიზედ ორი დარტყმა იწვნია – ერთი ყბაში, თეთრ პერანგზე ხასხასა წითელი ფერის აჭიმები რომ ჰქონდა გადმოშვებული, იმისგან, მეორე დარტყმამ კი ისევ მარცხენა თვალში უწია ისევ ბაკენბარდებიანისაგან. წინდახედული შეყვითლებულუღვაშებიანი კი ისევ ქალისკენ შეტრიალდა და ირორდიზე უთხრა, ამ კაცის სახე ძალიან მეცნობაო.

– ეს ის არის, ნეკროლოგების დანერაში ხიზილალას რომ იღებს და უცენზურო სიტყვებსაც ხმარობს! – წაისისინა იისფერი მანქანიდან გადმოსულმა ქალმა. – ამაზე რას იღლებით, ვინც ნამდვილად საცემია, იმას სცემეთ!

– ხუიამია ეს?! – გაცვივების შეძახილი აღმოხდა შეყვითლებულუღვაშებიანს. – ხუიამია-მეთქი, ქალო, ეს?

– ნუ მაიძულებთ მაგ სიტყვის განმეორებას!.. ნამდვილად ეგ არის! – დაუდასტურა ქალმა.

ლავრენტი თოდუას, განთქმულ თამადასა და მეგაზეტეს სუფრაზეც და ნეკროლოგების წერისასაც ძალიან უყვარდა თავისი სათაყვანებელი პოეტის, ომარ ხაიამის ციტირება და სულ ტყუილუბრალოდ დასცინოდნენ, ხაიამის მაგივრად „ხუიამს“ ამბობსო, მხოლოდ ერთხელ ნამოსცდა მსგავსი რამ, ხოლო რაც შეეხება გასამრჯელოდ ხიზილალის აღებას, საფუძველს მოკლებული ჭორი იყო, რომელიც თავისი კოლეგა-პოეტის ცოლმა დაუყარა მას შემდეგ, რაც ის პოეტი ირორდის სცემა კაფე „პინგვინში“ გამართული ლიტერატურული დებატების დროს.

– მე თქვენი დედები რომ მოვ...ან, რატომ მირტყამთ? – იკითხა გაოგნებულმა ირორდის და გული ნაუვიდა.

– ამ კაცმა ჩემს ბიჭს ლექსი დაუბეჭდა გაზეთში, „მთვარის მოტაცებაში“ რომ ცხენი „არაბიაა“, იმაზე!.. ხელი არ ახლოთ იცოდეთ, თორემ ჩემთან გექნებათ საქმე! – წამოიძახა შეყვითლებულუღვაშებიანმა და ჭიშკართან უგონოდ ჩაკეცილ ირორდის სილა გააწანა გონზე მოსაყვანად. სწორედ ამ დროს ჰაერში გაისროლა თავისი თოფიდან ყვავილების საცდელი მეურნეობის დირექტორმა, რათა მეურნეობის სადარაჯოდ გამწესებულ ძუკნა და მასზე გადაბმული თოდუების გრაფი ერთმანეთისთვის დაემორებინა. გასროლის ხმამ არამართო ძაღლები დააშორა ერთმანეთს, ღრმა ძილში მყოფი ირორდის ბიჭებიც გამოაღვიძა, მაგრამ მათ, მიხვდნენ რა თოფის გასროლის მიზეზს, მაშინვე ძილი შეიბრუნეს, გრაფი კი ისარივით გამოქანდა შინისაკენ და თოდუების ჭიშკართან სწორედ მაშინ აღმოჩნდა, როცა შეყვითლებულუღვაშებიანმა ირორდის მეორეჯერ შემოულანუნა სილა გონზე მოსაყვანად. გრაფი შეყვითლებულუღვაშებიანს მაჯაში ჩააფრინდა, რა დროსაც უკანა თათის ბრჭყალებით შემთხვევით სახე გაუკანრა ირორდის დაზიანებული მარცხენა თვალის უშიდან მოყოლებული ზედა ტუჩამდე, ხოლო ირორდის კარის მეზობლის, ნიკოლაი ლუცენკოს მიერ ნასროლმა ქვამ ირორდის გამლახავების მანქანას გაქცევისას სახურავი ჩაუჭყეჭყა.

ნაცემი ირორდი ორი დღე და ღამე გაოგნებული მზერით მისჩერებოდა ჭერს და განურჩევლად ყველას, ვინც მის სანახავად მოდიოდა, ერთსა და იმავე ამბავს უყვებოდა:

– სამი პომიდორი მესიზმრა ამას წინათ! – იტყოდა ირორდი და ხელს ჩალურჯებულ თვალზე მიიდებდა. – ახალგაზრდობაში ჩემი ბიძაშვილის ქორწილში ვტოლბაშობდი და ბილბაშისთვის რომ მეჯობნა, ყანში ერთხელ ერთი პომიდორი ჩავდე ჩუმად, მეორეჯერ კი სამი ერთად. სამმა პომიდორმა თითქმის ბოლომდე აავსო ყანნი, მხოლოდ ჭიქა-ნახევარი ღვინის დამატე-

ბა მომიხდა... ბოლო ყანნი იყო ის სამპომიდორიანი ყანნი. არ დამალევიყო თუ კაცი ხარო, შემომითვალა ბილბაშმა. მაინც დავალევიე. სწორედ იმ ყანმა მოსპო ბილბაში, საყვედურიანი თვალებით შემომხედა, სუფრაზევე დაარტყა მიკროინფარქტმა და კინალამ წერილი დაწერა. მას მერე სამი პომიდორი თუ დამესიზმრა, ზუსტად ვიცი, რომ კიდევ ერთხელ უნდა მინიოს მაშინდელმა ცოდვამ!.. ჰოდა, კეთილი გულით გირჩევთ, არ ჩადოთ პომიდვრები ყანებში, ჩემო კეთილო ხალხო!

იმ ორი დღის განმავლობაში, რაც ირორდი სამი პომიდვრის ამბავს უყვებოდა მნახველებს, ბრატანკოტემ, კოტემ და კოტეს ძმაკაცმა, სოსო ჯგუბურიამ ირორდის გამლახავების ზუსტი მისამართები დაადგინეს და გადაწყვიტეს შეყვითლებულუღვაშებიანისაგან დაეწყოთ – ქალაქგარეთ გაეყვანათ და ერთი გემოზე მიეხევათ.

ბრატანკოტემ ქამარში ირორდის „პარაბელუმი“ გაირჭო, კოტემ კი თავისი „დამსკი“ რევოლვერი, ჩასხდნენ კოტეს წითელ მანქანაში და დილის რვა საათზე შინიდან გამოსულ და სამსახურისკენ მიმავალ შეყვითლებულუღვაშებიანს აედევნენ. ორიოდ კვარტალის იქით მანქანიდან ბრატანკოტე გადმოვიდა, შეყვითლებულუღვაშებიანს წამოენია და პისტოლეტი პირდაპირ ფერდში ატაკა, სოსო ჯგუბურიამ კი მანქანიდან თავი გადმოჰყო და შეყვითლებულუღვაშებიანს ტკბილად გაუღიმა.

– ნება მოგვეცით სამსახურამდე მიგიყვანოთ... უარს ნუ გვეტყვი, ძალიან გთხოვთ! – მიმართა სოსო ჯგუბურიამ შეყვითლებულუღვაშებიანს.

შეყვითლებულუღვაშებიანი ყველაფერს მიხვდა, იმასაც მიხვდა, რომ წინააღმდეგობის განევის შემთხვევაში ბრატანკოტე არ დაინდობდა და მანქანაში მორჩილად ჩაჯდა.

– შენზე ამბობენ, დაცემულის ცემა შეუძლიაო, მართალია? – ჰკითხა შეყვითლებულუღვაშებიანს კოტემ და თავისი რევოლვერი მიუშვირა.

შეყვითლებულუღვაშებიანი კოტეს ხელისგულისტოლა რევოლვერმა ბრატანკოტეს „პარაბელუმზე“ უფრო დააფრთხო, შიშისაგან ენა დაება და ამიტომ ვერ შეძლო ბიჭებისთვის აეხსნა, რომ მან დაცემულ ირორდის მხოლოდ და მხოლოდ გონზე მოსაყვანად შემოულანუნა.

კოტემ შეყვითლებულუღვაშებიანს თვალში ჩაანათა და მანქანა დაძრა.

– თვალებში არ გინდათ, ამ კვირის ბოლოს ბიჭის ქორწილს ვიხდი! – ითხოვა შეყვითლებულუღვაშებიანმა და საკუთარ თვალებში დატრიალებულ ნაპერწკლებს სევდიანად გაუღიმა.

– ამოდენა კაცი ხარ და ტყუილების თქმის არ გრცხვენია! – უსაყვედურა სოსო ჯგუბურიამ შეყვითლებულუღვაშებიანს.

– მართლა ბიჭის ქორწილი მაქვს, მაგრამ იმისი კი არა, მამათქვენმა ლექსი რომ დაუბეჭდა „არაბიაზე“, მე-

ორის, უფროსის... – ამოილულულა შეყვითლებულულვაშებიანა.

სოსო ჯგუბურიამ შეყვითლებულულვაშებიანს ხელი ყურში წაავლო, თავისკენ გამოახედა და თვალი თვალში გაუყარა სწორედ ისე, როგორც ხელისგულზე მომკითხავე ბოშა ქალებმა იციან.

– მე მგონი არ ტყუის! – თქვა სოსომ.

– არა, არ შემიძლია მეტი! – გაბრაზდა ბრატანკოტე და კინალამ ჩახმასხს თითი გამოჰკრა. – ეს რა ბედი მაქვს!.. ყველა სანყალს მე როგორ უნდა გადავეყარო! ქალი რომ ქალია, იმისთვისაც ვერ დამიდვია გემოზე, ან ქმარი ჰყავს ინვალიდი და სინდისი ანუხებს, ან არადა სამსახურიდან მოხსნას უპირებენ და ეტირება!..

შეყვითლებულულვაშებიანს კოტემაც ჩახედა თვალებში, სწორედ ისე, როგორც ხელისგულზე მომკითხავე ბოშა ქალებს სჩვევიათ.

– გადადი მანქანიდან! – კბილებიდან გამოსცრა კოტემ. – თუ გვიჩვილებ, ჩათვალე რომ შენი ბიჭის ქორწილი არ შედგება!

შეყვითლებულულვაშებიანი მანქანიდან გადავიდა და რაღაცაზე ჩაფიქრდა.

– გაგვიდის? – ჩაეკითხა სოსო ჯგუბურიას ბრატანკოტე.

– მე მგონი არა! – უპასუხა იმან მას შემდეგ, რაც შეყვითლებულულვაშებიანს თვალეში ჩახედა.

– თუ გინდათ გამოგყვებით ბატონ ლავრენტისთან და ბოდოშს მოვუხედი, – მიმართა ბრატანკოტეს შეყვითლებულულვაშებიანმა, რომელსაც პარმენი ერქვა, თუ პიმენი. – ლექსი დაუბეჭდა მამათქვენმა ჩემს ბიჭს „არაბიაზე“. სხვები არ უბეჭდავენ და მამათქვენმა კი მაშინათვე დაუბეჭდა. ჩემი მეორე ბიჭის ქორწილში ვაპირებდი მამათქვენის დაპატიჟებას, სანამ ეს ამბავი მოხდებოდა... არ მიძინია მაგის მერე, თუ დამიჯერებთ.

ბრატანკოტემ „პარაბელუმი“ ქაშარში გაიჩქო, მანქანიდან თავი გადმოყო, შეყვითლებულულვაშებიანს ზედ ფეხებთან დაუფურთხა და თითქმის მაშინვე მიხვდა, რომ ბრიყვულად მოიქცა. კოტემ მანქანა დაძრა და, სანამ მოუხვევდა, საოცრად დანალვლიანებული შეყვითლებულულვაშებიანი უკანსამზერი სარკიდან შეათვალიერა.

– „არაბია“ ხომ მეზორნეს ერქვა? – ჰკითხა კოტემ სოსო ჯგუბურიას.

– კი, მეზორნე იყო, მე იმ გვარისა ვარ, უკან დახევა არ შეუძლიაო, რომ ამბობს, ის, – უპასუხა სოსომ. – კარგი ტიპი იყო!

– ნამდვილად! – მაშინვე დაეთანხმა კოტე ძმაკაცს. – ვინც უკან არ იხევს, ის არ შეიძლება ცუდი კაცი იყოს!

– მე იმ ულვაშებიანზე ვთქვი! – ამოიხრა სოსო ჯგუბურიამ.

– ეგ ლექსი სადღაც წამიკითხავს, არაბ როსტევენზე იყო იქ ლაპარაკი! – თქვა ბრატანკოტემ. – ახლა სადმე წამიყვანეთ და დამალევიანეთ, თორემ ვერ გაავუძლებ მე ჩემს დამპალ ცხოვრებას, დამღალა ძალიან!

სამკერვალო ფაბრიკის წინ მოედანზე სატვიროთო მანქანა იდგა. მანქანას დიდი, დახურული, თეთრად შეღებილი თუნუქის ძარა ჰქონდა. ძარაზე დიდი წითელი ჯვარი იყო გამოსახული, მანქანის კაბინის თავზე კი საში, სხვადასხვა მხარეს მიმართული რეპროდუქტორი დაემაგრებინათ.

– ჩააბარეთ სისხლი ომში დაჭრილი ვიეტნამელი ბავშვების გადასარჩენად! – მთელი ხმით გაჰყვიროდნენ რეპროდუქტორები.

ძარის ღია კართან კი თეთრხალათიანი გოგო იდგა, ხალათს ქვემოდან ფუნთუშებივით მრგვალი მუხლისთავები უჩანდა და ღიმილად იღვრებოდა. გოგოს მანქანის დასაცავად მივლენილი ორი მილიციელი მიშტერებოდა და მოედანს მომდგარ სეირის საყურებლად მოსულ ბავშვებს თითის დაქნევით აფრთხილებდნენ, რომ მანქანასთან არ მოსულიყვნენ.

– მხოლოდ ისინი მოვიდნენ, ვინც სისხლის ჩაბარებას აპირებს! – მორიგეობით უყვიროდნენ მილიციელები ბავშვებში გარეულ უფროსებს, მაგრამ მანქანასთან არავინ მიდიოდა.

ამ დროს შავ სათვალეში გამონყობილი მთვრალი ირორდიც გამოჩნდა და პირდაპირ მანქანისკენ დაალირა, მის შესახვედრად კი თეთრხალათიანმა გოგომ მანქანის ძარიდან ძირს ჩასვლა მოინდომა.

კაბინაში, მძღოლის გვერდით კი ორმოცსგადაცილებული აგიტატორი ქალი იჯდა და მიკროფონი ეროტიულად მიჰქონდა ტუჩებთან. მანქანის პირხმელ მძღოლს ნდომისაგან აკანკალებდა და ხელისგულები უოფლიანდებოდა.

– სიგარეტს ხომ არ ინებებთ? – უკვე მეოთხედ სთავაზობდა მძღოლი აგიტატორს.

აგიტატორმა წინა სამისაგან განსხვავებით მეოთხე შეკითხვა უპასუხოდ დატოვა, რადგან ძალიან დაღლილი იყო. მძღოლმა კი დუმილი თანხმობად მიიღო, ძალიან კმაყოფილმა გაიღიმა, სიგარეტის კოლოფიდან ერთი ღერი სანახევროდ ამოაძვრინა, აგიტატორს გაუწოდა. სიგარეტი კოლოფიდან გადმოვარდა და, სწორედ ისე, როგორც ეს მძღოლს ჰქონდა გათვლილი, ქალს კალთაში ჩაუვარდა.

– ღმერთო, მომკალი! – ამოიხრიალა მძღოლმა და აგიტატორის კალთაში ჩავარდნილი სიგარეტს ორივე ხელით ებღღვნა.

– განიეთ თქვენი ბინძური ხელები! – ისტერიულად ინივლეს რეპროდუქტორებმა.

მილიციელებმა, რომლებიც თეთრხალათიან გოგოს დამრეც რკინის კიბეზე ჩამოსვლაში ეხმარებოდნენ, ხელები ერთდროულად დაუშვეს ძირს. თეთრხალათიანი გოგო, რომელიც მილიციელების შემველებულ ხელებზე დაყრდნობას აპირებდა, წაბორძიკდა, რკინის კიბიდან გადმოვარდა და ასფალტზე დაენარცხა. ის მილიციელებმა მაშინვე ფეხზე წამოაყენეს, ირორდიმ კი დაზარალებულს ხელები დაუკოცნა.

– რუკი პროჩ ოტ ვიეტნამა! – იქუხა ირორდომ. – აი-
ლეთ ჩემგან სისხლი, რამეთუ მე ჩემს გულის სისხლს
ვიძლევი და ის დღესვე გადაუგზავნეთ ვიეტნამელ ბავ-
შეებს!

– მთვრალი ხართ? – ჰკითხა ირორდის ტკივილისა-
გან სახედამანჭულმა თეთრხალათიანმა გოგომ. –
მთვრალი კაცისგან სისხლს ვერ ავიღებთ!

– აილეთ ჩემგან სისხლი, პოეტის სისხლი, ჩაუსხით
ის ვიეტკონგების ბოკვერებს და ისინი მგზნებარე ლექ-
სებს დანერენ, როგორც გარსია ლორკა... მე მინდა, რომ
ჩემმა სისხლმა მთელი ვიეტნამი მოიაროს და ის პოეტე-
ბის ქვეყანად აქციოს! – კიდევ ერთხელ წაეტანა ხელზე
ირორდი თეთრხალათიან გოგოს და ტუჩებიც კი მოპ-
რუნა საკოცნელად, მაგრამ მილიციელებმა განაფული
მოძრაობით ხელები ზურგს უკან გადაუგრიხეს
მთვრალ პოეტს.

– რუკი პროჩ ოტ ვიეტნამა! – აყვირდა ირორდი. – რა
იქნება, რომ აილეთ ჩემი სისხლი?... არც ერთი ჩემი ბიჭს
არ გამოყვავა ჩემგან ლექსების წერის ნიჭი... ჰოდა, აილეთ
ჩემგან ნამდვილი პოეტის სისხლი, დაე ის სხვამ მოიხმა-
როს!

მილიციელებმა ირორდი ნაირას ლარიოკამდე მიიყ-
ვანეს და იქ დატოვეს.

– მე რომ მაქვს, იმაზე უკეთესს სისხლს სად იშოვიან
ეს იდიოტები! – შესჩვილა ირორდომ ნაირას. – ჩემი სის-
ხლი პოეტებში ისეთივე ჯიშინია, როგორც ცხენებში
არაბული ცხენის სისხლი.

ეს ნოველები ომამდელი სო-
ხუმის სინამდვილის ნატყებია,
მისი იმ ყოველდღიურობის სუ-
რათები, ხან მიქეფარედ რომ გამოიყურებოდა და ხან მდო-
რედ, და ვნებათაღვლანიც ხან თუ შეფარულიყო, ხანაც ხელ-
შესახებდა გადმომშლილიყო.

გელა ჩქვანავა დაჟინებით გამოიხმობს სიყმანვილისა თუ
სიჭაბუკისდროინდელ ხილვებს, დასაკარგავად ვერ იმეტებს
ვერც იმ გარემოს განუმეორებელ სურნელს და ვერც იმ უბრა-
ლო, ათასგვარად კოლორიტულ ადამიანებს, რომელთაც ხე-
ლახალი სიცოცხლე ჰპოვეს მისი ბელეტრისტული თხზულებ-
ების ფურცლებზე. ორიგინალურ მხატვრულ სამყაროდ წარ-
მოსახა ეს ყოველივე და მკითხველი ცნობისწადილითაც ამი-
ტომ ელოდება მისი ყოველი ახალი ქმნილების გამოჩენას.

ჯერჯერობით ეს ხილვები უფრო ექვირფასება, ვიდრე ომის
სურათებისა თუ ლტოლვილის ბედისწერის მხატვრული ხორ-
ცშესხმა. ისე ომის თემატიკაც რომ არ არის უცხო მისთვის,
გარდა ნოველისა „ორი წერილი“, ამას ადასტურებს ვრცელი
მოთხრობაც „ტორეადორები“, რომელიც ორიგინალური სახით
– ქართულ ორიგინალთან ერთად მისი რუსული თარგმანიც –
გამოაქვეყნა გამომცემლობა „დიოგენემ“.

ეს არის შემძვრელი და მართალი წიგნი.
და მაინც: მწერლისათვის დრო იქ შეჩერებულია, როდესაც
სოხუმი ჯერ კიდევ შესცინოდა მზეს, პომპეისა არ იყოს, დღე-
დღეზე რომ უნდა დატყდომოდა ვეზუვის მრისხანება და ლა-
ვის ქვეშ მოექცია მთელი ქალაქი.

დიდი სიცოცხლე დაიმარხა სოხუმშიც, მაგრამ ის გარემო
არასოდეს არ გადაიქცევა მუზეუმად. ენგურზე აღმართული
ვეება კედელიც ჩამოიქცევა ადრე თუ გვიან და ის დამარხული
სიცოცხლაც აღორძინდება.

სამკერვალო ფაბრიკიდან მკერავ ქალთა ცვლა გა-
მოვიდა.

– ჩააბარეთ სისხლი ვიეტნამელი ბავშვებისათვის! –
მთელი ხმით აყვირდნენ რეპროდუქტორები.

– დარწმუნებული ვარ, ჩემი არაბული სისხლი ვი-
ეტნამში ერთ გარსია ლორკას მაინც მოუვლენს ქვეყ-
ნიერებას... დანაშაულია ამ შანის ხელიდან გამშვება.
წავალ, ფაბრიკის ქალებში გავვერევი და ვერ მიცნობენ,
– თქვა ირორდომ და ღრმად ჩაისუნთქა, თითქოს წყალ-
ში უნდა ჩაყვინთოსო, მაგრამ იმავე წამს გაიფიქრა, რომ
ფაბრიკის ქალებში ის ქალიც შეიძლებოდა ყოფილიყო,
ვისი სირბილებიც საკუთარი ხელისგულით მოსინჯა
ბრატანკოტემ, გამბედაობა წაერთვა და ამოსუნთქვას
მწარე ამოოხვრაც ამოაყოლა.

– ნახევარ სამეფოს ვიძლევი ერთ ველოსიპედში! –
საკუთარ გაუბედაობას მწარედ დასცინა ირორდომ და
შინისაკენ წაჩანჩაღდა. გზაზე კი მანქანით მომავალი
მთვრალი შვილები წამოენივნენ.

– უკაცრავად, სახლამდე ხომ არ მიგიყვანოთ? – გა-
ეხუმრა ბრატანკოტე მამას.

ირორდომ ნალვლიანად გაიღმა და მანქანაში ჩაჯდა.

– სად იყავით, სისხლის ასაღებად? – ჰკითხა მან შვი-
ლებს.

შვილებმა არაფერი უპასუხეს, მხოლოდ ამოიოხ-
რეს.

– აი, მე კი სისხლის ჩასაბარებლად ვიყავი, მაგრამ
დაინუნეს, – თქვა ირორდომ და იმანაც ამოიოხრა.

რედაქციისაგან

საქართველოს მაინც ყო-
ველთვის სფინქსს ადარებდნენ.
და მისი ყოველი მხარეც

სფინქსის სულიერებას გულისხმობს.

ვიდრე ეს ღვთიური კანონი აღსრულებდოდეს, ქართულ
მწერლობაში კვლავაც შთამბეჭქდავი იერთი უნდა ტრიალებ-
დეს ომამდელი სოხუმის სურათებიც და ისედაც მძაფრ ნოს-
ტალგიას კიდევ უფრო აღრმავებდეს, თუნდაც მწერლის სუ-
ლიერი ტკივილები შემალულიყოს და ხალისიანი მზერით მიგ-
ვიძლოდეს იმ ქალაქისკენ, უბნებისკენ, ქუჩებისკენ.

ამ თითქოსდა ყოფით სურათებში, მწერლური ხელოვნე-
ბით რომ იკვეთება, დიდი ოცნება გამოხვეულია, ოცნება კი
იმისაა, რომ უსათუოდ იქცეს რეალობად.

ჯადოსნური ზღაპრებისა და სინამდვილის შედარება ამ
ჭეშმარიტებას თვალნათლივ გვიდასტურებს.

და ვულკანის ლავაც აუცილებლად გადაინმინდება ხვალ.
დღეს კი გელა ჩქვანავას ამ და სხვა ბელეტრისტულ ქმნი-
ლებებში ვადევნებთ თვალს, თუ როგორ შეჰხაროდა სოხუმი
მზესა და ზღვას... და როგორ წნამდათ ყმანვილებს, რომ მა-
რადიული ქალაქის მკვიდრებად დაბადებულიყვნენ.

... ვაშლის ყვავილი ენატრებოდათ ჯონ გოლზუორთსა და
მის პერსონაჟს („ვაშლის ყვავილი“) და ვერავის აეხსნა, რას
მისტიროდა, რა შემოჭდობოდა ასე ძალიან გულზე, რა ყვავი-
ლი იყო ამისთანა... ანდა ყოფითობაში ასე ხელშესახებდად საი-
დან ილანდებოდა სიმბოლოთა წყება.

იხე ხიროსიმაც შესცინოდა მზეს წინადღეს, ქართველი
პოეტის ლექსისა არ იყოს. და ვახტანგ ჯავახაძის იმ პოეტუ-
რი ნიმუშის რეფრენი – „წინადღეს“ – იქნებ არანაკლებ მო-
უხდეს გელა ჩქვანავას მხატვრულ ძიებებს ზოგად სახელწო-
დებად.



თეა თოფურია, ჟურნალ ჩვენს მწერლობაში“ ამ ცოტა ხნის წინათ დაბეჭდილ ეკა ქევანიშვილთან ერთად, ქალბატონი მარინა ვაშაყმაძის არაჩვეულებრივი ჟურნალის „სტუდიის“ რედაქციაში გავიცანი. მაშინ ორივენი მარინა ვაშაყმაძის სტუდენტები იყვნენ. ჟურნალისტიკის ანაბანას ეუფლებოდნენ და მარინამაც თავისი გამორჩეული მონაფეები სიამაყით წარმომიდგინა.

ეკა ქევანიშვილთან დამეგობრება მალევე მოვახერხე: გახსნილი, ხალისიანი და კონტაქტური, მგონი, იმ დღესვე გამომიტყდა, რომ გარდა საჟურნალო სტატიებისა, ლექსებსაც წერდა.

აი, თეა თოფურია კი თავის თავში ჩაკეტილი და, როგორც ასეთი ადამიანების შემთხვევაში ხდება ხოლმე, ცოტა ცხვირანული მომეჩვენა. ჩემი შთაბეჭდილება მათ მასწავლებელს რომ გავუზიარე, მარინამ მითხრა: რას ამბობ, თეა უნიჭიერესი გოგოა, თანაც ძალზე თავმდაბალიო.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჩემს პირველ შთაბეჭდილებაზე უტყუარი, რა თქმა უნდა, გამოცდილი მასწავლებლის შეფასება აღმოჩნდა. თეას თითოეული სტატია მის კაპკაპა ნიჭზე მეტყველებდა, მაგრამ ლექსები მაინც მოულოდნელობა იყო.

პოეზიას თითქმის ყველა ჟურნალისტი ეთამამება, თუმცა თეას ლექსები ჟურნალისტის კი არა, პოეტის და, თანაც კარგი პოეტის ლექსებია.

სხვათა შორის, მისი მასწავლებელი ყოველდღიურ პრესას „ხორცსაკეპს“ ეძახდა და თავისი „ბარტყები“ ამ ტვირთისათვის ენანებოდა.

დღეს თეა თოფურია ამ „ხორცსაკეპის“ შუაგულშია – გაზეთ „ახალ ვერსიას“ რედაქტორობს. მინდა ვუსურვო, რომ „ხორცსაკეპის“ წნეხს უვნებლად გადაურჩეს და პოეტს თეა თოფურიას ყოველთვის ეჯობნოს ჟურნალისტი და რედაქტორი თოფურიასათვის.

გიორგი ლოპხანიძე

თეა თოფურია

* * *

სენივით გადაგდე ლექსი და ბაღლამი.
გესიზმრე გეტყობა, თვალეში წყალია.
დაგისხი კერაზე უდღეო ბაღლები,
კუტ პურებს ხრავენ და ხმამაღლა ღნავიან.

ჩამქრალი ნაკვერჩხლით ღამეებს ვამშვიდებ.
მეზობლებს ვდევნი და მდევრებთან ვმეზობლობ.
სარეცხის თოკები დავჭერი-დავწყვიტე,
ტანსაცმელს ტყემლების ტოტებზე დავიშრობ.

ქარს მოაქვს ბავშვები და წეროს რითმები
და ერთი სიცოცხლე ვის რაში ეყოფა,
არ იმჩნევ, რომ ასე ძალიან მჭირდება,
თვალეში ცრემლია, გესიზმრე გეტყობა.

დაკემსილ საბანში მატყლივით გაგროვებ,
ღრიჭოსაც დავქოლავ თუ რამე გავიდა...
და მერე წყალივით მოშვებულს დავტოვებ.
და შენით სისხლიან ნაკანრებს დავიბან.

* * *

სულ მცირე ერთი გოჯია,
სულ დიდი – ერთი მტკაველი,
მეტით ვერც გიახლოვდები,
მეტით ვერც დაგეკარგები.
ჩამყვება ეგ სიფერმკრთალე,
სიზმარშიდაც და საფლავშიც,

ეს განა ლექსის წერაა,
გულის ფხანაა, ლაყაფი.
რას გეძებ ჩემთან სხვა ბარის,
მოსახლესა და ბინადარს,
ეგ შენი მიუღწევლობა,
ჭირადაც მყოფნის, ლხინადაც...

* * *

ჩემი თბილ-თბილი სიზმრები
ქვეშაგებს ლაქად ემჩნევა.
შენ ალბათ ჩემისთანა ხარ,
მაგრამ ვერა ხარ ჩემხელა.
შენ ალბათ ჩემისთანა ხარ,
მაგრამ ჩემხელა ვერაფრით.
ჩემისთანაო, აქამდე
რით ვერ მოხვედი ჩემამდე.
ხრამი თუ იყო, უფსკრული,
ან ღამე ბნელი, ცალთვალა,
ან თვალში შუქი არ გქონდა,
ან გული გქონდა პატარა,
ჩემამდე ვერ მოგიყვანა,
ჩემამდე ვერ მოგატანა.

* * *

შენ მწირავ – ღმერთი მინახავს.
ვკვდები და ველარც ვცხედარობ.
ჩემში ათასი სულია,
თითქოსდა ჯარი მეზაროს:
„ზოგი დგას, ზოგი – მიმოდის,
ზოგნიც – მინდორში სხედანო“.

* * *

რა ქვიშად ჩამორღვეულა
გულის კედლები, ხუთმაგი!
ვაშენებ, ვერ დავამთხვავ
ერთმანეთს ქვა და დულაბი.
მექცევა... გულის ნაშალი
სისხლს გააქვს მდორედ, სვენებით,
მაგ კედელს ვერ ამოვიყვან
სანამ არ ჩაეშენები

* * *

– დედა!

აი, ასე იცის ხოლმე,
თუ იგრძნო, რაღაც ისე არ არის
მაშინვე ყვირილს გააბამს: დედა, დედა...

– დედა!!

ახლა აღარ გაჩერდება,
დადგა შუა ოთახში და ყნოსავს ჰაერს.
ამხელაა და ვერაფერს შეასმენ!

– დედა!!!

არა, მაინც რა ვუთხარი?!
მიყვარხარ-მეთქი,
მენატრები-მეთქი,
შენი ცოლობა მინდა-მეთქი,
ბავში,
კარგი სამსახური,
დილაობით ყავის სმა...

– დედა!!!!

აჰა, დედამისიც მოზანზარდა,
ერთი ეგ არის კიდევ!

– დედა!!!!!

– ჰო, შეილო.

– ადამიანის სუნი მეცა!

* * *

ჩემი ეს დარდი თანამედროვე დარდია.
უკანმოხედვა უკანდახევა ყოფილა თურმე.
არ ჯობდა, ის დათოვლილი შუშა დამეჩეხა საბძელთან
რომ ენყო?!
ან კი არ დამეჩეხა, იქვე ჩავცუტუტულიყავი და მეფიქრა
ჩემთვის,
ან პირიქით, ჩავკეცილიყავი გულწასული.

მერე, გაზაფხულზე ალპინისტები მიპოვიდნენ და
მომაბრუნებდნენ.
დიდი ამბავი, თუ მწვერვალი შეემღებოდათ ჩემს ძებნაში.
აქაც ხომ არ არის ნაკლები სიმაღლე?!
პირიქით,
ეს ჩემი მწვერვალის სიმაღლეა,
და ეს დარდიც,
ახლა ვერაფრით რომ ვერ ვამბობ, ჩემი დარდია,
ჩემი სახელობის ჯოჯოხეთი.

* * *

მეგონა, ცარიელი სული ვიყავი,
თურმე პირიქით,
სული მქონია ცარიელი,
პირთამდე ცარიელი,
ჯიბესავით,
გროშიც კი არ ჩხრიალებს შიგ,
ჩამოვუჯდები ხოლმე კიდევ
და ვარწევ,
დაიძინეს ვეუბნები,
თვითონ ვერ იძინებს,
აქ სულ დღეა და ვერ ხედება
როდისაა ძილის დრო.
ტანსაცმელს ვიხდი ხოლმე
და სახეზე ვაფარებ,
რომ მოვუჩრდილო.
თავით ვუზივარ
და თავის წამოწევის საშუალებას არ ვაძლევ.
ვეუბნები, არ არის კარგი ღამეების ტეხვა,
ის კი მზეზე მითითებს,
და ხვლიკზე, რომელიც ქვას ადნება.
გავარვარებულ ქვიშას ხოკავს,
თვალეებს ხუჭავს, პირს ალებს,
მიტოვებულ კონტინერში ბალახია ამოსული...
მეგობარი მიყვებოდა ადრე,
რომ მისი სიცარიელეც ასე დაიწყო,
კონტინერში ამოსული ბალახით.
აშკარად ვხედავ,
სხვაგან მოვხვდი და სხვასთან ერთად,
გაყიდული მამლუქივით ბუნდოვნად მახსოვს,
ახლა ღამეა.

* * *

მერე?
მთავარი ახლა ეს არის და
მერეც ეს იქნება მთავარი –
მერე აღარა მაქვს.
დავიძინე, გავიღვიძე და რა ვიცი...
აღარ იყო.
ალბათ ხდება ხოლმე...
ალბათ ხდება,

რადგან ამაზე უარესებიც ხდება...
 რამდენიმე დღე,
 რამდენიმე თვე,
 რამდენიმე... წელი? შეიძლება წელიც,
 ასე ვიცხოვრებ, მექანიკურად,
 არ უნდა შევიმჩნიო!

* * *

არ გინდა, არა,
 შეეჩვიე დედამიწას,
 მიწას შეეჩვიე,
 ნუ ეჯიუტები,
 თორემ ერთხელ იქნება,
 ღმერთი სურვილს აგისრულებს და წახვალ
 იმ პლანეტაზე, რომლის სახელიც არ იცი,
 და არც არაფერი ჰქვია, რადგან ჯერ არ აღმოუჩენიათ.
 შეგიძლია შენი სახელი დაარქვა,
 როგორც ვორდის დოკუმენტს არქმევდი,
 სანამ მილიონი სინათლის წელიწადით გაუსწრებდი
 გაგარინს

და აქ ამოყოფდი თავს,
 რათა მერე ეს მარტორქის მაგვარი ცხოველები
 მოგეწველა,

ეს უცნაური მცენარეები გეფშვნა და პური გეცხო,
 დალოდებოდი იმ საუკუნეს,
 როდესაც ამ პლანეტაიდან აღმოგაჩენენ
 და ნითელ ქვიშაში თავნარგულს, წარმოგედგინა,
 რას აკეთებენ თბილისში დარჩენილი შენი მეგობრები...
 შეეჩვიე დედამიწას, შეეჩვიე,
 ნუ ეჯიუტები!

* * *

მე ჯერ არ მეტყობა,
 ახალგაზრდამ შეიძლება ქვაც ხრასო,
 მაგრამ მერე...
 ვიცი, დროზე ადრე დამეღევა თვალისჩინი,
 რადგან ბევრს ვკითხულობდი და გავყურებდი გზას,
 გამიჩნდება ბზარები გულზე,
 და მათ შორის ერთი, ყველა დანარჩენზე დიდი იქნება.
 გამიცვდება კანი და მეხსიერება,
 გაგზდები გულჩვილი და სიბერეში ისევ მომინდება
 ტკბილეული.

ცოტათი ადრე კი, ასე შუახნისას,
 მომეშლება ნერვები, რომ მორიდებამ
 დამათმობინა ის ასპარეზი, რომელსაც ახლა ვთმობ;
 რომ ბევრი რამე ამ ქვეყნად უშუალოდ მე მეკუთვნოდა,
 მაგრამ ვერ შევბედე;
 რომ სულ ტყუილად მეშინოდა ამ ცხოვრების

და წარმატებული ადამიანების,
 რომლებიც შემდეგ ერთიანად დაბერდნენ და
 გამოჩერდნენ.
 მაგრამ ეს ისე... დროებით, მხოლოდ შუახნისას,
 ხოლო, მერე, სამოთხეში, ალბათ ესეც დამავინყდება.

* * *

დინოზავრის ძვალივით იშვიათი გახდი,
 ხარ კი საერთოდ,
 ჩემს იქით სადმე თუ არსებობ,
 სახე თუ გაქვს ან კიდური,
 ოთხიდან ერთი მაინც.

დავიღალე,
 იმ წიგნივით ველარ გამთავრებ,
 ბოლო გვერდი, რომ მოახიეს.
 ეს ყვავიც, მეფე ირაკლივით შავი,
 სულ ხეზე ზის,
 გუშინაც ყვა, ყვა დაიძახა.
 ორჯერ მაინც ხომ გინახავს საიქიო,
 რად ერთს არაფერს მეტყვი,
 შე, სხვის ომში დაბრძენებულო?!
 თითები რომ მიმოკლდება,
 გული, რომ ფითილივით მეტრუსება,
 შენთვის არც ცოტაა და არც ბევრი.
 ან ის დაპირებული დილა სად არის,
 ბედნიერს რომ უნდა გამეღვიძა.
 არ მითხრა, სიზმარი ვნახე,
 ვკეცი, ვკეცი ვერ დავკეცი,
 ნეტავ რა იყო.
 გზა იყო, გზა!
 ჩემი აღმართის გზა,
 დილაობით ვერცხლისფერი გადაჰკრავს,
 მამლები ასხდებიან და ყვირიან ხოლმე.

* * *

უკვდავი ვარ,
 გველს არ მოვუტყუებოვარ სამოთხეში.
 ძვლებამდე შიშველიც კი გორობებს ვითვლიდი,
 როდესაც მიწამ მუჭა ჟოლოს წონა დამტოვა...
 ვიცი, ონკანიდან ისევ წვეთავს,
 როგორც მაშინ, როდესაც ღამეებს ვყარაულობდი,
 თითქოს ბავშვი იყო და ძილში გადაიხდიდა,
 როცა ჯერ კიდევ არ მიკანკალებდა ხელები,
 და არ დავდიოდი კედელ-კედელ საგიჟეთში.
 უკვდავი ვარ,
 გვიან მივხვდი და ახლა მიწა უნდა ვითმინო,
 ზაფხული ზევით,
 და ხის ფესვი სამარემდე ჩამოსული,
 დიდგვალვობას სისხლი რომ გამომწოვა.
 მას მოვეჭიდები აღდგომა დღეს,
 ზევიდან რომ დაგვიძახებენ,
 გამოდითო...



დოდონა კიზირია
მომავალი

როგორ მოკლდება მომავალი
და გრძელდება გამოვლილი გზა.
რამდენი წერილი დამრჩა გაუგზავნიელი
და მოკითხვა გასაგზავნი.
მაგრამ როდესაც უკან ვიხედები,
ნალევს მიფანტავს გამახვილებული სმენა და
მხედველობა.
აი, ის სახლი, სადაც სახლობდნენ წლობით თუ
საათობით
ლამარა, ნათელა, ოთარი, თამაზი, თამრიკო,
პაატა, ეთერი, მედეა, მანანა და ჩიკო.
კიდევ ბევრი სხვაც შემოპარულა ან გვნევეია
სტუმრად;
ზოგი მოსულა ზათქით და ხმაურით,
ზოგი სიცილით ან აურზაურით,
ან სულაც კუთხეში მჯდარა უჩუმრად.
მე მიყვარს ამ სახლის კიბეებზე არბენა და აპარვა,
სალამოს ბინდში ნაცნობი ავეჯის მუქი პრიალი.

წიგნის თაროზე გამოთქმით წაკითხული ლექსები,
და წლები სურათებად დალექილი.
მისი ძველებური აივნების ჩუქურთმა,
ეზოდან სიცილი, ჩოჩქოლი და ხმაური,
მისი ბალების კეთილი თუთები და ცაცხვები,
შეძახილები, შეხვედრები და მოლოდინები ურიცხვი.

აი, ფანჯრებიდან მოჩანან აღმოჩენილი კუნძულები და
ქალაქები.
თუმცა აქა-იქ, ჯერ კიდევ თეთრი დარჩენილა ლაქა,
რომლებსაც ალბათ მოგონება შეავსებს და
გააფერადებს,
ან შესაძლოა დატოვებს დაფარულს რიდით,
გვერდზე ჩაუვლის მორიდებით,
მაგრამ ვერაფერს დაივინყებს.
რა უნდა ნავილო საგზლად? გულის წყენა?
თუ ასრულებული სურვილები და სიხარული?
ეგებ ორივე თანაბრად ვიტვირთო?
მოვიბატიყებ ყველას სათითაოდ და ვივლით ერთად.
მერე დადგება როდისმე გაზაფხული,
განსაკუთრებული და ტურფა,
ხოლო მას შემდეგ კიდევ მრავალი და მრავალი,
როცა ხეებზე კვირტების გუნდი ამოფრთხილდება,
ბალახი ამოინვერება ფრთხილად
და სიცოცხლე ისევ დაინყება,
ახალი და ცინცხალი.
მე კი მას ველარ მოვესწრები და ვერ დავინახავ.
ვფიქრობ ამაზე და გული მწყდება.

ინდიანა, 2006

პირველი შთაბეჭდილება

დოდონა კიზირიას
თოფი

დოდონა კიზირიას ლექსები პირველად სკოლის მონაფემ
„ლიტერატურულ საქართველოში“ წავიკითხე, გასული საუკუნის
80-იანი წლების მიწურულს. ამ ლექსებმა ისეთი წარუშლელი
შთაბეჭდილება დამიტოვა, რომ რამდენიმე ჩემს უბის წიგნაკშიც
კი გადავწერე. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ერთი სტრიქო-
ნი: „გეთავაზიანო“ აღარ შემწევს გონების სიფხიზლე.“
ის ლექსები სწორედ უშუალოებით, მძაფრი ვნებებითა და
ნათქვამის უჩვეულო ფორმით მოგხიბლავდათ. ეს „უჩვეულო“
ქართული მაშინ, მახსოვს, ავტორის ყარიბობას მივანერე: ქალ-
ბატონი დოდონა დიდი ხანია ამერიკის შეერთებულ შტატებში
ცხოვრობს და ინდიანას უნივერსიტეტის პროფესორი ბრძანდებ-
და. ამიტომაც ვფიქრობდი, ჩანს, უცხო გარემოში მისი პოეზიის
სინტაქსს თავისებური კვალი დაამჩნია-მეთქი, მაგრამ მთავარი
მანაც სხვა რამ იყო და ეს მთავარი უფრო მოგვიანებით შევამ-
ჩნიე: როგორ „დნებოდა“ შეკავებული სასიყვარულო და (იმ
დროისათვის ძალზე თამამი) ვნება ნამდვილ პოეზიად, როგორ
გაქცევდათ პოეტი თავის უიდუმალეს და უინტიმურეს განცდა-

თა თანაზიარად ისე, რომ ამით შეურაცხყოფილს არც საკუთარ
თავს და არც მკითხველს ტოვებდა.
ამის ხაზგასმა იქნებ დღეს იყოს მნიშვნელოვანი, როცა „ჯე-
ობარს“ მიშტერებულ საქართველოს ამერიკა და ამერიკელობა
გენიტალიათა უადგილო ადგილას გადმოფარჩავება ჰგონია...
სხვათა შორის, თავის დროზე დოდონა კიზირიას ინტერპრე-
ტაციას, რომელსაც იგი იღია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივ-
თან“ დაკავშირებით გვთავაზობდა, დიდი აყალმყალი და გაუ-
გებრობა მოჰყვა. რატომღაც მგონია, იმ „თოფმა“, მაშინ მის წე-
რილში რომ ეკიდა, ჩვენს დღევანდელ ყოფაში „გაისროლა“. ავ-
ტორის მაშინდელი მსჯელობა კი ჩვენი დაფარული კომპლექსე-
ბის დიაგნოსტიკაც იყო და ერთგვარი გაფრთხილება: ნამდვილ
აყალმყალს მაშინ ელოდეთ, თუ თქვენში დაგუბებულ ვნებებს
სწორი სადინარი არ მიეცით, არ გაიცნობიერეთ და სასიკეთო
ენერგიად არ გარდაქმენითო.
თვითონ დოდონა კიზირიასათვის ეს – ერთგვარი ფსიქოთე-
რაპიული – ფუნქცია პოეზიას აკისრია. ამიტომაც გხიბლავს მისი
ყოველი ლექსი, რომელიც ავტორის გამოცდილებაზე შეუღამა-
ზებლად, ზედმეტი თავაზიანობის გარეშე გიყვება და ამით ძალ-
ზე მნიშვნელოვან რამეებს გაზიარებს. პოეტი თვითონაც თავი-
სუფლდება, შენც გათავისუფლებს და ცდილობს ასე შექმნას მო-
მავალი.

ლუკა ავალიშვილი

როსტომ ჩხეიძე

დანბრეული ბუდეები

*

„ეკიმი ჟივავო“
და
ქართული მწერლობა

– საქართველოსაც თავისი პასტერნაკი გაუჩნდა. ეს არის მწერალი ოთარ ჩხეიძე.

ამას ამერიკაში გადახვეწილი ქართველი პოლიტიკოსი და მკვლევარი ალექსანდრე მანველიშვილი განაცხადებდა რადიოსადგურით „კავკასიონი“ 1958 წელს.

ეამაყებოდა, მისი სამშობლოც რომ არ ჩამორჩენოდა რუსულ ლიტერატურას და იქ გამოთქმულ მძაფრ პროტესტს საბჭოური იმპერიისა და რეჟიმის წინააღმდეგ თან მოჰყოლოდა ქართველი მწერლის შეურიგებელი პროტესტიც.

ჩახშული, ჩაგუბებული სივრციდან ამ ორ ხმას გამოელნია:

ბორის პასტერნაკის „ეკიმი ჟივავოს“.
ოთარ ჩხეიძის „მეჩენს“.

ოღონდ თუ ოთარ ჩხეიძის რომანი მხოლოდ ქართულ ენობრივ სივრცეში ტრიალებდა, ბორის პასტერნაკს მალულად მოეხერხებინა რომანის გაპარება მავთულხლართებს მიღმა და იტალიის ერთ-ერთ გამოცემლობას რომ გამოეყვებინა, ზედიზედ მოჰყოლოდა თარგმანები სხვა ევროპულ ენებზეც.

აღტაცებულიყო ევროპელი მკითხველი „ეკიმი ჟივავოს“ მხატვრული ღირსებებითაც და საბჭოური რეალობის დაუფარავი, აქაური პროპაგანდის სრულიად საპირისპირო წარმოსახვითაც – და 1958 წლის ნობელის პრემია მწერალს უყოყმანოდ მიენიჭებოდა უფრო ამ პოლიტიკური გარემოების გათვალისწინებით.

რომანის გახმაურება მძიმე დარტყმა უნდა ყოფილიყო საბჭოური იდეოლოგიისათვის – დასავლელ ჟურნალისტთა მამხილებელ მასალებზე უფრო მწვავე და მნიშვნელოვანი. ბოლოსდაბოლოს, გარეშე კაცი ხომ არ წარმოსახვდა ასე საბჭოური იმპერიის შექმნის ხანას, არამედ იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური სინამდვილის მონაწილე, ყველაფრის უშუალო გადამტანი საკუთარ თავზე და პირადსა და საქვეყნო ტკივილებს იური ჟივავოს სახესა და ბედისწერაში მოაქცევდა, მის ტრაგიკულ თავგადასავალში, არსებითად თვითონვე გამოეხვეოდა პერსონაჟის ტყავში და მისი ხვედრით თავის განამებულ ცხოვრებას დაიტირებდა.

აქ ტირილის უფლება აღკვეთოდა, სახელმწიფო დანაშაულად ჩაეთვლებოდა და, რაკილა ხელნაწერის გაღწევისათვის მოება თავი და იტალიიდან გლოვობდა რუსული კულტურის დაცემას, ქვეყნის მოლაღატედ ამიტომაც შე-

ირაცხებოდა და გადიგამოდოდა მისი სახელი ათასგვარ თავყრილობაზე, ყოველთვის შეურაცხმყოფელ და სახიფათო კონტექსტში მოქცეული, გასაგლეჯად მიეგდოთ ჯალათური კრიტიკისა და ბრბოსათვის და... ველარ გადაიტანდა ბორის პასტერნაკი ამ სასტიკ დევნას, „ისეთ დღეში ვარ, ნეტა მოგვკვებოდეთ“, აღარ დაფარავდა ოლგა ფრედენბერგისადმი მიწერილ ბარათში და ორიოდ წელიწადში აღესრულებოდა კიდევ.

რევოლუციისა და სამოქალაქო ომის გადაფასებას ვინ აპატიებდა, მთავარ გმირად დიდგვაროვანი პიროვნების არჩევას ვინ მოუთმენდა – წარსულის გადმონაშთად შერაცხული ადამიანის იდეალად დასახვას, მაგრამ მწერლის მოვალეობა წააჭარბებდა სიფრთხილისა და შიშის გრძნობას და მიუკერძოებელი მატთან და თავგანწირვა მის შესაქმნელად იმედით აღავსებდა პროტესტანტთა წრეებს.

ყველაფერი არ დაკარგულიყო, ტერორს ვერ გაესრისა თავისუფლების წყურვილი, და პერედელკინოში მის საფლავს რომ მოინახულებდნენ, ისეთი თავყვანებით მიეახლებოდნენ, მონამის განსასვენებელს როგორც შეჭურვის.

„ეკიმი ჟივავოს“ საიდუმლო ეგზემპლარები კი ხელიდან ხელში გადადიოდა, რალაც თვითნაკეთი გამოცემის მსგავსი, გაცრეცილი, გაუბედურებული ფურცლები, ამოკითხვა ძალიან და ძალიან რომ გვიძნელდებოდა, მაგრამ რას დაგიდევდით განვალებას, რაკილა ლეგენდარული მხატვრული ქრონიკები გვეგდო ხელთ.

ნოდარ ნონიაშვილი თეირანში გადაწყდომია მის სპარსულ თარგმანს და მალულად რომ შეიძენდა, არც შემდგომ დააკრევიანებდა თვალს არავის – საბჭოთა საელჩოს თანამშრომელს მკაცრად მოჰკითხავდნენ პასუხს და აღარც ირანის დედაქალაქში გააჩერებდნენ. ამას კი, აღტაცებულს, მაშინვე აპკვიატებია ოცნება მის ქართულ ორეულზე და პერესტროიკის ხანაში გამოჩნდებოდა თუ არა რუსული ჟურნალის ფურცლებზე ეს ოდესღაც შეირისხული რომანი, მაშინვე ჩაუფრებოდა მის ამეცყველებს თავის მშობლიურ ენაზე.

მზის სინათლეს ასე დაგვიანებით იხილავდა გამომცემლობა „ინტელექტის“ მეოხებით – ნობელის პრემიის ლაურეატთა სერიით, და უდავოდ წარმატებულ მოვლენად გამოჩნდებოდა ჩვენს მთარგმნელობით ხელოვნებაში ზუსტი ტონალობისა და შინაგანი რიტმის მიგნების წყალობით და დახვეწილი ენობრივი სტილით.

„ეკიმი ჟივავოს“ სტილის მოჩვენებითი სიიოლე საკმაოდ აბრკოლებას უქმნის მთარგმნელს და მითუფრო საპატიოა პასტერნაკის ბელეტრისტული ქმნილების ღირსეული შემოსვლა ქართულ სამყაროში.

თარგმანის შინაგანი ექსპრესია არავის გააკვირვებს, ვინც გაცნობია ნოდარ ნონიაშვილის ერთ ადრინდელ ნამუშევარსაც – ჯეიმზ მორიერის რომანის „ჰაჯი ბაბა ისფაჰანელის თავგადასავალი“ ქართულ ვერსიას, უსამართლოდ მიჩქმალულს, არადა, ასეთი ლალი მეტყველების ნიმუში მაინცდამაინც ბევრი არ მოგვეძვეება, დაუდევრად რომ ვექცეოდეთ.

ორი განსხვავებული სტილისტიკა.

ორი განსხვავებული რანგიც, ცხადია. თავისთავად რა შესანიშნავი რომანიც უნდა იყოს „ჰაჯი ბაბა ისფაჰანელის თავგადასავალი“, „ეკიმი ჟივავო“ მაინც სხვა განზო-


მიღებაშია მოქცეული. პასტერნაკი ჩარლზ დიკენსსა და ფეოდორ დოსტოვესკის ეტოლებოდა, იდეალად დაესახა მათი სიუჟეტური ხელოვნება და თვითონაც კლასიკურ კომპოზიციას შეინარჩუნებდა, თითქოს არც სმენია, მოდერნიზმმა როგორ მოშალა სიუჟეტი და გარეგანი მოვლენები ერთიანად ჩაკეტა პიროვნების ცნობიერებაში.

ექიმი ჟივაგო, როგორც შესაფერისი პერსონაჟი, თავისი ფსიქიკითა და აზროვნებით მოდერნულ ქმნილებებსაც დაშვნიდებოდა, მაგრამ მძაფრსა და მომხიბლავ სიუჟეტსაც ვერ შეელოდა პასტერნაკი, სათავგადასავლო რომანსაც ამიტომ ჩამოჰგავს მისი ტრაგიკული ნიგნი, დეტექტივის ელემენტებიც ამიტომ იჭრება და რამდენიმე დამოუკიდებელი სიუჟეტური ხაზიც ისე მარჯვედ გამოსდევს და ჰკვეთს ერთმანეთს, რაც XIX საუკუნის ინგლისურსა და ფრანგულ რომანებს სჩვევია, ღრმა ინტელექტუალური ნააზრევი საკითხავადაც ლაღი და იოლი რომ ხდებოდა.

როდესაც ჯივიმ ჯოისი თავისი შეხედულების გადმოცემას შეეცდებოდა ხელოვნებაზე, რელიგიაზე, ადამიანის ცხოვრებაზე ისტორიაში და გარემომცველ რეალობაზე, სტივენ დედალუსს აირჩევდა, მის ტყავში გამოეხვეოდა და მხოლოდ მის ცნობიერების ნაკადს მიჰყვებოდა, ერთი დღის ფიქრებსა და განცდებში გაანივებდა მთელს თავისსა და პერსონაჟის გამოცდილებას.

პასტერნაკი ორმოც წელიწადს შემოფარგლავდა „ექიმი ჟივაგოს“ ქრონოლოგიურ ჩარჩოდ, რუსეთის ისტორიული სახის გადმოცემას დრო-ჟამის ამ მანძილზე მოინდომებდა, თუმც ჩანაფიქრი ერთია და რეალურად სამოქალაქო ომი აღმოჩნდებოდა რომანის კომპოზიციური ბირთვიც და ლერძიც, თუმც 1905 წლის რევოლუციის სურათებიც ჩნდება, პირველი მსოფლიო ომისაც, 1917 წლის ორივე რევოლუციისაც, მეორე მსოფლიო ომისაც, მაგრამ ყველა შენაკადი სამოქალაქო ომის ირგვლივ იყრის თავს, რომელშიც არ განირჩევიან თეთრები და წითლები – ორივე ერთნაირად სასტიკი და დაუნდობელია, ერთნაირად შეუწყნარებელი ადამიანის ბედისადმი და წითელარმიელთა გამარჯვებასა და ახალი ეპოქის დადგომას არავითარი სიკეთე არ მოაქვს ცხოვრების მდინარებისათვის.

თუ ადრე რევოლუციას აღტყინებითაც შეეგებებოდა პასტერნაკი და ბუნებრივ და აუცილებელ ისტორიულ მოვლენად შერაცხავდა 80-იან წლებში შექმნილ პოემებში („ამალღებული დაავადება“, „ცხრაას ხუთი წელი“, „სპექტორსკი“, „ლეიტენანტი შმიდტი“), ამჟამად, თვალახელილს, შეუმცდარად განეჭვრიტა მისი ძალადობრივი, მეტიც, დანაშაულებრივი, ბუნებრიობის საპირისპირო არსი. ამდენად, „ექიმი ჟივაგო“ თავისებური თვითგვემაცაა – მტკივნეული გადაფასება თითქოსდა შესისხლხორცებული შეხედულებებისა რევოლუციურ „რომანტიკაზე“. (მართალია ალექსანდრ ბლოკივით იესო ქრისტეს აჩრდილი არ ჩაუყენებია წითელარმიელთა შორის („თორმეტნი“), მაგრამ ახალი მინისა და ახალი ზეცის ხილულ ხატად ჭვრეტდა რევოლუციის მონაპოვარს.)



ინანებდა, ჰოი რას ინანებდა...

სტენდალს არსად ახსენებს თავის ბართებსა თუ ჩანანერებში პასტერნაკი ამ რომანთან დაკავშირებით, აკი ორადორი შემოქმედი გამოარჩია ორიენტირებად, თუმც „პარმის სავანის“ შემქმნელის გავლენა არამცთუ „ექიმ ჟივაგოზე“ შესამჩნევი, არამედ მის შემდგომდროინდელ ყველა ლიტერატურულ მცდელობაზე XIX საუკუნეშიც, XX საუკუნეშიც, და ალბათ ასევეც გაგრძელდება – გამოხატონ შარავანდადშემოძარცვული ომის არსი. პირველად სტენდალმა მიაგნო გრანდიოზულ ისტორიულ მოვლენათა წარმოსახვას მის რამდენიმე წვეთში, ერთი შეხედვით არაფრით გამორჩეულშიც კი. მოფიქრება არ უნდოდა, რომ ვატერლოოს ბრძოლა – რომელმაც ევროპის ცხოვრება შეცვალა და არა მხოლოდ ერთი თუ ორი სახელმწიფოსი – გამოხატულიყო დაბნეული ჭაბუკის ბორიალით ამ ველზე, ცხენსაც ისე რომ გამოაცილიან ხელიდან, თითქოს ვერ გაატოკებს?

შეხარბებოდა ონორე დე ბალზაკს. სხვანი მონდომებით გადაიხატავდნენ ფაბრიციო დელ დონგოს სახესაც და ვატერლოოს ბრძოლის მხატვრულ სტრუქტურასაც, ზოგნი შემოქმედებითად აითვისებდნენ სტენდალის მიგნებას და ისტორიულ მოვლენათა, დიდ საბრძოლო ბატალიათა აღსანერად ცალკეულ წვრილმანებს ჩაუღრმავებდნენ, თუნდ ერთი შეხედვით არაფრით გამორჩეულს.

ექიმი ჟივაგო – განსხვავებით პიერ ბეზუხოვისაგან – არ არის ფაბრიციო დელ დონგოს ორეული და ლიტერატურული შთამომავალი, არც მისი საომარი თავგადასავალია განმეორება ვატერლოოს ველისა – განსხვავებით ბოროდინოს ბრძოლის მხატვრული სურათებისაგან, მაგრამ „ექიმ ჟივაგოს“ ისე დასთამაშებს სტენდალური ათინათი, დიკენსსა და დოსტოვესკისთან ერთად ისიც უთუოდ წინამორბედთა შორის უნდა ვიგულისხმობ.

რომანის ეპილოგში კოლექტივიზაცია მოხსენიებულია, როგორც გაუმართლებელი წამოწყება. ნახსენებია რუსული საკონცენტრაციო ბანაკიც, ასერიგად გასაიდუმლოებული მოსახლეობისათვის, თანაც ისეთი პირდაპირობით, რომ ომი სამოთხედაა დასახული პატიმრულ ყოფასთან შედარებით.

თუმც ეს ყოველივე თვალის ერთი შევლებითაა მინიშნებული, ორიოდვე კადრის ჩაქროლებით რომანის მთავარი კომპოზიციური ქარგიდან, და ცენზურა იოლად ამოშლიდა ამ პასაჟებს, სულაც მოკვეცდა ეპილოგს, „ექიმი ჟივაგოს“ გამოქვეყნება რომელიმე რუსულ რედაქციასა თუ გამომცემლობას რომ ედო თავს, არც ცალკეული ჩარეგები განელდებოდა რომანის სიუჟეტში – წითელარმიელთა ველურობის სცენების გადახაზვა თუ შერბილება, პარტიზანთა ტყვეობაში ექიმის ჩავარდნაც ისე გადასხვაფერდებოდა, თითქოს იური ჟივაგო თავისი ფეხით მისუღიყოს ბოლშევიკურ რაზმთან, მაგრამ რა ეშვლებოდა მთავარი გმირის სასონარკვევითლსა და უნუგემო ხვედრს, მართალი, გულწრფელი, თავისი ქვეყნისათვის თავგადა-

დეზუმი კაცის დევნილებას ახალ, რევოლუციის შემდგომ სინამდვილეში, რომელსაც არ სჭირდება განათლებული და ნიჭიერი ადამიანები, არ სჭირდება დიდგვაროვნებითა და პირადი თვისებებით გამოწოდებული ღირსება და კეთილშობილება, არ სჭირდება არც იმ წამს – ქაოტურსა და მღელვარე ხანაში – და არც არასოდეს.

რომანის იდეური კონცეფცია აქ იკვრის.

პატიოსნებისა და ღირსების შევიწროება დროებითი მოვლენა კი არ გახლავთ და არეულ-დარეულობის გადავლის მერე ძალდაუტანებლად კი არ გამოსწორდება ცხოვრების მდინარეზე, არამედ ცხოვრება კალაპოტიდან ამოვარდნილა და იქ უკვე აღარაა ადგილი ჟივავოსნაირი (ნაიკითხეთ: პასტერნაკისნაირი) პიროვნებებისათვის.

ალვასრულე ვალი, უფლისაგან ჩაგონებული, – რომანის ხელნაწერის გასრულებას ასე აღეტაცა მწერალი და რაც პერსონაჟს დაკლებოდა, იმის გადატანასაც აღარ მოერიდებოდა საკუთარ თავზე.

როდესაც ქმნილებას ღვთიური ვალის აღსრულებად შეიგრძნობ, ბუნებრივია, სახელმწიფო პოლიტიკურ კურსს დაუფარავად რომ გადაუდგე.

სახარებისეული ალუზიები, საერთოდ რელიგიური განწყობილებანიც გამოსდევს ფონად ექიმ ჟივავოს ტრაგიკულ თავგადასავალსა და შეხედულებებს, და პასტერნაკი თავის ლექსებსაც უშურველად გადაულოცავდა პერსონაჟს, რომანის სულისკვეთების გათვალისწინებით უფრო მკაფიოდ რომ ამოჩნდებოდა მათი რელიგიური სანყისი და სუნთქვა. თუნდაც, „ზამთრის ღამე“ შესაძლოა პეიზაჟური სურათის ნატეხად უფრო აღგვექვა და მაგიდაზე დანთებულ სანთელშიც მანცვამინც ქრისტეს სიტყვების („არცა აღანთიან სანთელი და დაჰსდგინა ქუეშე ხვიმირსა, არამედ სასანთელსა ზედა, და ჰნათობნ იგი ყოველთა, რომელნი იყუნინ სახლსა შინა“) პერიფრაზი და სიმბოლიკა კი არ გვეგულისხმბა, არამედ რეალისტური დეტალი ერთგვარი მეტაფორული ათინათით.

სანთელი ენთო მაგიდაზე, სანთელი ენთო.

და შორიასხო ისევ ტრიალებს მაცხოვრის ლანდი იმედად და რწმენად, და რომანის ერთ-ერთ სათაურად თავიდან აკი „სანთელი ენთოც“ ყოფილა განზრახული, რაც შემდგომ იდეურ ლაიტმოტივად გამოჰყვებოდა „ექიმ ჟივავოს“ მხატვრულ ქსოვილს.

იქ უკვე აღარაა ადგილი ჟივავოსნაირი პიროვნებებისათვისო...

ეს ახალი თემა და მოტივი იქნებოდა რუსული მწერლობისათვის, რაც ქართულ ლიტერატურას უკვე გაველოცდათ და ოცი წლის წინათ.

მკვეთრია ეს თემა „ჯავოს ხიზნებშიც“, „გივი შადურშიც“, „დიონისოს ღიმილშიც“, „მთვარის მოტაცებაშიც“... „ჯავოს ხიზნებში“ სხვა ტრაგედიაცაა, უცხო რუსული მწერლობისათვის, მაგრამ ამჯერად იური ჟივავოს ლიტერატურული წინამორბედებით რომ შემოვსაზღვრულვართ, მხოლოდ იმას დაუჟკვირდეთ, რომ მიხეილ ჯავახიშვილიც და კონსტანტინე გამსახურდიაც, თავთავის პერსონაჟთა – თეიმურაზ ხევისთავი, გივი შადური, კონსტანტინე სავარსამიძე, თარაშ ემხვარი – ტყავში გამოსხვეულნი, გულმართალ, პატიოსანი, წრფელი, განათლებულ და ინტელექტუალურ ადამიანთა უმწეობას წარმო-

სახავენ ახალი რეალობის პირობებში, მათ დაუმორჩილებლობას ძალმომრეობის წინაშე, მათ წყურვილს პიროვნული (და, ცხადია, ეროვნული) თავისუფლებისა, მაგრამ დაუნდობლად ისრისება მათი ღირსება და კეთილშობილება და არ მოიძებნება მათი ადგილი საბჭოთა სახელმწიფოში.

რომელ პოლიტიკურ გზას ამჯობინებენ?

რომელს... რომელს და... ალბათ უფრო სიკვდილისა. და როგორც თარაშ ემხვარის დაღუპვა არ არის შემთხვევითობა, ისე იური ჟივავოსი, რომელიც ისედაც განწირულია და გულის შეტევა ტრამვაიში ის გარდუვალობაა, ფეხდაფეხ რომ დაჰყვებოდა და ერთხელაც იქნებოდა, სულსაც ამოართმევდა.

ყველა ესენი დანგრეული ბუდეების მსხვერპლნი არიან და მათი ბედისწერა და თავგადასავალი საბოლოოდ ამ მეტაფორულ განსაზღვრებაშიც მოექცევა. ნიკო ლორთქიფანიძის ერთი მოთხრობის სახელწოდება და იდეა, მწუხარე განწყობილებებზე აგებული, თითქოს დამატებითი ფონია ჩვენი გმირებისათვის, ეგაა, იმ განწყობილებებს რეალური სახე შეუძენია, სისხლხორცი თალსავსე პერსონაჟებად გამოკვეთილა და თავთავისი სიუჟეტიც მოჰყოლია თვითუფლის ხვედრს.

ისე თეიმურაზ ხევისთავზე დაუმორჩილებლის თქმა ამ პერსონაჟის შელამაზება ხომ არ არის?

არა და არა, თუკი მის ტრაგიზმს პუბლიცისტური თვალთახედვით კი არ განვსჯით, არამედ ხასიათის ყველა შრეს დავაკვირდებით და არც ის ღირსება გამოგვჩვენება, რომ: არაფრისდიდებით არა თანხმდება სკოლაში მასწავლებლობას, რადგანაც არ შეუძლია ბავშვებს ასწავლოს ის, რაც თვითონ არა სწამს!.. ასეთ პედაგოგობას ისევ ჯავოს ხიზნობა ურჩევნია.

„... კოლექტივიზაცია ყალბი, წარუმატებელი ღონისძიება გამოდგა და შეცდომის აღიარებაც შეუძლებელი იყო. ის ჩავარდნა რომ დაემალათ, საჭირო იყო დამინების ყოველგვარი საშუალებით აეშუღებინათ ხალხი, ფიქრსა და განსჯას გადაჩვეულიყო, არარსებული დაენახა ემეტოციტებინა იმის სანიანადმდეგოდ, რაც დღესავით ნათელი იყო“ – ირწმუნება „ექიმ ჟივავოს“ ერთ-ერთი პერსონაჟი და ეს გაბედული პასაჟი რუსული ლიტერატურისათვის, უკვე განვლილი თემაა ჩვენი მწერლობისათვის.

ჯერ კიდევ მიხეილ ჯავახიშვილი იწინასწარმეტყველებდა ამ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენის გარდუვალ კრახს „დამპატიჟეთი“ 1928 წელს, კონსტანტინე გამსახურდია მის შეუფერადებელ სურათებს ჩაურთავდა „მთვარის მოტაცებაში“ 1935 წელს, ხოლო ოთარ ჩხეიძის რომანი „ჯეზირი“ ამ ქარგაზე გაიშლებოდა და დაადასტურებდა მიხეილ ჯავახიშვილის წინასწარმეტყველებას ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც აკრძალულიყო ტრაგიკულად აღსრულებული მწერლის სახელი, მისი თხზულებანი კი იატაკქვეშეთში მოქცეულიყო – 1952 წელს.

დააკვირდით ამ თარიღს:

ის, რასაც პასტერნაკი სტალინის სიკვდილის შემდგომ გაბედავდა ერთი აბზაციით, საბჭოთა იმპერატორის სიცოცხლეშივე გაცხადებოდა რომანის სახითაც.

საქართველოს თავისი პასტერნაკი გაუჩნდაო, – საქვეყნოდ გაეტანა „მეჩენის“ არსებობა ალექსანდრე მანველიშვილს, ისე განსჯიდა და აფასებდა ლიტერატურულ

მოვლენებს, ხელი როგორც მიუწვდებოდა ქართულ ლიტერატურაზე და „ექიმ ჟივავოს“ წინააღმდეგ დაძრულ ქარიშხალს „მეჩეჩის“ მიმართ მკაცრ სახელისუფლებო განაჩენს შეუთანადებდა.

„მეჩეჩი“ პასტერნაკის რომანის შემდგომ შექმნილიყო: 1956 წელს, გამოქვეყნებით კი 57-ში გამოქვეყნდებოდა „მნათობის“ ფურცლებზე.

„ექიმი ჟივავო“ წინ უსწრებს ოთარ ჩხეიძის ამ რომანს. მაგრამ უკან მოჰყვება მის სხვა რომანს „ბურუსი“ – შექმნილს 1954 წელს და „მნათობში“ გამომზეურებულს 55-ში.

და „მეჩეჩამდეც“ და „ექიმ ჟივავომდეც“ ჯერ „ბურუსი“ გახდებოდა ჯალათური კრიტიკისა და ხელისუფლების სამიზნე და თვით ვასილ მჟავანაძე შერისხავდა მწერალს „ჩვენი ცხოვრების უარყოფითი, არატიპიური მხარეების გაზვიადებისათვის“.

ორივე რომანი იმავე თემატურ რკალში ტრიალებდა, დანგრეული ბუდეების ტრაგიკული მეტაფორით რომ გამოიხატება და კეთილშობილ და გულმართალ ადამიანთა შევიწროებასა და ცხოვრების მდინარებიდან გარიყვას გულისხმობს, იმ სულიერი სამკვიდროს მოშლას, რაც მთელს ქვეყანას ემუქრება გადაგვარებით.

თუმც ამ ზოგადი რკალის გარდა „ბურუსსაც“ და „მეჩეჩსაც“ თავთავის სატკივარიც ჰქონდა და გარეგნულად თითქოს არაფერი აკავშირებდათ – ერთი ფსიქოლოგთა და განწყობის თეორიის დევნას წარმოსახავდა, მეორე ხელოსნის უნუგეშო ხვედრს გადაგვიშლიდა თვალწინ.

მწერალს შორს არსად არ გადაჰქონდა რომანთა მოქმედების ასპარეზი და თვალწინ დატრიალებულ მოვლენებს განსჯიდა სოციალისტური რეალიზმის სრულიად საპირისპირო ხედვითა და სტილური მანერით, ჯერ სტილური ძიებანიც დანაშაულად რომ ჩამოერთმეოდა და კერძომესაკუთრული და წვრილბურჟუაზიული გადმონაშთების აპოლოგიასა და ანტიმატერიალისტური, ანტიმარქსისტული შეხედულებების დამკვიდრებას ვინ მოუთმენდა.

როგორც მიხეილ ჯავახიშვილი და კონსტანტინე გამსახურდია მიჰყვებოდნენ კვალდაკვალ პოლიტიკურსა და სოციალურ მოვლენათა ქარბორიას და – მიუხედავად „დისტანციის თეორიის“ ქადაგებისა, რაც ხელისუფლების კლანჭებიდან თავდასახსნელად მოემარჯვებინათ – მაშინვე ლამობდნენ ყველაფრის მხატვრულ ქარგაში მოქცევას, ოთარ ჩხეიძეც ისტორიულ გარდატეხათა შუაგულში ჩამდგარიყო და თავის მხატვრულ ქრონიკებს იმ მოვლენების უშუალო მონაწილედ აქცევდა და საბჭოური ანალების გვერდიგვერდ ამხელდა მათ სიცრუესა და სიყალბეს.

50-იან წლებში საბოლოოდ ჩაეთქვათ იდეალისტური ფილოსოფიისა და საერთოდ იდეალისტურ წარმოდგენა-შეხედულებათა დამხობა და ამოძირკვა საბჭოთა ადამიანის ცნობიერებიდან და ჯვაროსნული ლაშქრობა რომ გაიშლებოდა „იდეალისტურ გადმონაშთთა“ წინააღმდეგ, მწვავედ შეუტევენ დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიასაც და მის ფსიქოლოგთა სკოლასაც. დასამარებას მოუნდომებდნენ ფსიქოლოგიის ინსტიტუტს, როგორც იდეალიზმის თავშესაფარს, და ამ საბედისწერო ჟამს მწერალი თავს რომ იღებდა დიმიტრი უზნაძისა და მისი სკო-

ლის გამოქომაგებას, „ბურუსის“ ქარგას ამ დაპირისპირებაზე ააგებდა და დისკუსიის მასალებს უშუალოდაც გამოურევდა სიუჟეტში.

ახლა ასტრონომებს მიადგებოდნენ, ახლა იქ შეეცდებოდნენ იდეალისტურ შეხედულებათა სრულ გაქარწყლებას და ამ თავშესაფრის მოშლას, და ამ ახალი რბევის საპირისპიროდ კვლავ ოთარ ჩხეიძის რომანი შეიქმნებოდა 1958 წელს – „ცთომილნი“, რათა ერთხელ კიდევ დაედასტურებინა საბჭოთა იდეოლოგიის კრახი.

დანერით კი დაინერებოდა, მაგრამ ცენზურა განსაკუთრებულ სიფხიზლეს გამოიჩინდა, უშიშროების კომიტეტიც უშუალოდ ჩაეროდა და „მნათობის“ იმ ნომრის ანაწყობიც კომიტეტის თავმჯდომარის მაგიდაზე იდებოდა ჩახაზული და რომანის დედანიც.

და ცეკას ბიუროზე მომხსენებლად „ცთომილნის“ ირგვლივ... თვით ალექსი ინაური წარსდგებოდა – სხვას არ ანდობდა მის მხილებას, განქიქებასა და ავტორის დასჯის მოთხოვნას.

– ნახეთ, რას წერს! – აღშფოთებული ჩაიკითხავდა ციტატას ციტატაზე. და არ შეეპუებოდა სიმონ ჩიქოვანი – ის ორი რომანიც მას გამოექვეყნებინა, „ცთომილნიც“ მას ანწყო დასაბეჭდად და უმწვავეს ვითარებაში კვლავ გადაეფარებოდა მწერალს:

– კი მაგრამ, თქვენ ნაკითხული გაქვთ მთლიანად?..

სუსხიანი მზერით შემოხედავდა ალექსი ინაური, გამლლილ სილას დაჰკრავდა ფურცლებს:

– ამხანაგებმა ნაკითხეს! და რასაც მე გადავავლე თვალი, „ექიმ ჟივავოზე“ უარესია.

პასტერნაკის რომანიც „ამხანაგებს“ ნაკითხათ და ამას მხოლოდ ჩახაზულ ადგილებს გააცნობდნენ, მაგრამ ესეც კმაროდა შთაბეჭდილების შესაქმნელად. ქართველი ავტორი სამოქალაქო ომის ხანაში არ გადავარდნილიყო და თვალწინ დატრიალებულ მოვლენათა რეალისტური სურათები და მარქსისტული ფილოსოფიისა და საბჭოთა იდეოლოგიის მარცხის ნათელყოფა გაცილებით სახიფათოდ ამიტომაც გამოჩნდებოდა უშიშროების მრისხანე თავკაცის თვალში.

„ბურუსის“ წიგნად გამოცემა უკვე ჩაშლილიყო.

„მეჩეჩის“ გამოცემას მწერალი ჯერჯერობით ველარც იოცნებებდა.

„ცთომილნი“ ჟურნალის ფურცლებზეც ველარ გააღწევდა. ბიურო იქვე დაადგენდა მისი ანაწყობის ჩაშლას და... აღარც სიმონ ჩიქოვანს დასტოვებდნენ რედაქტორის სავარძელში, რითაც ძალიან და ძალიან დააბრკოლებდნენ ქართული სალიტერატურო ცხოვრების წინსვლას. ოთარ ჩხეიძე დაპატიმრებას თუ როგორ გადარჩენილიყო იმ წლებში, რა სასწაულებრივ შემთხვევას ემჯობლა მისთვის, ცალკე ამბავია და პასტერნაკის რომანზე საუბარს არ გადაებმის.

„ექიმ ჟივავოზე“ უარესიაო...

ხვედრიც უარესი რგებოდა.

არამცთუ საზღვარგარეთ გაღწევა, ჟურნალის ფურცლებზეც ოთხი ათეული წლის შემდგომ თუ იხილავდა მზის სინათლეს – საქართველოს დამოუკიდებლობის ჟამს.

იური ჟივავო, როგორც ხასიათი და პერსონაჟი, რაღაც შუალედური უნდა ყოფილიყო პასტერნაკსა, ბლოკ-

სა, ესენინსა და მაიაკოვსკის შორის, ყველაზე ხელშესახე-
ბად კი მაინც ალექსანდრ ბლოკის პიროვნული ბუნება გა-
მოეკვეთა, ამიტომაც გაისტუმრებდა უარით გამომცემ-
ლობას, 1946 წელს ბლოკზე სტატიის დაწერას რომ დაუკ-
ვეთდნენ, სტატიის ნაცვლად სჯობს ეს რომანი შევქმნაო;
მაგრამ თავდაპირველ ჩანაფიქრს ასცდებოდა რომანის
სიუჟეტი და ექიმი ჟივიაგო სულ უფრო დაემგვანებოდა ავ-
ტორს (ასეთი რამ სხვა დროსაც დამართნია. რილკესა და
მის საოცარ სამყაროზე ჩაფიქრებული წერილი ავტობი-
ოგრაფია უფრო გამომივიდაო, თვითონვე აღიარებდა).
და პასტერნაკის ახალი ლექსები მთლიანად პერსონაჟის
რეჟულში ამიტომაც მოთავსდებოდა, და რომანს უკანას-
კნელ ნაწილად რომ დაერთვოდა ეს პოეტური ციკლი, მის
რელიგიურ ხაზს გამოეხმაურებოდა და გაამკვეთებდა.

ალვასრულე ვალი, უფლისაგან ჩაგონებულიო...

ქარი კიოდა ზამთრის ღამეში, მთის ფერდობზე ძველ
გომურში ყრმას სციოდა და ციმციმებდა ბეთლემის გზა-
ზე კენტი ვარსკვლავი... სავალს მიჰყვებოდა იერუსალი-
მისაკენ ავი გუმანით შეპყრობილი იესო და ერთმანეთში
რომ აირეოდა სიცხე, ხვლიკები, ნაკადულები, წყაროები
და ბილიკები, დაწყველიდა მაცხოვარი იქვე მახლობლად
მდგარ ლელვის ხეს, გაძარცულსა და მიუსაფარს, და მი-
უსჯიდა მარადიულ უნაყოფობასა და უმაქნისობას...

ჯვარცმამდე ერთი კვირით ადრე იერუსალიმში რომ შევი-
დოდა სახედარზე ამხედრებული, ფეხქვეშ რტოებს დაუ-
ფენდნენ და ოსანას უგალობებდა ყველა... მაგრამ გეტსი-
მანიის ბაღის საიდუმლოც უნდა მოვლენოდა კაცობრიო-
ბას, – იფხიზლეთო, მონაფეებს შეაგონებდა იესო, მაგრამ
ლოცვითა და ვედრებით გულს რომ იჯერებდა, მონაფეთა
კრებული ჩაძინებული დახვდებოდა... იუდაც მალევე უნ-
და გამოჩენილიყო მღვდელმთავრებთან ერთად და პეტრე
ერთ-ერთ მომხვდურს ყურს რომ წაათლიდა, მაცხოვარი
უბრძანებდა მახვილის ჩაგებას: ჩემი ნებით ჩავდივარ სა-
მარეში, რათა სამ დღეში აღვსდგე და ჟამთა სამსჯავრო-
ზე ყველამ მე მომაშუროსო...

თითქოს გალექსილიყო სახარების პასაჟები, ლექსები
პნკარიდან პნკარამდე მიჰყვებოდნენ ახალი აღთქმის ცალ-
კეულ მუხლებს, ოღონდ იმ კაცის თვალთახედვითა და სან-
ყაოთი, ვინც საკუთარ ბედზე იწვინა მაცხოვრის მისტერიის
გამინიერებული, პაროდიული ვერსია ოქტომბრის რევო-
ლუციისა და ბოლშევიკური სახელმწიფოს შობის სახით.

და ენთო სანთელი მაგიდაზე, სანთელი ენთო!..

საქართველოსაც თავისი პასტერნაკი გაუჩნდაო, –
უხაროდა და უკვირდა ალექსანდრე მანველიშვილს.

დეტაქტივი

რეიმონდ ალენი

მარჯვე
ამოხსნა

რეიმონდ ალენი (1872-1937) პროფესიო-
ნალი მწერალი არ ყოფილა. როგორც აღნიშ-
ნავენ, მოყვარულ-ლიტერატორსაც კი ვერ
ვუნოდებთო. დუბლინის უნივერსიტეტის
დამთავრების შემდეგ მუშაობდა ინჟინრად,
მაძიებლად, მალაროთა ინსპექტორად. საუ-
კუნის მეოთხედი, პენსიაზე გასვლამდე, გაა-
ტარა აფრიკის კონტინენტზე – უგანდასა და
ტანგანიკაში. გაგიჟებით უყვარდა ჭადრაკი,
გვარიანადაც თამაშობდა. საჭადრაკო ჟურ-
ნალებში აქვეყნებდა ამოცანებს. თავისი ძა-
ლები მოსინჯა საჭადრაკო ნოველაშიც.

რეიმონდ ალენის „მარჯვე ამოხსნა“ შეტა-
ნილია ანთოლოგიაში, რომელსაც ჰქვია „ყვე-
ლაზე დიდებული დეტექტიური მოთხრობები“.

კენეს დელიმა ნახევარი მილი რომ გაიარა სადგური-
დან ლორდ ჩეტის სააგარაკო სახლამდე, ჩემოდანი ძალ-
ზე დაუძიმდა ხელში. სასწრაფოდ დადო პარმალზე, და-
ბუჟებული ხელი აქეთ-იქით გააქნია და ზარი დარეკა.

რამდენიმე წუთი მოუწია ლოდინი, სანამ თავად
ლორდ ჩეტი გაუღებდა კარს. მასპინძლის მრგვალსა და
ლაჟღაჟა პირისახეს სულაც არ სჭირდებოდა გრიმი,
რათა წარმოგედგინათ ნამდვილი მისტერ პიკვიკი
ჩარლზ დიკენსის რომანიდან.

– მობრძანდი გენაცვალე, მობრძანდი, – მან შინ შე-
იპატიჟა სტუმარი. – მოხარული ვარ, რომ გხედავ. ბედ-
ნიერ შობას გისურვებ.

შობის წინააღმდეგ იდგა და ლორდ ჩეტის ქცევა ყო-
ველმხრივ ამჟღავნებდა დღესასწაულის მოახლოებას.
მან ხელი სტაცა სტუმრის ჩემოდანს და ჰოლში წაათ-
რია.

– ამჟამად ლაქიაც ვარ, მოახლეც და ვინ იცის, კი-
დევე ვინ. მსახურები საშობაო დღესასწაულზე გავის-
ტუმრე და რას იზამ. ჩემი ცოლიც და დეიდა ბლექსტე-
რიც სადღაც წაბრძანდნენ.

– ნორა სადღაა? – ჰკითხა კენესმა.

– ო, ნორა! – წარმოთქვა ჩეტმა და კენესს მეგობრუ-
ლად მოუთათუნა ხელი მხარზე. – მესმის, რომ ნორა
ერთადერთი სულიერია, ვისაც სათვალავში აგდებ და
ისიც, უდავოდ, იმსახურებს ამას. ნორა შინ დარჩა: რამ-
დენიმე მისალოცი ღია ბარათი უნდა გაეგზავნა. მე
მგონი, ჯერ ისევ თავის ოთახშია, თუმცა კი დაწერა,
რასაც აპირებდა. ღია ბარათები უკვე საფოსტო ყუთ-
შია. რა თქმა უნდა, შეგეგებებოდა, მაგრამ შენ გვაუწყე,
ვერ ჩამოვალო.

– ჰო, მეგონა, რომ სამსახურს თავს ვერ დავაღწე-
დი, მაგრამ დღეს ჩემმა უფროსმა შემიბრალა და მით-
ხრა, ზეგამდე არა მჭირდებიო. ვაგზალს მივაშურე და

მივუსწარი მატარებელს, სამის თხუთმეტ წუთზე რომ გამოდის.

– და აგერ, აქა ხარ! საუცხოო სიურპრიზია იმედგანყვეტილი ნორასთვის და, ცხადია, ჩვენთვისაც.

– იმედია, მოგეწონათ ჩემი საცოლე, – თქვა კენესმა ღიმილით. წინასწარ იყო დარწმუნებული, რას უპასუხებდნენ.

– ჩემო ძვირფასო კენეს, – უპასუხა ჩეტმა, – გულწრფელად გეტყვი, ნორა ლამაზია და მომხიბლავი. გვიხარია, რომ მოვიპატიეთ. მისი სიმღერა უდიდეს სიამოვნებას გვანიჭებს.

ოდნავ შეყოყმანდა, ვიდრე სიტყვას გააგრძელებდა.

– მაგრამ შენ უნდა გვაპატიო. ბებრები ვართ, სიფრთხილე გვჩვევია. ვფიქრობთ, რომ თქვენი ნიშნობა, ცოტა არ იყოს, ნაჩქარევად მოხდა. დეიდა ბლექსტერი სწორედ დღეს ამბობდა, ასე მოკლე ხანში ნორას კარგად ვერ გაიცნობდაო. გარდა ამისა, შენ ხომ არაფერი იცი მისი ოჯახის თაობაზე...

კენესმა გულში კი გამოლანძღა დეიდა ბლექსტერი, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს.

– ჩვენ კიდევ ვილაპარაკებთ ამ საქმეზე, შენთვის ფრიად მნიშვნელოვანი რომ არის, – განაგრძობდა ჩეტი. – ახლა კი ბიბლიოთეკაში წავიდეთ. ჭადრაკს ვეთამაშები სერ ჯეიმს ვინსლეიდს და პარტია უნდა დავასრულო. მერე კი მის ნორა მოვძებნოთ.

ჩეტი შეჩერდა ჰოლიდან ბიბლიოთეკისკენ მიმავალ ტალანში და გასაღებთა ასხმულა ამოიღო ჯიბიდან.

– ნორამ წერილი გამოგიგზავნა და რომ ავიღოთ, მე მგონი, არავინ დაგვძრახავს.

საფოსტო ყუთი გააღო და წერილების გროვა გამოყარა მაგიდაზე. მერე, ერთიმეორის მიყოლებით, უკან გადაუძახა ყუთში, თან თავისთვის ლაპარაკობდა. «დეიდა ემა – მეც უნდა მიმეწერა მისთვის. არა უშავს, დაბადების დღეს მივულოცავ. მისის დინი – დახეთ, ისიც გამომჩა. წითელი ჯვარი – იმედია, ეს წერილი არ დაიკარგება. რას მუშაობს ეს წითელი ჯვარი! ო, როგორც იქნა, აგერ ის: კენეს დეილს, ეს-კეაირს, ველპის ქუჩა, 31, ლონდონი, სამხრეთ-დასავლეთი».

დარჩენილი წერილები ყუთში ჩაყარა და ისევ ჩაკეტა გასაღებით.

– აიღე წერილი და წავიდეთ, თორემ ვინსლეიდი იფიქრებს ჩემზე, არასოდეს აღარ დაბრუნდებაო.

მაგრამ კიდევ მოუწონა შეყოვნება: შინ დაბრუნებულ მსახურებს კარი გაუღო და ერთ მათგანს ყუთი მიაწოდა, ფოსტაში წაიღეო.

ბიბლიოთეკაში სერ ჯეიმს ვინსლეიდი საჭადრაკო დაფას უჯდა, ხოლო ჩეტის პირადი მდივანი ჰორნეი თვალს ადევნებდა თამაშს. ეს იყო მაღალი, ხმელ-ხმელი კაცი. ფერმკრთალი სახე ჰქონდა და მუქი ფერის, გონიერი თვალები.

მდივანი საკმაოდ ცივად მიესალმა კენესს და მერე ჩეტს მიუბრუნდა.

– რაო, წერილები უკვე გაიგზავნა?

– დიახ. თქვენც უნდა გაგვგზავნათ?

– მხოლოდ ღია ბარათი, რომელიც უნდა დამენერა, – უპასუხა ჰორნეიმ. – მაგრამ არაფერი დაშავდება. – და მან კვლავ დაიჭირა თავისი ადგილი მოჭადრაკეთა გვერდით.

ჩეტი თამაშობდა შავებით. თუმცა, კაცმა რომ თქვას, შავებისა მხოლოდ სახელი ჰქონდათ. სინამდვილეში ეს იყო მომცრო, წითელი ფერის ფიგურები საგზაო კომპლექტიდან. ჩეტი გასაჭირში ჩავარდა და პარტია, ბოლოს და ბოლოს, დასრულდა, რაც ძალზე ესიამოვნა კენესს, ნორას საძებნელად წასვლა რომ სწყუროდა.

– ამ მდგომარეობიდან გამოსავალს ვერ ვხედავ, – წარმოთქვა ჩეტმა, კიდევ ერთხელ გულისყურით რომ შეათვალიერა დახლართული პოზიცია. – მომდევნო სვლით თქვენ ლაზიერით მიდიხართ h6-ზე ანდა მხედრით g4-ზე; ნებისმიერ შემთხვევაში ეს გამარჯვებას მოგიტანთ. პარტია თქვენია, გნებდებით.

– სერ ჯეიმს, ბედი გწყალობთ, – შენიშნა ჰორნეიმ.

– რა შუაშია ბედი? თქვენ თვითონ არ ბრძანეთ, რომ ჩვენ ორივემ ჯერ კიდევ დებიუტში დავარღვიეთ პარტიის ნორმალური მსვლელობა. განა შავებს შეეძლოთ უკეთესად ეთამაშათ რამდენიმე ბოლო სვლა?

– მათ შეეძლოთ პარტიის მოგება იმ მდგომარეობაში, რომელიც ახლა უჭირავთ ფიგურებს, – უპასუხა ჰორნეიმ.

თავისი ნათქვამის დასამტკიცებლად რამდენიმე სვლა გააკეთა და მერე ფიგურები თავთავის ადგილზე დააბრუნა.

– სულერთია, პარტია მაინც თქვენია, – გულთბილად განაცხადა ჩეტმა. – მე თვითონ ვერასოდეს ვიპოვიდი სწორ გაგრძელებას.

ჰორნეი განაგრძობდა პოზიციის ყურადღებით შესწავლას და სახეზე ღრმა დაინტერესება დაეტყო. იფიქრებდი, რალაც ახალი მომენტები აღმოაჩინაო. რაც შეეხება კენესს, მას აღიზიანებდა, რომ ჰორნეი აყოვნებდა მათ, მაგრამ როდესაც ერთი საათი გავიდა, მდივნის შენიშვნებმა უჩვეულო მნიშვნელობა შეიძინა კენესისთვის და იგი შეეცადა დაწვრილებით აღედგინა ისინი მესხიერებაში.

– მე ვიტყვოდი, რომ ორივე მხარე საკმაოდ თამამად და ენერგიულად თამაშობდა, თუმცა დროდადრო ცოტა ექსცენტრულადაც, – შენიშნა ჰორნეიმ. – მაგალითად, ლორდ ჩეტმა არაფრის გულისათვის დაკარგა თავისი მხედარი, თქვენ კი თქვენი ლაზიერი აალებინეთ h6-ზე. – იგი მიუბრუნდა ჩეტს.

– ეგებ უკეთესი იქნებოდა, თუკი C7 პაიკით აიღებდით ლაზიერს?

– შესაძლოა, შესაძლოა, – მიუგო ჩეტმა. – რაც არი, ეგ არი. ახლა ჩაის დასალევად წავიდეთ.

სანამ სასტუმრო ოთახში შევიდოდნენ, კენესს გაუმართლა – ნორას შეეჩეხა და წუთით პირისპირ დარჩა. სასტუმრო ოთახში რომ გამოჩნდნენ, მოულოდნელი შეხვედრის გამოისობით ქალს სახე გაბრწყინებოდა.

ჩაის შემდეგ სერ ჯეიმსი თამბაქოს მოსაწევ ოთახში გავიდა და თან გაიყოლა მდივანი. ჩეტი მიუბრუნდა ნორას:

– თქვენ უნდა გვიმღეროთ ერთი საშობაო სიმღერა, მერე კი შეგიძლიათ წაბრძანდეთ ბიბლიოთეკაში და თქვენს საქმეებზე იხაასოთ. ორივენი, ალბათ, ოცნებობთ, რომ ძველმოდურ, მოსაწყენ ბებრებს გაექცეთ.

– ლორდ ჩეტი, გმადლობთ „ძველმოდური, მოსაწყენი ბებრების“ გამო, – შენიშნა დეიდა ბლექსტერმა.

ვიდრე ლორდ ჩეტი პასუხს გასცემდა, ნორა პიანინოს მიუჯდა, მხიარული საშობაო სიმღერა წამოიწყო და მისი ხმა ზანზალაკივით ანკრიალდა.

მერე სთხოვეს, კიდევ გვიმღერეო. ამღერდა და ყველა აჰყვა. ამ დროს კენესმა ხელი ჩაიყო ჯიბეში და წერილი ამოიღო. როდესაც კონვერტს ხსნიდა, ნორა სკამიდან წამოდგა და მას მიუახლოვდა. თავის ხელწერას რომ მოჰკრა თვალი, საშინლად განითლდა.

– ფრთხილად კენ, ფრთხილად იყავი, არაფერი გადმოგივარდეს, – შიშით წამოიძახა ნორამ.

კენესმა წერილი ამოიღო დიდი სიფრთხილით, კონვერტიდან რომ არ გადმოვარდნოდა პანია, შავი კულუნი – ნიშანი ქალის სიყვარულისა. კენესის მთელი ყურადღება კულულმა შთანთქა და არ შეუნიშნავს, რომ იმავე წამს დაკეცილი წერილიდან ქალაღდის თხელი ფურცელი გადმოფრიალდა და ნოხზე დაეცა. ინსტინქტურად ყველამ გააყოლა თვალი ქალაღდს. ეს იყო ინგლისის ბანკის ბანკნოტი – ათასი გირვანქა სტენლინგის ლირებულებისა.

კენესმა გაოცებით შეხედა ნორას, მაგრამ არავითარი განმარტება არ მიუღია. მერე მზერა გადაიტანა ლორდ ჩეტზე. თავში გაუელვა, ჩეტმა თავისი ჩვეული გულუხვობით, ამჯერად შობას რომ უმადლოდა, ნორას წერილში ჩეკი ჩამიღო. მაგრამ ლორდის გაოგნებული პირისახე ეჭვმიუტანლად მეტყველებდა, რომ წერილში ბანკნოტის ჩადება მისი ნახელავი არ ყოფილა. ჩეტმა აცახცახებული ხელებით სათვალე გაიკეთა, თავის უბის წიგნაკში ჩანაწერი რომ შეედარებინა ბანკნოტის ნომრისათვის და პირველმა დაარღვია საერთო დუმილი.

– სრულიად წარმოუდგენელია. ეს სწორედ ის ბანკნოტი გახლავთ, რომელიც დღეს დილით ჩავდე კონვერტში წითელი ჯვრის მისამართით. დიახ, სწორედ ის ბანკნოტია, რომელიც გაგვზავნე, მიზეზთა და მიზეზთა გამო, ანონიმურად და რომელსაც თქვენ, ქალბატონებო, ასეთი ინტერესით ათვალეებდით დღეს, საუზმობისას.

საგონებელში ჩავარდნილი დამსწრენი ერთმანეთს შეჰყურებდნენ. ბოლოს ყველამ ნორას მიაშტერა თვალი, ერთადერთს, ვისგანაც მოსალოდნელი იყო რაიმე განმარტება. ჩეტი ძალზე აღელვებული და შეწუხებული ჩანდა; დეიდა ბლექსტერს მკაცრი და დაეჭვებული გამოხედვა ჰქონდა. რადგანაც ნორა ხმას არ იღებდა, ხოლო სახეზე უფრო და უფრო ეკარგებოდა ფერი, დეიდა ბლექსტერმა წარმოთქვა:

– ბოლოს და ბოლოს ბანკნოტი ნაპოვნია იმ წერილში, რომელიც ნორამ გაგვზავნა და ურიგო არ იქნებოდა, თუკი მოვისმენდით, საიდან მოხვდა იქ.

– ვერაფერი გამიგია, – მიუგო ნორამ. – ისლა შემიძლია გითხრათ, რომ მე არ ჩამიღია იქ და საუზმის შემდეგ თვალით აღარ მინახავს, ვიდრე რამდენიმე წუთის წინ ჩემი წერილიდან არ გადმოვარდებოდა.

– ძალზე უცნაურია, – ცივად წარმოთქვა დეიდა ბლექსტერმა.

კენესი მკვეთრად მიუბრუნდა მას.

– იმედია, თქვენ არ ვარაუდობთ, რომ ეს ბანკნოტი ნორამ მოიპარა?!

– ჩემო კარგებო, – ჩაერია ჩეტი. – გონს მოდით, უსიამო სცენებს ნუ გამართავთ.

კენესი კვლავ მძვინვარედ შეჰყურებდა დეიდა ბლექსტერს.

– ნორას რომ ჩაედო კონვერტში ბანკნოტი, ამას უთუოდ მომწერდა. იმედია, სიტყვაზე მენდობით – მსგავსი არაფერი მოუწერია.

– კენ, წაიკითხე მინაწერი, – სთხოვა ნორამ. – შესაძლოა, მის ბლექსტერი მოინდომებს ივარაუდოს, რომ ეგ სიტყვები ეხება ბანკნოტს.

ქალიშვილმა რისხვით აღსავსე მზერა მიაპყრო მის ბლექსტერს.

კენესმა წაიკითხა მინაწერი:

„P.S. გეთაყვა, ნურავის აჩვენებ იმას, რასაც გიგზავნი“.

კენესისათვის ეს სიტყვები ნიშნავდა მხოლოდ ამას: „მიყვარხარ“. ანდა რალაც ამის მსგავსს. მაგრამ საქმე სერიოზულ ხასიათს იძენდა. ახსნა-განმარტებას გაექცა და კონვერტიდან ამოიღო კულული. „საშინელებაა, – გაიფიქრა მან, – ეს საცოდავი მინაწერი უმართებულოდ რომ ახსნან“.

გულუბრყვილოდ ეგონა, ამ სახლის მკვიდრთა გულებს ნორა იოლად დაიპყრობსო, მაგრამ ამის ნაცვლად ესოდენ ამაზრზენი ბრალდება იწვინა. დეიდა ბლექსტერის სიტყვებმა პირდაპირ გააცოფა კენესი და ვერაფერი მოეფიქრებინა იმის საჩვენებლად, თუ რაოდენ უგუნური იყო მისი დაეჭვება. კენესმა მადლიერებით შეხედა ლედი ჩეტს, როდესაც მან ლბილი ხმით ახალი გეზი მისცა დისკუსიას.

– რამდენი ხანია იმყოფება ჩვენთან მისტერ ჰორნი? – ჰკითხა ქმარს.

ჩეტს ელდა ეცა.

– არა, არა, ჩვენ არ უნდა დავეუშვათ რაიმე ნაჩქარევი დასკვნა! ერთი მითხარით, ჰორნიის რატომ უნდა ჩაედო ბანკნოტი ნორას წერილში, თუნდაც მისი მოპარვა ნდომებოდა? გარდა ამისა, ჩემი ჩვენება სავსებით გაამართლებს მას.

– თუ შეიძლება გვიამბეთ, რა ბედი ეწია ბანკნოტს მას შემდეგ, რაც გამოაჩინეთ საუზმობისას, – სთხოვა კენესმა.

– ზუსტად გეტყვით, – მიუგო ჩეტმა. – მას შემდეგ, რაც ყველამ იხილა, უკანვე ჩავიდე საფულეში და დღევანდელ შუადღემდე ჯიბეში მქონდა. ჭადრაკს ვთამაშობდით, როდესაც გამახსენდა, რომ დღეს წერილებს ჩვეულებრივზე ადრე წაიღებდნენ ფოსტაში. ბანკნოტი ჩავდე კონვერტში წითელი ჯვრის სახელზე (მისამართი

მანქანაზე იყო დაბეჭდილი), დავანებე კონვერტი და ყუთში ჩასაგდებად წავიღე. მერე დავბრუნდი ბიბლიოთეკაში და, კარგად მახსოვს, ძალიან გამიკვირდა, ვინსდეილის გაკეთებული სვლა რომ დავინახე, თავისი ლაზიერი დაესვა ჩემთვის. ამ დროს გავიფიქრე, ნორა უკვე ჩადებდა თავის წერილებს ყუთში და თუ ეს ასეა, ახლავე უნდა ჩავკეტო, თორემ მერე დამავინყდება-მეთქი. რამდენიმე წუთი დაფას შევყურებდი, მერე წამოვდექი და ყუთისკენ გავემართე. დავინახე, რომ ნორას წერილები უკვე შიგ იდო, ყუთი ჩაკეტილი, მოვბრუნდი და ვინსდეილის ლაზიერი ავიღე.

– მაინც ვერა ვხვდები, ყოველივე ამას რა დამოკიდებულება აქვს მისტერ ჰორნეისთან და რატომ აქარწყლებს მასზე მიტანილ ეჭვს, – შენიშნა ლედი ჩეტმა.

– ჩემო ძვირფასო, ვისაც არ უნდა გადაედო ბანკნოტი ერთი კონვერტიდან მეორეში, სულ რაღაც რამდენიმე წუთში უნდა მოესწრო. ეს გახლავთ ერთადერთი დრო, როდესაც წერილი იდო ყუთში და ყუთი არ იყო ჩაკეტილი. მაგრამ მაშინ ჰორნეი თვალს ადევნებდა თამაშს. ამიტომაც ვერაფერს დავწამებთ.

– თქვენ რომ თამაშობდით, მას ფეხი არ მოუცვლია ბიბლიოთეკიდან? – ჰკითხა კენესმა.

– ამას ვერ ვიტყვოდი. ვგონებ, არა. ზუსტად არ ვიცი. მაგრამ აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ის არ შემოსულა ოთახში და არ გასულა ოთახიდან, ვიდრე მე იქ ვიდექი და ვინსდეილის სვლაზე ვფიქრობდი. ის იქნებოდა ბიბლიოთეკაში, როდესაც ვინსდეილმა თავისი ლაზიერი დამისვა და მე ავიღე, ვინაიდან ჰორნეი, თამაში რომ დამთავრდა, სწორედ ამ სვლებს არჩევდა. გახსოვთ, მან ივარაუდა კიდეც, უკეთესი იქნებოდა, ლაზიერი სხვა პაიკით აგელოთო. ეს ხომ თქვენი ყურით მოისმინეთ?

– დიახ, – მიუგო კენესმა, – მახსოვს. მაგრამ კიდეც ხომ არის სხვა ვარიანტი: ყუთისთვის მეორე გასაღების დამზადება.

– ხელოსანმა გარანტია მოგვცა, რომ ეს შეუძლებელია, – სიტყვა შეუბრუნა ჩეტმა. – გარდა ამისა, გასაღები მუდამ ჩემს ხელთ არის და ვერავინ ვერ შეძლებდა გაკეთებინა დუბლიკატი.

საუბარში ჩაერია ნორა და აღშფოთებისგან აკანკალეული ხმით თქვა:

– ერთი სიტყვით, ლორდ ჩეტ, ყველა სამხილი მიმართულია ერთი ადამიანის წინააღმდეგ, თუკი არ ჩავ-

თვლით სერ ჯეიმს ვინსდეილს. მე, ჩემი მხრივ, არაფრით არ ძალმიძს სამხილთა უკუგდება. შემიძლია მხოლოდ დავიფიცო.

– ეგ ყველა სამხილს აღემატება ამქვეყნად, – ნამოიძახა კენესმა და ქალიშვილმა გაბრწყინებული მზერით მადლობა გადაუხადა თავის ქომაცს.

– ლედი ჩეტი სავსებით მართალია, – განაგრძობდა კენესი. – სინდისს გეფიცებით, ეს გააკეთა გათახსირებულიმა ჰორნეიმ. აქ დაუძახეთ და დაინახავთ, თავისივე სახე გათქვამს, როცა ვეტყვი, ქურდი ხარ-მეთქი.

– არაფრის გულისათვის!
– შეძრწუნებით წამოიძახა ჩეტმა. – ეს აუტანელი სცენა იქნება. ასეთ შემთხვევებში არ შეიძლება ეჭვის მიტანა ვინმეზე, ვინც ამ ჭერქვეშ ცხოვრობს. შესაძლოა, ყოველივე ეს გაუგებრობაა და საკმაოდ მარტივი გამოდგება, როდესაც მას აგვისსინან. ვინ იცის, ეგებ ვიღაც შემოიპარა სახლში ქუჩიდან, თუმცა უნდა ვაღიარო, რომ არ მესმის მიზეზი, რომელიც აიძულებდა ასე უცნაურად მოქცეულიყო. ნებისმიერ შემთხვევაში ჩემი ოჯახის ღირსების დასაცავად აუცილებლად მივიჩნევ ამ საქმის გახსნას. დაე, ნამდვილმა სპეციალისტებმა მოჰკიდონ ხელი.

– ვის გულისხმობ? – ჰკითხა ლედი ჩეტმა. – მე მგონი, ადგილობრივ პოლიციას დიდი ჭკუა არ გამოუჩენია, როდესაც საბრალო კელპი მოგვპარეს (პატარა ტერიერმა, მის ფერხთით რომ იწვა, თავისი სახელის გაგონებაზე თავი ასწია).

ჩეტი განაგრძობდა:

– სკოტლენდ-იარდში დავრეკავ. თუკი შაპლენდი იქ იმყოფება, თვალის დახამხამებაში ჩვენთან გამოემგზავრება. აქ ჩამოსასვლელად ორი საათიც კი არ დასჭირდება. და სანამ ჩამოვა ის ან სხვა ვინმე, გვედრებით, ამ საქმის შესახებ ერთი სიტყვაც არ წამოგცდეთ.

– სავსებით სწორი გადაწყვეტილებაა, – შენიშნა დეიდა ბლექსტერმა. – აუცილებელია ვიპოვოთ დამნაშავე, ვინც არ უნდა იყოს იგი.

ლორდ ჩეტი მიუბრუნდა ნორას და მიმართა ისეთი ტაქტით, რასაც კენესი ვერც კი წარმოიდგენდა მისგან:

– დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს გასახარად შაპლენდი ამოხსნის ამ საიდუმლოებას. ჯერჯერობით კი, ჩემო ძვირფასო გოგონი, ჩვენ ორივენი ერთ ბედქვეშა ვართ, რადგანაც იმის ერთადერთ საბუთად, რომ მარ-



მხატვარი ცირა პაპინაშვილი

თლა ჩავდე ბანკნოტი კონვერტში, გახლავთ ჩემი პატიოსანი სიტყვა.

მისმა ალერსიანმა ნათქვამმა ნორას ცრემლი მოჰგვარა თვალეში და კენესმა დასამშვიდებლად ბიბლიოთეკაში წაიყვანა.

– კენ, გესმის შენ, ისინი ქურდად მთვლიან, ქურდად – ამ სიტყვის ყველაზე მარტივი მნიშვნელობით!

– სისულელეა, ძვირფასო, ვინ დაიჯერებს ამ ჩმახს.

– ეს საზიზღარი დეიდა ბლექსტერი რომ ასე ფიქრობს! თქვა კიდევ, ვერ გაიგონე?

ნორა სკამზე ჩამოჯდა და ცდილობდა დამშვიდებულიყო. კენესი კი ბოლთას სცემდა ოთახში. ბრაზი დაეუფლა, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა, რომ ფიქრში ჩაძირულიყო.

– როგორ მიხარია, რომ გამომექომაგეთ შენც და ძვირფასი ჩეტიც.

– და მაინც ტუტუცი, ბებერი შერეკილია, – მიუგო კენესმა. – იმდენი ფული აქვს, აღარ იცის რა უყოს და თავში მოსდის ფანტაზია, რომ ბანკნოტი ათასი გირვანქა სტერლინგის ღირებულებისა გაგზავნოს საშობაო ფოსტით, რათა ჩაიკარგოს აურაცხელ პენსებსა და მილოცვებში.

მათი საუბარი ჰორნეის მოსვლამ განყვიტა.

– აქ დარჩენას არ ვაპირებ, – ასე უპასუხა დამხვდურთა არცთუ თავაზიან სალამს. – მცირე სამსახურის განევას გთხოვთ. ცხარედ შევეკამათე სერ ჯეიმსს ხელწერის მიხედვით ხასიათის განსაზღვრის თაობაზე და მინდა, რომ მივიღო იმ ადამიანთა ნაწერის ნიმუშები, ვისაც ორივენი ვიცნობთ. ნებისმიერი ჩანაწერი გამოდგება.

კენესმა ქალაღდის ფურცელი აიღო საწერი მაგიდიდან და დაწერა: „რაც ბრჭყვიანებს, ყველაფერი როდია ოქრო“, ხოლო ნორამ ქვევით მიუწერა: „გულს გული მაშინვე იცნობს“. ალბათ, ეს იყო ყველაზე სწრაფი ხერხი თავის დასახსნელად.

ჰორნიემ შეხედა ქალაღდს და შეატყობდით, რომ მაინცდამაინც კმაყოფილი არ დარჩენილა.

– უკეთესი იქნებოდა, სხვა რამ მოგეცათ, სპეციალურად დაწერილი რომ არ იყოს. არავინ არ წერს ბუნებრივად, როდესაც იცის, თუ რა მიზნით აკეთებს ამას. ხომ არა გაქვთ, ვთქვით, ძველი კონვერტი ანდა სხვა რამ ამის მსგავსი?

სანადელს რომ ვერ მიაღწია, გულგატეხილი გავიდა ოთახიდან.

– ნეტა ვიცოდე, მართლა იმ მიზნით სჭირდებოდა, რასაც ამბობდა? – დაეჭვებით შენიშნა კენესმა. – საზრიანი თაღლითი ბრძანდება. გაიხსენე, როგორი დაჟინებით ეძებდა სწორ სვლას იმ პარტიაში, მისი პოვნა კი არც ისე იოლი იყო.

გადახსნილი საჭადრაკო დაფა იდო მაგიდაზე, სადაც დატოვა ჩეტი, როდესაც ჩაის დასალევად წავიდნენ. კენესმა ჯერ დაუდევრად შეხედა დაფას, მერე კი ინტერესი გაუცხოველდა. ერთ-ერთი ფიგურა აიღო ხელში, ყურადღებით დაათვალიერა და თავის ადგილზე დააბრუნა. სხვა ფიგურებზეც იგივე გაიმეორა. მისი მღელვარება ნუთით ნუთამდე მატულობდა.

– კენ, რა მოხდა? – ჰკითხა ნორამ.

– იმედის ნაპერწკალმა გამიელვა თვალწინ. – თქვა კენესმა და სკამზე დაჯდა. – უნდა დავფიქრდე. ისე უნდა დავფიქრდე, როგორც არასოდეს დავფიქრებულვარ ჩემს სიცოცხლეში.

წინ გადაიხარა, თავზე ხელები შემოიწყო და ნორა უჩუმრად ელოდა მანამდე, ვიდრე რამდენიმე წუთის შემდეგ კენესი მზერას მიაპყრობდა.

– ახლა იმედის ნაპერწკალი კი არა, ნამდვილი სინათლე აკამკაშდა! ეს მისტერ ჰორნიე დიდი ცბიერი ვინმეა, ძალიან ცბიერი!

კმაყოფილმა გაიღიმა, რადგანაც მოახერხა ასე მარჯვედ ჩახლართული ინტრიგის ძაფის მიკვლევა. ამასთან ერთად, სახეზე აღტაცებაც ეხატა. თავისდაუნებურად პატივს მიაგებდა იმ ოსტატობას, რომლითაც მოფიქრებული იყო ყველაფერი.

– გინდა იცოდე, ახლა რატომ მობრძანდა აქ?

– რასაკვირველია, – მიუგო ნორამ. – შენ გინდა თქვა, რომ სერ ჯეიმსთან არავითარი კამათი არა ჰქონია?

– ო! მე მგონი, მართლაც შეკამათდნენ, მაგრამ მან საგანგებოდ წამოიწყო კამათი. სინამდვილეში აი, რა უნდოდა. – კენესმა ჯიბიდან ამოიღო კონვერტი, რომელშიც ბანკნოტი აღმოაჩინეს. – ეს გამონაგონი ხასიათის გამოცნობაზე ურიგო საბაბი არ ყოფილა კონვერტის ხელში ჩასაგდებად. მაგრამ არა, ჩემო მეგობარო ჰორნიე, ამ კონვერტს თქვენ ვერ ეღირსებით, თუნდაც გადაიხადოთ ის ათასი გირვანქა, შიგ რომ ჩაღეთ.

– გეთაყვა, კენ, ამიხსენი, – ევედრებოდა ნორა.

– მალე ყველაფერს აგიხსნი, – უპასუხა კენესმა. – მაგრამ ჯერ უნდა შევაერთო ყველა რგოლი ჯაჭვისა. ჯერჯერობით კიდევ ერთი სიძნელე რჩება.

კენესი კვლავ მიაჩერდა პატარა ნოხს, ბუხრის წინ რომ იყო გაფენილი, და ხმამაღლა დაიწყო მსჯელობა.

– ჩეტი დარწმუნებულია, რომ ჰორნიე აქ იქნებოდა და თვალს ადევნებდა თამაშს იმ დროს, როდესაც შესაძლებელი იყო წერილების აღება. ასე იმიტომ ფიქრობს, რომ შემდგომში ჰორნიემ მიუთითა სვლები, რომლებიც გაკეთდა დროის ამ მონაკვეთის დასაწყისსა და დასასრულს შორის. მაგრამ ამ ორი სვლის შესახებ მისთვის შეეძლო ეთქვა ვინსლეიდს, როდესაც ჩეტი კარს მიღებდა. ეს ამოხსნიდა გამოცანას, ოღონდ, ჩემი აზრით, ვინსლეიდი იმდენად წესიერი კაცია, რომ არ იკადრებდა პოზიციის გარჩევას, როდესაც მისი მეტოქე ოთახიდან იყო გასული. ნავალ და ვკითხავ. შემძლია არც ვუთხრა, ამას რისთვის ვეკითხები.

ერთი წუთიც არ გასულა, რომ დაბრუნდა.

– არა, თამაშზე კრინტიც არ დაუძრავთ. კეთილი და პატიოსანი. სხვა გზით ვცადოთ ამოცანის ამოხსნა. დავუშვათ, რომ ჰორნიეს მართლაც ეჭირა ხელში წერილები და მე შევძლებ ამის დამტკიცებას. მაგრამ საკითხავი ის არის, საიდან შეიტყო ის ორი სვლა, რომელიც გაკეთდა?

კენი კვლავ მიაჩნდა საჭადრაკო დაფას. ისეთი და-
ყინებითა და ხანგრძლივად შეჰყურებდა, რომ ნორამ
ბოლოს მოთმინება დაკარგა.

– გენაცვალე, მითხარი ერთი, სულ ამ ჭადრაკს რა-
ტომ აკვირდები?

– მინდა ამოვხსნა ძალზე საინტერესო საჭადრაკო
ამოცანა მანამდე, ვიდრე სკოტლენდ-იარდიდან მოვა
„შერლოკ ჰოლმსი“. თვალი მადევნე. თუკი არსებობს
რაიმე ხერხი, რომლის შემწეობითაც ჰორნეის შეეძლო
გაგება იმ ორი მნიშვნელოვანი სვლისა, ოთახში მისი
არყოფნისას რომ გაკეთდა, მაშინ ჩეტის ყველა არგუ-
მენტს ჩალის ფასი ექნება. გესმის?

– რა თქმა უნდა. ყველაფერი ნათელია. მაგრამ სხვა
რა ხერხი უნდა იყოს? მისთვის ხომ არავის არაფერი
უთქვამს. ფანჯრიდან ხომ არ შეიჭყეტდა ოთახში?

– ვფიქრობ, უფრო ჭკვიანურ რამეს მივაგნებთ. მე
მგონი, შევძლებ იმის გარკვევას, თუ როგორ გამოიტა-
ნა დასკვნა სხვის დაუხმარებლად. მე მგონი, მას შეეძ-
ლო გაკეთებული სვლების გამოცნობა უბრალოდ იმ
მდგომარეობის მიხედვით, ფიგურებს რომ ეჭირათ
პარტიის დამთავრებისას, ესე იგი იმგვარად, როგორც
ახლა განლაგებულან დაფაზე.

კენესი ისევ დაიხარა საჭადრაკო დაფისკენ.

– თეთრები ლაზიერით მიდიან ხნ უჯრაზე, რომე-
ლიც თავისუფალი იყო და შავები ეტლის წინ მდებარე
პაიკით იღებენ ლაზიერს. აი, ეს ორი სვლა.

ნორა კიდევ ნახევარი საათი ელოდა მთელი ერთგუ-
ლებით. თვალს ადევნებდა კენესის გამომეტყველებას.
ის რალაცას რომ მიხვდებოდა, სახე მყისვე გაუნათდე-
ბოდა და ახალ გართულებას რომ ნაანყდებოდა, სახე
მოეღუშებოდა.

კენესმა ბოლოს და ბოლოს დაფა დახურა და შეინა-
ხა. სახეზე სრული შეცბუნება ენერა.

– შენ არ შეგიძლია დაამტკიცო, რომ ლაზიერი სწო-
რედ იმ უჯრაზე აიღეს? – ჰკითხა ნორამ.

– არა, – უპასუხა კენესმა. – იმავე წარმატებით ეს
შეიძლება ყოფილიყო ეტლიც. სამწუხაროა. როგორ
კარგად აეწყო ყველაფერი. ვიცი, რომ სწორ გზაზე ვარ;
და მაინც ვერ მიპოვია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი
რგოლი. ეშმაკმა წაიღოს! – უეცრად ზეზე წამოხტა. –
მე მგონი, აქ დახმარებას გაგვინევს ჩეტი.

ოთახიდან გასვლას აპირებდა, როდესაც მსახური
შემოვიდა და ჩეტისგან ბარათი მოართვა. კაბინეტში
ეპატიჟებოდათ.

საიდუმლო თათბირს ესწრებოდნენ იგივე პირნი,
რომლებიც სასტუმრო ოთახში იმყოფებოდნენ, როდე-
საც კონვერტიდან ბანკნოტი გადმოვარდა; იყო აგ-
რეთვე შაპლენდი – დეტექტივი სკოტლენდ-იარდიდან.
თავმჯდომარეობდა მაგიდასთან მჯდომი ლორდ ჩეტი.
გვერდით შაპლენდი ეჯდა. მისი პირისახე უჭკუო კაცი-
სას ნააგავდა, რადგანაც სავსებით მოკლებული იყო
რაიმე გამომეტყველებას, მაგრამ თვალებს ისე აცე-
ცებდა და გულმოდგინედ აკვირდებოდა ყველა დამ-
სწრეს, რომ პირველი შთაბეჭდილება უკვალოდ ქრე-
ბოდა.

ნორამ და კენესმა დაიკავეს ორი თავისუფალი სკა-
მი და კენესმა მყისვე დაუსვა შეკითხვა ჩეტს:

– როდესაც ჭადრაკს ეთამაშებოდით სერ ჯეიმს
ვინსლიდს, მოგცათ თუ არა მან ფორა ლაზიერისპირა
ეტლის სახით?

ნორასა და დეტექტივის გარდა, რომელიც თავისი
უშფოთველობით სფინქსს ჰგავდა, ესოდენ უადგილო
შეკითხვამ ყველა გააოცა.

– თქვენი აზრით, ახლა ძალზე შესაფერი დროა რა-
ლაც საჭადრაკო პარტიის გასარჩევად? – მკვახედ შე-
ნიშნა დეიდა ბლექსტერმა.

– უნდა ვალიარო, რომ შენი შეკითხვა მართლაც
მთლად დროული არ არის, – მიუგო ჩეტმა. – დიას, მან
წინასწარ მომცა ეტლი.

– მაღლობა შენ, უფალო! – წამოიძახა კენესმა ისე-
თი ალტკინებით, რომ მყისვე დააინტერესა შაპლენდი.

– კარგი იქნებოდა გამეგო, თუ რას იტყვის ამ საქმის
შესახებ მისტერ დეილი, – შენიშნა მან. – ლორდ ჩეტმა
უკვე დანვრილებით გამაცნო საქმე.

– მე უნდა ნაუყენო ბრალდება ლორდ ჩეტის პირად
მდივანს მისტერ ჰორნეის. აჯობებდა, რომ აქ ბრძანდე-
ბოდეს.

– სრულიადაც არ არის სავალდებულო, სრულია-
დაც არ არის სავალდებულო, – ჩაერია ჩეტი. – მე ვი-
სურვებდი, რომ შეძლებისდაგვარად თავიდან აგვეც-
დინა უსიამოვნო სცენები.

– ძალიან კარგი, – განაგრძო კენესმა. – უბრალოდ
გავიფიქრე, რომ ასე უკეთესი იქნებოდა. მე ბრალს
ვდებ ჰორნეის იმაში, რომ მან მოიპარა ბანკნოტი ათა-
სი გირვანქა სტერლინგის ღირებულებისა კონვერტი-
დან ნითელი ჯვრის მისამართით და ჩადო კონვერტში
ჩემს მისამართზე. მე ბრალს ვდებ ჰორნეის იმაში, რომ
გამოიყენა უჩინარი მეღანი, რომელიც მულანდება
რამდენიმე საათის შემდეგ. ამ მეღანით ჰორნეიმ წაშალა
ჩემი მისამართი და ჩაწერა სხვისა, უეჭველია, თავისი
თანამზრახველისა.

– მისტერ დეილ, თქვენს თავს ანგარიშს უნდა აძ-
ლევდეთ, – შენიშნა შაპლენდმა, – რომ თქვენ, მოწმეთა
თანდასწრებით, ძალზე სერიოზულ განცხადებას აკე-
თებთ. ვიმედოვნებ, რომ თქვენ მოგეპოვებათ საბუთე-
ბი ნათქვამის დასამტკიცებლად.

კენესმა გადახსნა საჭადრაკო დაფა.

– ხედავთ ლაქებს ამ საჭადრაკო ფიგურებზე? ეს
ლაქები არ ყოფილა პარტიის დამთავრებისას და ისინი
ასე მკაფიოდ არ ჩანდა ერთი საათის წინ. დააკვირდით,
ლაქები შეიმჩნევა მხოლოდ იმ ფიგურებზე, რომელთაც
ხელით შეეხო ჰორნეი. იგი გვიჩვენებდა, თუ როგორ შე-
ეძლო ლორდ ჩეტს პარტიის მოგება. თუკი ესა არაა
სიმპათიკური მეღნის ლაქები, მაშ რატომ აბრჭყვიალ-
დნენ? და თუკი სიმპათიკური მეღნის ლაქებია, ისინი
გაჩნდებოდა მხოლოდ და მხოლოდ დამნაშავის თითე-
ბისგან.

კენესმა ჯიბიდან ამოიღო ნორას წერილის კონვერ-
ტი და შეათვალიერა. სახეზე საზეიმო გამომეტყველება
დაეტყო. კონვერტი გაუნოდა შაპლენდს:

– მელანი აქაც ჩნდება. ეტყობა, ქალაღზე უფრო ნელა მოქმედებს, ვიდრე გაპრიალებულ საჭადრაკო ფიგურებზე.

– არა, ისინი სხვადასხვა ხარისხით განიცდიდნენ ჰაერის ზემოქმედებას, – შეუსწორა შაპლენდმა. – კონვერტი თქვენ გედოთ ჯიბეში. აგერ დავტოვოთ მაგიდაზე და დავრწმუნდებით, რომ თქვენი დასკვნები სიმართლეა. და მაინც, თუკი მისტერ ჰორნეი არის დამნაშავე, როგორ აგვიხსნით მის ყოფნას ბიბლიოთეკაში დროის სწორედ იმ მონაკვეთში, როდესაც შესაძლებელი იყო დანაშაულის ჩადენა?

– მე უარყოფ ამ ფაქტს, – უპასუხა კენესმა. – როგორ დაასაბუთებთ, რომ იგი სწორედ იმ დროს იმყოფებოდა ბიბლიოთეკაში?

– აბა საიდან ეცოდინებოდა, თუ რომელი სვლები გაკეთდა?

კენესმა კვლავ მიუთითა საჭადრაკო დაფაზე:

– ფიგურების მდებარეობის მიხედვით. აი, შეხედეთ. მე ვითვალისწინებ, რომ პარტია გათამაშდა ლაზიერის-პირა ეტლის ფორით და ვაპირებ დავამტკიცო, რომ თეთრების ლაზიერი დაჯდა b6-ზე, ოლონდ ამ უჯრიდან არაფერი აუღია და შავებმა a7 პაიკით აიღეს ეს ლაზიერი. თუკი მე გამოვიტანე ამგვარი დასკვნა ფიგურათა განლაგების მიხედვით, ჰორნეიც მოახერხებდა. ჩვენ ვიცით, რაოდენ სწრაფად ძალუძს მას კომბინაციების ბოლომდე მოფიქრება. განა სწორედ მან არ გვაჩვენა გზა, რომლითაც ლორდ ჩეტს შეეძლო პარტიის მოგება, როდესაც მისი მდგომარეობა იმდენად უიმედო ჩანდა, რომ დანებება გადანყვიცა.

საბედნიეროდ, დეტექტივს საკმარისი ცოდნა გააჩნდა ჭადრაკში, რათა თავიდან ბოლომდე კვალდაკვალ გაჰყოლოდა კენესის ახსნა-განმარტებებს.

– არა მგონია, რომ მას წინასწარ მოეფიქრებინა ეს ალიბი, – დასძინა კენესმა, როდესაც ყველამ აღიარა მისი დასკვნების სიმართლე, – უბრალოდ ეს იყო ბედნიერი აზრი, რომელიც მოგვიანებით მოუვიდა თავში, როდესაც დაინახა, რომ ფიგურების საბოლოო განლაგება ამის შესაძლებლობას აძლევდა... მას ეიმედებოდა, ძირითადად, ოინი სიმპათიკური მელნით და ეს გაუმართლებდა კიდევ, ასე მოულოდნელად რომ არ ჩამოვსულიყავი და ჩემს მისამართზე გამოგზავნილი ნორას წერილი ხელთ არ ჩამვარდნოდა.

როცა კენესი ბოლო ახსნა-განმარტებებს იძლეოდა, შაპლენდმა ხელში აიღო კონვერტი. როგორც ფიქრობდა, ჰაერის ზემოქმედების შედეგად მასზე ასოები გამოჩნდა – მართალია, ჯერ ძალზე მკრთალად, მაგრამ უკვე შეიძლებოდა ნაწერის გარჩევა. მისამართის შუა სტრიქონი – სახლის ნომერი და ქუჩის სახელი – გადახაზული იყო და ზემოდან სხვა ნომერი და სხვა ქუჩა დაენერათ. მაძებარმა კონვერტი ჩეტს გაუწოდა:

– ეს ხელწერა გეცნობათ?

ჩეტმა სათვალე გაიკეთა და წარწერის შესწავლას შეუდგა.

– არა, არ მეცნობა. ეს არ გახლავთ მისტერ ჰორნეის ხელწერა. – საფულისიდან ამოიღო სხვა კონვერტი,

რომელზეც მისამართი მისი მდივნის ხელით იყო დანერილი და მიუთითა შეუსაბამობა. ნორამ აღელვებით შეხედა კენესს, ხოლო დეიდა ბლექსტერმა ბრაზიანად – ნორას. მაგრამ დეტექტივს იოტისოდენა გაოცებაც კი არ გამოუხატავს.

– ლორდ ჩეტ, ვფიქრობ, რომ ჩვენი გამოძიება წინ წაიწეწვს, თუკი მისტერ ჰორნეის აქ მოიხმობთ. მე მგონი, რაიმე სცენებისა არ უნდა გეშინოდეთ, – დასძინა მან და ოდნავ შესამჩნევი ღიმილი აუთამაშდა ტუჩებზე.

ჩეტმა ზარი დარეკა და შემოსულ მსახურს სთხოვა, მდივანს დაუძახეთ.

მსახურმა მოახსენა:

– ბატონო ჩემო, მისტერ ჰორნეი გაემგზავრა, უკვე ერთი საათი იქნება. მოულოდნელად გამოიძახეს: ბებია სერიოზულად გაუხდა ავად და იმედიც აღარ ჰქონდა, რომ ცოცხალს მიუსწრებდა.

– საბრალო დედაბერი! მაინცდამაინც შობის წინაღულეს უმუხთლა ბედმა, – თანაგრძნობით ჩაიბუტბუტა ჩეტმა.

შაპლენდმა თავს ნება მისცა, რომ დამცინავად გაეღიმა.

– ამას ველოდი, – შენიშნა მან, – როდესაც ვიცანი ხელწერა, რომლითაც მეორე მისამართი იყო დანერილი. ახლა კი მე თვითონ უნდა მოვკიდო ხელი იმ ჯენტლმენის ძებნას, ვისაც თქვენ მისტერ ჰორნეის ეძახით. სკოტლენდ-იარდში ამ კაცის რამდენიმე გვარი იციან, ისევე როგორც მისი ხელწერის არაერთი ნიმუში. ახლა კი, როდესაც ჩვენ ასე მარჯვედ გავარკვეთ მისი მიახლოებითი ადგილსამყოფელი, გპირდებით, რომ მას მალე ჩააყუდებენ ციხეში... იმედა, ლორდ ჩეტი იმდენად გულისხმიერი იქნება, რომ მანქანას შემოკვეთავს და ნებას მომცემს, მისი ტელეფონით ვისარგებლო.

– განა სადილად არ დარჩებით? – ჰკითხა ჩეტმა. – სულ რამდენიმე წუთში სადილი მზად იქნება.

– ლორდ ჩეტ, თქვენი ძალზე მაღლიერი ვარ, მაგრამ მისტერ დეილმა ისედაც უზარმაზარი სამუშაო გასწია ჩემს მაგივრად და ისე მარჯვედ იმოქმედა, რომ სკოტლენდ-იარდის ნებისმიერი მუშაკი ამით იამაყებდა. მე კი კვალს უნდა დავადგე, ვიდრე ცხელია.

– მე მგონი, მოსალოცია, რომ გადავრჩით უსიამოვნო სცენებს, – თქვა ლორდ ჩეტმა. – ახლა კი შევხვდეთ შობას. ვთვლი, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა, ძალიან კარგად.

მისი სახე კვლავ განათებულიყო სიხარულითა და გულითადობით, როდესაც თავისი საფულები ამოიღო ჯიბიდან:

– ნორა, ჩემო ძვირფასო, უნდა მიიღოთ ბებერი კაცის მობოდიშება ყველაფრის გამო, რაც დღეს შეგემთხვათ. და აი, ეს კი საჩუქრად მიიღეთ ჩემგან. არა, უარი არ გამაგონოთ და, გარდა ამისა, გაცილებით უსაფრთხო იქნება, რომ ბანკნოტის ნაცვლად ჩეკი გაუფგზავნოთ წითელ ჯვარს.

ვანო ჩხიკვაძე

მცირე პროზა



მთავარანგელოზობა ღამე

პირველი ფიფქები ცერად ხაზავენ მოძალებულ სიბნელეს. ფერმკრთალდება კავკასიის ყელზე შებმული, პირველი თოვლით გაპუდრული მთების გრეხილი, ამოუცნობ ზრახვებში დაყურსული ხეობები, გამოზშირული სოფლები.

ოდნავ მბჟუტავი ნათურა ღია აივანს და სარდაფის ჩასასვლელს ანათებს, სადაც სხვადასხვა ჯიშისა და ხარისხის ერთმანეთზე შემოდგმული ხილის ყუთები აყუდებულან. იქაურობას ვაშლისა და კომშის სურნელება აბრუებს.

ფანჯარასთან, ხარისხზე ჩამოკიდული ყურძნის ჯაგნები, თაფლისფრად ბზინავენ. შესჭკნობიათ აქა-იქლა შერჩენილი, შაბიამნიანი ფოთლები და, სულის შემძვრელად ტკბილსა და ბედნიერ, შორეულ ღამეებს მახსენებენ. მახსენებენ სახეებს, ხმებს, შეძახილებს, დაყვავებას, ალერსს, ჩხუბს, განევ-გამონევას, ხირაობას, დალოცვას, ჭრაქის შუქზე მოკრიალე, ღვინის პირნატეხილ ჭიქას, ხელიდან ხელში რომ გადადიოდა, ცხადად ვხედავ სანნახელში ჩამზობილი გოდრიდან დახორავებულ ყურძენზე ფეხების რიტმულ მოძრაობას. ამ ფეხების ალილინებული პატრონის შექეიფიანებულ სახეს, სანნახელის ყელიდან დაძრულ ბადაგის ნაკადულეებს, ღარში რომ მოშუოდნენ და მუცელმერთა ქვევრებში იკარგებოდნენ...

მთავარანგელოზობას მოსახდელი ზედაშე იმ ღამეებში დატალახდებოდა, ცალკე ქვევრში შეინახებოდა, დადუღებულ-დანმენდილი და ოცდაერთ ნოემბრამდე ვინ იყო ხელის მხლებელი.

ახლაც ის ღამეა, ოღონდ დროა გასული, ჩვენთვის, ადამიანებისთვის, თორემ მარადისობამ რა იცის დასაწყისის ან დასასრულის, არც აკლდება და არც ემატება.

ის ღამეა-მეთქი, გამდლიშვილების ოჯახში, შუშაბანდში გაშლილ სუფრაზე ბრწყინავენ სახლში ჩამოქნილი, თაფლის წმინდა სანთლები. უხმოდ ინვიან და მხოლოდ კარის გაღებისას თუ გადაუქანდებათ ალი.

ოჯახის უფროსი, სევერიანი დაგვლოცავს, ზედაშეს ცოტას მონრუპავს და ბოდიშობს, ამ ბოლო ხანებში წნევა მიწევს, უნდა მაპატიოთ.

გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №23

გაპატიებთ, მამ რას ვიზამთ, შენ არ შეგიძლია, მე აქ არა ვარო, ამშვიდებს ალიკა მამას და ჭიქას ჩამოართმევს. დეკაცის მუჭაში ჭიქა იკარგება.

ფეხზე ვდგებით, ვადლეგრძელებთ ოჯახს და, ერთი ჩვენგანი, ექსპრომტსაც მიაყოლებს:

– მითხარ, ჩემო სევერიონ,
აბა, როგორ შეგელიოთ.

მადლობა ღმერთს, რომ ამ ჭერქვეშ
კიდევ ერთხელ შეველიო...

ექსპრომტი კოჭლი და ბრუტიანია, მაგრამ გულწრფელია, სახელდახლოდ რა უშავს.

ოჯახის უფროსი კმაყოფილი ილიმება. ალიკას აცრემლებას კი ბევრი ხომ არ უნდა – თქვენ კი გენაცვალეთ, თქვენა, როგორ გამახარეთ, რომ ამოხვედითო. ბარის ტარით გაუხეშებული ტაბიკა თითით უპეს ინმენდს და გვეუბნება, რაღაც მინდა მოგიყვებო, ოღონდ თქმა თქვენ უნდა დამაძალოთ, რამდენიმე ჭიქის მერეო.

შევახსენეთ „რამდენიმე ჭიქის მერე“.

არაო, ცოტაც მაცალეთო.

ალიკას მეორეკლასელი ბიჭი დროდადრო მორიდებით შემოიხედავს, ოთხი წლის გოგო კი სულ თავს დასტრიალებს, ხან მუხლებზე უზის, ხან ზურგზე, ხანაც, აჭყლოპინებული, კისერზე მაგალობელი ჩიტივით დააფრინდება ხოლმე.

– მოგხვდება, იცოდე! – ხმას იმკაცრებს ალიკა, მაგრამ რა დიდი მიხვედრა უნდა, გულით რომ არ ამბობს და გოგოც, კოპლებიანი კაბით, ახლა ჭიამაიასავით დაცოცავს მამის განიერ მხრებზე.

– ბიჭი რომ შეგვეძინა, ვფიქრობდი, ამნაირად ვინ შემყვარდება-მეთქი... გოგო სხვა ყოფილა!.. აბა, როგორ უნდა იტირო მამაი, შვილო, – თოჯინასავით შეათამაშებს, მაგრამ ნაქეზება სულაც არ სჭირდება, გოგო დამუშტავს თითებს, ამოისვამს თვალეში და აწრინდება.

როცა ამოვედით, პატარა და-ძმას ჩემი საბავშვო, პანანკინტელა ლექსების კრებული ვაჩუქე.

ვაჩუქე და ატყდა ალიაქოთი, დავიდარაბა, ნენვა-გლეჯა, განევ-გამონევა, არა ჩემია და არა ჩემიო.

ვინანე, რატომ მეორეც არ წამოვიღე-მეთქი.

ვეხვენეთ, მშობლები, პაპა-ბაბო, სტუმრები, ხან შენ გეჭიროს და ხანაც – შენაო, მაგრამ, ეე, ვილამ იცის ჩვენ დროში „ხანშენობა“, ნაეკიდნენ, გააქვთ და გამოაქვთ.

მხოლოდ სოსო ახალბედაშვილი დგას განზე და თავისებურად ილიმება.

მოდ, მოგვეხმარე, ბავშვები დააშველე, რა დროს სიცილია-მეთქი.

რა უდროსიაო, ეშმაკურად მონკურა თვალეები, ავტორისათვის უფრო დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს, მის ნიგნზე ასეთი ჩარბუზანა რომ ატყდებაო...

როგორც იქნა წამოდგა მასპინძელი, წელან რომ შეგპირდით, ახლა უნდა გითხრათო, რატომღაც ჩემსკენ წამოვიდა, წინ განსხვავებულ, მაღალ ჭიქას მოიმძღვანებს და ხელისგულს ისე უფარებს, თითქოს ქარში ანთებული კელაპტარი მიჰქონდეს.

მოვიდა, გადამეხვია, გადამკოცნა და ცრემლმორეული თვალეები მოინმინდა, შენ კი გენაცვალე, შენა, ცოცხალი რომ ხარო.

ბიჭოს, რას ჰქვია ცოცხალიო! – ყურები ცქვიტა ყველამ და სკამებიდან წამოიშალნენ.

– აი, ეგრე!.. გაზაფხულზე, სვერდლოვსკში, ხილი მქონდა ჩატანილი. სასტუმროში, ერთი ჩვენებური გავიცანი... საღამოს სუფრაზე მივიპატიჟე, ცოტა რომ მოვილხინეთ, ახლადწამოსული იყო, გამოგვითხე აქაურების ამბავი... მიჰყვა-მოჰყვა, ამ მთისა თქვა, იმ ბარისა და ბოლოს დააყოლა, ამას და ამას თუ იცნობდიო. ვიცნობდი კი არა, ძმაა ჩემი-მეთქი!.. ჰოოდა, გარდაიცვალაო!.. გასკდა გული, წავიშინე თავში ხელი.. შეწუხდა, მცოდნოდა მაინც, ეგრე ახლოს თუ იყავით, აღარ გეტყოდით... იქნებ გემლება-მეთქი... არაო, ჩვენც ბავშვობიდან ვამხანაგობდით, გასვენებაშიც ვიყავი და ჭირის სუფრაზეცაო... მაჰატიე, ძმაო, დღეგრძელი იქნები, სვერდლოვსკის ერთ სასტუმროში მაქვს შენი შესანდობარი დაღუული...

გაჩუქდა, მღელვარებისაგან ერთხანს ხმა ველარავინ ამოიღო.

– იქ რა თქვი, ჩვენ არ გავგიგონია და, მოდი კიდევ გაიმეორე! – დავარღვიე უხერხული სიჩუმე.

– რას მეუბნები, ღმერთმა აღარ გამამეორებინოს... მერე, ხო გახსოვს, შენ და სოსოს ბაზართან რომ შეგვხვდით – შემატყობდი, გავშრი, ენა დამება... ოჰ, მე იმისი... მისამართი ვიცოდი და შინ მივაკითხე, ძვალ-რბილი უნდა გამეერთიანებინა, მაგრამ არ დამხვდა, ისევე რუსეთში გდებულყო.

ახმაურდა სუფრა, რატომაო, რისთვისაო, რაში დასჭირდა ტყუილის თქმაო, მამ ქელეხშიც ვიყავიო?.. ნახეთ, კაცის გათახსირება სადამდე მიდისო, ბრძნულად ჩაიდუღუნა ერთმა.

– შენ რატომ არაფერს იტყვი, რამ დაგამუნჯა, ხმა ამოიღე – მომიბრუნდა ღვინით და ბრაზით აჭარხლებული თამადა.

ხმა როგორ ამოვიღო, როდის იყო მკვდრები ლაპარაკობენ-მეთქი, მეცინება, მაგრამ, თურმე, სახუმაროდ სულაც არ მქონია საქმე – ვილაცისთვის ცოცხლებში აღარ ვწერივარ, კარგახანია საფლავის ბალახის ფესვებს დაბლიდან ამოვყურებ და, უკიდევანო რუსეთის ქალაქებში, ჩემ სახელზე გადმოფენილი სამგლოვიარო დროშები ხუნდებიან...

მთავარანგელოზობა ღამეა. აქედან სულ ახლოს, ორბოძალის მთაზე, იკორთის მონასტერია – ოთხმოცდათერთმეტი წლის მინისძვრით თალებმორღვეული, ბზარებით აცდენილი კედლებით, მინაზე დამხობილ-დაფშვნილი ქართული ჩუქურთმებით.

მინისძვრის მეორე დღესვე ავედით – იდგა შერყეული, დახეთქილი, გადაქანებული, საუკუნეობრივი საძირკვიდან მონყევეტილი, დაძრული თავს ძლივს იკავებდა, რომ მთლიანად არ ჩაქცეულიყო.

ვიდექით დამწუხრებულები, უღონო ჭირისუფლებით და მონასტერს უკან აყოლებული ფერდობები, ბურქნარები ალპური ზონისაკენ რომ მივბოდნენ, ავი მოლოდინით სდუმდნენ.

გული ცუდად შემომკვნესოდა, ტაძრის ნგრევამ რაღაც უფრო დიდის, მთლიანის, განუყოფელის რღვევის დაწყება გვანიშნა, გაგვაფრთხილა, მაგრამ აღმოაჩინდე-

ბოდა პარტიებად დაქუცმაცებულ ქართველობას იმდენი გონიერება, რომ ამ გაფრთხილებისათვის ყური მიეგდო?

რაღაც ჩამწყდა, თითქოს ეს ლოდები სულ ჩემში დაგორდნენ და ჩაიხვეწნენ, ჩაგლიჯეს, ამოავსეს ხორხი და სხვების უჩუმრად, ნანგრევებს მოფარებულმა, ცრემლი მოვინურე:

მას შემდეგ, ასე მგონია, გულიანად აღარ გამიცინია – გაიბზარა უდარდელი ღიმილის სარკე, თორმეტი სარკმელიდან აღარ ნათდება სულის კედლები და, რა იციან ჩემმა მეგობრებმა, რომ იმ ჩემს მტერ-მოყვარეს, სვერდლოვსკის იაფფასიან სასტუმროში, ტყუილი სულაც არ უთქვამს...

ჩემნაირი, მოსიარულე მკვდარი, ბევრი დადის საქართველოში და ველოდები, როდის დამიძახებენ: ლაზარე გამოდო...

აქ რომ ვიფქავს, რა თქმა უნდა, იქაც თოვს, ათოვს წმინდა ნანგრევებს და კახეთის გმირთა საფლავებს, ჯავრისგან და უილაჯობისაგან პირქვე ჩამხობილები რომ ჩაჰლმუიან ქვესკნელს.

მთავარანგელოზობა ღამეს მათი სულებიც ეშვებინა ციდან. ცივ ლოდზე მორთხმული მუნჯი მორჩილის აპყრობილ მზერას სიკეთის შუქი ავსებს. ფიფქის პეპლები გამობმულან კვრინჩხისა და კუნელის გაკრეფილ ტოტებზე, გაბარჯულ მაცყოვანზე, ხვალ დილით ერთი საწყალი, ლობემძვრალა ჩიტი რომ მოფრინდება და ჩაჰკრავს ნისკარტს, აქ-იქ შემორჩენილ, მაცვლის ჩამჭკნარ, გამოფშუტულ ნაყოფს.

ყინვა ჯერ კიდევ გზაშია, სულსწრაფი ფიფქები კი მალე დნებიან და ბრჭყვიალა წვეთებად მიწისკენ მიიჩქარიან.

გვინდა თუ არა, ჩვენც მივიჩქარო!

„რაც ფოთლებია ხისთვის, ჩვენც ისევე ვართ ქვეყნისთვის და, რაც წელიწადია ფოთლებისთვის, ის საუკუნეა ჩვენთვის“ – უხილავი ზარების რეკვას მოჰყვება მოხუცი ელიზბარის ხმა და გუმბათის სარკმელიდან მოისწრაფის უცხო სინათლე...

– ღმერთო ძლიერო!

– ღმერთო ძლიერო!

– ღმერთო ძლიერო! – სამგზის ვიმეორებ, მაგრამ რას გვედრები, ამას კი ველარ ვამბობ, ანდა უფალმა კი არ იცის, რასაც ვეტყვი და შევთხოვ?..

გვიან ავიშალეთ.

ღუმელთან მიდგმულ ტახტზე გოგო-ბიჭს თავშექცევით ეძინა. როცა გაიზრდებიან, ეს ღამე, სანთლები, მაგიდის გარშემო დაბორილებული, გაბრაზებული ლანდები, სიზმარში ნანახივით გაახსენდებათ – შორეული მოგონებები ხომ გაჩხრეკილი ნაღვერდლიდან ალივით ამოელვარდებიან და უცებ ქრებიან ხოლმე...

როგორც შემთვრალ ქართველ სტუმარ-მასპინძელს ეკადრება, გამოთხოვება ხანგრძლივია და გულის ამაჩუყებელი.

მომავალ მთავარანგელოზობას ნულარ დაელოდებით, მანამდეც გვნახეთო.

ვპირდებით, უეჭველად გესტუმრებითო, ოღონდ, მხოლოდ ჩვენი სურვილები რომ არ კმარა? – რა ვიციო, საიდან და როგორ დაუბერავს წუთისოფლის ქარი.

– ისე არ იქნება, იმ ჩემს მახარობელს კიდევ არ შევხვდე!.. ტყუილი და ესეთი?.. გაგიგონია, კაცო? – ალიკა ისე მიყურებს, თითქოს მაინც არ სჯერა, რომ ცოცხალი ვარ და მუშტით მკერდს მონდომებით იხეპავს.

ასაკი

რთული მდგომარეობიდან – სიმარტივისაკენ. სტრიქონები უბრალოებისაკენ გარბიან. შემოდგომის სიმყუდროვეში ყველაფერი გასაგებია – დამთავრდა ფორიაქის ეპოქა, დაინმინდა წყალი, ფსკერზე ლივლივებენ გაკრიალებული კენჭები. წარსულში, კედელზე აბობლებული, ანდა ფანჯარასთან მიპარული ბავშვივით იჭვრიტები და გეჩვენება, რომ (თუ მართლა ასეა?) იქ ყველაფერი, როგორღაც რბილი, აზრიანი და გასაგებია. ვფიქრობ: დღევანდელობის სისასტიკის, დაუნდობლობის გასაღები მხოლოდ ტექნიკური პროგრესის, გრძნობების გაცივებაში არ უნდა იდოს. სამყაროს გლობალური დათბობა ემუქრება, ადამიანურ ურთიერთობებს – გამყინვარება. ახალგაზრდობის სერიოზული ნაწილი დღევანდელობას ზედაპირულად იღებს, ითვისებს, ინოვს, ეგუება... ეჭვიანი ასაკი დღევანდელს არ სჯერდება, წარსულის ნაცარშიც იჩხრიკება და გულსატკეპნი დასკვნები გამოაქვს.

დარო

ჩია, გამხდარი დედაკაცი იყო. სიარულის დროს ხელჯოხს ეყრდნობოდა, ქვედაბოლოზე გამოკერებულ ჯიბეში მუდამ ეწყო სხვადასხვა სასუსნავი – ისე არ დაგსაქმებდა, არ დაეჯილდოებინე. პატარა ვიყავი, წითელა ბატონები რომ გვესტუმრა. რამდენიმე დღე, სიცხისაგან, ძილბურანში ვბოდავდი. ცოტა ხნით წათვლემილს დამატრიალებდა, ამიტაცებდა ქარბორბალა თუ ცხელი ნიაღვარი და გამედვიძებოდა ოფლში განუწულს. ვშფოთავდი, დარო რომ მოსულა, ნამცხვრებით და ნაირნაირი ხილით სავსე ჯამით ხელდამშვენებული. ჩამომჯდომია საწოლთან, მოუტანია ნახშირი და ჭიქით წყალი, ამოულია ჯიბიდან ცხვირსახოცში გახვეული, პირგალეული, შავტარიანი დასაკეცი დანა, შესალოცად პირი აუცმაცუნებია, რომ სახე უკმაყოფილოდ მომჭმუნებია, ავფორი-აქებულვარ, საწოლიდან წამომინვია: – ღორები, ფუჰ, ამდენი ღორი ვინ შემორეკა! დედაჩემს შეშინებია, ეტყობა ისევ სიცხემ აუნია და აბოდებსო. დარო მაშინვე წამომდგარა და სწრაფად გასულა ოთახიდან, მომცილებია, მომიკვდეს თავი, ღორის ხორცი გავრეცხე, ხელები საპნით არ გადავიბანე, მხოლოდ ნაჭერზე შევიწმინდე და, ხედავთ... ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, ასე როგორ შემოვედი, წითელებიან ბავშვთანო...

დაროს გასვლა იყო და, დავმშვიდდი, დავწყნარდი... უბანში ყველაზე ადრე დგებოდა და გვიან წვებოდა, მარტო ასდიოდა იმხელა ოჯახს. რალაც ჰქონდა ისეთი, დიდ-პატარას მოკრძალებით, პატივისცემით რომ განაწყობდა. მეზობელს ხელგაუმართავს არ გამოუშვებდა, ოღონდ, ამბრიდან ამოღებულ ფქვილით თავმოდგმულ ჯამს ვიდრე გაატანდა, ორი თითის წვერს სამჯერ ჩაჰკრავდა და რამდენიმე ნამცეცს უკან, ამბარში ჩააბრუნებდა, ბარაქა არ გაჰყვესო.

კონცერტი

როიალს გამხდარი, შავთმაგადავარცხნილი გოგონა მისჯდომია – ბეთჰოვენის ოცდამესამე სონატას ასრულებს. მისი მზერა და გონება გაფაციცებით ჩაჰფრენია კლავიშებს, როგორც იადონი გალიაში ჩამობმულ საქანელას. თითები თვალაუხელები ლეკვებივით დარბიან კლავიშებზე, დაეძებენ, პოულობენ და კარგავენ ერთმანეთს. ფანჯარაში ლურჯი რვეულის ამონახევივით მოჩანს გაზაფხულის კრიალა ცა და, ტოტზე დაკიდული, ახლად გაფურჩქნული, იასამნის თეთრი ყვავილი.

მუსუსი

– ჰო, ჰო, ეხლა გამომივიდა მამა-აბრამის ბატკანი!.. გაჩერდი, ნუ წუნუნებ!.. წლებმა კი არა, ქალების დევნამ დაგაბერა!.. მე მასწავლი, არ ვიცი, რაც იყავი? – „პარაოზისტის“ კასინკა რო მოგვეხვია, სოჩამდე და იმის იქითაც ჩაჰყვებოდი... შენნაირი არგასაშვები, მუსუსი, დუნი-ას არ ახსოვს!.. – მოგიბრუნდა, – განა დღესაც კი არ გაექცევა ხოლმე ქალის კოჭებისაკენ თვალი, ანდა უფრო ზემოთაც არ შეუგორდება, მაგრამ რალა ქნას, ეგრე მიაბა ბებერი ქოფაკივით ასაკმა და დაფუტუროვებულმა მუხლებმა აიმ სკამზე... იყეფოს, რამდენიც უნდა, ეხლა ჩემი დრო დადგა და მე უნდა ვიციხო და ვიხარხარო... მეე, მეე!.. – ქალი გულმოსული ჩაბუსკნის მუშტებით სახაჭაპურე ცომს და ძველისძველ ჯავრებს, დაუძლურებულ ქმარზე, ამითლა იყრის.

„ჩაპრულო“

გადაცემა რადიოში – ლათინო-ამერიკულ და ესპანურ ხალხურ სიმღერებზე, მუსიკალურ ფოლკლორზე. საუბრობენ სხვადასხვა სამუსიკო ტრადიციების, ფორმების შეერთება-შერწყმაზე, ახალი შედეგების შექმნაზე... ალბათ, სადავოც ბევრია და გასარკვევიც – ორიგინალები ხშირად ერთგან ინახება, მეორეგან კი მხოლოდ ასლებია წაღებული – მრავალ ქვეყანაში გაჟონილმა მოსახლეობამ, მატერიკების აღმომჩენებმა თუ დამპყრობებმა, თან გაიყოლეს სამშობლოს რიტმები, გადარგეს, უცხო გარემოში ახარეს.

ჩვენი რომ არავის არ ჰგავს? – მხოლოდ ჩვენია და მიწებით, მატერიალური კულტურის ძეგლებით ვერ მიითვისებენ – მის გამოყენებას თვითმყოფადი ქართული ნიჭიერება, სმენა, მუსიკალური კულტურა ესაჭიროება! და რადგან მას, მწვანე პლანეტაზე ტყუპისცალი არ მოეპოვება, ეტყობა, ჩვენში „შუამავლის“ გარეშე ჩაისახა, გასაოცარი, ორიგინალური ინტონაციები, ხმების ფიქრ-ვერკი – ხან ნემსის ყუნწში გამძვრალი, ხანაც ცისქვეშეთში ვერდატეული გუგუნე – ოლონდ, არა წამლეკავი, დამანგრეველი, არამედ უშიშარი, იმედიანი, ლალი და მკაცრი, როგორც სამი შეტყუებული თითი, წმინდა რიტუალი, უფლის სადიდებლად გარდასახული პირფვარი...

იცით, რას გეტყვით – თუ ჩვენ არ ჩავიჩოქეთ, არ ვაქციეთ ზურგი, არ წავიშაღეთ, „ჩაკრულოს“ მომრევი იმპერია დღემდე არ დაბადებულა და არც დაიბადება.

უკვდავი

თვალს ძლივს მოსწყვეტს ქვაფენილიან დაღმართზე ნიოკით ჩავლილ, დაბურულშუშებიან სამთავრობო მანქანებს და სეზონისათვის შეუფერებელ თხელი პალტოს ანეულ საყელოში კისერჩაძვრენილი ამოიხაველებს:

– ამათ იკითხონ, ხვალ-ზეგ რომ დააყირავებენ, თორემ ჩემი ერთი ლექსი მაინც დარჩება!..

იტყვის, გამოაჯავრებს, შეახარბებს თავის სიკვდილისშემდგომ ხვედრს ვილაცხვებს, რბილ სავარძლებში ჩაძირულები, ნებიერი კატებივით გაფუმფულუბულები რომ ჩაჰვრენიან სახელურებს.

შეახარბებს, მაგრამ ასეც რომ მოხდეს, შთამომავლობამ გულისფიცარზეც რომ დაინეროს ის „ერთი ლექსი“, რატომ ჰგონია, რომ ყველა თანახმაა „უკვდავების“ ამგვარ „ფორმაზე“?..

მერე მიუყვება აღმართს, წონილით დაღლილ მუხლებზე დაჯაჯგურებულმა ქარმა ლამის გამოსტაცოს რედაქციიდან რედაქციაში ნათრევი, დიდი ტყავის ჩანთა და, ისიც, თავის ხელჩაკიდებულ პატრონს, რალაცით უკმაყოფილო, გაბრაზებული ბავშვივით მისდევს.

თანამგზავრი

– მამაკითხე, მგონი უკვე გკითხეთ... თქვენი სახელი?... ხო ყველა მხრიდან ქართველი, არა?... დღეს ეგრე ადვილად კაცს ვეღარ დაელაპარაკები... იმ დალოცვილ შოთას ის კი არ უთქვამს, ყველაფერი უთავბოლოდ გაეცითო, რო მივდექით და ვარიგებთ გვარებს, მიწა-წყალს, სახელ-დიდებას... ჰო, ჰო, ჰო, მაინც მაგრები ვართ, ქართველები... ვიყავით კიდეც – აგე, აიმ ციხიდან, ხო ამოუგდეს თურმე ხელებში ასხმარტლებული... მამა, მამა, იმ გატილებულ ხრიოკში დანთებულ, გაგანია სიცხეში დაგვინახებია მტრისთვინა, გარეშემო ჭრელა-ჭრულა ჩალმებით, მახრჩობელასავით როცა იყვნენ ცხრაპირად შემოხვეულები... დაანახვეს და დაკლაკნილი ვერცხლივით რო გაელვარდა ჰაერში, დაგიჟდნენ თურმე თათრები, სულ ტრ... კაკალი ამტვრიეს, საიდანაო, რანაირადაო, ჩვენ აქ დუბე-

ლა, უგემური ნყლით სულს ძლივს ვიბრუნებთ და მზეზე მიფიცხებულ, ყელგამშრალ სიცხეში ცივი მდინარის თევზს რა უნდაო, მინიდან ამოძვრა თუ ციდან ჩამოვარდაო... ძვირად კი დასჯდომიათ, იქაც, სხვაგანაც, მაგრამ... ხოში ჰქონდათ და ისწორებდნენ... სხვა ვერ იზამდა, ვერა, ერთი მუჭა მწვანილისათვისა... ვერც ტილიანი მონლოლისთვინა... ეგეთები ვყოფილვართ, სისხლი უანგარიშოდ გვინთხვია, მაღლობა არავის უთქვამს, მაგრამ... ჰა, რას იტყვი, ჯიგრიანად ხო ამოუგდეს, თვალები დააყვლეფინეს, ღერ-ღერ აგლეჯინეს შეღებილი წვერი – ამ გაგანია სიცხეში ცოცხალი საიდანაო... ბოდიში, თქვენი სახელი? მგონი უკვე გვითხარით, არა? კიდეც ბოდიში, უთვალავი ბოდიში...

არ ტყუის ეს კაცი, მართლაც მოდი და ნუ იამაყებ, მამ მეტი რაღაა ქართველობა, თუ სისხლის ნაცვლად ნახადი არ გიდულეს, როგორ შეიძლება ნერვი არ შეგითრთოდეს... სხვა ამას ვინ იზამდა, ან მწვანილის ანდა ბაღდადის ციხისათვის... მხოლოდ ჩვენა, ჩვენ ხომ სახელისათვის მეტროლოები ვართ, იმ სახელისათვის, რომელიც ხან გვლუპავს და ხან გვაშენებს.

თვალსანიერზე კი, გადატრუსული მთის თავზე, ცისა და მიწის შესაყარზე, ტილოზე მიმხმარი, უფერული საღებავით მიღლაბნილა ქსნის ციხე, სხვა სახელითაც რომ შემორჩენია ჩვენს მეხსიერებას – ეს დეკორაციაც კაიხანია ჩამოინერა, მის კედლებთან ტრაგედიები აღარ თამაშდება. აღარც მომხდურია სადმე და აღარც დამხდური, მგზავრობით დაღლილი გამვლელ-გამოვლელის მზერა თუ შეაცოდებდა ხოლმე და ისიც მალევე ივინყებს, როგორც კი თვალს მიეფარება...

თანამგზავრი ისევ ბოდიშობს, ისევ ჩემი სახელი აინტერესებს.

ვეტყვი, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, მაინც ვერ დაიმასხვორებს. ვერ კი არა, არ დაიმასხვორებს, იმ საგმირო ეპიზოდის გარდა სხვა ვერაფერი ჩატეულა, სხვა აღარაფრისათვის დარჩენია ადგილი გახვითქული შუბლის ჩარჩოში.

ჩაივლის დაღმართს ავტობუსი, მიიმალეა ციხე თუარა გამოეღევა აღტაცების საფანელი, ფანჯარას მიყრდნობილი გადაადგებს გვერდულად თავს და აისორების სოფელთან უკვე ხვრი... ხვრინავს... ოკმელი მოყვრებისაგან გამოყოლილი ბახუსი აქ გამოჰკრავს შუაკაურს, მიჰკუნჭავს, მიაგდებს კუთხეში და დაეხნიქება ქვედა ტუჩზე ჩამოფენილი უღვაშის ბლუჯა.

სიმხალე

სიზმარში ვნახე: ვითომ ჩემს ორ მეგობარს ვილაც ნაძირალები თავს დაესხნენ და ცემა დაუნყეს.

ძილშიც მახსოვდა გადატანილი ნაოპერაციები, შემეშინდა, განზე გავდექი, მეგობრებს ვერ (არ) მივხმარე. მთელი დღე სირცხვილის გრძნობა მტანჯავდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ელგუჯა თავბერიძე

აირევი ივერია

თავი პირველი

„აი დროვა აშორდია“
სალდაძისა და სხვათა საგონებელი

1900 წელია. 21 იანვარი. თეთრადაა გადაპენტილი ქუთაისი. ხან თოვს, ხან ცრის, წამოუშენს, მოყინულ თოვლს ააბორბოლებს, დაატრიალებს, ჩაწყნარდება, მერე ისევ აათოვლნარებს. ბულვარში უმეტესი ხე მარადმწვანეა, შუა ზამთრის ოდნავ ჩამუქებული მწვანე ფერი ჭიატობს თოვლში.

ზამთარია, ძვალ-რბილში გამტანი სიცივე. აღარ ბულვარობს ბულვარი. გაგარინის მოფიქრებულ-დაარსებული, ქუთაისელთა საფიხვნო, გართობის, საქმის გარჩევის, აყალმაყალის, დასვენების ადგილი. აქ ხდება ყველაფერი, სხვაგან მომხდარიც აქ ითქმება, იჩხრიკება, ინონება. ეს ადგილი ქალაქის სახეა – ბულვარში გავარჩიოთ, ბულვარში შევხვდეთ, ბულვარში დავისვენოთ, ჩვეულებრივი თქმაა. სხვაგან არა, სხვაგან შეუძლებელია... ბულვარში... აქ სხვა ხიბლი აქვს ყველაფერს, სხვა შნო, სხვა ლაზათი.

ეს იმ დროს, როცა ბულვარი ბულვარობს. ამინდია. ახლა გარეთ ვინ გამოყოფს ცხვირს, ცრის, თოვს, აბორბოლებს.

ვინმე სალდაძე, მცველ-ყარაული ბულვარისა, ყველაფერს აკვირდება, ზომავს, წონის. სისხამი დილაა, სიცივე-მომეტებული, გამყინავი, ცოტა ხალისიანი, უფრო გამთოშავი. ბულვარი დუმს, ზამთრის სიწყნარით ჩაჩუმებულია, გაზაფხულისპირს აჟრიაშულდება, გაცოცხლდება.

დადის, მიდის, მოდის სალდაძე. წინნასული უკან ბრუნდება. უკანმყოფი წინ მიდის და პირიქით. დადის, ტკეპნის ბევრჯერ გატკეპნილს. ალიანდაგებს თოვლს, ერთხელ გავლილს აკვირდება, ნაფეხური ჩანს, არც ჩანს, მიდის, მოდის, სერავს, კვალავს. ბუჩქებს, ხეების გვერდზე გაზიდულ ტოტებს ათვალთვობს. ერთხელ ნანახს ნახულობს მრავალჯერ. იქნებ ტოტი მოდრიკა თოვლმა, უნდა ნახოს, გაასწოროს, ძირს დაწვენილი წამოაყენოს. სისხამი დილაა, ჯერ კიდევ არ გამოჩენილა მისი შემცვლელი. ამიტომ ურჩევნია გადაბარებამდე გაჩხრიკოს, მიათვალ-მოათვალთვლოს ყოველივე. დადის, ეძებს მოტეხილ ტოტს, თოვლის სიმძიმით გადაწვენილ ბუჩქს, დადის, ვერ პოულობს.

და უცებ დაინახა მოტეხილი ტოტი, მოსარგალებული თოვლი, ქალაქში შეფუთული რალაც გრაგნილები. ეძებდა ერთს, ჰა და ჰა, ორს, იპოვა სამი. შეკრთა, შეშინდა. წინ და უკან მოსიარულემ უკან-უკან იწყო სვლა. ლენინის ნათქვამზე უარესად, ბიჯს რომ წადგამდა წინ, ოთხს სანინალმდეგო მიმართულებით აკეთებდა. უნდო-

და, წინ ნასულიყო, გრაგნილს მიახლოებოდა, უკან მიდიოდა. აინტერესებდა, რა იყო ეს უჩვეულო გრაგნილი, რაც უფრო აინტერესებდა, მით უფრო იპყრობდა შიში და შორდებოდა იმ საინტერესოს.

მიდიოდა, წინ, სინამდვილეში უკან და, რაც უფრო მიდიოდა, უფრო სწორად, დადიოდა, შორდებოდა მოტეხილ ტოტს, გადატკეპნილ თოვლს, ბუნებრივია, გრაგნილს, თუმცა ეს ნივთი ბუნებრივს არა ჰგავდა, ჩვეულებრივი არ იყო, ბუნებრივად შორდებოდა არაბუნებრივს.

ვერ გაიგო, ვერ წარმოიდგინა, ვინ მოიტანა, საიდან გაჩნდა... არც ის იცოდა, რა ხდებოდა ქალაქში, აშორდია-სა და მის ჯგუფზე, ღამით რომ მოათრის და ბაღში დააგდეს სამეგრელოს მთავრის წყალობის სიგელებით, სხვა ყალბი დოკუმენტებით გაძეგვილი ეს შეფუთული გრაგნილი, წარმოდგენა არ გააჩნდა.

უნდოდა ენახა, რა ეყარა შიგ, სურდა, მისულიყო, შორდებოდა... და ასე მისვლის სურვილსა და რეალურ დაშორებაში მიაღწია თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულომდე. იქ გაამხილა გასამხელი. ისინიც აფორიაქდნენ, დაინტერესდნენ და აღმოჩნდა, რომ გრაგნილში იყო სიგელები, გუჯრები, ძველი, ნამდვილად ძველი, ერთი შეხედვით, ორითაც, მეტჯერ აღარ შეუხედავთ, პირდაპირ საოლქო სასამართლოსკენ გააქანეს.

სალდაძის პირველი საფიქრალ-სადარდელი: რატომ ეყარა ბაღში სიგელ-გუჯრები, ვინ შემოაპარა, ვინ მტრობდა, ვის სურდა მისი ადგილი.

მეორე – უფრო სადარდო და სავაგლახო – არავის დაუკითხავს, არავინ არაფერს შეკითხვია, ყველას ჩხრეკდნენ, ყველას ეძებდნენ, ყველაზე ეჭვიანობდნენ, ზოგს აშორდიას აზნაურად ასახელებდნენ, ზოგს კიდევ მის მხარდამჭერად, ყველა ყველას ეჭვით უყურებდა, ძველი თავადი აშორდიას თავადს და პირიქით, ერთნი ქირქილებდნენ, მეორენი დუმდნენ, მესამე ნაწილს ცხვირ-პირი ჩამოტიროდა, ეძებდნენ, ჩხრეკდნენ სალდაძის მსგავსი ან უფრო მეტი გულმოდგინებით. სალდაძე არ დაუკითხავთ, ეჭვი არ შეუტანიათ მის გულმოდგინებაში, ბულვარში შეფუთული გრაგნილები ნახა, შეჩქევდა, მიახლოება ვერ გაბედა და წინ და უკან (უფრო უკან) სიარულში თავადაზნაურთა საკრებულოში ამოყო თავი.

თქმა ზედმეტია, ესეც არ იყო ნაკლებ საეჭვო და საორჭოფო.

და მაინც, ვინ იყო სალდაძე, უბრალო დარაჯი ბულვარისა თუ აშორდიას თალღითობაში გარეული, როგორც სასამართლო საქმეებში წერია – აგენტი, ხელისდამცლელი, კლიენტის მშოვნელი – თავადობის ან აზნაურობის მაძიებლის მშოვნელი და ვარკვეული გასამრჯელოს მიღების შემდეგ აშორდიას ჯგუფთან საქმის გამკვარახებელი. თუ ასეთი იყო, ხომ უნდა დაეკითხათ, როგორც უმრავლესს მოექცნენ, ჩვენება ჩამოერთმიათ?! ოდნავ საეჭვოებსაც სახლები გაუჩხრიკეს, უთვალთვალეს, სალდაძისთვის უბატონოდ ხმა არავის გაუცია, არ გახსენებიათ, სავარაუდოა, იგი მართლაც უდანაშაულო იყო, უბრალო მნახველი ბულვარში შემოცურებული შეფუთული გრაგნილებისა, წარმოდგენაც არ გააჩნდა, რა ეყარა შიგ. ერთი სიტყვით, უნებლიე მოწმე გახდა აშორდიას საქმეების გახსნისა – ბულვარში შემოვლის დროს გრაგნილების ფუთა აღმოაჩინა, შეჩქევდა, შეშინდა და თქვა

არსათქმელი, რას ამჟღავნებდა, არ იცოდა, რას ამბობდა, ვერ გაეგო, თქვა სხვა, აღმოჩნდა სხვა. ნათქვამი და მერე აღმოჩენილი ერთმანეთს არ ედრებოდა, თუმცა აშორდისასა და მისი ჯგუფის საქმეებზე გამოძიების დაწყების კიდევ ერთ სამხილად იქცა.

მანამ სხვა სამხილებიც მოძებნეს:

1893-1900 წლებში საოცრად იმატა თავადთა და აზნაურთა რიცხვმა. ასეთი ხდებოდა ყველა, მოჰქონდა საბუთი, რომელშიც მისი წინაპარი თავადად ან აზნაურად იყო მოხსენიებული და ეს საკმარისი გახლდათ მისი წოდებრივი მდგომარეობის დასამტკიცებლად. უფრო კონკრეტულად, წარადგენდნენ სიგელს, ვთქვათ, სამეგრელოს მთავრისას, სადაც მავანი და მავანი, თუნდაც რალაც დავაზე, თავადად ან აზნაურად იყო მოხსენიებული, და ეს ყოფნიდა შთამომავალს. თუ სადმე საბუთში შენი წინაპარი აზნაურად იყო მოხსენიებული, მორჩა, გააზნაურდებოდი, თავადად გათავადდებოდი.

თავადდებოდა, აზნაურდებოდა უფრო მეტი, ყველა, უფრო – თითქმის ყველა.

1866 წლის 17 აპრილს სამეგრელოს მცხოვრებთა წოდებრივი უფლებების გასარკვევად ზუგდიდში დროებითი კომისია შეიქმნა. მომდევნო წელს მხარე ქუთაისის გუბერნიას დაუქვემდებარეს და კომისიაც იქ გადავიდა. გაიდა კიდევ ერთი წელი და კომისიის საქმეების შესამოწმებლად ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა საგანგებო კომისია შექმნა. შეიქმნა კომისია, კომისიის კომისია, ქვემდგომის ზემდგომი და პირიქით, იმის გასარკვევად, ვინ თავადად ეცნოთ, ვინ აზნაურად. კიდევ ექვსი წელი მიილია და გამოიცა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს საბჭოს დადგენილება, რომლის მიხედვითაც, პიროვნების ამა თუ იმ წოდებისათვის მიკუთვნების საქმის გარკვევა დროებით კომისიას დაევალა.

ისევ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მამალმა იყილა, დაღამდა, გათენდა, პირუკუ და ამ ამბების დაწყებიდან ზუსტად 24 წლის შემდეგ, 1890 წელს, კვლავ 17 აპრილს გამოიცა ბრძანება, რომლითაც წოდებათა საქმის განხილვა ქუთაისის თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს პრეზიდიუმს გახდა. პიროვნებას ხუთი წლის განმავლობაში უნდა წარედგინა რაიმე დოკუმენტი, სიგელი, ბრძანება და ა.შ. რომელშიც მისი წინაპარი თავადად ან აზნაურად იქნებოდა მოხსენიებული. შემდეგ ეს ხუთი წელიც გააგრძელეს, მეორე ხუთეული დაუსართეს.

1866 წლის 17 აპრილს დაიწყო და კანცელარიის ენაზე რომ ვთქვათ, ზუსტად 24 წლის შემდეგ გამოიცა ინსტრუქცია, ვისაც რაიმე წოდებაზე პრეტენზია აქვს, წარმოადგინოს დოკუმენტი, მამა, პაპა, უფრო შორეული წინაპარიც თუ იყო ამ წოდების მატარებელი და მორჩა.

1866 წლის 17 აპრილიდან 1890 წლის 17 აპრილამდე ზუსტად 24 წელი გასრულდა. 24 წლის იყო სოლომონ აშორდია, მისი ნაყალბევი რომ გამჟღავნდა და დაიწყო გამოძიება. ეს მოხდა 1900 წლის იანვარში. მერეც ბევრი ოცდაოთხი გაკრთება გვაჯი აშორდიას ვაჟის – საცოლ-შვილო, სპეციალური განათლების უქონელი სოლომონის ცხოვრებაში. მათზე ქვემოთ ვიტყვით. ამჯერად ერთი ოცდაოთხი დაემთხვა მეორე ოცდაოთხს, ერთი 17 აპრილი მეორე 17 აპრილს. შემთხვევით თუ საგანგებოდ, ძნე-

ლი სათქმელია, მაგრამ ამ ამბების გაჭიანურება, განელვა, რუსეთს ხელს რომ აძლევდა, ნათელია. თავიდან იქნებ ფიქრობდნენ, ძველ სიგელ-გუჯრებს ბევრი ვერ იპოვის და თავადაზნაურთა რაოდენობა შემცირდებაო, მერე საპირისპიროდ გაიაზრეს, შემცირებას გაზრდა ამჯობინეს – ბრწყინვალე წოდებას ვიგინდარები შეერევა, აითქიფება, აირევ-აიდღვიბება ყველაფერი, რაც დამპყრობლის სურვილია, ინტერესია.

წარდგენილი სიგელ-გუჯარი სამეგრელოს მთავრის ე.წ. გასავლის წიგნებში უნდა აღმოჩენილიყო, მერე კიდევ მათ სანდოობას სამეგრელოს მმართველობის საბჭოც ამონმბება საიდუმლოდ. მერე თავადაზნაურთა საკრებულო, ბოლოს სენატი, ერთი სიტყვით, მექანიზმი ისეთი იყო, მართლა თავადური წარმომავლობის კაცსაც გაუჭირდებოდა რაიმეს დასაბუთება.

მაშ, პანტა-პუნტით რატომ ხდებოდნენ თავადები და აზნაურები, მათ შორის ისეთიც, არასდროს რომ არ ყოფილა. რატომ და აშორდიასა და მის დამქაშთა წყალობით ყველაფერი ადვილად მისაღწევი შეიქნა. ვითარება ამგვარი გახლდათ – მსურველი სურვილს იკლავდა, საქმის მკეთებელი ფულს იღებდა, ორიათასამდე პიროვნება გააზნაურდა ან გათავადადა აშორდიასა და მისი მეგობრების შემწეობით – წერია სასამართლო საქმეებში და იქვე ჩამოთვლილია პიროვნებები, ისინი მერე განვიხილოთ.

თველი მსურველი რომ აზნაური ხდებოდა, ან კიდევ თავადი, ეს ბევრისთვის იყო ცნობილი. კიდევ ვიმეორებთ, რალაც დოზით მთავრობისგანაც ნებადართული უნდა ყოფილიყო, გლეხიც თავადად ქცეულიყო. ასე უფრო იბატონებდა, ქვეყნის პატრონ თავადაზნაურობაში სხვები შეერეოდნენ, უიდეალო ხალხით გაივსებოდა ეს წოდება და უჯობდა, რა თქმა უნდა.

თუ ასე იყო, მაშ, რატომ გაამჟღავნეს, სააშკარაოზე გამოიტანეს აშორდიას საქმე?! ესეც ფანდი გახლდათ, ამ ამბების მერე ნამდვილი თავადაზნაურობა შეურაცხყოფილი, ჩირქმოცხებული, მის რიგებში ვიგინდარებშერეული რჩებოდა, რაც, აგრეთვე, მიზანი და ოცნება გახლდათ დამპყრობლისა.

საღდაძემ ეს არ იცოდა, წარმოდგენაც არ გააჩნდა ამ ამბებზე. წინ და უკან ან პირიქით დადიოდა, შეძლებისდაგვარად ალიანდაგებდა მოთოშილ-მოყინულ თოვლს და ნაანყდა დოკუმენტებით საესე ფუთას.

მანამდე რამდენიმე საეჭვო პირი გაჩხრიკეს და იქაც აღმოჩნდა საეჭვო დოკუმენტები. საეჭვო საბუთები საეჭვო პირებთან...

აქაც უცნაური რამ მოხდა.

ყველაზე ცოტა, სულ 14 სიგელ-გუჯარი აშორდიას სახლში იპოვნეს, ყველაზე მეტი – 250 – თევდორე გეგენავას ადგილსამყოფელში. აშორდიამ იცოდა, რასაც იქმონდა, სხვებმა – ნაკლებად. სიგელს ადგენდა, უზუსტესად ამგვანება ძველს, ფაქტობრივად, ქმნიდა ნამდვილის ძნელად გასარჩევ ასლს და ხელს იცლიდა, იშორებდა, აგენტებს აძლევდა, თავადობის მაძიებელთა პოვნა და თანხის სანაცვლოდ ამ დოკუმენტების გაცემა რომ ევალებოდათ. მოკლედ, არსებობდა ორგანიზებული ჯგუფი, ერთნი დოკუმენტებს ადგენდნენ, მეორენი – სპეციალურ ქალაქს შოულობდნენ, მესამენი ასაღებდნენ და ა.შ. იყო შემთხვევები, სამივე ოპერაციას ერთი კაცი ახორციე-

ლებდა, მაგრამ ნაკლებპროფესიულად, მის დოკუმენტებში სიყალბის კვალი აშკარად ჩანდა. სოლომონ ამორდიას ხელიდან გამოსული სულ სხვა იყო, თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს თანამშრომელს გამოცდილება არ აკლდა, ნიჭიც მომეტებულად ჰქონდა, ნაცნობები სხვადასხვა უწყებებში ხომ ჰყავდა და ჰყავდა.

გაირკვა, ქუთაისის თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში 600-მდე საქმე ყალბი დოკუმენტებით იყო შედგენილი. ვარაუდობდნენ, ასეთი ორი ათასამდეც უნდა ყოფილიყო. ყოველივე კი სოლომონ ამორდიასა და მისი ჯგუფის ნახელავი გახლდათ. ერთი სიტყვით, ამ საქმეში ყველაზე აქტიურად მონაწილეობდნენ: თვითონ სოლომონ ამორდია, თავადი ბესარიონ დადიანი, სიმონ ბარკაღაია, გრიგოლ ბოკუჩავა, სიმონ შელია, მიხეილ ამორდია, ფილიპე ქავთარაძე, ანდრონიკე სალაყაია და სხვები.

ბარემ აქვე ვიტყვით, ყველაზე ადვილად იმ დოკუმენტების შექმნა უადვილდებოდათ, რომელთა გვარში თუნდაც ერთი ერია თავადური ან აზნაურული წარმომავლობისა, აიღებდნენ ნამდვილს, ჩანერდნენ, რაც ენდათ. თუმცა ესეც არ გახლდათ აუცილებლად აუცილებელი. ყველა მსურველს, გლახსა თუ ბოგანოს, ადვილად უგვარებდნენ საქმეს.

ბაღში გრავნილები იპოვეს, საეჭვო პირები გაჩხრიკეს და ასეთივე საბუთები იქაც ბლომად დახვდათ, ამას დაემატა ისიც, რომ ფილიპე (იგივე გოჯასპირ) ლეჟავას თხოვნით ვინმე გოგნაძისათვის (ზოგან ჭოგნაძეა, ზოგან კიდევ ღონლაძე) ყალბი სიგელის დამზადება სოლომონ ამორდიას არ გაჭირვებია, უცებ მოუგვარა, გოგნაძე აზნაურობის კანდიდატად იქცა. ლეჟავამ კიდევ, დაფქვა ყველაფერი. იგი ამორდიას მიუგზავნეს, ზუსტად რომ გაეგოთ, რას შვრებოდა და როგორ. უთვალთვალდებდა გოჯასპირი, იგივე ფილიპე სოლომონს, აკვირდებოდა, კარგა ხანს ვერაფერი გაიგო ქალაქის ცენტრალური ნაწილის პოლიციელმა. მერე თხოვა, დავალება მისცა გოგნაძეს აზნაურობაზე და ამორდიამ ბრწყინვალედ შეასრულა ნათხოვნ-დავალებული. არადა, გოგნაძის გვარი კუნდარმერიის პოლკოვნიკ სტოპჩანსკის ბრძანებით ჯვკასიის კალენდრიდან ამოიღეს, სადაც მისი წოდებაც იყო დასახელებული, სხვა რამეც, იქნებ ამ დროს ეს ვიღაც გოგნაძე სულაც არ იყო ცოცხალი, მაგრამ პოლიციას „კავკასუსკი კალენდრის“ მეშვეობით ჰქონდა ყველანაირი ინფორმაცია მასზე. ასე გამჟღავნდა ამორდია, ლეჟავამ თქვა სათქმელი და ასე აიკინძა, აგორდა, გამჟღავნდა, გამოაშკარავდა ბევრი რამ. სათავე დაედო ამორდიას საქმეს. ზოგიერთები მას მეგრელთა საქმესაც ეძახიან, რადგან ამ ამბავში სამეგრელოს მოსახლეობის საკმაო ნაწილი იყო ჩართული თუ ჩათრეული.

დაიწყო ძიება...

ქუთაისის თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში 1893 წელს წარდგენილ დოკუმენტთაგან ორადორი მიიჩნის ყალბად. ერთი ნოსირელი ლევან კიზირიას, ლევან დადიანის 1832 წლის 11 მაისის ვითომ სიგელი რომ წარადგინა მისი თავადური წარმომავლობის დასამტკიცებლად, და მეორე ჩხენიშელი გიორგი და ევსტათი ბრელიძეებისა, ძმები არ არიან, მამის სახელი სხვადასხვა აქვთ, ბიძაშვილები იქნებოდნენ უფრო. მათაც ლევან დადიანის 1828 წლის 11 იანვრის სიგელით

„გაინაღდეს“ თავადობა. აქაც ორი თერთმეტი ედრებ-ემთხვევა ერთმანეთს, მერეც ხშირად გვხვდება ეს რიცხვი...

1894 წლიდან კი დაიწყო თოვა ყალბმა დოკუმენტებმა და 1900 წლამდე არ გადაუკარებია, ყოველწლიურად იმატებდა და იმატებდა. თუ 1893 წელს ორი გვარი წაეპოტინა მისთვის საწუკარსა და საოცნებოს, მომდევნო წელს ცხრამ გამოთქვა სურვილი და წინ ვინ ან რა აღუდგებოდა – ფულარიას, მანჯგალაძის, ადონიას, ადამიას, ჩაჩიბიას, კარტოზიას, შელიას, გაბუნიასა და ანთელავას გვარის 16 წარმომადგენელი გახდა თავადი ან აზნაური. ზემოთ ვთქვით, 1895 წელს ქუთაისის თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს ამ საქმეების განხილვა უნდა დაესრულებინა, საბოლოოდ გაეკვია, ვინ როგორი წარმომავლობისა იყო. ამიტომ ამ წელს, წინასთან შეფარდებით, მჯერ მეტი მიიჩნის ამორდიასა და მისთა ძმათა საბუთების წყალობით წარჩინებული წარმომავლობისად.

გერსამიას, ნორაკიდის, კოზმავას, მიქაძის, გეგეჭკორის, ჯინორიძის, ჟვანიას, ხორავას, როდონიას, ქარცხიას, ესაკიას, ბოკუჩავას, მდივინის, ქუთელიას, თვალთვადის, გუგუშვილის, გვაჯავას, წირქვავას, ქავთარაძის, ადამიას, გვათუას, ჭანტურიას, ცაგურიას, ელიავას, სალაყაიას, სანიკიძის, შამუგაის გვარის 60-ზე მეტი წარმომადგენელი გათავადდა ან გააზნაურდა.

1896 წელს კი შედარებით შემცირდა მსურველთა რიცხვი. მიზეზი ნათელია, სიგელ-გუჯრების წარდგენის ვადამ კიდევ 5 წლით გადაინია. ამ წელს მხოლოდ ორი გვარის – ნარსიასა და გეგელიების – ოთხმა წარმომადგენელმა აიხდინა ოცნება.

გვარებს მერეც გავიხსენებთ, უინტერესო რომ არ გახდეს თხრობა, აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ 1897 წელს 12 გვარის 28 წარმომადგენელი დაუკავშირდა ამორდიას ჯგუფს და გაინაღდა გასანაღდებელი, 1898 წელს – 31, 1899 წელს – 90, 1900 წელს კი – 51. ამათგან ზოგთა საბუთები საეჭვოდ მიიჩნია სენატმა, ზოგიერთებისა კი – სარწმუნოდ და ეჭვშეუვალად. ერთნი გაკეთილშობილდნენ, მეორენი – არა.

სალაძემ ეს არ იცოდა, არც აინტერესებდა...

ამორდია და მისი ჯგუფის წევრები ყველა იმ დოკუმენტს ქმნიდნენ, რაც თავადად ან აზნაურად გახდომისათვის იყო საჭირო. საბუთს ჭირდებოდა საბუთი, პირველი უნდა განმტკიცებულიყო, დადასტურებულიყო მეორით, მესამე პირველითაც, მეორითაც და ასე დაუსრულებლად. ამიტომ ისინი თბილისის საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორიდან დაბადების ცნობებსაც აკეთებდნენ, სამეგრელოს მთავრის გასავლის ნიგნებიდან ამონაწერებს, ასეთივეს საგუბერნიო არქივიდან, მოკლედ, ყველა იმ დოკუმენტს, რაც ჭირდებოდა ამა თუ იმ პიროვნებას წოდებრივად გასაბრწყინებლად. თანაც ყველაფერი შესაშური სიზუსტით ჰგავდა ნამდვილს.

ერთი რამეც უნდა გავითვალისწინოთ: მოსახლეობას უმტკიცებდნენ, ვითომ საუკუნეთა მანძილზე მათი წოდებრივი უფლებების დამამტკიცებელი დოკუმენტები დაკარგული იყო, არქივებში შემთხვევით აღმოჩნდა და ურჩევდნენ, ხელიდან არ გაეშვათ საწუკარი შანსი.

ახლა ვერ გახდები თავადი ან აზნაური? მაშ, ვერასოდეს!!!

მათ საქმიანობას ხელს უწყობდა 1890 წლის 17 აპრილის კანონის ერთი მუხლიც, სადაც წოდებრივი უფლებების აღდგენის თაობაზე იყო ლაპარაკი. ზოგიერთ მართლა თავადსა და აზნაურსაც არ გააჩნდა სათანადო საბუთი, ამორდიელები ამნაირებსაც უკვარახჭინებდნენ საქმეს, ოღონდ იგივე ყალბი საბუთებით, და იმათაც, ვისი გვარიც არასდროს ყოფილა აღმატებული.

ერთ-ერთი გავლენიანი პირი სოლომონ ამორდიას ჯგუფისა იყო ბესარიონ დადიანი, რომელმაც უამრავი ყალბი დოკუმენტი შეადგინა. მისი გარდაცვლილი მამა მდივანბეგი გახლდათ სამეგრელოს მთავრისა, რომელთანაც, ბუნებრივია, სხვადასხვა საბუთები ინახებოდა, შვილმა კარგად გამოიყენა ეს ვითარება და ხალხში ხმა დაყარა, ჩემთან ძველი სიგელებით სავსე ზანდუკებია დარჩენილი, ზანდუკები, რომელშიც სხვადასხვა გვარის წოდებრივი მდგომარეობა შავით თეთრზე წერილი... ჭორს გასაქანი მიეცა, ტყუილი სინამდვილედ გასაღდა. დაიწყო მითქმა-მოთქმა, ჩურჩული... აქაოდა, ზანდუკებში უამრავი სიგელ-გუჯარია, რომელშიც ბევრი გვარის წარმომადგენელი თავადად ან აზნაურად იხსენიება. გადაიხდი ფულს, ამოძებნიან იდუმალ ზანდუკში შენი წინაპრის გვარ-სახელს, გახდები ის, რაც ადრე იყავ, რის შესახებაც წარმოდგენა არ გქონდა, – სამეგრელოს მთავარი გიმაღავდა, ჩქმალავდა შენს წარმომავლობას, აზნაურს გლენხად გასაღებდა, ასე უფრო გიმორჩილებდა...

აგორდა ჭორი... მცირე სჯეროდა, სწამდა, უმრავლესმა კარგად იცოდა, მაგრამ იმდენად დიდი და ნეტარი იყო სურვილი, უკან არ იხევდა. წინა მდივანბეგ ქავთარაძის სიძე ივანე შავდაც ხმებს ავრცელებდა – ჩემთანაცაა საბუთები, თანაც არა ერთი და ორი, მიმალული, მიჩქმალული, მტვერწაყრილი. მაიჭათ ფული, თქვენ – თავადობა, ჩვენ – დაუზარელი შრომა, გასამრჯელოს გარეშე კი ცოდვანი ვართ, დოკუმენტების გროვავა სანახავი, მოსაძებნი, გასაჩხრეკი.

თქვენ თავადობა, კუთვნილი და მივინყებუი, ჩვენ – ფული, – აი დევიზი ამორდიასა და მისთანათა.

არც სოლომონ ამორდია იყო გულხელდაკრეფილი. ადრე სამეგრელოს დროებითი მმართველობის კანცელარიისაში მუშაობდა, მერე თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულოში. თითქმის ყველა დოკუმენტზე მიუწვდებოდა ხელი. ნაცნობები ჰყავდა გუბერნიის მმართველობაში, პისარებთან, სტოლონაჩალიკებთან ძმაცაცობდა. მისთვის დამალული არაფერი იყო, უნახავი, ხელშეუვლებელიც არ არსებობდა. სურდა, მოძებნიდა, მოძებნილში სასურველს ჩანერდა, ასლსა და ორიგინალს უზუსტესად დააახლოვებდა. თანაც დოკუმენტები თვითონ კი არ მიჰქონდა საკრებულოში, სარწმუნოდ და საიმედოდ რომ მიეჩნიათ, გუბერნიის მმართველობას აგზავნიებდა. ამით შიშიც ქარწყლდებოდა, ფასიც იწვედა.

ნიჭიერი იყო გვაჯი ამორდიას ყმანვილი.

მისი მოსწავლეობისდროინდელი ამბავი გავიხსენოთ.

ცბიერი, ეშმაკი, მაგრამ საოცარი ნიჭის პატრონი იყო – ნერენ. სხვები რომ ერთ თვეს უნდებოდნენ რაიმეს სწავლას, შეთვისებას, ეს ერთ დღეში ასწრებდა. ისინი მდორედ, ზოზინით, ჩვეულებრივი სისწრაფით ეუფ-

ლებოდნენ სიახლეს, ეს – უცებ, სწრაფად, ღრუბელივით ისრუტავდა. იტყოდი, იცოდა, ხშირად უთქმელადაც, გუმანით, ალლოთი ხვდებოდა, ამახსოვრდებოდა, იმათ ნაკლებად, სხვათაშორის თუ ჩაეჭედებოდათ ხსოვნაში, ამას, სოლომონს, იმნამს და სამუდამჭამოდ.

ეს გარბოდა, ისინი მიმოდოდნენ. უფრო სწორად, ეს ერთი დღის გასავლელს ერთ საათში ფარავდა, სხვები ერთსა და იმავე ადგილს ტკეპნიდნენ, სალდაძესავით წინ და უკან დადიოდნენ, წინ ნასულნი უკან ბრუნდებოდნენ და პირიქით. მისი თანატოლები გუშინდელ ნასწავლს იმეორებდნენ, იზუთხავდნენ ხელმეორედ, ეს არა, ნასწავლი კი არა, ყურმოკვრით გაგონილიც ახსოვდა, გონებაში ჩაკიროვდა.

ხატვის, ხაზვის, რაც გინდათ ის დავარქვათ, განსაცვიფრებელი უნარი ჰქონდა. ერთს დაინახავდა და მორჩა, ახსოვდა მისი ყოველი წვრილმანი, უმცირესი ნიუანსი, ჩაუფდებოდა და დახატავდა ზუსტად ისეთს, შესაშურად მიმგვანებულს ნანახისა.

დაინახავდა, გონებაში ჩაიხატავდა, მერე გონებიდან გამოიხატავდა თითქმის იგივეს. ნამდვილს და გადმოხატულს ძნელად გაარჩევდი...

სხვებიც იხატავდნენ, ბაძავდნენ, ექიპებ-ეჯიბრებოდნენ, სურდათ, მიმგვანებოდნენ, მაგრამ მათი ყალბი იყო, აშკარად ნახელავი, ამისი ნამდვილისაგან ძნელად გასარჩევი.

გაკვეთილზე შეისწრო მასწავლებელმა, ნიკოლოზის მანეთიანებს ხატავდა, ჩაყურყუმალავებუიყო ამ საქმეში, ირგვლივ ვერაფერს ხედავდა, ვერ ამჩნევდა, უსწრაფესად ხატავდა, ხელის ერთი მოსმა და მანეთიანი მზად იყო.

უცქირა, უყურა გაოგნებულმა მოძღვარმა – რამდენიმე წუთში რამდენიმე მანეთიანი დახატა, კიდევ მიუმატა, არც ორიგინალი ედო წინ, არც რაიმე ნიმუში, ხატავდა და ხატავდა. ისიც, მასწავლებელმა რომ დედნად მიიჩნია, სულ პირველად დახატა, მერხზე საგულდაგულოდ მოკალათებულმა გვაჯის ბიჭმა.

ხატავდა, უფრო ჭრიდა, სერიულად უშვებდა მანეთიანებს. მასწავლებელი ხედავდა, ის – ვერა, საკუთარ საქმეში ჩაფლულიყო, გაეტაცა ხატვას. ბოლოს მოძღვარმა ჯიბიდან მანეთიანი ამოიღო, დახედა, მერე დახატულისკენ გააპარა მზერა, ის ჯობდა, სოლომონის შექმნილი უკეთესი იყო, ახალი, ცინცხალი, ნამდვილი, ამისი დაწონილი, შებღალული.

განცვიფრდა მოძღვარი...

ბარე ასს გადასცდებოდა მანეთიანების რაოდენობა. ხატავდა და ხატავდა სწრაფად, ხელგანაფულად...

გაშტერდა თავმდგმური, ჯერ შეგირდის ხელის სისწრაფემ შეაკრთო და შეაშფოთა, მერე იმან, რომ დახატული ნამდვილი იყო, ბუნებრივი, ქალაღდიც ზუსტად იმნაირი მოეძებნა, ფულის ქალაღდი დაეთრია საიდანაც და ხატავდა, ხატავდა...

– შენ ყალბი ფულების მჭრელი გამოხვალ... – მკლავში მოჰკიდა საქმით გართულ შეგირდს ხელი.

წამოდგა, დაირცხვინა „მხატვარმა“.

– ყალბი ფულების მჭრელი გამოხვალ... – გაუმეორა.

სოლომონი დუმდა, სახეზე აღმურგადაკრული იატაკს ჩაშტერებოდა.

– საიდან ისწავლე ასე ოსტატურად მანეთიანების ხატვა?

ისევ დუმილი.

ეკითხებოდა, ის პასუხს არ სცემდა, იდგა დარცხვენით, დანაშაულში წასწრებული. უკანა მერხზე მოკალათდა საგანგებოდ, რომ არავის დაენახა, არ შეემჩნია, უკვირდა, როდის დაადგა მასწავლებელი თავზე.

მოძღვარს სხვა რამ უკვირდა, შეგირდს – სხვა.

მას შემდეგ სოლომონ ამორდიას ფული არასდროს დაუხატავს, ყოველ შემთხვევაში, სასამართლო საქმეში ამაზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ ისეთი რამის გაყალბებას მიჰყო ხელი, დახატული და ნამდვილისაგან ძნელად გასარჩევი მანეთიანები კი არა, ოქროს თუმნიანები ცვიოდა ხოშკაკალასავით. ფულს აღარ ხატავდა, სამემკვიდრეო და სხვა საბუთებს აყალბებდა და ამით შოულობდა იმდენს, რამდენიც სურდა. ადრე პირდაპირ მანეთიანს ხატავდა, უფრო სწორად, აყალბებდა, ახლა საბუთს ამგვანებდა ნამდვილს, გლესს აზნაურად ან თავადად აქცევდა, ერთი სიტყვით, რაღაც დოკუმენტს „გააიმასქნებდა“ (მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვაა) და ამით იჯიბავდა ნამდვილ ფულებს, ნიკოლოზისდროინდელს.

მანეთიანების ხატვა სარისკო იყო, დაიჭერდნენ და მორჩა, ვინმეს რაიმე ნაკლი რომ აღმოეჩინა მის შექმნილში, დაიღუპებოდა, საბუთების გაყალბება, ბუნებრივია, ნაკლებ სარისკო გახლდათ, საბუთი საბუთს ჰგავდა, თანაც ვინ იყო მათი ძირისძირამდე ჩამდევნი და გულისმყოფელი.

მანეთიანების ხატვას, სერიულად გამოშვებას თავი მიაჩნებდა, ანდა რატომ უნდა ეხატა და ევაგლახა, ბანკი აგერ არ იყო, თუმცა მანამდე სამემკვიდრეო საბუთების წარმოებას მიჰყო ხელი. უჭკუოდ აქაც არ იქცეოდა. იცოდა, რასაც აკეთებდა, ამიტომ, სწრაფად იცლიდა ხელს, კლიენტს მოძებნიდა, უფრო სწორად, მოუძებნიდნენ და მერე შეუდგებოდა საქმეს. ერთი სიტყვით, ბავშვიც და დიდიც ერთნაირი იყო – გამყალბებელი, ადრე მანეთიანების, მერე საბუთების. იყიდა ნამდვილს, გააყალბებდა, ჩაწერდა და ყიდდა, როგორც ნამდვილს.

სენაკის მაზრის მწერალ მიხეილ ხოშტარიასგანაც შეიძინეს საბუთები, მას უფლება ჰქონდა, ესარგებლა მაზრის არქივით, და კიდევ გამოჰქონდა და ყიდდა. ყიდულობდნენ ამორდიელები, რაღაც ხარვეზია შიგო – ამბობდნენ, ასწორებდნენ და ყიდდნენ ისევ. ყიდულობდნენ, ყიდდნენ. იხდიდნენ ცოტას, ლეზულობდნენ საოცრად მეტს.

ალბ-მიცემობა ჩაღებოდა თავადობისა და აზნაურობის საბუთებზე.

ძიების დაწყების დროს მიხეილ ხოშტარია გარდაცვლილი იყო. მის სახლში ორი ათასამდე ნამდვილი საბუთი იპოვეს, ადრე გაყიდულები კი ყალბი აღმოჩნდა, ამორდიასა და მის მომხრეებს ჩაესწორებინათ, მათი სურვილის მიხედვით გაეახლებინათ.

ყიდულობდნენ ნამდვილს, არქმევდნენ ყალბს, ასწორებდნენ, სინამდვილეში აყალბებდნენ და ყიდდნენ, როგორც ნამდვილს.

მყიდველი იყო, მსურველი იმატებდა და იმატებდა. თითქმის არ ყოფილა შემთხვევა, ქუთაისის თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს ყალბისმქნელთა დოკუმენტები არ დაემტკიცებინოს. ხშირად სენატი აჩმახებდა, უკან აბრუნებდა დოკუმენტებს, მაგრამ ესენი „ასწორებდნენ“ და ხელახლა აგზავნიდნენ. ერთი სიტყვით, ნდობა მყარი და შეუვალელი იყო ხალხშიც და საკრებულოშიც. ფასიც ზეალმავალი, სასურველ ნიშნულს შემწვდარი.

ამორდიას არცერთ თავადასა და აზნაურს არ უთქვამს – ვიცოდი, ყალბი საბუთებით რომ ვხდებოდი ბრწყინვალე წოდების წარმომადგენელიო. პირიქით, უმეტესნი ამტკიცებდნენ, სამემკვიდრეო საბუთები წინაპართა სახლში აღმოვაჩინეთ, რატომ უნდა დაგვემალა, წარვადგინეთ საკრებულოში, მივიღეთ ის, რაც ათა-ბაბადან გვეკუთვნოდა და

უკანონოდ გვექონდა ჩამორთმეულიო. ამას ერთი ნაწილი ამბობდა. მეორენი გარდაცვლილეს იმონებდნენ – ნიკო ტარიელის ძე დადიანმა, დავით დადიანმა, მიხეილ ხოშტარიამ და ივანე შავდიაშვილმა გამოგვცა სამემკვიდრეო საბუთებით. ოთხივენი იმქვეყნად იყვნენ და ვინ რას მოკითხავდა. ერთი ნაწილი ბესარიონ დადიანს, სოლომონ ამორდიასა და მის „შაიკას“ ასახელებდა, მაგრამ ამგვარნი, საერთო ჯამში, მცირენი იყვნენ.

აქედან ნათელია, ამორდიას აზნაურთა საკმაო ნაწილმა კარგად უწყოდა, როგორ და რანაირად გახდა თავადი ან აზნაური.

ზოგიერთს წარმოდგენაც არ გააჩნდა, რა ყალბი დოკუმენტებით გახდა შეჭველი თავადაზნაურული წარმომავლობის მქონე საეჭვო ამორდიას აზნაურად. უწყოდა, რომ მამა, პაპა, პეპერა, იმის მამაც და იქითაც თავადი ან აზნაური იყო, მაგრამ ამის დამამტკიცებელი საბუთები ვერსად ეპოვნა და ამორდიას აგენტები მოევილინენ მხსნელად – მოუძებნეს (სინამდვილეში შეუდგინეს) ძველი ვითომ ნამდვილი (რეალურად – ყალბი) სიგელ-გუჯრები და აქციეს იმად, რაც არავისთვის იყო საეჭვო. ერთი სიტყვით, ეჭვშეუვალე საეჭვოდ ექცათ ამნაირებს. თუმცა



სოლომონ ამორდია

ასეთები, როგორც ვთქვით, მცირენი იყვნენ, ისეთი ჭარბობდნენ, მშვენივრად რომ იცოდნენ, ვისი შემწეობით, როგორ და რანაირად გათავადდნენ და გააზნაურდნენ.

ამორდიას აზნაურთა სიაში მოხვდა ლუარსაბ ლოლუაძე. ეს ის ლუარსაბ ლოლუაძეა, ქუთაისის ქალაქის თავი რომ იყო ბარე რვა წლის მანძილზე, ლუკა ასათიანი, კალისტრატე ჩიკვაიძისა და მისი მომხრეების თვალთახედვით, მძიმე და გაუნძრეველი კაცი რომ შეცვალა ამ პოსტზე. არაფრის გამკეთებელს იმას ეძახდნენ, ვინც ქუთაისის კეთილდღეობაზე ფიქრობდა, მოძრავსა და ენერგიულს გაუნძრევლად ნათლავდნენ, აქტიურს ინერტულად, დემოკრატს კონსერვატორად, შებლაღულს ავტორიტეტი კალისტრატესა და მისი მომხრეებისა უმნიკვლოდ ცხადდებოდა.

დრო იყო ასეთი. ნამდვილი ყალბი გამხდარიყო, ყალბი – პირიქით, სიტყვებს საწინააღმდეგო შინაარსით აღიქვამდნენ. თეთრის შავად და შავის თეთრად აღქმის უამი ჩამომდგარიყო.

მონინააღმდეგეს რაც არ იყო, იმას დააბრალებდნენ, ამ აზრს დაიხვედნენ ხელზე, დაატრიალებდნენ, ტყუილს ნამდვილად გაასაღებდნენ, ახმაურდებოდნენ და მორჩა, ნაქცეული იყო წაუქცეველი, დანახული – მოურვეელი.

ლუკა ასათიანიც ასე დაჯაბნეს. მომხრეებშიც მონინააღმდეგენი გაუჩინეს. ივანე პურადაშვილს მოგონებებში საინტერესო ამბავი აქვს მოთხრობილი, საინტერესო, შთამბეჭდავი, იმდროინდელი ვითარების ნათლად გამომხატველი. ქალაქის თავი ლუკა ასათიანი, ხმოსნების არჩევის მერე, ივანე გველესიანს შეკითხვია:

- რას ფიქრობთ ქალაქის თავთან დაკავშირებით?
- გამიწყდეს ცოლშვილი, თუ გილაღატო.

სიტყვით უთხრა, გულში სხვა გაიფიქრა. გამჟღავნდა, გამხილდა მისი ჩანაფიქრი – ხმა ლუარსაბ ლოლუას მისცა, როგორც მაშინ იტყოდნენ, ლოლუას თეთრი, ასათიანს შავი კენჭი ჩაუგორა კოლოფში. ჰოდა, შეხვდა უკვე ქალაქის ყოფილი თავი ერთგულების დაქადებით გამომხატველს:

- როგორ გყავთ ცოლ-შვილი, ივანე ზურაბიჩ?

არ წერია, რა უპასუხა, როგორ დაიძვრინა თავი დიდმა მემამულემ, რა ხრიკს, ოინს მიმართა. ალბათ არაფერს, თორემ ვიღაც მოიხსენიებდა, დანერდა და ქუთაისის საარჩევნო თავგადასავლებს, ე.წ. კენჭობას, ეს პასუხიც შეემატებოდა. ალბათ დადუმდა, თავი ჩაღუნა, სიტყვის გამტეხი, პირობის უარყოფელი სხვანაირად როგორ მოიქცეოდა. არადა, მისმა ხმამ გადანყვიტა ყველაფერი, ერთით აჯობა ლუარსაბმა ლუკას. ერთმა თეთრმა კენჭმა, პირობის თანახმად შავი რომ უნდა ყოფილიყო, მოახდინა მოსახდენი, შეიცვალა ქალაქის თავი.

ამის შემდეგ ლუარსაბ ლოლუამ მეორე არჩევნებშიც გაიმარჯვა და მძიმე და გაუნძრეველი ლუკა ასათიანის ნაცვლად რვა წელი იყო პირველი კაცი. ქალაქს მისი ხელმძღვანელობა არაფრით დატყობია, გაუნძრეველი იგი უფრო იყო. ერთი რამით აშკარად გამოირჩეოდა წინამორბედისაგან – კალისტრატეს მომხრეებს აწინაურებდა, ხელს უწყობდა, შეცვლით ბევრი არაფერი შეუცვლია. მერე მისი თავადობის საბუთი ყალბად მიიჩნიეს და წავიდა.

ხმაურით მოვიდა, ჩუმად წავიდა, ისევ ვეჭილობას დაუბრუნდა. თავადობის ყალბი დოკუმენტი აღმოუჩინეს და ამან აიძულა, ალბათ, გადამდგარიყო. თუმცა ამორდი-

ას საქმეების საბრალდებო დასკვნაში ნათქვამია, რომ ლუარსაბ ლოლუას ჩვენება სანდო უნდა იყოს, რადგან ასეთივე დოკუმენტი (იგივე ნომრით) სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის არქივშიც აღმოჩნდა. თავადაზნაურთა საკრებულოში წარმოდგენილი კი, როგორც დაკითხული ამბობს, მტრებმა შეცვალეს ყალბით. ის, იმპერიის დედაქალაქში აღმოჩენილი – ნამდვილი, ეს – ყალბი. ორივე ერთნაირი რატომ არ შეიძლებოდა ყოფილიყო, გაურკვეველია. ერთი ასე, მეორე ისე, რისთვის, რის გამო მიიჩნიეს?! ადრე არ შეედლოთ ლუარსაბ ლოლუასათვის ყალბი სიგელის დამზადებაო, ვერ იტყვი. კალისტრატესა და მისთანათა ხრიკებს რომ გაიხსენებ, მითუმეტეს.

იმ დაჯგუფებას ხომ პარტიად ნათლავენ მემუარისტები – კალისტრატე ჩიკვაიძის პარტია, რომელთათვისაც შეუძლებელი შესაძლებელი, მიუნვდომელი მისაწვდენი იყო.

ლუარსაბ ლოლუამ გაქალაქისთავებიდან ერთი რიგგარეშე და მეორე ვადის გასვლის გამო დანიშნული არჩევნებიც მოიგო. სამჯერ იმარჯვა. ერთხელ წარმატებასაც რომ არ უწინასწარმეტყველებდნენ მონინააღმდეგენი. ესეც ბუნებრივი იყო, კალისტრატე ჩიკვაიძე, ბანკის მმართველი ედგა გვერდით, ის პიროვნება, ბანკის საქმეებს რომ დიდად არ ნაღვლობდა, ოღონდ თავადაზნაურთა გული მოეგო. ესენიც ერთგულებდნენ, კუჭით სჯავდნენ გონებით განსასჯელს.

ლუარსაბის მესამედ არჩევის დროს გააქტიურდა ოპოზიცია. კანდიდატად გაბრიელ ეპისკოპოსის ძმა მოსე ქიქოძე შეარჩიეს, ცნობილი ვეჭილი, შედარებით ნეიტრალური პიროვნება. შეიქმნა შტაბები აქეთ, იქით, დაფაცურდნენ ერთნიც, მეორენიც, აქეთაც, იქითაც... ლუარსაბის მხარეს ს. თოფურია, დ. კვიციანი, დ. აბდუშელიშვილი, დ. ნიჟარაძე და სხვები. ოპოზიცია ერთი გვარის სამი წარმომადგენლით – კირილე, დავით და სიმონ ლორთქიფანიძეებით, დიმიტრი ნაზაროვით, მის. დაარსველით, რომ. მახარაძით, სიმონ ჭიიშვილით და ა.შ. დაიწყო შეკრებები, განსჯა, გაანალიზება იმისა, რა მოხდებოდა. ივანე პურადაშვილიც ოპოზიციონერთა შორის იყო, შთამბეჭდავად ყველა ამ ამბებს, ცოტა ტენდენციურადაც, მაგრამ იმას მაინც ვერ უარყოფს, რომ კალისტრატეს მონინააღმდეგეებშიც შეეძლო მომხრეების პოვნა. მართალია, თვით ივანე პურადაშვილი ვერ გადაიბირა, მაგრამ ის მაინც მოახერხა, რომ ოპოზიციის რვა მომხრე და ერთგული, იქით ნაპირას მყოფნი, აქეთ გადმოეყვანა. დარახველიძის ბინაზე შეკრებილი ოპოზიციონერებიდან ორი, დავიდოვი და თევდორაძე, ვახშამზე არ დარჩა, ერთმა სხვაგან მიწვევა, მეორემ შვილის ავადმყოფობა მოიმიზეზა, მეორეს – თევდორაძეს მეეტლე ბაბუნაშვილი გაჰყვა უკან და ლოლუას მომხრე კიზირიას სახლში შესული დალანდა.

ორი ხმოსანი გამოაკლდათ, მაინც უეჭველი იმარჯვებდნენ.

არჩევნების მერე იოსებ ოცხელმა თქვა – შემთხვევით თეთრი კენჭი ლოლუას კოლოფში ჩამივარდაო. ჩაუვარდა თუ ჩაავარდა?! – ესეც მესამე. არჩევნებს ხმის უფლებით აღჭურვილი სასულიერო ნოდების წარმომადგენელიც ესწრებოდა – ქიქოძის მომხრე ცაგარეიშვილი ლუარსაბმა დავით ლამბაშიძით შეაცვლევინა, ესეც მეოთხე. აფთია-

ქის პატრონმა რელიგიონმა და პეტრე ფირალოვმა რომ დაინახეს, ლოლუას მომხრენი მატულობენო, იქით გაუტიეს. ეს შეეძლო კალისტრატე ჩიკვაიძეს, უფრო მეტიც, მოსე ქიქოძეს ხმა ცოლიძმამაც – გრიგოლ ტატიშვილმაც ვერ მისცა, საჩხერეში წასულს ისე მოუწყვეს საქმე, რომ მატარებელზე დაეგვიანებინა. ღვინისხაპია მასწავლებელი მალრადე კი მაგრად გამოათვრეს და საგულდაგულოდ ყარაულობდნენ, არ დაგვლუბოს, არ გაიღვიძოსო. ერთი, მატარებელგასწრებულო, ყურებჩამოყრილი იდგა ბაქანზე, მეორე, გაღეშამდე ყანნის ყანზე მხვრიპავი, ხვრინავდა, არც არჩევნები ახსოვდა, არც ლოლუა, არც ქიქოძე. და ვინც გაიმარჯვებდა, გასაგებია. ლოლუას დევიზი – ფიფინაშვილის კოლოფიდან თუმანიშვილის კოლოფამდე თეთრი კენჭი, ხოლო აქედან ბოლომდე შავი, ზუსტად ისე გამართლდა, როგორც ფიქრობდა და წარმოედგინა – აქედან იქამდე თეთრმა, იქიდან ბოლომდე შავმა აჯობა აქედან იქამდე შავს და იქიდან ბოლომდე თეთრს.

ამ არჩევნებზე ასე ვრცლად არამარტო ლუარსაბ ლოლუას გამო შევჩერდით. ოპოზიციონერთა შტაბშიც იყო ამორდიას აზნაური – სიმონ დავითის ძე ჭეიშვილი, რომლის ხელითაც 1899 წელს თავადაზნაურთა საკრებულოში მამია გურიელის სიგელი, დავით დადიანის 1853 წლის 18 მარტის ბრძანების ასლი და აზნაურობისათვის საჭირო სხვა ყალბი დოკუმენტები იყო წარდგენილი. სიმონ ჭეიშვილის შემდგომი ბედი ჩვენთვის უცნობია, ოპოზიციონერთა ბანაკში იყო, გადარჩა, არ გადარჩა, დაიძვრინა თავი ამორდიას აზნაურობიდან, არ ვიცით. ლუარსაბ ლოლუა კი ჩამოქალაქისთავდა და ისევ ვეჭილობას მიჰყო ხელი. სალდაძემ ეს ამბები არ იცოდა, დადიოდა ბაღში, წინ, უკან, წინ წასული უკან ბრუნდებოდა, უკანმყოფი წინ მიიჩქაროდა, დადიოდა, მისი ჭკუით, ათვალეერებდა, ამონმებდა. მიდიოდა, მოდიოდა, აკეთებდა ერთს, გამოუვიდა მეორე, ფიქრობდა ერთზე, აღმოჩნდა სხვა...

კრიტიკა

გიორგი ცქიტიშვილი

თამარ დედოფალი კნუტ ჰამსუნის თვალით

„განცდილი და ნაფიქრალი კავკასიაში“ – ასე ჰქვია გამოჩენილი ნორვეგიელი მწერლისა და ნობელიანტის კნუტ ჰამსუნის ნიგნს, რომელშიც ორი ნაწარმოები შევიდა: „ზღაპრული ქვეყანა“ და პიესა „დედოფალი თამარი“. ნიგნი გამოსცა გამომცემლობა „ინტელექტმა“ და „კნუტ ჰამსუნის საზოგადოებამ“ საქართველოში (დაარსდა 2003 წელს). თარგმანი ეკუთვნის რეზო კვესელავას. „ზღაპრული ქვეყნის“ მოხედვით შეიქმნა დოკუმენტური ფილმი-ესეი „კნუტ ჰამსუნის კავკასიური მისტიერიები“ (2005წ. რეჟ. ოლიგო ჟღენტი). ვთავაზობთ თეატრმცოდნე გიორგი ცქიტიშვილის რეცენზიას „დედოფალი თამარის“ შესახებ. ისევე, როგორც „ზღაპრულ ქვეყანას“, ამ პიესასაც ინტერესით გაეცნობა ქართველი მკითხველი.

ბუნებრივია, ჩვენს ინტერესს ყოველთვის იწვევს უცხოელთა მიერ საქართველოსადმი, მისი თვითმყოფადი კულტურისადმი, მრავალსაუკუნოვანი ისტორიისადმი გამოვლენილი ცნობისწადილი. ცნობისმოყვარეობა მით უფრო ძლიერდება, რაც უფრო სახელგანთქმულია ჩვენი ქვეყნით დაინტერესებული უცხოელი. საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდს არაერთმა საზღვარგარეთელმა მწერალმა თუ დრამატურგმა უძღვნა თავისი ნაწარმოები. ყოველი მათგანის ჩამოთვლა შორს წაგვიყ-

ვანს, ამიტომ მკითხველს ზოგიერთ მათგანს, მხოლოდ რამდენიმე დრამატურგს შევხსენებ: ევრიპიდე, ფრანც გრილპარცერი, გრიფიუსი, ჟან ანუი, კარლო გოცი, კარლო გოლდონი, ბერტოლდ ბრეჰტი... თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ძირითადად, საქართველოსადმი ინტერესი აზიურ-აღმოსავლური ეგზოტიკით მოდური გატაცებით, ზღაპრულ, ლამის გამოგონილ ქვეყანაში ნაწარმოების მოქმედების გადატანის თვითმიზნური სურვილით იყო გამოწვეული. ავტორთა უმრავლესობას ყურმოკვრით ჰქონდა გაგონილი ამგვარი სახელმწიფოს არსებობის შესახებ, თითქმის არ იცნობდა მის ისტორიას, კულტურას, ადათ-წესებს, ზნე-ჩვეულებებს, ხალხის ხასიათს. უმეტესობამ არც ქართველთა აღმსარებლობა უწყოდა, ამიტომ ზოგ ნაწარმოებში ჩვენი ქვეყანა აღმოსავლური (დაახლოებით, თურქულ-სპარსული) ტიპის მუსლიმანურ სახელმწიფოდაც კია წარმოდგენილი. ამგვარი, რბილად რომ ვთქვათ, უზუსტობანი უხვადაა ევროპელ ავტორთა მიერ შექმნილ მხატვრულ ქმნილებებში. მაინც რითაა განპირობებული უცხოელთა მსგავსი ინტერესი? უპირველეს ყოვლისა, ალბათ უძველესი ისტორიით. მხოლოდ არგონავტების მითზე, ოქროს საწმისზე, მედეასა და აიეტზე არაერთი ლიტერატურული ნაწარმოებია შექმნილი. ევროპელ ავტორთა ინტერესის სფერო მარტო მითოლოგიით არ შემოიფარგლება. სხვადასხვა მწერალთა ქმნილებებში საქართველო ის მოზაიკურად ნაირფერი, აზიურ-აღმოსავლური ეგზოტიკით მსუყედ გაჯერებული ფონია, რომელშიც ამა თუ იმ პროზაული თუ დრამატული ნაწარმოების თითქმის ზღაპრული, იგავური თხრობა ვითარდება. ლეგენდის, არაკის, გამოწავლის სტილით მკითხველთან საუბრისათვის კი აუცილებელია ლამის არარსებული, ირეალური, სადღაც შორს მდებარე ქვეყნის არსებობა ან შეთხზვა. საქართველოც ამგვარი ზღაპრულ, გამოგონილ, ბუნდოვნად ყურმოკრულ სახელმწიფოდ აღიქმებოდა და ევროპელ მწერლებს საკუთარი მიზნის მიღწევაში ჩინებულად უწყობდა

ხელს. თუმცა არსებობს გამონაკლისიც. მაგალითად, გრიფიუსის დრამატული ნაწარმოები რეალურად არსებულ ისტორიულ პერსონაჟს, კახეთის დედოფალ ქეთევანს (ნამებულს) ეძღვნება.

დღეს მკითხველს საშუალება ეძლევა გაეცნოს კიდევ ერთი უცხოელი ავტორის პიესას, რომელიც ასევე საქართველოს უკავშირდება. ვიდრე პიესაზე ვისაუბრებდე, ორიოდ სიტყვით მსურს შეგახსენოთ ზოგიერთი რამ თვით მწერლის შესახებ. დიდი ნორვეგიელი შემოქმედი, ნობელის პრემიის ლაურეატი კნუტ ჰამსუნი (1859-1952) არა მხოლოდ სკანდინავიური ან ევროპული, არამედ მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოვლენაა. მან საკმაოდ ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე (93 წელი) გამორჩეული სახელიც მოიპოვა, როგორც XIX, ისე XX საუკუნეების მწერლობაში. იგი, უპირველეს ყოვლისა, ცნობილია თავისი პროზაული (რომანი, მოთხრობა, ნოველა) ქმნილებებით. თუმცა ავტორია რამდენიმე პიესისაც, მაგრამ როგორც დრამატურგმა, ჰამსუნმა ვერ დაჩრდილა თავისი თანამემამულის, სკანდინავიელ შექსპირად მონათლული ჰენრიკ იბსენის სახელი.

კნუტ პედერსენი (მწერლის ნამდვილი გვარია) ნორვეგიის უკიდურეს ჩრდილოეთში, ხამარეიდ ნოდებულის მხარის სოფელ ჰამსუნდში, მკერავის ოჯახში დაიბადა. სილატაკის, გაჭირვების გამო სრულიად პატარა იძულებული გახდა ლუკმა-პურის მოსაპოვებლად დღენიადა ეშრომა. 18 წლისა პირველ მოთხრობას აქვეყნებს. ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისშივე ფსევდონიმად იყენებს მშობლიური სოფლის სახელწოდებას და თავის ადრეულ ნაწარმოებებს ხელს კნუტ ჰამსუნდად აწერს. ერთხელ, სრულიად შემთხვევით, ერთ-ერთი მისი საგაზეთო სტატიის პუბლიკაციისას მოხდა კორექტურული შეცდომა. ფსევდონიმის ბოლო ასო – „დ“ – გაზეთის ბეჭდვისას ამოვარდა. დამწყებ მწერალს ასე უფრო მოეწონა და მსოფლიო ლიტერატურაში სწორედ ჰამსუნდად შევიდა.

კნუტ ჰამსუნი გაჭირვებამ აიძულა ამერიკის შეერთებულ შტატებში წასულიყო, რათა სამუშაო ჰქონოდა. მაშინ 23 წლისა იყო. უარს არ ამბობდა შემთხვევით სამუშაოზეც. მუშაობდა ფერმაში – მუშად, მელორედ, მალაზიის დახლთანაც იდგა. ამგვარმა ცხოვრებამ, ხშირმა მოგზაურობამ, სამუშაოს სწრაფმა ცვლამ, უამრავ ადამიანთან ურთიერთობამ მომავალი მწერლის პროფესიული თუ პიროვნული ჩამოყალიბების პროცესი დააჩქარა. ჰამსუნმა ზედმინევენით შეისწავლა ადამიანთა ფსიქოლოგია და მათი უტყუარი, დამაჯერებელი მხატვრული პორტრეტების შექმნის უბადლო ოსტატად იქცა.

მწერალი სამშობლოში დაბრუნდა, ოჯახით დედაქალაქ ქრისტიანიაში (ამჟამად, ოსლო) დასახლდა და შემოქმედებით მოღვაწეობასაც მიჰყო ხელი. კნუტ ჰამსუნის ცნობილი ნაწარმოებებია: „შიმშილი“ (რომანი, 1890), „მისტერიები“ (რომანი, 1892), „პანი“ (რომანი, 1894), „გლანის სიკვდილი“ (ნოველა, 1895), „ვიქტორია“ (მოთხრობა, 1898), „მეოცნებე“ (რომანი, 1904), „მინის წვენი“ (რომანი, 1917. ამ ნაწარმოებისათვის მწერალს ნობელის პრემია მიენიჭა) და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის

საუკუნოვანი სიცოცხლის მანძილზე, მწერალი ნაყოფიერად მოღვაწეობდა. ლამის გარდაცვალებამდე არ მიუტოვებია მწერლობა. ამიტომ საკმაოდ უხვია მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა. აქ ასახულია არა მხოლოდ ზოგადად სკანდინავიური, კონკრეტულად კი ნორვეგიული ყოფა-ცხოვრება, არამედ კაცობრიობის თითქმის საუკუნოვანი (XIX საუკუნის მეორე და XX საუკუნის პირველი ნახევარი) განვითარების ისტორია მთელი თავისი დრამატიზმით, სოციალურ-ეკონომიური თუ პოლიტიკური ძვრებით, კატაკლიზმებით, რევოლუციებითა თუ ომებით.

კნუტ ჰამსუნის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ადამიანთა არაკომუნიკაბელობას, მათ შორის გაუცხოებას, საზოგადოების წევრთა ურთიერთგათიშულობას. ეს ტრაგიკული მოტივი, სხვადასხვა ვარიაციით, რეფრენივით გასდევს მის შემოქმედებას. მისი ხანგრძლივი ცხოვრებისა თუ მოღვაწეობის სხვადასხვა ეტაპზე ეს მოტივი ხან მკვეთრია და უფრო მძაფრად ყლერს, ხან ოდნავ შერბილებულია, თითქოს ერთგვარად მიყუჩებული. თუმც ამ პრობლემის არსებობა მუდამ იგრძნობა. როგორც აღვნიშნე, ჰამსუნი ადამიანთა სულიერ სამყაროში წვდომის დიდოსტატია. მის მახვილ მზერას არ გამოეპარება პერსონაჟთა სულის სულ მცირე მოძრაობაც კი, იქნება ეს გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი, გონების მიერ გაანალიზებულ-მოფიქრებული თუ ინსტინქტური, იმპულსური, წამიერი. ამიტომაც არიან მის ნაწარმოებთა გმირები ასე სისხლსავსედ, რელიეფურად, დამაჯერებლად გამოძერწილნი ნაცადი ოსტატის მიერ. ჰამსუნი ხელოვნურად არასოდეს ალამაზებს თავის ქმნილებათა მოქმედ პირებს, არ ცდილობს მათ ძალით გაკეთილშობილებას, გაიდებლებას. ერთნაირი ყურადღებით იკვლევს, როგორც მთავარ, ისე ეპიზოდურ პერსონაჟთა ხასიათებს, მათ სულიერ სამყაროს. ამიტომ მისი ნაწარმოებები საზოგადოების წევრთა პორტრეტების ფართო გალერეას წარმოადგენს.

როგორც აღვნიშნე, ჰამსუნმა – დრამატურგმა, მართალია ისეთი დიდი სახელი ვერ დაიმკვიდრა, როგორც ჰენრიკ იბსენმა, მაგრამ მაინც ექვსი პიესის ავტორია: „სამეფოს კარიბჭესთან“ (1895), „ცხოვრების თამაში“ (1896), „ცისკარი“ (1898). ეს სამი პიესა დრამატულ ტრილოგიას წარმოადგენს; „მუნკენ ვენდტი“ (1902), „თამარ დედოფალი“ (1903) და „ცხოვრების ბრწყალებში“ (1910).

კოტე მარჯანიშვილმა მოსკოვის სამხატვრო თეატრის სცენაზე, XX საუკუნის 10-იან წლებში, დიდი წარმატებით განახორციელა პიესის „ცხოვრების ბრწყალებში“ დადგმა. ამავე საუკუნის 80-იან წლებში ქართულად ითარგმნა ნორვეგიელი მწერლის რომანი „მისტერიები“ (მთარგმნელი თამარ აბრამიშვილი), რომელიც ჯერ აღმანახ „საუნჯეში“ დაიბეჭდა გაგრძელებებით, შემდეგ კი ცალკე წიგნადაც გამოიცა.

დღეს კი ამ წიგნის მეშვეობით მკითხველს საშუალება ეძლევა გაეცნოს ჰამსუნის პიესას „თამარ დედოფალი“, რომელიც გერმანულიდან ითარგმნა. მართლაც დიდ ინტერესს იწვევს ნორვეგიელი მწერლის მიერ საქართველოს ერთ-ერთი თვალსაჩინო მეფის, ქართული მარ-

თლმადიდებლური ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული, ლეგენდად ქცეული ისტორიული პირის შესახებ შექმნილი დრამატული ნაწარმოები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჰამსუნს 1899 წელს აღმოსავლეთის მიმართულებით შემდეგი მარშრუტით უმოგზაურია: ქრისტიანია – ჰელსინკი – სანკტ-პეტერბურგი – მოსკოვი – ვლადიკავკაზი – თბილისი – ბაქო – ბათუმი. როგორც ჩანს, ლეგენდარული ქართველი ქალი-გვირგვინოსნით აქ გაგონილი თქმულებებისა თუ გადმოცემების შედეგად დაინტერესდა.

ეპიგრაფად უძღვის ავტორისავე დანერგილი ლექსი, სახელწოდებით „მანდრაგორა“. ეს მცენარე უხსოვარი დროიდან ყველაზე იდუმალად ითვლება. მასზე უამრავი ლეგენდა, გადმოცემა თუ თქმულება არსებობს. მითის მიხედვით, მანდრაგორა ადამის გაჩენის ალაგას წარმოიშვა. როგორც ამბობენ, ძლიერად ზემოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე. არაბები მას „ემშაკის სანთელს“ ეწოდებენ, რადგან თურმე ღამით ანათებს. მაგიაშიც გამოიყენება. მანდრაგორას შეუძლია ადამიანის გონების დაკარგვამდე მონუსხვა. მოკლედ, ერთობ მისტიკური მცენარის რეპუტაციით სარგებლობს. ნიკოლო მაკიაველიმ XVI საუკუნეში კომედიაც კი დაწერა სახელწოდებით „მანდრაგორა“.

პიესისათვის ამ ეპიგრაფის წამძღვარებით ჰამსუნმა ნაწარმოები თითქოს ერთგვარ მისტიკურ საბურველში გახვია. ავტორი ლექსის მეშვეობით, თავიდანვე გვთავაზობს თამაშის წესებს. იგი ნათელს ხდის, თუ როგორ უნდა წავიკითხოთ პიესა. შეიძლება ითქვას, დამდგმელსაც კარნახობს სცენურ გადანიშნულებას. მართლაც, დაინტერესებული თვალი „თამარ დედოფალში“ ამაოდ დაუწყებს ძებნას თამარ მეფის ცხოვრების რაიმე ერთ, კონკრეტულ ისტორიულ მონაკვეთს. ჰამსუნის პიესა იგავს, ლეგენდას, თქმულებას, შეთხზულ ამბავს გვთავაზობს, რომლის ზუსტ, პირდაპირ ანალოგს ვერცერთი მკვლევარი ვერ წააწყდება XII საუკუნის ქალი-გვირგვინოსნის ბიოგრაფიაში. აქ ყველაფერი პირობითი, გამოგონილი, დრამატურგის ფანტაზიის ნაყოფია, გარდა თითო-ორი ისტორიული პირისა, რომლებიც მწერალმა თავისი ქმნილების პერსონაჟებად გამოიყვანა მხოლოდ.

კიდევ ერთი რამაა აღსანიშნავი, მკითხველი უამრავ უზუსტობას, ჰამსუნის უნებლიე (როგორც სჩანს, არცოდნით გამოწვეულ) შეცდომას წააწყდება. ერთი რამ უდავოა, დრამატურგმა იცის, რომ ქართველები ქრისტიანები არიან. ისიც უწყის, რომ თამარი გიორგი III-ის ასულია. მისი შვილების სახელებიც არ ემულება: გიორგი და რუსუდანი. მწერალს, მართალია, არა აქვს ისტორიული სიზუსტის დაცვის პრეტენზია, მაგრამ როცა კონკრეტულ, რეალურად არსებულ პირებს ან ფაქტებსა საუბარი, ალბათ, ისტორიული ნყაროების ოდნავ მეტად ცოდნა მაინც ევალება. ყოველ შემთხვევაში, ეს ჩემი აზ-



რია, რაშიც ღრმად ვარ დარწმუნებული, თუმცა მკითხველს შეუძლია განსხვავებული პოზიცია ჰქონდეს. სახამუშოა, რომ თითქმის მთელი პიესის მანძილზე დრამატურგი თამარს დედოფლად მოიხსენიებს. ისტორიულად ყველას კარგად მოეხსენება, რომ გიორგი III-ემ თავისი ასული საკუთარ სიცოცხლეშივე გაამეფა. ღამის ნაწარმოების მიწურულს შევიტყობთ, თურმე ლაშქარმა იმდენად სცნო და ნდობა გამოუცხადა დედოფალს, მის მეფედ არჩევას აპირებს... XII საუკუნის არათუ საქართველოში არამედ მსოფლიოს არცერთ სახელმწიფოში გვირგვინოსანს არ ირჩევდნენ. ტახტი მემკვიდრეობით, დინასტიურად გადაეცემოდა მამიდან შვილს, ძმიდან ძმას და ა.შ.

მომდევნო საუკუნეებშიც მხოლოდ ამგვარად აღიოდა ტახტზე მეფე ყველგან. ვერ გეტყვით, რას მივანერო ჰამსუნის ასეთი მაღალი აზრი იმჟამინდელ „ქართულ დემოკრატიაზე“... ალბათ, ესეც იგავის, ზღაპრის, გამონაგონის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

პიესის მოქმედ პირთა შორის თამარის მეუღლე – გიორგი, დარწმუნებული ვარ, მკითხველის გაოგნებას გამოიწვევს. თავდაპირველად იგი ქალი-გვირგვინოსნის პირველი მეუღლე, უფლისწული იური, იგივე გიორგი გვგონია, შალვა დადიანის მიერ „უბედურ რუსად“ წოდებული. თუმცა მალე გუმანით ვხვდებით, ჰამსუნის გიორგი, აშკარად, თამარის მეორე ქმარი დავით სოსლანია. აქვე მინდა მკითხველი გავაფრთხილო, პიესაში ჩვენი ქვეყნისათვის, მისი ისტორიისა თუ კულტურისათვის მრავალ უცხო, არადამახასიათებელ რამეს წააწყდება და ნუ გაიკვირვებს. მაგალითად, კათალიკოსის, ეპისკოპოსის ან მღვდლის ნაცვლად – პრიორი, აბატი!.. სასულიერო პირთა წოდებებს რომ თავი დავანებოთ, არც სამხედრო არიან უკეთეს ყოფაში. ლაშქრის მეთაურს, სარდალს პოლონეთსა თუ უკრაინაში ნამდვილად ჰეტმანი ერქვა, მაგრამ არა საქართველოში!.. არც ადიუტანტთა ინსტიტუტი იყო გავრცელებული ქართულ სპაში!.. სახელი ტარასიც უკრაინული სინამდვილიდან ქართულში გადმოუნერგავს დრამატურგს!..

სულაც არ ვცდილობ ფერები განგებ ჩავამუქო. ყოველივე ამას მკითხველი თვითონვე იხილავს. ასევე თვალშისაცემია ავტორისეული რემარკები, რომელშიც გარემო და მოქმედ პირთა სამოსია აღწერილი. კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, თუ რატომ იწვევდა საქართველო ევროპელ მწერალთა ინტერესს. ეს აზიურ-აღმოსავლური ეგზოტიკაა, ფერების სიუხვით, სიჭრელით. ბუნებრივია, ჰამსუნის მიერ აღწერილი ქართველთა სასახლის მორთულობა თუ ადამიანთა სამოსი ასევე შორს დგას სინამდვილისაგან. თუმცა ევროპელი მკითხველისთვის უდავოდ საინტერესო იქნებოდა, რადგან მძაფრად გაუცხოვლებდა ზღაპრული ქვეყნისადმი ინტერესს და წამით მონყევტდა არსებულ რეალობას. ევროპას მთელი არსე-

ბით იზიდავდა მისთვის უცხო, უცნობი, ამოუხსნელი სამყარო, რომელსაც აღმოსავლეთი ერქვა. არაერთი მოგზაური, მწერალი, მხატვარი თუ თავგადასავლის მოყვარული ეტანებოდა ეგზოტიკას, რათა შემდეგ თავის სამშობლოში, სალონურ გარემოში გაეოგნებინა მსმენელი საკუთარი მონათხრობით ან შორეული მოგზაურობიდან ჩამოტანილი უცნაური ნივთებით, საჭურვლითა თუ სამოსით... დარწმუნებული ვარ, ასეთივე ეგზოტიკური, კოსტუმირებული, ვიზუალურად სანახაობრივი იქნებოდა ის სპექტაკლი, რომელიც ჰამსუნის „თამარ დედოფლის“ მიხედვით დაიდგა.

და მაინც, რა მიზანი ამოდრავებდა მწერალს, როცა ამ ნაწარმოებს ქმნიდა?! ჰამსუნი არ მიეკუთვნება იმ ავტორთა რიცხვს, ვინც ალაზღედზე ირჩევს თემას, სიუჟეტს, მოქმედ პირებს. ისევე, როგორც მის პროზაში, აქაც თვალმისაცემია ადამიანთა შორის გაჩენილი გაუცხოების ბზარი. ამგვარი რამ კიდევ უფრო ტრაგიკულია, როდესაც ოდესღაც ერთმანეთზე უზომოდ შეყვარებულ ადამიანებს ემართებათ. სწორედ ეს ტანჯავს გიორგის. მას გვირგვინი, ძალაუფლება კი არა, თამარის, როგორც ქალის კვლავ დაბრუნება სურს მთელი არსებით. ცოლქმარს შორის ურთიერთობა თანდათან გაცივდება. დედოფლის მეუღლეს ეს ახელებს. თამარი საქვეყნო საქმიანობა დაკავებული, გიორგისაც ვეღარ ამჩნევს თითქოს. თუმც თვითონაც იმ დროს იგონებს ტკბილად, როცა ერთმანეთი მგზნებარედ უყვარდათ. მათი გრძნობების ფერისცვალებაში ცოლი ქმარს ადანაშაულებს.

მიუხედავად იმისა, რომ გვირგვინოსანია, ჰამსუნი არ ივინყვებს, რომ თამარი ქალია. პიესის მსვლელობისას, გარკვეული დროით, დედოფალი ტუვის ჭაბუკი ხანით იხიბლება. ხანი ამკარად შეყვარებულია. ქართველთა დედოფლის მშვენიერებამ, სიბლმა მანდრაგორასავით იმოქმედა, მონუსხა იგი. ცოლის უეცარ კეკლუცობას, უცხო მამაკაცისადმი ფარულ არშიეს წონასწორობიდან გამოჰყავს გიორგი...

უნდა ითქვას, რომ ჰამსუნის შემოქმედებაში ამ ნაწარმოებს ამკარად გამოირჩეული, განსხვავებული ადგილი უკავია. პიესაში ავტორი აულაგმავ ვნებებს, მოუთოკავ გრძნობებს არ ერიდება. პირიქით, მთელი სიმძაფრით, სისავსით გადმოსცემს მათ. ამიტომ „თამარ დედოფალი“ რომანტიკულობის, ზეანულობის ამკარა ელფერს ატარებს, რითაც გამოირჩევა კიდევ მწერლის ბელეტრისტულ თუ დრამატულ თხზულებათაგან. ამავე დროს, ჰამსუნისათვის უჩვეული პათეტიკაც ახლავს თან. არც ქვეტექსტების სიღრმითაა აღბეჭდილი. თუმც საოცრად ნათელი სულისკვეთებით აღსავსე ნაწარმოებია. თითქოს უცხოც კია ჰამსუნის შემოქმედებისათვის. გარდა ზემოაღნიშნული ნიშან-თვისებებისა, პიესა გამსჭვალულია სიმბოლური აზროვნებით. მსგავსი რამ ყოველთვის უცხო, მიუღებელი იყო მწერლისათვის. იგი არ სცნობდა სიმბოლიზმს და ყოველთვის ღრმა ფსიქოლოგიზმის, რეალიზმის მომხრე გახლდათ.

... უეცრად ჩამონოლილი ნისლი რაღაც მისტიკურ იერს სძენს ყოველივეს. თითქოს ზღაპრულ, ირეალურ საბურველში ხვევს როგორც გარემოს, ისე ადამიანებს...

ჰამსუნი ოსტატურად იყენებს ბუნების ამ მოვლენას, როგორც სახიერ სიმბოლოს, მეტყველ მეტაფორას.

ავტორი ხაზგასმით გამოჰკვეთს თამარ დედოფალში რამდენიმე სანყისის ერთობლიობას. ქალი – დედა – დედოფალი – აი, ის სინთეზი, რომელიც მის რთულ ხასიათს ქმნის. რა თქმა უნდა, პიესის უმთავრესი მოტივი სიყვარულია, იმ გათიშულობის, ერთი შეხედვით გრძნობათა განვლების დაძლევაა, რომელიც დროთა განმავლობაში მიჯნურ წყვილს შორის წარმოიქმნება. მაგრამ ნაწარმოებში არანაკლები სიმძაფრით იჩენს თავს. რელიგიური შეუწყნარებლობის თემა. ავტორის პოზიცია ნათელია, სხვადასხვა ერის, განსხვავებული აღმსარებლობისა თუ კონფესიის ადამიანებმა მშვიდობიანი თანაარსებობა უნდა ისწავლონ. აუცილებელია ყოველი ინდივიდის ეროვნებას, რწმენას, ადათ-წესებს, ზნე-ჩვეულებებს პატივისცემით მოვეკიდოთ. ეს უდიდესი კაცთმოყვარული, ტოლერანტული მუხტი მკაფიოდ იგრძნობა „თამარ დედოფალში“. ჰამსუნის ქმნილება გაუღენთილია ზოგად ჰუმანისტური, საერთო საკაცობრიო იდეალებით. ყოველივე ამას კი აქტუალობა არც დღეს დაუკარგავს.

დრამატურგი ძალზე ოსტატურად ძერძავს რელიგიური ფანატიზმით აღსავსე ადამიანთა პორტრეტებს. ეს სენი დღევანდელი სამყაროს მოუშუშებელი იარაა. მაგრამ ჰამსუნი ერთნაირად უკომპრომისოა როგორც მუსლიმანი ფატიმატის მხილებისას, ასევე ქრისტიანი პრიორის სისასტიკის, შეუწყნარებლობის წარმოჩენისას.

ავტორს იმდენად სურს, რომ ადამიანთა შორის ამაღლებულმა იდეალებმა გაიმარჯვონ და მათ შეძლონ მომავალში ჭეშმარიტი თანაარსებობა, ლამის იდეალურ, შეთხზულ ფინალსაც კი არ ერიდება ამ მიზნის მისაღწევად. ე.წ. „ბედნიერი ფინალი“, ერთი შეხედვით, ჰოლივუდური კინოპროდუქციისათვის დამახასიათებელი მანერითაა გადაწყვეტილი. მაგრამ, ალბათ, ეს კნუტ ჰამსუნის ლამაზი, თუმც უტოპიური, ყველაზე სანუკვარი ოცნებაა, რომლის ახდენა, რეალობად ქცევა, ავტორსაც არ სჯერა, მიუხედავად იმისა, რომ მთელი არსებით სწავდა ყველაფერი ასე იყოს... დღეს თუ არა ხვალ, მომავალში მაინც!.. ბოლოს და ბოლოს, საკუთარი ისტორიის, მწარე გამოცდილების მაგალითზე იქნებ შეძლოს კაცობრიობამ და ჭკუა ისწავლოს... ვინ უწყის, ეს როდის მოხდება ან მოხდება კი საერთოდ?!.. როგორც დიდ მოაზროვნე მეოცნებებს, „თამარ დედოფლის“ ავტორს სურს ეს სჯეროდეს. მიუხედავად იმისა, რომ იგი სულაც არაა გულუბრყვილო, გულჩვილი, მიამიტი, რასაც მთელი მისი შემოქმედება ადასტურებს. პირიქით, ადამიანთა, საზოგადოების მიმართ ჰამსუნი ყოველთვის იყო უკომპრომისო, პირდაპირი, დაუნდობელი, სარკასტულიც კი... მიუხედავად ამისა, მაინც, სადღაც გონების კუნჭულში, სულის სიღრმეში იტოვებს რაღაც სულ მცირე იმედს, რომელიც ორპირ ქარში მოხვედრილი სანთელივით კრთის. თითქოს ერთი დაქროლვა და ჩაქრება, ირგვლივ ყოველივეს წყვედადი მოიცავს... მაგრამ მაინც კრთის, სუსტად, ფარფატივით, როგორც უკუნ, კუნაპეტ ღამეში, აზვირთებულ, აბობოქრებულ ზღვაში მარტოსული, ეული შუქურა.

საყვარელი მეგობარი ასე ვიპოვე

*

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქციას

მოგესალმებით!

ამ წერილის დაწერის სურვილი თქვენმა კითხვარმა აღმიძრა. როცა შეევასე, მივხვდი, რომ უკმარისობის გრძნობა დამრჩა და გადავწყვიტე, უფრო ვრცლად მომეწერა ზოგიერთი საკითხის თაობაზე.

ადრეც არაერთხელ შეგხმიაწებებდით ელექტრონული ფოსტით და, უხერხულადაც მიგრძენია თავი, ჩემი ბარათები თქვენი ჟურნალის ფურცლებზე რომ აღმოჩნდებოდა ხოლმე. ამიტომ, როგორც წესი, ვცდილობ თავი შევიკავო, თორემ ყოველი ნომრის წაკითხვის შემდეგ მიჩნდება სურვილი, გამოგეხმაუროთ, წაკითხულით აღძრული ფიქრები თუ ემოციები გაგანდოთ და ჩემი თქვენდამი სიყვარულიც დაგიდასტუროთ.

გაზეთ „ჩვენი მწერლობის“ არსებობის შესახებ 2001 წლის იანვარში შევიტყვე, როცა რადიოგადაცემა „დროებაში“ ლიტერატურული პრესის მიმოხილვას ვუსმენდი. მეორე დღეს თქვენი გაზეთიც აღმოვაჩინე და იმ დღიდან ვიქეცი ერთვულ მკითხველად. როდესაც, მიზეზთა გამო, გაზეთის გამოცემა შეწყდა, გაჩნდა სიცარიელე – საყვარელი მეგობარი დამეკარგოს თითქოს. თქვენი რედაქციის დაცვის თანამშრომლებსაც ვკითხავდი ხოლმე, თუ იგემებოდა მათი აღდგენა. მაიმედებდნენ, მაგრამ ამაოდ გელოდით და, აი, ერთხელაც, რუსთაველზე სეირნობისას, ერთ-ერთ სტენდზე ჟურნალ „ჩვენს მწერლობას“ მოვკარი თვალი და... კინაღამ გაზეთების გამყიდველი ქალბატონი გადავკოცნე, ისე გამეხარდა.

საყვარელი მეგობარი ასე ვიპოვე.

ახლა რაც შეეხება თქვენს გამოკითხვას, კერძოდ, საყვარელი თუ სასურველი რუბრიკების საკითხს. არსებულ რუბრიკათაგან მართლა გამიჭირდება რომელიმეს გამოორჩევა. ყველას თავისი ადგილი აქვს, თავისებურად კარგი და საჭიროა და სწორედ მათი ერთობლიობა ქმნის თქვენი ჟურნალის სახეს – თავისებურს და განუმეორებელს.

მომდევნო ნომრებში კი ლიტერატურული სიახლეები-სა და ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ლიტერატურული პროცესების თქვენეულ მიმოხილვას ვისურვებდი, ოღონდ, ასე ვთქვათ, ცხელ კვალზე. მაგალითად, გიორგი ლოზუანიძის წერილს გავისხენებდი („ლიტერატურული შლაპების სეზონი“, ვგონებ, ასე ერქვა), სხვათაგან დაუნუნებელი, თქვენი გაზეთის ფურცლებზე რომ დაიბეჭდა. მსგავსი წერილები, ვფიქრობ, კარგ სამსახურს გაუწევს მკითხველს და ჩვენს ლიტერატურაში უტყუარ გზამკვლევადაც გამოდგება (აქვე ვიტყვი როსტომ ჩხეიძის „ალიონიდან ალიონამდე“ სწორედ ასეთი სახის რუბრიკაა, ოღონდ, სამწუხაროდ, ყოველ ნომერში არ არის, არც ოპერატიულია და არც ყოვლისმომცველი. მას თავისი ადგილი და დანიშნულება აქვს და მეც ძალიან მომწონს).

ის, რაც, ჩემი აზრით, აუცილებელია თქვენი ჟურნალისათვის, არის უფრო მჭიდრო კავშირი ახალ თაობასთან, ახალგაზრდა, დამწყებ მწერლებთან. კარგია, რომ არსებობს რუბრიკა „ახალგაზრდებო, ან კი თქვენ...“, მაგრამ ვისურვებდი, უფრო ხშირად დაეთმოს მას თქვენი ჟურნალის ფურცლები. კარგი იქნებოდა, ახალგაზრდათა ქმნილებებს იქვე დართოდა გამოცდილთა „პირველი შთაბეჭდილება“ (დაახლოებით ისეთი, გაზეთ „ალტერნატივაში“ რომ იყო დამკვიდრებული). ამ საკითხზე უკვე მოგწერეთ და საკმაოდ ვრცლადაც, ამიტომ სიტყვას არ გავაგრძელებ. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“ ლიტერატურის ყველა სფეროს მოიცავს, ვფიქრობ, გარკვეული თვალსაზრისით, იგი ერთფეროვანია, თუმცა ეს, ალბათ, რედაქციის პოზიციას უნდა გამოხატავდეს და მიჭირს, ნაკლად მივიჩნიო.

სულ ეს იყო. იმედია, შემინდობთ მრავალსიტყვაობას. პატივისცემით

ნოდარ აფხაძე

სამშაბათს, 28 ნოემბერს
საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობაში
(საზოგადოებრივი რადიო)
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ თაოსნობით
გაიმართება მოსმენა და განხილვა
ზურაბ კანდელაკის
რადიოსპექტაკლისა

„საბრალო, საბრალო ჰამლეტი“

დასაწყისი 14 საათზე
კოსტავას №68

ხუთშაბათს, 7 დეკემბერს
ალმოსავლურ კაფეში „ქარავანი“
გაიმართება

დავით წერეთლის
პოეზიის საღამო

დასაწყისი 18 საათზე
ფურცელაძის 10

დაიბადა 1952 წ. 7 ივნისს სტამბოლში. გარდა იმ სამი წლისა, რომელიც მან ნიუ-იორკში გაატარა, სულ სტამბოლში ცხოვრობს.

დაამთავრა რობერტ კოლეჯის სასწავლებელი, სამი წელიწადი არქიტექტურას ეუფლებოდა სტამბოლის უნივერსიტეტში, აქვე 1976 წელს დაამთავრა ჟურნალისტიკის ინსტიტუტი. 1974 წლიდან დაიწყო წერა. მისმა პირველმა რომანმა „ჯევდეთ ბეი და მისი ვაჟები“ – 1979 წელს გაიმარჯვა გაზეთ „მილიეთის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში – საუკეთესო რომანისათვის. 1982 წელს გამოქვეყნებულმა ამ რომანმა მოიპოვა ცნობილი თურქი პროზაიკოსის – ორჰან ქემალის სახელობის პრემია, რომლითაც რომანების ავტორები ჯილდოვდებიან. ორჰან ფამუქის ნაწარმოებებს კიდევ მრავალი ჯილდო აქვს მოპოვებული თურქეთში და მისი საზღვრების გარეთ. ორჰან ფამუქის ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს ხალხების ბევრ ენაზე. ამ ნაწარმოებებმა დიდი გამოძახილი ჰპოვა მსოფლიოში – აშშ, სამხრეთ ამერიკა, ავსტრალია, იტალია, ინგლისი, საფრანგეთი, ნორვეგია და სხვ.

სულ ახლახან ორჰან ფამუქი ნობელის პრემიითაც დაჯილდოვდა.

რომანი „ჯევდეთ ბეი და მისი ვაჟები“ ეხება თურქეთის საზოგადოებრიობის განვითარების პრობლემას XX საუკუნის პირველ ათწლეულში. მასში ასახულია თურქული ეროვნული ბურჟუაზიის ჩამოყალიბების ძნელი გზა. ამ თვალსაზრისით ეს რომანი საინტერესო უნდა იყოს ქართველი მკითხველისთვისაც.

ორჰან ფამუქი

ჯევდეთ ბეი და მისი ვაჟები

ახალგაზრდა ფათიჰი* სტამბოლში

– ევროპა ჩვენთვის დღეიდან მხოლოდ ერთი რამ იქნება, რას ვამბობ, ერთი.. მიზანი! უფრო სწორად, მაგალითი – საით ბეი ვაგონ-რესტორანთან ერთად ირწეოდა, სწრაფად ლაპარაკობდა – დროა ყოყორება მოვიშალოთ. სულ ამას ვამბობ, მას შემდეგ, რაც ჩვენი ხმლების ჟღარუნი თოფებისა და მანქანების ხმაურმა გადაფარა, წლები გავიდა.. ახლა უკვე ქვეყანაც ის აღარ არის, აღარც მსოფლიოა ძველი მსოფლიო! მეოცე საუკუნის თითქმის ნახევარი გადის.. ათას ცხრაას ოცდათექვსმეტის თებერვალია.. ათას ცხრაას ორმოცდაათამდე რაღა დარჩა? დავლიოთ, დავლიოთ, სიამაყე განზე გადავდოთ და რესპუბლიკა და ევროპა მოვიწინელოთ.. კი მაგრამ, თქვენ სულ არ სვამთ!

ომერს რაღაცის თქმა უნდოდა: „ათას ცხრაას ოცდათექვსმეტის თებერვალი.. სტამბოლში ვბრუნდები“ – გაიფიქრა მან.

– არა, არა, ნურაფერს მეტყვიო, მესმის – უთხრა საით ბეიმ – თქვენ ალბათ გელოდებიან, ჩაფიქრებული ხართ. მესმის, მესმის! – გულკეთილი ბიძის როლს თამაშობდა, უღიმოდა.

* დამპყრობელი (თურ.), სულთან მეჰმედ II-ის მეტსახელი, რომელიც მას კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ ეწოდა

– არა, არავინ მელოდება – უთხრა ომერმა – არავინა მყავს, რომ მელოდებოდეს! – თავისი ღვინის ჭიქა საით ბეის გაუნოდა, რომელსაც ხელში ბოთლი ეჭირა – მართალი ბრძანდებით, არ ვსვამ, მაგრამ ანი დავლევ. – ქალბატონებმაც შესვან – თქვა საით ბეიმ – ჯერ თურქეთში არ ჩავსულვართ.



ეს იყო ხუმრობა ჩვენს კულტურაზე, დროზე, შეცვლილ ცხოვრებასა და თურქეთზე, ამ ჩვენ საყვარელ, სევდიან ქვეყანაზე, რომელსაც შუალამით მატარებლით ვუახლოვდებოდით. კარგა ხანია სუფრაზე ამგვარი საუბარი მიმდინარეობდა, ხუმრობდნენ, იცინოდნენ. საით ბეიც ყველასთან ერთად იცინოდა, მერე კი თავის მეუღლეს გადაეკიდა – ათიე ჰანუმი სასმელს თავისუფლად მხოლოდ საზღვარგარეთ სვამდაო. ამის პასუხად კი საით ბეის მისი და, გიულერი შეუჩნდა – საითიც საფრანგეთში ყოველი ჩასვლისას ღვინისა და არყის თაობაზე შეხედულებებს იცვლისო.

საით ბეიმ დის ხუმრობა ვითომ იწყინა, ომერს გახედა და უთხრა:

– არაყზე ვერაფერს ვიტყვი. არაყი მამაკაცების სასმელია.

ამ სიტყვებს საერთო მხიარულება არ გამოუწვევია. მარტო საით ბეიმ, აქაო და ეს მარტო მე და ომერს გვესმის, იმიტომ, რომ მამაკაცები ვართო, კმაყოფილებით ჩაიღიმა.

ომერმა ისინი გუშინ აქვე, ვაგონ-რესტორანში გაიცნო. საით ბეიმ ბოდიში მოუხადა, უთხრა, თავისუფალი მაგიდა არსად არისო, და დაჯდომის ნებართვა ითხოვა. პირველი თავაზიანი სიტყვების შემდეგ უამბეს, რატომ იყვნენ პარიზში. საით ბეის მეუღლესთან ერთად ყოველ წელს ევროპაში მოგზაურობა ჩვევად ჰქონია. წელს თავისი ქმარსგაცილებული დაც წამოუყვანიათ. ომერმაც უთხრა, რომ პარიზში ლონდონიდან გავლით იყო. ლონ-

დონში ოთხი წელი სამშენებლო-საინჟინრო ფაკულტეტზე სწავლობდა.

– ქალთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ჩვენ ევროპის მრავალ ქვეყანაზე წინ ვართ – განაგრძო ათიე ჰანუმმა.

– მართალია, ეს მნიშვნელოვანია.. – მიუგო საით ბემ – აი, სწორედ ეს არის რესპუბლიკა.. – შემდეგ მისთვის სრულიად შეუფერებელი განებივრებული ბავშვის გამომეტყველება მიიღო და დასძინა – თუმცა, გასწი-გამოსწი, ქალების მოვალეობა მთელს მსოფლიოში ერთია. სიჩუმე ჩამოვარდა.

შემდეგ ათიე ჰანუმმა, ვითომდა საით ბემს მამაკაცური უხეშობისა შემრცხვაო, თქვა:

– საით ბემ ასე არ ფიქრობს. – მაგრამ ეს კარგად არ გამოუვიდა, უეცრად თვალები აენტო, ჩანთიდან რამდენიმე სურათი ამოიღო, ღიმილით ომერს გაუწოდა და უთხრა:

– აი, შეხედეთ, ესეც ჩემი ტკბილი მოვალეობა.

ომერმა სურათები გამოართვა და დახედა – ზედმეზღვურის ტანსაცმელში გამოწყობილი ბავშვი მოჩანდა, ცალი ხელი სკამის საზურგისათვის ჩაეწყო, მეორით სალამს იძლეოდა.

– რამდენი წლისაა? – იკითხა სიტყვის მასალად.

– ერთ კვირაში ოთხის გახდება – უპასუხა ათიე ჰანუმმა – 1932-ის მარტშია დაბადებული.

„მეც ოთხი წელია, რაც საზღვარგარეთ ვარ“ – გაიფიქრა ომერმა. მატარებლის ხმას ყურს უგდებდა და ირწეოდა: „ოთხი წელია თურქეთში ფეხიც არ ჩამომიდა გამს. ევროპაში გავიქეცი. დისერტაცია უნდა დამეცვა, ინჟინრის დიპლომს დავჯერდი, გავიარე, გამოვიარე, ცოტა საკუთარ თავს ჩავუფიქრდი, მშობლების დანატოვარი გამოვჭამე, ვიცხოვრე, ერთი სიტყვით... ახლა უკან ვბრუნდები... ახლა, 1936-ის თებერვალში ვბრუნდები და დეიდაჩემის მოლოდინის თანახმად, ცხოვრების მორევში ვეშვები“.

– ამ სურათზე ერთი წლისაა. შინ, თეშვიქიეში, ფოტოგრაფი გვყავდა მონვეული.

ამ სურათზე ბავშვი დედას ეჭირა ხელში. საით ბემს ხელი ათიე ჰანუმის მხარზე ედო და ტანი ოდნავ წინ წამოწია, მაგრამ ქმარზე მეტად მზრუნველ ძმას წააგავდა. მესამე სურათი ფოტოგრაფის ატელიეში უნდა ყოფილიყო გადაღებული. ცოლ-ქმარს გაყინული ღიმილი დასათამაშებდა სახეზე. ვერ გაიგებდი, მართლა ბედნიერები იყვნენ, თუ ამგვარი გამომეტყველება უბრალოდ აუცილებლად მიაჩნდათ. ბავშვი კი თითქოს სატირლად ემზადებოდა.

ომერმა იგრძნო, რომ რაღაც უნდა ეთქვა:

– საყვარელი ბავშვია.

– ყველა ამას ამბობს – უპასუხა ათიე ჰანუმმა აღელვებით. შემდეგ ფოტოები ომერს გამოართვა და ბედნიერი სახით დაუწყო თვალიერება. საით ბემც მუღლისაკენ მიიწია და დახედა. გეგონებოდა, ფოტოებზე იმას ექებდნენ, რამაც ომერს „საყვარელიაო“ ათქმევინა.

„რისთვის ვბრუნდები სტამბოლში?“ – ფიქრობდა ომერი – „ცოლი, ბავშვი, ბედნიერი ოჯახი, ბევრი ფულის შოვნა.. ნუთუ ამისათვის?“ ჯერ თურქეთში არ შესულიყვნენ, მაგრამ თითქოს უკვე სევდისა და პრიმიტიული ოჯახური ბედნიერების სუნი სცემდა: – მე კიდევ დავლევ – თქვა უეცრად და ჭიქა აიღო.

– დალევთ, დალევთ – ღიმილით მიუგო საით ბემ – ახალგაზრდა ხართ, ახლა თუ არ დალევთ, მამ როდისლა?

ერთწლიანი ევროპული მოგზაურობიდან ბრუნდებოდა. ახალგაზრდა ცოლით ამაყობდა, შვილის სურათს ბედნიერი გამომეტყველებით უმზერდა, იმპორტს ეწეოდა, დრო და დრო ახსენებოდა, რომ ფაშას ვაჟი იყო და სევდა ერეოდა. „მე სხვა რამეს გავაკეთებ“ – გაიფიქრა ომერმა – „ამას ყველაფერს გვერდს ავუვლი, გადავლახავ!.. ყველაფერს შევძრავ, გავანადგურებ და ისე მოვიპოვებ!“

კვლავ სიჩუმემ დაისადგურა.

– ევროპაზე ჰყვებოდი, ძმაო – უთხრა გიულერმა.

– ვყვებოდი, არა? ევროპა და ჩვენ.. ცხოვრებულ მამაჩემ ფაშაზე გიამბობდით, არა? ცხოვრებულმა ჩემმა მშობლებმა ითხოვეს ნიგან ჰანუმის ხელი ჯვედეთ ბეისათვის, რომლის ვაჟიც თქვენი მეგობარი ყოფილა. ქორნილიც ჩვენს სახლში გადაიხადეს. შემდეგ ის სახლი მთლიანად შეეცვალეთ, დროის მოთხოვნებს მოვარგეთ.

– ნეტავ ოცი, ოცდაათი წლის შემდეგ როგორები ვიქნებით? – ამოიხენემა ათიე ჰანუმმა, თან ომერს უყურებდა.

„ესენი ელიან, რომ გავართო, საინტერესო ამბები მოვყვე“ – გაიფიქრა ომერმა. გადაწყვიტა, თავი ვაგონის რწვეისა და სასმელისათვის მიენდო. – კიდევ ერთი ბოთლი ხომ არ მოვატანინო? – იკითხა შემდეგ.

– რა თქმა უნდა – უპასუხა საით ბემი. ცხოვრებას შეჭიდებულ ამ ახალგაზრდას სიყვარულით უცქერდა, ალბათ თავის წარსულს, გასულ წლებს იხსენებდა და ფიქრები ეძალებოდა.

ოფიციალტმა ახალი ბოთლი მოიტანა.

ომერს მოაგონდა, რომ ერთ დროს ბევრს სვამდა. როდესაც მამა გარდაეცვალა, მამინ დაიწყო და დედის გარდაცვალების შემდეგ ჩვევაში გადაუვიდა. სტამბოლში, საინჟინრო სასწავლებელში სწავლისას ხშირად დილამდე უსვამს, ბეიოლლუს გასართობ ადგილებს ეტანებოდა, სასწავლებელში მთვრალი მიდიოდა. ინგლისში ყოფნისასაც არაერთხელ ჰქონია ისეთი პერიოდები, როცა სასმელს ეტანებოდა. მას შემდეგ, რაც სტამბოლის საინჟინრო სასწავლებელი დაამთავრა, საზღვარგარეთ წასვლა გადაწყვიტა. მეგობრებიც აგულიანებდნენ: „ფული გაქვს, დროც გაქვს, არც არავინ გყავს, რომ დაბრუნდე და მიხედო, მთელი ცხოვრება ამ ნაგავში უნდა იქეყო? ნადი, ქვეყანა ნახე, გაერთე, ცოტა რამეც ისწავლეო“, ეუბნებოდნენ. ინგლისში სწორედ იმას აკეთებდა, რასაც მეგობრები უკიჟინებდნენ. შემ-

დეგ ერთი გოგონა შეუყვარდა, დაქორწინება და იქ დარჩენა გადანიშნა. როცა ოფიციალტის მიერ მოტანილ ბოთლს შეხედა, გაიფიქრა: „ჩვენთანაც აკეთებენ კარგ რაღაცეებს!“ ერთხანს თითქოს ინანა, რომ იძულებული გახდა ისევ თურქეთში დაბრუნებულიყო, ძველებურად ნაგავი ეჩიჩქნა, მაგრამ ახლა კმაყოფილი იყო. თურქეთი მისი სანაგვე იყო, მისი ჟინის შესაფერი-სი. მაშინ, როდესაც ევროპა დიდი ხანია შეცნობილი ჰქონდა. ამასობაში, ბოთლის ეტიკეტს დახედა და გაიფიქრა: „შესაძლოა, ეს ბავშვური ფიქრებია, მაგრამ იქ ცხოვრებისა მეშინოდა! იქაური ცა ტყვიისფრად მეჩვენებოდა... თურქეთში ყველაფერი სხვაგვარადაა. ახალია, ჩემზე მორგებული...“

– ოოო, ბევრს სვამთ, ჩემო ბატონო, ღმერთმანი, ვერ გეწვევით!

ომერს შერცხვა: – აა, მართლაც ასეა, უეცრად მესიამოვნა და...

– მაგრამ, რაც უფრო მეტს სვამთ, სევდა გერევთ, ჩუმად ხართ – უთხრა ათიე ჰანუმმა – აბა, გვითხარით, ნელან რამ ჩაგაფიქრათ, ოლონდ ახლავე!

საით ბეიმ ჯერ მეუღლეს მკაცრი მზერა ესროლა – ადამიანს თავი დაანებო. შემდეგ ომერს იმგვარად გაუღიმა, თითქოს ებოდინებოდა – გნებავთ გვითხარით, თუ არა და თქვენი ფიქრები თქვენთვისვე დაიტოვეთო, მაგრამ სინამდვილეში მისი სახე სულ სხვას გამოხატავდა: მართლაც, ვინ იცის, რას ფიქრობ ახლა შენო?

– ჩემს თავზე ვფიქრობ – უპასუხა ომერმა.

– ჰოო, რას ფიქრობთ საკუთარ თავზე? – განაგრძო ათიე ჰანუმმა და თავი ამაყად გადასწია უკან.

– ბევრი რამის გაკეთება მინდა! ვფიქრობ, რომ ბევრს შევძლებ!

– ეეე, ცხადია, ახალგაზრდა ხართ – უთხრა საით ბეიმ.

– არა, მაგას არ ვგულისხმობ – უპასუხა ომერმა – სხვა რამის თქმა მინდოდა. ბევრის გაკეთებას ვფიქრობ, მაგრამ ეს... ეს ყველაფერი სრულიად განსხვავებული რამ იქნება! – იგრძნო, რომ სახეც აენტო.

– თითქოს მესმის თქვენი – უთხრა საით ბეიმ.

– ვერ გიხსენით!

ათიე ჰანუმმა კვლავ ნელანდელი ეშმაკური გამომეტყველება მიიღო და უთხრა:

– ჰოდა, მამ აგვიხსენით.

საით ბეის დამ, გიულერ ჰანუმმა, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში მენიუს ისეთი ინტერესით ჩასცქეროდა, გეგონებოდა წიგნს კითხულობსო, თავი ასწია და ომერს შეხედა.

– თქვენ... თქვენ რაიმე მისწრაფება გაქვთ, საით ბეი? – ჰკითხა ომერმა.

– როგორ, ჩემო ბატონო? – ვერ გაუგო საით ბეიმ, ჯერ გაუღიმა, მერე კი წარბები შეიკრა.

– თქვენ რაიმე ჟინი თუ გაქვთ, ბატონო ჩემო, დიახ, ჟინი?

– მაქვს?... – ჰკითხა საით ბეიმ მეუღლეს ისეთი სახით, თითქოს რაღაცის გახსენებას ცდილობსო.

– არა, არა, საით ბეიმ არაფრის აჩემება არ იცის – წამოიძახა ალელვებულმა ათიე ჰანუმმა – ბატკანივით უწყინარია – გაცინებასაც აპირებდა, მაგრამ ომერს რომ შეხედა, შეეშინდა. კულტურული ქალი იყო, თუმცა ცოდვის ჩადენას ერიდებოდა.

– მადლობა უფალს, ჟინიანი არა ვარ – წამოიძახა საით ბეიმ – ეს ცხოვრება თავისი პატარ-პატარა პრობლემებითა და წვრილ-წვრილი სიამოვნებებით ჩემთვის სავსებით საკმარისია.

ამჯერად ყველას გაეცინა.

– მადლობა ღმერთს, მე კი ჟინიანი ვარ – გააგრძელა ომერმა. შეამჩნია, რომ გიულერი ისევ მას უყურებდა – მცირედი სიამოვნება, უმნიშვნელო დარდები ჩემთვის საკმარისი არ არის! – უცებ ბოდიშის მოხდა და საკუთარი აზრების განმარტება მოუწია – ბევრის გაკეთება მინდა. მცირედით ვერ დავკმაყოფილდები. არ ვიცი, გაგაგებინეთ თუ ვერა, ჩემი ჟინი ერთი გარკვეული რამისადმი განცდილი ლტოლვა არ არის! ყველაფრის მიმართ ჟინიანი ვარ. ყველაფერი... ცხოვრება, ყველაფერი, რაც წინ დამხვდება, ყველაფრის ხელში ჩაგდება მინდა!

– ახალგაზრდობა, ახალგაზრდობა – ჩაიბუტბუტა ათიე ჰანუმმა.

– რისი ჩაგდება გინდათ ხელში? – იკითხა საით ბეიმ.

– ყველაფრის – უპასუხა ომერმა და ყველიან თეფშს გადასწვდა, რომელიც საით ბეიმ გაუწოდა, თუმცა სულაც არ უნდოდა ჭამა.

– მიირთვით, ამ ყველს ფრანგები ხილივით ჭამენ. უსიამოვნო სუნი აქვს, არა? მაგრამ თუ ამ სუნს ერთხელ შეეჩვიეთ...

– ჩემო საით, ომერ ბეი რაღაცას გვიამბობდა... – უთხრა ათიე ჰანუმმა.

– დიახ, დიახ, სწორედ მას ვუსმენთ...

– მგონი, ზედმეტი დავლიე – აღნიშნა ომერმა, რადგან შეამჩნია, როგორ მისჩერებოდა მას სამივე.

– ააა, გთხოვთ, ისე საინტერესოდ ყვებოდით – შეეხვეწა ათიე ჰანუმმა.

– ჩვენი მეუღლე საინტერესო ამბების მოსმენაზე გიჟდება – აუხსნა საით ბეიმ. შემდეგ თითქოს მიხვდა, რომ მისმა ისარმა მიზანს ვერ მიაღწია და სწრაფად დაამატა – გასართობი, საინტერესო ამბები, სანახაობები აინტერესებს. გააგრძელეთ, გეთაყვა.

– მეც მაინტერესებს – დაეთანხმა ალელვებულ ომერი – მე ყველაფერი მაინტერესებს, ყველაფერი მინდა. ნელან მკითხეთ. ყველაფრის ხელში ჩაგდება მინდა – ლამაზი ქალების, ფულის, სახელის, დიდების. ხედავთ? მაგრამ ეს ყველაფერი იმდენად მინდა, რომ უკან არ დავიხვევ, ამისათვის სულსაც კი გავწირავ.

საით ბეი მზრუნველად მიუბრუნდა ცოლსა და დას გააფრთხილა:

– იცოდეთ, ხორცის სოუსი ძალიან ცხარეა. ეს საკმა-ზი ვიცო.

ომერი ქარხალივით განითლდა. „სანახაობების სიყვარული, მღელვარება, ქალებზე შთაბეჭდილების მოხდენის სურვილი... არასოდეს დავღვინდები, ამასობაში კი ოცდაექვსი წლისა ვარ“ – გაიფიქრა თავისთვის.

უეცრად ათიე ჰანუმმა ახალა:

– აჰ, მგონი გაგიგეთ, თქვენ თანამედროვე რასტინი-აკი ხართ. იცით, ვინ არის? აი, ბალზაკის რომანში, „მამა გორიო“, რომაა... ისეთი ვინმე, დამპყრობელი.. დიახ, თურქულად ასე უნდა იყოს, არა?

– ნამოგანითლათ, ჩემო ბატონო! – მიმართა საით ბეიმ – ეს რადიატორები ძალიან ხურს. ერთი ბოთლიც მოვატანინოთ? – მეგობრულად, გულთბილად უღიმოდა.

– მოვატანინოთ.

– დიახ, დიახ, დამპყრობელი, რასტინიაკი – ბუტბუტებდა თავისი აღმოჩენით ალელვებული ათიე ჰანუმი.

– თურქული შესატყვისის ხმარება მინდა. ფათიჰი ავირჩიე – გამოაცხადა ომერმა.

– რა კარგია! – გამოეხმაურა ალელვებული ათიე ჰანუმი – მოდით, სურათი გადავიღოთ. აქ გამოვა, საით?

– ამ განათებაზე არ გამოვა. ფოტოაპარატი თანა გაქვს?

უეცრად გიულერი ომერს მიუბრუნდა:

– კი მაგრამ, თქვენ თურქს მაინცადამაინც არ ჰგეგხართ.

– კარგი, კარგი, მოეშვით ახლა მაგეებს – ჩაერია საით ბეი – მისმინეთ, რა გიამბოთ. ერთ დღეს ტყეში ერთი კუ და მელა შეხვდნენ ერთმანეთს. მელამ..

საით ბეის წვრილი, მოვლილი უღვაშები ჰქონდა. მოყოლისას ეს მუქი წვრილი ზოლი ზედა ტუჩთან ერთად უმოძრავებდა. „ახლა გასაცინებლად ვემზადებით“ – გაიფიქრა ომერმა.

როდესაც საით ბეიმ ამბის თხრობა დაასრულა, ყველამ ერთად გაიცინა.

– ერთი, იმ მოსამსახურის ამბავიც მოყვი რა, ჭიქები რომ აურია – სთხოვა ათიე ჰანუმმა.

საით ბეიმ ერთხელაც გაიცინა და თხრობა განაგრძო. მოყოლისას მისი ცოლიც მასავით ირწეოდა. ვაგონ-რესტორანში კვლავ ტევა არ იყო. წინა მაგიდასთან ოთხი ასაკოვანი მამაკაცი ხარხარებდა, ჭიქებს სწევდნენ. ერთ-ერთს სიცილისას თეთრი წვერი ჰალსტუხზე ეხახუნებოდა, ჟილეტზე ძენკვი უბზინავდა. მეორე მაგიდასთან ქუდიანი ქალი მძინარე ბავშვს ეალერსებოდა და ილიმებოდა. „მეც ცხოვრებაში ბევრჯერ მიცინია“ – გაიფიქრა ომერმა. საინჟინრო სასწავლებელში სწავლისას მთელს დღეებს შაყირში ატარებდა. მუჰითინისა და რეფიქთან ერთად პოკერს თამაშობდა, ყველაფერს მასხრად იგდებდა. წარსულის გახსენებაზე მოიწყინა. თანაც სასმელმაც ძალა დაკარგა, გუნება გაუფუჭდა. გადანყვიტა, მონაყოლისათვის ყური მიეგდო.

პირველი საათისათვის ვაგონ-რესტორანი დაიცალა. რწევა-რწევით მოსიარულე ოფიციალტებიდან ერთ-ერთი მათ მაგიდას მიუახლოვდა:

– ცოტა ხანში ვიხურებით, ბატონებო! ედირნეს ვუახლოვდებით. საპასპორტო კონტროლისათვის კუპეებში.. – სასიამოვნო ხმა ჰქონდა.

– დიახ, დიახ, უკვე მივიღვართ – უპასუხა საით ბეიმ.

შემდეგ ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოწვა. ქალებმა თავიანთი ჩანთები აიღეს. საით ბეიმ ანგარიში გაასწორა. ათიე ჰანუმმა ფანჯარაში გაიხედა. „აი, სწორედ ეს არის სევდა – გაიფიქრა ომერმა – თურქეთში შესვლასთან ერთად გუნებაც გიფუჭდება“.

სუფრიდან ადგომის შემდეგ მარტოობა დაეუფლა და გაიფიქრა: „ეგებ თავის კუპეში დამიძახონ. საუბარს იქ გავაგრძელებდით. რა არის ამაში ისეთი? ფათიჰი ვარ მე!.. რასტინიაკი.. შესაძლოა, ცოტა ზედმეტი დავლიე, მაგრამ სასმელი მე..“

– ხვალ დილით შევხვდებით!

ეს ათიე ჰანუმმა თქვა. მგონი, ყველაზე გამგებიანი ის იყო. ომერმა გაიფიქრა, იმდენად ჟინიანი ვარ, უმნიშვნელო მარტოობასა და სევდას არაფრად ჩავაგდებო.

მეორე დილით მათი ნახვა მხოლოდ მაშინ მოახერხა, როდესაც მატარებელი უკვე სირქეჯიში შედიოდა. ფანჯრიდან გადმოკიდებულები აქეთ-იქით იყურებოდნენ. ომერი მათ კუპეში შევიდა და სათითაოდ ხელი ჩამოართვა. თითოეულმა კეთილი სიტყვები უთხრა. საით ბეიმაც გულთბილად მიმართა:

– გუშინ სალამოს თქვენზე ვფიქრობდი. მართალი ხართ, ჟინიანი უნდა იყოთ. ჩვენს ქვეყანას სწორედ ეგ აკლია.

ომერმა ხელი აიქნია, აქაო და ჩემი ლაყობა, აბა, რა ყურადღების ღირსიაო. ამ შესტზე ქალებსაც გაელიმათ, თან თვალი ბაქანზე მყოფი დამხვდურებისაკენ გაურბოდათ. ორივეს ქუდი ეხურა: ფართო ფარფლებიანი ქუდეები ლამაზი სანახავი იყო. ათიე ჰანუმმა თვალსა და ხელს შუა ომერს სურათიც გადაუღო. ალელვებული ომერი კუპედან გავიდა.

ჩემოდნები აიღო და საბაჟოსაკენ მიმავალმა კიდევ ერთხელ დაინახა ისინი. ქალების ქუდეები ვაგონის ფანჯრიდან ბაქანზე გამოკიდებულ ხილს ნააგავდა. ათიე ჰანუმმა ამ საინტერესო და სიმპათიურ ახალგაზრდას ხელიც დაუქნია. საით ბეიმ კიდევ ერთხელ გაუმეორა, რომ მას სტამბოლშიც სიამოვნებით შეხვდებოდა. როცა მისი ხმა ბაქანზე შემოსულმა ხმაურმა შთანთქვა, ომერმა მღელვარება იგრძნო. საბაჟოში შესვლისას დამხვდურებს შორის ბავშვი შეამჩნია, ფოტოზე რომ ნახა მეზღვაურის ტანსაცმელში გამოწყობილი. მოხუცი ძიძას ეჭირა ხელში, რომელიც უკმაყოფილოდ გამოიყურებოდა და ხელს უაზროდ იშვერდა მატარებლისაკენ.

„ყველაფერს დავძლეე“ – გაიფიქრა ომერმა.

საბაჟოს შენობაში შესულმა იგრძნო, რომ უკვე ნამდვილად თურქეთში იყო. მასში უცნაურმა, დიდი ხნის წინათ მივიწყებულმა სიყვარულმა გაიღვიძა. ერთხანს მეზაჟეს ეძებდა, რომლისთვისაც ჩემოდნები უნდა ეჩვენებინა. შემდეგ მოხუცი მეზაჟის წინ ჩამწკრივებულ რიგში ჩადგა და ლოდინი დაიწყო. ამასობაში, გრძელ-

პლაშჩინამა, ელევანტურმა მამაკაცმა ჩაუარა და მხარი გაჰკრა. მოხუცმა მებაჟემ გამოსძახა, ტყუილად დგახართ, ბარგი სხვამ უნდა შეამონმოსო. მეორე მებაჟესთან რიგის დასაკავებლად ერთი ჭყლეტა შეიქნა. ვილაცამ ოთახიდან საშინელი ღრიალი მორთო. რიგში მდგომი ქუდიანი კაცი კი იმაზე ჩიოდა, როგორ უყვართ ჩინოვნიკებს ტყუილბრალოდ მოქალაქეების წვალება. როდესაც ომერის რიგი მოვიდა, მებაჟეს მოხუცი მოხელე მიუახლოვდა და უთხრა:

– მოეშვი ამ ახალგაზრდას, გაიაროს, არაფერი აქვს!

მებაჟე უკმაყოფილო კილოთი დაეთანხმა და ჩემოდანს შეუმონმებლად დაუსვა ნიშანი. შემდეგ საიდანღაც მოულოდნელად გაჩენილმა მებარგულმა ომერის ჩემოდნებს ხელი დასტაცა. რამდენიმე წამში უკვე სირქეჯიზე იყვნენ.

კუთხეში ტრამვაი იდგა, მგზავრები ჩამოდიოდნენ. მის უკან ეტლი ვილაცას ელოდებოდა, მეეტლე სიგარეტს უკიდებდა. ოთხი კურტნის მუშა ბაბიალისკენ უზარმაზარ კასრს მიაგორებდა. ქვაფენილზე ჩამოძვადარ მათხოვარს მენაგვე ელაპარაკებოდა. ელევანტური მამაკაცი, ქოლგით ხელში, ქარაქოსისკენ მიემართებოდა. ერთი ეტლიდან სასადილოში დიდ ქვაბებს ეზიდებოდნენ. ტაქსის მძღოლი თავისივე მანქანაში გაზეთს კითხულობდა. ვილაც ქალბატონი ბავშვთან ერთად ფეხსაცმლის მაღაზიის ვიტრინას ათვალთვლებდა. მაღლა ყვითელი, ბუმბულივით მსუბუქი ცა იყო. ჰაერში ტენი იგრძნობოდა.

მებარგული ჩაფიქრებულ ომერს მიუბრუნდა და ჰკითხა:

- საით?
- ქარაქოში.

ხიდზე ფეხით გადასვლა გადაწყვიტა, ქოლგის, ელევანტურად ჩაცმულ მამაკაცს მიჰყვნენ უკან.

„ფათიჰი ვარ მე!“ – ფიქრობდა ომერი და თან რაცნაირ სიმსუბუქეს გრძნობდა – წლების განმავლობაში პირველად თავზე ცა არ აწვებოდა.

სადღესასწაულო სადილი

მოქარგულ სუფრაზე იდაყვებდაყრდნობილ ნიგან ჰანუმს ხელები ნიკაპქვემ ამოედო და ფაიფურის თეფშს დაშტერებული ფიქრებს მისცემოდა:

„კარგი ვქენი, რომ მოოქროვილი სერვიზი გამოვიღე! რამდენი წელია ბუფეტში უქმად დგას. ჩაისაც ნაშუადღევს ლურჯვარდებიანი ფინჯნებით დავლევთ, ბები-აჩემმა რომ გამომატანა მზითევში. დასანანია, რომ ამ სერვიზის ორი ფინჯანი გატყდა. ვერცხლის სერვიზები რატომ არ გამომაქვს და არ ვაპრიალებინებ? ასეთ დღეებში თუ არა, სხვა როდის უნდა ვიხმარო ვერცხლის სერვიზები?“ მოქარგული სუფრაც წინა ქურბან ბაირამის დროს გამოიღო. ისიც მისი მზითვეი იყო, ესე იგი

ოცდაათი წელია სათუთად ინახებოდა. ნიგან ჰანუმმა შეამჩნია, რომ უცნაური სურვილი დაუფლებოდა – გამოეყენებინა ყველაფერი, რაც სკივრებში, კარადებში, ბუფეტებში, ყუთებში წლობით ინახებოდა. „თითქოს იმის ნახვა მინდა, როგორ დაცვდება ყველაფერი – დალაქავდება და დაიხევა სუფრები, დაიმსხვრევა ფინჯნები და თეფშები, დაიკარგება დანა-ჩანგალი. ოცდაათი წელია, რაც გავთხოვდი. ჯევედეთ ბეისთან ერთად სამოცზე მეტი დღესასწაული გადავიხადეთ. აი, ესეც, 1936 წლის ქურბან ბაირამი. ქმარი, ორი ლომივით ვაჟ-კაცი, ქალიშვილი, ორი მშვენიერი რძალი, ორი პატარა შვილიშვილი – ყველანი ერთად ვართ“.

ყველანი ერთად, თავიანთ სახლში, ნიშანთაშიში, ფანჯარასთან სუფრას შემოსხდომოდნენ. ფანჯრიდან ცნობილი სანიშნე ქვა და ცაცხვის ხეები მოჩანდა. მზარეულს ელოდებოდნენ, სადილი უნდა შემოეტანა. ნიგან ჰანუმსი წვიმიანი ამინდისა და სიბნელის გამო ანთებული დიდი ჭალისაგან მომავალ სითბოს გრძნობდა. ცოტა ხანში, როგორც სხვა დრესასწაულების დროს სჩვეოდა, ოთახში ფეხის წვერებზე შემდგარი მზარეული ნური შემოვიდა ხელში დიდი ლანგრით. ყველა ამას ელოდა და თითქოს აინტერესებდათ, როგორ დააწვებოდა მზარეული თითის წვერებს ლანგრის შემოტანისას.

– ნახეთ? ერთ-ერთი ცხოველის კუჭიდან უზარმაზარი ქვა ამოიღეს. აი, ამხელა..

ნიგან ჰანუმის უმცროსმა ვაჟმა, რეფიქმა, ცერით საჩვენებელი თითის წვერი აჩვენა და სუფრაზე პატარა წრე შემოხაზა.

„ჩემს უმცროს ვაჟს ყოველთვის ყველაფერი აინტერესებდა. ეს ჩემგან აქვს!“ – გაიფიქრა ნიგან ჰანუმმა. შემდეგ უფროს ვაჟს, ოსმანს, შეხედა, რომელმაც უმცროს ძმას პასუხი გასცა:

– ჰო, ცხვარს ამოუღეს, არა?

დილით უკანა ეზოში დაკლული ცხოველებიდან ერთ-ერთზე საუბრობდნენ. ნიგან ჰანუმმა თვალეები აახამხამა და გაიფიქრა, ყოველი ქურბან ბაირამის დროს ერთი ცხვრისა და ორი ბატკნის დაკვლა ჩემში ძლიერების შეგრძნებას იწვევსო.

– ეეე, სადაა ეს საჭმელი? – ჯევედეთ ბეი ჩვეულები-სამებრ მოუთმენელი იყო.

ნიგან ჰანუმმა მის გვერდით მჯდომ მეუღლეს ლაქებგაჩენილ ხელზე დახედა, რომლითაც ის ჩანგალს ათამაშებდა. ისევ სალათს დააყოლებსო, გაიფიქრა და გუნება გაუფუჭდა. შემდეგ პატარა შვილიშვილს, ჯემილს გადახედა, რომელიც უფროს დასთან საუბრით იყო გართული. ექვსი წლის ჯემილი რვა წლის ლალეს ცხვრის დაკვლის ამბავს უყვებოდა – დაკლული ცხვარი ერთხანს კიდევ ფართხალებდა, მაგრამ ლალეს შეშინებოდა და ამ სურათისათვის აღარ უყურებია. ნიგან ჰანუმმა გაიფიქრა, ჯანმრთელი და საყვარელი შვილიშვილები მყავსო. მისი ქალიშვილი აიშე კი, როგორც ყოველთვის, მდუმარე და მოწყენილი ჩანდა.

მზარეული ნური ლანგრით ხელში სამზარეულოდან გამოვიდა. ნიგან ჰანუმმა პირველმა შეამჩნია ეს და მეზღაპრის საზეიმო კილოთი ოჯახის წევრებს ამცნო. მართალია, მისთვის ფეხებზე არ დაუხედავს, მაგრამ ნურის მიხვრა-მოხვრაზე მიხვდა, მზარეული თითის წვერებზე მოდიოდა. თვალეხახმამებული უყურებდა, ნური ლანგარს სუფრაზე როგორ დგამდა. ხანმოკლე სიჩუმეს საყოველთაო მხიარულება მოჰყვა. ყველანი სუფრის შუაში ჩადგმულ ლანგარს მიმტერებოდნენ.

მოვარაყებულ ლანგარზე წვრილად დაჭრილი ხორცი და მუხუდოთი მორთული ფლავის გორები ენყო. ხორცი ახალდაკლული ცხვრისა არ იყო. ათიოდე წლის წინათ, ერთ-ერთი ასეთი სადღესასწაულო სადილის დროს, ჯვედეთ ბეის, ალბათ იმ დილით დაღეული ზედმეტი ლიქიორისაგან, ქვემო სართულზე მოწყობილ თურქულ საპირფარეოში გული აერია და მას შემდეგ სუფრაზე ახალდაკლული ცხვრის ხორცის მოტანა აიკრძალა. ჯვედეთ ბეი ირწმუნებოდა, რომ ეს ლიქიორის კი არა, სწორედ ახალი ხორცის ბრალი იყო, შემდეგ სიტყვას სიტყვა მოჰყვა, მეორედ დღეს ნიგან ჰანუმი თავისი მამის, ფაშას სახლში მართო ნავიდა, ყველაფერი დებს, თურქანსა და შუქრანს უამბო და ბევრიც იტირა. ჯვედეთ ბეის აზრით, ახალ ხორცს გულისამრევი სუნი და სიმძიმე ჰქონდა. საბედნიეროდ, ეს გადაწყვეტილება უკვე მიღებული იყო, ამიტომ ნიგან ჰანუმმა კოვზი ხელში აიღო და და რძლებს გადახედა. ორივე რძალი მის პირდაპირ, გვერდიგვერდ იჯდა. ნიგან ჰანუმი რამდენიმე წამს დაფიქრდა, შემდეგ კი კოვზი უმცროს რძალს, ფერიჰანს გაუწოდა:

– ამჯერად, მოდი, შენ ჩამოარიგე.

ეს განსაკუთრებული მომენტი იყო – განითლებული ფერიჰანი კოვზებს დასცქეროდა, ჯვედეთ ბეი, როგორც ყოველთვის, თავის თეფშს ყველაზე წინ სწევდა, სადილის დაწყების გამო ყველას ბედნიერი ღიმილი დასთანამებდა. ნიგან ჰანუმი აღელდა, უმცროს რძალს შეხედა და გაიფიქრა: „რა ღამაზია! თმა გემოვნებით აქვს დავარცხნილი, ცოტა თავკვივით წრიპინა ხმა აქვს, მაგრამ არა უშავს. რეფიქცი კმაყოფილია თავისი ცხოვრებით. მეც ასე ვიყავი, როცა ჯვედეთთან ერთად პირველად მოვედი ამ სახლში. ღვთის ნყალობით, ახლაც

ასე ვარ. მაშინ სახლისთვის ავეჯს ვეძებდით. ახალ სახლში, ახალ ნივთებს შორის ცხოვრება სასიამოვნო იყო.“

– სალათის თეფში არ არის? – ჩაიდუდღუნა ჯვედეთ ბეიმ.

„ოოო, სალათის თეფშები არ დაუნყვიათ“ – გაიფიქრა ნიგან ჰანუმმა – „თან არც მე შემიმჩნევია!“ მაშინვე მოსამსახურეს გასძახა, შემდეგ თვალი მეუღლის თეფშისაკენ გააპარა და გაბრაზებულმა შენიშნა, რომ პირამდე სავსე იყო. „მერე ძილს გამოაცხოვს და ცუდად გახდება!“ ჯვედეთ ბეის უყურებდა, მის თხელ, გრძელ ცხვირს, ჭალარა თავს, რომელსაც ყოველი ლუკმის

აღებისას თეფშისკენ ხრიდა. როცა იგრძნო, როგორ ევსებოდა გული სიყვარულით, თავის საქმელს მიუბრუნდა, რამდენიმე ლუკმა შეჭამა და შეამჩნია, რომ უფროსი ვაჟი, ოსმანი, რალაცას ჰყვებოდა.

– ევროპაში ომის დასაწყებად..

ნიგან ჰანუმი ერთხანს თავის ვაჟებს შესცქეროდა. როცა საუბარი ომზე ჩამოვარდებოდა, ყოველთვის მარტოობის გრძნობა ეუფლებოდა. ყოველ სამხუთ წელიწადში ერთხელ აუცილებლად ომი იწყებოდა და მამაკაცებსა და მას შორის მტკიცე და გადაუღალავი ზღუდე ჩნდებოდა. თანაც ყველა ომი ერთნაირი იყო, ისევე, როგორც მამაკაცების ყველა კამათი.

„მათი კამათისა არაფერი მესმის, სხვა რამეზე მაინც ილაპარაკონ“ – გაიფიქრა ნიგან ჰანუმმა.

ორივე ვაჟი კამათს განაგრძობდა, დედის სურვილისათვის მაინცდამაინც ყურადღება არ მიუქცევიათ. ოსმანსაც თავი ისე ეჭირა, რომ იცოდა, მის ნათქვამს არც სხვა და არც თვითონ არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. ხმაც ისეთი ჰქონდა და გამომეტყველებაც, თითქოს ამბობდა, რას იზამ, ხანდახან ასეთი რამეებიც საჭიროაო. უფროს ძმასავით პიჯაკსა და ჰალსტუხში გამონყობილი რეფიჟი მას მოკლე პასუხებს აძლევდა. აქეთ-იქით იცქირებოდა, ხანდახან წაიხუმრებდა კიდევ, კაცი იფიქრებდა, ყველას ბოდიშს უხდის ასეთი კამათისთვისო. მაგრამ ასე იყო თუ ისე, საბოლოოდ ეს მაინც სერიოზული კამათი იყო მამაკაცებს შორის. ნიგან ჰანუმს ამგვარი კამათი არ მოსწონდა და მიაჩნდა, რომ ამ საუბრების დროს ვერავინ ამბობდა იმას, რისი თქმაც უნდოდა. ასეთ თემებზე ლაპარაკისას მამაკაცები უფრო მამაკაცურნი, ქალები კი თითქოს უსულო საგნები



მხატვარი ალექსანდრე სლოვინსკი

ხდებოდნენ. „თუმცა მე ვუყურებ და ვფიქრობ“ – ჩაიბუტბუტა მან, მერე კი შეამჩნია, რომ საუბარში მისი ქმარიც ჩაერთო.

– კარგი, ნერმინ, შენ რაღას იტყვი ამაზე?

ჯვედეთ ბეი უკვე აღარ იყო სუფრის პირველი შთაბეჭდილებებით აღტყინებული. მოსწონდა, როცა რძლებს აღიზიანებდა და ეპაექრებოდა. უფროსი რძალი, ნერმინი, განცვიფრებული და განითვლებული თავის ქმარს მიაშტერდა, მერე რაღაცები ნაილულულა, მაგრამ ჯვედეთ ბეი მას აღარ უსმენდა:

– აფერუმ, ხორცი ძალიან კარგი გამოსულა.

ნერმინი გაჩუმდა. სიწყნარე ჩამოვარდა.

– ნამდვილად კარგი გამოვიდა – დაადასტურა ნიგან ჰანუმმა.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ ისევ გაისმა დანაჩანგლის ჩხარუნის, ნაზი სიცილი, ცალკეული სიტყვები და ხმაური. ყველამ, როგორც ასეთი მნიშვნელოვან დღეებში ხდება ხოლმე, აქეთურ-იქეთურზე გააბა საუბარი. ნიგან ჰანუმმა თვალეები აახამხამა და ამ საზეიმო განწყობილებას სიამოვნებით აჰყვა, თან გაიფიქრა: „ისევ დავინწყე თვალეების ხამხამი“.

ვიდრე მეორე კერძს, ზეთუნის ზეთით შეკმაზულ ლობიოს შემოიტანდნენ, ცოტა ხანს ისევ ომზე, გერმანი-აზე, იქ განვითარებულ უკანასკნელ მოვლენებზე, რეფიქსის ევროპიდან ახლად ჩამოსულ მეგობარ ომერზე, ოსმანბეში გახსნილ ახალ საკონდიტროზე, მუნიციპალიტეტის მიერ გაშვებულ მარკა-ტუნელის ტრამვაის ხაზზე ლაპარაკობდნენ. როცა ემინე ჰანუმი ზეთიან ლობიოს სუფრაზე დგამდა, ნიგან ჰანუმმა აიშეს თეფშს დახედა და გალიზიანდა: ამ გოგოს ისევ არაფერი უჭამია.

– ახლავე შეიჭმევა ყველაფერი, რაც ამ თეფშზე დევს – უთხრა გამალეებით.

– კი მაგრამ, დედა, ესენი.. ეს ძალიან ცხიმია – უპასუხა აიშემ.

– არა, ამ ხორცს არაფერი სჭირს! სხვები როგორ ჭამენ?

ნიგან ჰანუმმა გვერდით მჯდომი ქალიშვილის თეფშში წინ დაიდგა და ხორცს შერჩენილი ქონების ჩამოჭრასა და მიმობნეული ბრინჯის ერთ კუთხეში თავმოყრას შეუდგა, თან ფიქრობდა: „ყოველთვის ასეა! ეს გოგო მუდამ სიცოცხლეს მიმწარებს!“ გაბრაზებულმა თეფში ისევ ქალიშვილს დაუდგა წინ. „გააჩინე, თექვსმეტი წელი ზედ გადააკვიდი, ყველაფერი უკეთე, მერე კი ერთი სწული, უბედური, ცხვირ-პირ ჩამომტირალი ვინმე მოვა!“

– შენ გგონია ასეთი ხორცი ყველას აქვს?

– თავი დაანებე, ნუ ერევი, როგორც უნდა, ისე მოიქცეს, დღეს ხომ დღესასწაულია?

ეს სიტყვები ჯვედეთ ბეის ეკუთვნოდა. საღამოობით, სამსახურიდან მოსული, ყოველთვის კოცნიდა თავის ქალიშვილს. კაცი, რომელმაც იცოდა, როგორ შეეყვარებინა თავი შვილისათვის, მაგრამ არასოდეს უფიქრია, თუ ამას რა მოჰყვებოდა! ნიგან ჰანუმმა ქმარს და-

უბღვირა და ეს იკმარა. მე ბავშვის აღზრდას ვცდილობ, შენ კი ერთობი – ამას ნიშნავდა მისი გამომეტყველება, რაც ყველამ კარგად იცოდა. „მე რომ არა, ეს გოგო პიანინოზე დაკვრასაც ვერ ისწავლიდა – ფიქრობდა ნიგან ჰანუმი – მოდი, ლობიო ფერიჰანმა ჩამოარიგოს!“

ვიდრე ლობიოს შეექცეოდნენ, ისევ საუბარი გაიბა – ლობიოზე, ორი დღის წინათ მოულოდნელად ნამობარდნილ და ბალის კუნჭულებში ჯერაც შემორჩენილ თოვლზე, შარშანდელ ამინდზე, რომელიც წლევანდელს სულ არა ჰგავდა მარტის ამ პირველ დღეს, თეშვიქის მეჩეთში დილის ნამაზის დროს გვარიანად შემცივნებულ ჯვედეთ ბეიზე. „ისევ ვერ ვთქვი ის, რაც მინდოდა“ – გაიფიქრა ნიგან ჰანუმმა, როცა თვალი კვლავ აიშეს ნახევრად ხელუხლებელ თეფშს მოჰკრა. „კარგი, მაგრამ, რისი თქმა მინდა?“ ზუსტად თვითონაც არ იცოდა. ენის წვერზე სიტყვა „მხიარულება“ ადგა, მაგრამ ყველა ისედაც მხიარულობდა. განა დღესასწაული არ ჰქონდათ, მხიარულება თავისთავად იფრქვეოდა. „როგორც ცხონებული დედაჩემი იტყოდა ხოლმე“ – გაიფიქრა ნიგან ჰანუმმა. განსვენებული დედამისი თეშვიქის სასახლის საქალებოში სავარძელში ჩაჯდებოდა, თვალეებს ააპარპალებდა და იტყოდა: „ნიგან, რამე მინდა ვჭამო, მაგრამ არ ვიცი, რა“.

ემინე ჰანუმი სუფრაზე მზარეულ ნურისეულ ფორთოხლიან ნამცხვარს ალაგებდა. „ეს სადილიც მორჩა“ – გაიფიქრა ნიგან ჰანუმმა. ეს დიდი ხნის ნანატრი სადილიც დასასრულს უახლოვდებოდა. ეს დღეც სრულდებოდა, ეს დღესასწაულიც, შემდეგ სხვა დღეების მოლოდინი დგებოდა. მათ დამთავრებასაც სევდით მიადევნებდა თვალყურს. ცხოვრება დროდადრო აკიაფდებოდა, წყალივით მილივლივებდა. ფორთოხლის ნამცხვარი არაჩვეულებრივი გამოსულიყო, ნალებიც ახალთახალი იყო, თუმცა ესენიც, განსაკუთრებით კი ალბათ, ამ ვახშამზე ასევე დარჩებოდა. ნიგან ჰანუმმა ერთხელ კიდევ გაიფიქრა, რომ სკივრებსა და ბუფეტებში შენახული სერვიზები უნდა გამოეღო და ეხმარა, მერე კი ფორთოხლის ნამცხვრით პირი ჩაიტკბარუნა.

როგორც ყოველთვის, სუფრიდან პირველი ჯვედეთ ბეი ადგა. როცა მას ფეხდაფეხ რეფიქცი მიჰყვა, ნიგან ჰანუმმა თეფშზე დარჩენილი ნამცხვრის უკანასკნელ ლუქმას დახედა და გაიფიქრა: „ესეც მორჩა! ნეტავი სუფრიდან ყველასთან ერთად ადგომას მაინც ისწავლიდნენ!“ იცოდა, რომ ჯვედეთ ბეის ველარაფერს შეასმენდა, მაგრამ რეფიქსი კი შეიძლებოდა რამე შეეგნო. ჯერ მხოლოდ ოცდაექვსი წლისა იყო. როცა სუფრიდან ამდგარი ფერიჰანი დაინახა, გაიფიქრა: „მე რატომ უნდა ჩამოვრჩე ყოველთვის ყველასო“. სკამიდან მსუბუქად წამოდგა და ჯვედეთ ბეისაკენ გაემართა. ჯვედეთ ბეი ფანჯარასთან სავარძელში იჯდა, თავი საზურგისათვის მიეყრდნო და თვალეები მოეჭუტა. ძილს აპირებდა? „ბევრი ჭამა, გადაიტვირთა, ძილი მოერიო“ – გაიფიქრა ნიგან ჰანუმმა. ჯვედეთ ბეის მილულული თვალეები ძილს ებრძოდა. ნიგან ჰანუმმა მის ჭალარა თმას თვალი

შეავლო და უზომო სიყვარულთან ერთად ბრაზი იგრძნო. „დაიძინებს! მაგრამ არ უნდა დაიძინოს. ნაშუადღევს ფუათ ბეი მოვა თავისიანებთან ერთად...“ სუფრა და სადღესასწაულო სადილი მოთავებული იყო. ალაგებული თევზების ჩხაკაჩხუკი ისმოდა. ჯვედეთ ბეისაკენ მიემართებოდა და ფიქრობდა: „ნაშუადღევს ჩაის ლურჯვარდებიანი ფინჯნებით დავლევთ“.

ნაშუადღევს

ჯვედეთ ბეიმ მისკენ მიმავალი ნიგან ჰანუმის განანყენებული სახე დაინახა. თითქოს მას მიმართავსო, გაიფიქრა: „საყვარელო, აქ ცოტას ნავუძინებ! კი არ დავიძინებ.. ნავთვლემ. თვალებს მივლულავ და ცოტა ხანს გაუნძრევლად ვიჯდები. შეიძლება ცოტა ჩავთვლიმო...“ თავის სავარძელში იჯდა, სადღესასწაულო სადილის შემდეგ დღის საუკეთესო მონაკვეთი იყო, მაგრამ ნუხდა, რომ შუადღეზე გემრიელად გამოსაძინებლად დანოლა არ შეეძლო. თავის დასამშვიდებლად გაიფიქრა: „ცოტა ხანში ერთ სიგარეტს მოვწეო!“ სიგარეტს დღეში სამჯერ ეწეოდა. ასანთის ჩხაკუნის ხმა გაახსენდა და იგრძნო, რომ თვალები მილულა, რადგან მხოლოდ ხმები ესმოდა, სითბო და სუნის სცემდა.

სასადილო მაგიდიდან, სამზარეულოში გამავალი ვინრო და მოკლე კიბის კარებიდან, შიდა ოთახებიდან, კიბეებიდან, ბალიდან, ხეებიდან, ქუჩიდან შემომავალი ხმები ფანჯრებსა და ბროლის ჭურჭელს აზანზარებდა და ნაცნობ და ჩვეულ ხმებად ჩაესმოდა ყურში – ნერმინისა და ბავშვების საუბარი, ემინე ჰანუმის ფლოსტების ფრატუნი პარკეტზე, მზარეული ნურის მიერ ნამდაუნუმ მოშვებული ონკანისა და აიშეს მიერ საჭმლისათვის დასაყოლებლად დოქიდან ჩამოსხმული წყლის რაკრაკი, რეფიქის გაზეთი ფურცლების შრიალი, მოსახვევს მოახლოებული ტრამვაის ღრჭიალი. ყველა ეს იმედისმომცემი ნაცნობი შარი-შური ადამიანს ძილისაკენ ეძახდა. „მაგრამ არ დავიძინებ“ – ფიქრობდა ჯვედეთ ბეი – „ფუათი მოვა! დავსხდებით, ვისაუბრებთ, წარსულს მოვიგონებთ... წარსულს... ამ სახლს... იმის ისტორიას, როგორ ავავეს აქაურობა ჟრიაამულით... მე ყველაფრის ისტორია მახსოვს. სახლი 1905 წელს ვიყიდე. დავქორწინდი, აბდულჰამიდს ყუმბარა ესროლეს. ამას მემრუთიეთი* მოჰყვა. კარგი დრო დადგა. გვერდითა ბალიც მაშინ შევიძინე. ომის დროს შაქრის ვაჭრობაში მოგებული ფულით ყველაფერი მოვანესრიგე. კომპანია გაიზარდა. ოსმანმა რომ ცოლის შერთვა დააპირა, ზედა სართულზე გადავედით. რესპუბლიკის დაარსებიდან ოთხი წლის შემდეგ... მერე შვილიშვილები წამოვიდნენ. ახლანდელი ქვანახშირის ლუმელი ექვსი წლის წინათ ვიყიდეთ. ყველაფრის ისტორია ვიცი, რადგან ყველაფერი ჩემი შექმნილია. მაჩქაში რომ ტრამვაი დადის, ის ხაზი რომელ

წელს ამოქმედდა? ეს თავსახურიანი ბროლის საშაქრე ნიგანს მზითევი მოჰყვა. რაზე ლაპარაკობენ?“

– აბა, ახლა ზემოთ ადით და დაიძინეთ – ეუბნებოდა ნერმინი ბავშვებს.

– აკი ტკბილი უნდა გვეჭამა – პასუხობდა ერთ-ერთი.

– ახლა ბეიფენდის ყავის დროა, თქვენც ხომ არ მირთმევთ ქურუქ ბეი?* – კითხვობდა ემინე ჰანუმი.

– შშშ, ნუ ხმაურობთ – ჩურჩულებდა ნიგან ჰანუმი. ვილაც თითის წვერებზე დადიოდა.

– ახლავე შენს ოთახში ადიხარ? – ეს ფერიჰანი იყო.

– ზემოთ თამაში არ დაინწყით, ახლავე დაიძინეთ! – ეუბნებოდა ბავშვებს ოსმანი.

– კარისკაცები მოვიდნენ, იცდიან – ამბობდა მზარეული ნური.

– ბიძია ფუათი რომ მოვა, ჩამოხვალ, ახლა კი კარგად დაიძინე!

– დეიდა მებრურესთან ზეგ წავალთ, ხვალ კი დეიდა შუქრანთან უნდა წავიდეთ.

„ეს არის, სწორედ ეს! – ფიქრობდა ჯვედეთ ბეი – ყველაფერი ამისთვის იყო: ეს იმედისმომცემი სითბო, მოგუზგუზე ლუმელი, სასიამოვნო ხმები, საათივით აწყობილი სახლი“. ყველაფერი ძილივით ყოვლისმომცველი და მიმზიდველი იყო. ჯვედეთ ბეიმ ხანმოკლე სიჩუმეს ყური მიუგდო და გაიფიქრა: „ახლა უფრო მამჩნევენ“. მიხვდა, რომ შეეძლო არც დაეძინა. ჭამა ცოტა ზედმეტი მოუვიდა, სიგარეტის მოწევა ძალიან უნდოდა, ყავასაც მალე მოუტანდნენ. თვალებიც იმიტომ მილულა, რომ მისთვის ეყურებინათ, პატივისცემა გამოეხატათ, მის ირგვლივ ეტრიალათ და ეცხოვრათ, თითქოს სხეულიც მათთვის მიენდო. „დადიან, ამთქნარებენ, ლაპარაკობენ, ტკბილულს შეექცევიან, თან თვალს ჩემკენ აპარებენ... მერე დაიძინებენ, სადღესასწაულო ვიზიტებზე წავლენ... ააა... მე ხვალ ნიგანთან ერთად იმ ძველ ფაშას სასახლეში წასვლა არ მინდა. არც იმ ფაშას ვაჟბატონების ნახვა მინდა... მაგრამ ახლა მაგაზე ფიქრის სურვილიც არა მაქვს. ახლა ამ მოძრაობას, სურწელს, ხმებს მივაყურადებ...“

– ყავა!

– ჯვედეთ ბეი, ყავა!

აი, ეს არ შეუმჩნევეია! თვალები გაახილა. სინათლემ თვალი მოსჭრა, მაგრამ მალევე შეეჩვია. წინ ემინე ჰანუმი ედგა. ყავის ფინჯანს მის გვერდით დაბალ მაგიდაზე დგამდა. „სიგარეტსაც გავაბოლებ“ – გაიფიქრა ჯვედეთ ბეიმ. მაგიდიდან დილით დატოვებული „იაქას“ კოლოფი და ასანთი აიღო: ეს სიგარეტი დღის უდიდესი სიამოვნება იყო.

დღეში სამ სიგარეტზე მეტის მოწევა ოჯახის ექიმმა იზაქმა აუკრძალა. ექვსი თვის წინ ექიმების აზრით საკმაოდ სერიოზული გულის შეტევა გადაიტანა, რომელიც თავად დიდად ყურადღების ღირსად არ მიაჩნდა.

* კონსტიტუცია; საკონსტიტუციო მმართველობა

* პატარა ბატონი (თურ.)

სიგარეტი საერთოდ უნდა აეკრძალათ, მაგრამ ექიმმა ჯვედეთ ბეის დაჟინებას ვერ გაუძლო და დღეში სამი ლერის მონვეის უფლება მისცა. ჯვედეთ ბეი საუზმის, სადილისა და ვახშმის შემდეგ თითო ლერს აბოლებდა. ნიგან ჰანუმი სიგარეტის კოლოფში ლერებს ითვლიდა. თავდაპირველად, ჯვედეთ ბეიმ რამდენიმე ემპაკობა მოიფიქრა, მაგრამ ჩაავლეს, ნიგან ჰანუმმა ერთი ვაი-უშველებელი ატეხა, იტირა. ახლა დღევანდელ მეორე ლერს ენეოდა. „სიგარეტს კი ვუკელი, მაგრამ არც არაფერი შეცვლილა! – ფიქრობდა ჯვედეთ ბეი – კიბეზე ასვლისას ისევე ცუდად ვხდები, ხანდახან სული მეხუთება, ისევე შიშში ვცხოვრობ“. კიდევ ერთხელ დაწყდა გული, რომ დაძინება ვერ მოახერხა.

სიგარეტის მოწვევა რომ დაამთავრა, გაიგონა, როგორ ჩამოკრა ორი შუა სართულზე ქანქარიანმა საათმა. ნიგან ჰანუმმა თქვა, ფუათ ბეი იგვიანებსო.

– ახლა მოვლან... ახლა მოვლენ... – უპასუხა ჯვედეთ ბეიმ.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. კუთხეში ტრამვაიმ გაიარა. რეფიქმა გაზეთი დაკეცა და ცოლთან ერთად ზემოთ ავიდა. ემინე ჰანუმმა ყავის ცარიელი ფინჯნები გაიტანა. ნიგან ჰანუმმა ფანჯრიდან გარეთ გაიხედა. ჯვედეთ ბეიმ იგრძნო, როგორ მიეღულა ისევე თვალები. სწორედ ამ დროს ჭიშკრის ხანზალაკმა დაიწყა დარუნა.

– მოვიდნენ! – წამოიძახა ნიგან ჰანუმმა და წამოდგა.

ჯვედეთ ბეიც, რომელსაც ყოველი ნაბიჯი გააზრებული ჰქონდა, ცოლს მიჰყვა და სარკეებიან ჰოლში ნელ-ნელა ჩავიდა. სანამ ნიგან ჰანუმი კარს ალებდა, ჯვედეთ ბეიმ სქელჩარჩოიან სარკეში საკუთარი თავი შეათვალიერა.

სხეული ძველ და ტკბილ სიმღერასავით ახლობელი ეჩვენა: ჰალსტუხი მონგრეოდა, შარვალი ტომარავით ეკიდა, თმა აწეწოდა, სახე და პიჯაკი მოპრანჭოდა. დიდი ხელები თმაზე ისე გადაისვა, თითქოს საკუთარ თავს მოეფერაო. სამოცდარვა წლის მიუხედავად, თვალები ჯერაც უბრწყინავდა. „ცოტა ნელში მოვიხარე და ამის გამო თითქოს სიმაღლე მომაკლდა, მაგრამ სულ ეს არის!“ – გაიფიქრა. ქუჩაში ყველა უღიმოდა და შესცივნიებდა. და მთავარი სწორედ ეს იყო – მახინჯ და უსიმპატიო მოხუცად არ ქცეულა. გუნებაზე მოსული კარებისაკენ გაემართა. როცა სწრაფი ნაბიჯებით კიბეს მოახლოებული ფუათ ბეი, მისი მიუღღსურ და ვაჟი დაინახა, გამოცოცხლდა.

– მადლობა ღმერთს, ჩემო ბატონო, მადლობა ღმერთს – ამ სიტყვებით სტუმრებისაკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. ფუათ ბეის გადაეხვია, ლეილა ჰანუმს ხელი ჩამოართვა, რემზის კი, რომელიც ხელზე ემთხვია, თავზე მოეალერსა. ყმანვილის ხშირ თმას ხელი რომ გადაუსვა, ნაღველმა შეიპყრო: ასაკი მორეოდა უკვე.

შეხვედრის ცერემონიალი დიდ ხანს არ გაგრძელდებოდა. ქალბატონები ერთმანეთს გადაეხვივნენ და გადაკოცნეს. ჯვედეთ ბეიმ გაიფიქრა, რომ ამ გადაკოცნის წესს ვერაფრით შეერგეოდა. მგონი, არც ქალბატონები იყვნენ შეჩვეულები, რადგან კოცნის შემდეგ ერთმანეთს ისე შეჰყურებდნენ, თითქოს ფიქრობდნენ: „ნესია ასეთი და რას იზამ, ნეტავი ამ დროს როგორ გამოვიყურებითო?“

სასტუმრო ოთახში გადავიდნენ და მხიარულებაც დაიწყეს. ჯვედეთ ბეი სიყვარულით შესცივნიებდა ფუათ ბეის და ბუტბუტებდა: „აი, ესეც დღესასწაული... კიდევ ერთი დღესასწაული“. ნიგან ჰანუმი და ლეილა ჰანუმი სიცივეზე საუბრობდნენ. როცა ლეილა ჰანუმმა თქვა, შიშლიდან, მამაჩემის სახლიდან ფეხით ჩამოვედითო, და თან მხნედ და ყოჩაღად გაიმართა მხრებში, ჯვედეთ ბეის გაახსენდა, რომ ძილი დააკლდა. მერე ნიგან ჰანუმმაც აღნიშნა, რომ ძილით, საკლავის დაკვლისას საკმაოდ შესცივნიდა. ჯვედეთ ბეიმ მოაყოლა, როგორ ციოდა მეჩეთში. სადღესასწაულო ნამაზებს კვლავაც ესწრებოდა. ლეილა ჰანუმმა დაიჩვილა, მამაჩემის ჯანმრთელობის საქმე მთლად კარგად ვერ არისო. როცა ჯვედეთ ბეიმ იკითხა, მუსტაფა ბეის რა სჭირსო, ფუათ ბეიმ უთხრა, რომ მის სიმამრს თირკმლები აწუხებდა. ამის პასუხად ნიგან ჰანუმმა დეიდა მებრურეს ქმარი გაიხსენა, რომელსაც ასევე თირკმლები ჰქონდა და ავადებული და ჩირჩირში წასულა სამკურნალოდ. შემდეგ რემზიზე გადაიტანა საუბარი და აღნიშნა, ბავშვს ტანი უცებ აეყარაო. ლეილა ჰანუმიც დაეთანხმა და დაამატა, რომ რემზის კბილები გაჭფუჭებოდა. ამასობაში ნიგან ჰანუმმა ემინე ჰანუმს სთხოვა, ზემოთ ასულ მის ვაჟებს, რძლებს, ქალიშვილსა და შვილიშვილებს შესმინებოდა.

„ყველას დაუძინია! სტუმრებს ალარავინ დაგიდევს! დავებრდით!“ – გაიფიქრა ჯვედეთ ბეიმ. როცა ზედა სართულიდან მხიარული ვაჟები, რძლები, შვილიშვილები ჩამოვიდნენ, ოთახს ლაბლაბოს მარცვლებივით მოედვნენ და სტუმრებს გადაეხვივნენ, ჯვედეთ ბეიმ სევდიანად იგივე გაიფიქრა. „მეც შეიძინება... ყველა ენერგიული და ჯანმრთელია...“ მერე გაუელვა, ყავამ ძილი არ დამიფრთხოო, და გადამწყვიტა საუბრისათვის მიეგლო ყური.

ლეილა ჰანუმი თავის ვაჟიშვილ რემზიზე ლაპარაკობდა, ბოლო დროს საერთოდ აღარ მიჯერებდესო, და ლიმილით ხან მასპინძლებს, ხან კი თავად რემზის შესცქეროდა. რადგან მისი ჩაპუტკუნებული ბიჭიც ფეხს მშვიდად აქანავებდა, როგორც ამგვარ საუბრებს შეჩვეული ყველა ბავშვი, ამიტომ ამ ლაპარაკს დანარჩენებიც მშვიდად აღიქვამდნენ და იცინოდნენ. ნიგან ჰანუმიც ლეილას სიტყვებს სულგრძელად ეთანხმებოდა, ამ ხნისა ყველა ბავშვი უხიაგი ხდებოო, თავისი ვაჟების გამოცდილება ალაპარაკებდა, რასაც ყველა ინტერესითა და სიამოვნებით ისმენდა. ცოტა ხნის შემდეგ ნიგან ჰანუმმა მოსამსახურეს აიძეს დაძახება დაავალა. ლეილამ აღნიშნა, რომ აიშე დიდი ხანია არ ენახა. ახლა უკვე ნიგან ჰანუმს დაუდგა საყვედურების დრო, ხოლო ლეილა კი მოთმინებით და მოსალოდნელი სულგრძელობით უდებდა ყურს, შემდეგ კი აიშეს ქებას შეუდგა, რომე-

ლიც, მისივე თქმით, ძალიან უყვარდა. მერე ერთხანს გუშინდინდელ ტრამვაის საგზაო შემთხვევაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, რომელიც შიშქანეს აღმართზე მომხდარიყო, ოთხი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა და გაზეთების პირველი გვერდებიდან ჯერაც არ ჩამოსულიყო. ნიგან ჰანუმმა ჩაი მოიკითხა. ყველამ გაოცებით დახედა საათს და დროის სწრაფმავალობაზე დაიწყეს საუბარი. ამ დროს ჯვედეთ ბეიმ იფიქრა, ფუათ ბეისთან ერთად გატარებული წუთების გასახსენებლად ხელსაყრელი დროაო, და ძველ მეგობარს შეხედა, მაგრამ დაინახა, რომ ის სხვა რამით იყო დაკავებული: ოსმანი და ფუათ ბეი, სადღესასწაულო ვიზიტს რომ არ შეეფერება, ისეთ სერიოზულ საკითხებზე მსჯელობდნენ.

„მაგათ ჩემი თავიდან მოშორება უნდათ“ – გაიფიქრა ჯვედეთ ბეიმ. იცოდა, რომ საუბარი იმ ფირმის მომავალს ეხებოდა, რომელიც ოდესღაც ფუათ ბეისთან ერთად ჩამოაყალიბა. ფირმა მას შემდეგ შექმნეს, რაც კონსტიტუცია იქნა მიღებული და ფუათ ბეი სალონიკიდან სტამბოლში გადმოვიდა საცხოვრებლად. რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ საქმეები მთლად კარგად ვერ მისდოდა, მაგრამ უკანასკნელ წლებში თითქოს გამოცოცხლების ნიშან-წყალი დაეცყო. სათავეში ერთი მატრახაზი ედგა, რომელსაც განათლება ევროპაში მიეწოდებოდა. ოსმანი მის გაშვებას და ამ ფირმის თავის ფირმასთან გაერთიანებას აპირებდა. ჯვედეთ ბეი კი ამის წინააღმდეგი იყო, რადგან ამ ფირმას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. რაც შეეხება ფუათ ბეის, იგი, როგორც ყოველთვის, მისთვის სასარგებლო სიახლეების მიმართ კეთილგანწყობას გამოხატავდა. „ჩემი თავიდან მოშორება უნდათ, მე უკვე დავბერდი“ – გაიფიქრა ჯვედეთ ბეიმ – „ფუათიც ჩემი ტოლია. მაგრამ ის გვიან დაქორწინდა. მეშრუთიეთის შემდეგ შეერთო ცოლი და საქმეც კარგად ააწყო.“ ჯვედეთ ბეიმ თვალი ლეილა ჰანუმისაკენ გააპარა. „თანაც ჩემსავით თავს არ იტვირთავდა... ჯანიც ხარივითა აქვს!“ გადანწყვიტა, ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანა. თითქოს მწარე წამალი დაელიოს და იმის გემოს დასავიწყებლად სხვა რაღაცებზე ფიქრი ყოფილიყო საჭირო, თავს ძალა დაატანა.

შემდეგ თავი ასწია, თვალები ქერის მოხატულ კუთხეებს მიაპყრო, რომლებმაც მისი ყურადღება ჯერ კიდევ ამ სახლის ყიდვამდე, მისი პირველი დათვალიერებისას მიიქცია. დაფნის ტოტებსა და სხვადასხვა ზომის ვარდებს შორის მსუქანი ანგელოზები დაფრენდნენ. „ევროპული ოჯახის შექმნა მინდოდა, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი თურქულ ყაიდაზე მოექცა“. მერე ცხონებული ძმის ერთი ხუმრობა გაახსენდა და გაეცინა: „ყველა, ვისაც ევროპელობა უნდა, საბოლოოდ თურქი ხდება და ესეც თურქების თავისებური ტიპია!“ მზერა ანგელოზებიდან ადამიანებზე გადმოიტანა, საუბარს განაგრძობდნენ. ფუათ ბეი რაღაცას ყვებოდა, ოსმანი თავს უქნევდა. მათ მკაცრად შეხედა. ამით იმის ჩვენება უნდოდა, რომ ეს სიახლოვე დიდად არ ეპიტნავებოდა. „ნეტა ერთი ოჯახისა და ვაჭრობის გამიჯნვა ესნავ-

ლათ!“ თავი ისევ მალა ასწია. ერთი ანგელოზი თითქოს უღიმოდა. მზერა ისევ რეალობაზე შეაჩერა: „ისევ ლაპარაკობენ! მთელი დღია ხელზე მემთხვეოდნენ, სინამდვილეში კი არავინ არაფრად მაგდებს“. იმ ოთახიდან, სადაც სადაფის გარნიტური და პიანინო იდგა, მუსიკის ხმა მოისმა. შეამჩნია, რომ ცოტა ხნის წინ იქ აიშე შევიდა. მელოდია ცივი და არაპარმონიული იყო: არაფერს მოიცავდა. „ნიგანიც უკრავდა ოდესღაც. პირველად რომ მოვისმინე, მღელვარებამ შემიპყრო, ყველას სიამაყით ვუამბობდი, მაგრამ ამ პიანინოს უღარუნს გული მაინც ვერ დავუდე!“ ემინე ჰანუმს ჩაი შემოჰკონდა.

როცა ჩაის მიირთმევდნენ, ნიგან ჰანუმმა აღნიშნა, რომ ლურჯ ვარდებიანი ფაიფურის ფინჯნები ცხონებული ბებიამისის საჩუქარი იყო. ეს წინა დღესასწაულებზეც არაერთხელ უთქვამს, როცა კი ამ თემაზე ჩამოვარდნილა საუბარი, მაგრამ მაინც საინტერესოდ მიიჩნევდა და ყველა ყურადღებით უსმენდა. ამას ლეილა ჰანუმის მოგონება მოჰყვა დედისაგან დარჩენილი საშაქრის თაობაზე. საუბარში ფერიჰანიც ჩაერთო, ვინაიდან ხსენებული ვერცხლის საშაქრე დედამისსაც ჰქონოდა. ნიგან ჰანუმში ქალიშვილს მიუბრუნდა, პატარა ღვეზელი კიდევ ჭამეო. როცა საუბარი ამ ღვეზელების ცხობაში მზარეული ნურის ოსტატობაზე ჩამოვარდა, იგი თვითონაც შემოვიდა, ჯვედეთ ბეის ორი კონვერტი გაუნოდა და მოახსენა, რომ ფოსტალიონისათვის ფული უკვე გადახდილი იყო.

ჯვედეთ ბეიმ ერთ-ერთ კონვერტზე ხელწერა მაშინვე იცნო. ფირმის ბუღალტერ სადიქს ჩვევად ჰქონდა ყოველ დღესასწაულზე თურქეთის ავიახაზების მისალოცი ბარათების გამოგზავნა. ჯვედეთ ბეიმ კონვერტი გახსნა და ბარათზე გამოსახულ თვითმფრინავს დახედა, რომელიც ღრუბლებში მისრიალებდა. „სულ ერთი და იგივეო“ – ამოიოხრა, მაგრამ გუნება არ გაფუჭებია. „არ ვნანობ!“ – ჩაიბუტბუტა მერე – „მხოლოდ ესაა, რომ დავბერდი“. მეორე კონვერტი ნელ-ნელა, აუღელვებლად გახსნა. მაგრამ როცა მიხვდა, ვისგან იყო, შეშინდა. „რა არის ეს? ვინ იყო? ზია იშიქჩი. რასაკვირველია, ზია იშიქჩი!“ ორი წლის წინათ, როცა გვარების შესახებ კანონი გამოიცა, მანაც ეს გვარი აიღო. თავს წინ და უკან იქნევდა, თითქოს ასობის ამოცნობას ცდილობდა. „გავუშვი, ნავიდა, სამხედრო გახდა! დიახ, სამხედრო!“ ზია იშიქჩი სამხედრო გახლდათ, მაგრამ სასიამოვნო მოგონება ნამდვილად არ იყო. ჯვედეთ ბეიმ ქალაღლი კონვერტში ჩააბრუნა. „ამდენი წლის შემდეგ ვითომ რამ გაახსენა ჩვენი თავი?“ – ჩაფიქრდა ჯვედეთ ბეი. თავს ახლა წინ და უკან კი არა, აქეთ-იქეთ აქნევდა, როგორც ყოველთვის, როცა დიდხანს დაჟინებით ერთ რაღაცაზე ფიქრობდა. მერე გადანწყვიტა სხვა რამეზე გადაეტანა ფიქრები.

– მოსალოცები ვისგანაა? – იკითხა ფუათ ბეიმ.

– რამდენიმე მეგობრისაგან ვეფადან – უპასუხა ჯვედეთ ბეიმ, თან სახე ჩამოსტიროდა.

– ოოო, ვეფაელი ნაცნობებისგან?

– არა, არა, შენც ხომ იცი, რომ ვეფასთან აღარაფერი მაკავშირებს – უთხრა ჯევედეთ ბეიმ. მერე თავისსავე ნათქვამზე გაბრაზდა და კოპები შეიკრა. სასიამოვნო თემა მოაგონდა და ხმაც მოუღება: – ჩვენი სახლი ჰეიბელიადაზე მალე დამთავრდება! – მართალია, არც თუ ახალი თემა იყო, მაგრამ სხვას სჯობდა. – თვის ბოლოსათვის, ღვთის წყალობით, გადაიხურება... გაზაფხულზე წასვლას ვაპირებდით. თქვენც ჩამოხვალთ, ცხადია! ახალი გემიც გაუშვიათ. ხიდიდან ორ საათში ჩადის!

– ძალიან მიხარია – თქვა ფუათ ბეიმ.

– ჰოო, ამგვარად აგარაკის საკითხიც მოგვარებულია – განაგრძო ჯევედეთ ბეიმ და ნიგან ჰანუმს გადახედდა. შემდეგ დაიმორცხვა და ფანჯრიდან ნიშანთაშის მოედანს დაუწყო ყურება.

შეზინებისას შემოსასვლელი კარების ზანზალაჰმა კიდევ ერთხელ დაიჟღარუნა, რასაც სარკეებიანი ჰოლიდან და კიბეებიდან შეძახილები მოჰყვა. შვილიშვილებიდან ერთ-ერთმა გადაიხარხარა.

ცოტა ხნის შემდეგ ოთახში მოსული, მხარ-ბეჭიანი, სიმპატიური ახალგაზრდა შემოვიდა.

– ომერ ბეი პირველმა მე დავინახე და ვიცანი – გამოაცხადა კარის ღრიჭოში თავშემოყოფილმა მზარეულმა ნურმ.

„ომერი ყოფილა. როგორ ვერ ვიცანი“ – გაიფიქრა ჯევედეთ ბეიმ, როცა ეს ვერცხლის წყალივით მოძრავი, ცოცხალი ახალგაზრდა დაინახა. შემდეგ ხელი გაუწოდა საკოცნელად და მისი თვალებში ანთებულმა ცეცხლმა გააოცა. ცოტა ხანს აცალა, ვიდრე დანარჩენებს მიესალმებოდა და დღესასწაულს მიულოცავდა, შემდეგ კი მის სავარძელთან მდგომ სკამზე მიუთითა და გვერდით მოისვა ეს ვაჟკაცი, რომელიც ირგვლივ ახალგაზრდობასა და ჯანმრთელობას აფრქვევდა.

– მოდი, აქ მოდი და მიაბე, იქ რას აკეთებდი. ახლარა გეგმები გაქვს, იქაურობა როგორ მოგეწონა, მიაბე ერთი!

– ახლა სივას-არზრუმის ხაზზე ვაპირებ მუშაობას – უპასუხა ახალგაზრდამ.

– მთლად სივასში? – ჰკითხა ჯევედეთ ბეიმ და თავი გადააქნია. – ყოჩაღ, ყოჩაღ! კეთილი, ევროპაში რას აკეთებდი? როგორია იქაურობა, გვიამბე და მოგისმენთ!

ომერმაც მოყოლა დაიწყო – რას სწავლობდა, რომელ ქალაქში ცხოვრობდა, როგორ ატარებდა ყოველდღიურ ცხოვრებას, მაგრამ მალე შეამჩნია, რომ ჯევედეთ ბეი არ უსმენდა, მას მხოლოდ ოთახში გამეფებული მოძრაობა და ახალგაზრდული სული იზიდავდა. ყველა ევროპიდან ჩამოსულ, ევროპაზე მოსაუბრე ამ ჯანსაღ და ჭკვიან ახალგაზრდას უსმენდა, ისინი თითქოს მის სიტყვებს კი არა, ახალგაზრდობას დაეცყვევებინა, რომლითაც ოთახი ავსებულყოფილი იყო. ისე იქცეოდნენ, გეგონებოდა იმ ფარული ღირებულების გამომხეურებას ცდილობდნენ, რომელიც თვითონ არ გააჩნდათ, ომერს კი მოჭარბებულად ჰქონდა, თუმცა მთლად ბოლომდეც არ იცოდნენ, თუ რა იყო ეს. ამ ფარულ ღირე-

ბულებას იპოვიან და გამოააშკარავებენ, შემდეგ კი თვითონაც ისარგებლებენ. „ახალგაზრდები... ახალგაზრდები სულ სხვაა...“ – ჩაიდუღუნა ცოტა ხნის შემდეგ ჯევედეთ ბეიმ – ნელან ხელზე მემთხვია. მაგრამ სხვებით არ შემოუხედავს, თითქოს ძველი ნივთი ვიყო, რომელსაც ფრთხილად თუ არ მოეპყრობი, შეიძლება გატყდეს... ეს სად ისწავლა? იქ? – ღრმად ამოიოხრა.

იქ ერთხელ ნიგან ჰანუმთან ერთად თვითონაც იყო წასული. ქორწინების მეორე წელს ევროპაში იმოგზაურეს. ერთი ხანი ბერლინში დაჰყვეს, მაგრამ მეტი აღარ წასულან. მიუხედავად იმისა, რომ მთელი მისი სავაჭრო საქმიანობა საზღვარგარეთთან იყო დაკავშირებული, ჯევედეთ ბეი იქ სიარულს ფუჭ დაწახარჯად თვლიდა. ფიქრობდა, რომ ფული ფირმას ან ჰიბელიადას სახლის მსგავს მუდმივ რალაცებებს უნდა ალარაფრობოდა. ახლაც იმისა, რომ ეს რწმენა პირველად შეერყა, თუმცა არც ამაზე უფიქრია დიდხანს. რადგან ამგვარი უეცარი სანყენი და ახალი აზრები მასში უკვე მხოლოდ ფუჭი და უადგილო დალილობის მეტს აღარაფროს იწვევდა. „დაძინება მინდოდაო“ – ჩაილაპარაკა და შემდეგ გადანიწყობა ისევ ომერისათვის მიეგმო ყური, მაგრამ ის საინტერესოს არაფერს ჰყვებოდა: ნიგან ჰანუმს მიზრუნებოდა და თავისი დეიდისა და ბიძის, მატარებელში გაცნობილი საით ბეის შესახებ უამბობდა, ნიგან ჰანუმს კი იმას იხსენებდა, რომ ქორწილი მათ სახლში ჰქონდა. თითქოს ქალები მიხვედრილიყვნენ, რომ იმ ფარულ ღირებულებებს, რომლებსაც ნელან ეძებდნენ, ველარ იპოვიდნენ და მისი ჯადოსნური ძალის გასაქარწყლებლად ომერისათვის უბრალო შეკითხვების დასმა და მისი თავიანთთვის დამსგავსება გადაეწყვიტათ.

როცა ისევ ჩაი შემოიტანეს, ომერი და რეფიქი ზემოთ, კაბინეტში ასასვლელად წამოდგნენ. ჯევედეთ ბეის ეწყინა, რომ მას მარტო ტოვებდნენ და ოთახში გამეფებული ჯანსაღი, მოძრავი ახალგაზრდობაც თან მიჰქონდათ. „ნეტავი ჩემზე რა აზრი შეექმნა?“ – გაიფიქრა და ომერს თვალი გააყოლა. ამასობაში შუა სართულზე ქანქარიანმა საათმა ექვსი ჩამოჰკრა და მან დალილობა იგრძნო. დილით ადრე იყო ამდგარი, ჯერ კიდევ აქისარიდან მოყოლებული ჩვეულების თანახმად, სადღესასწაულო ნამაზზე თეშვიქის მეჩეთში წავიდა, შეამცივნა, შუადღეზე ლიქიორიც დალია, ჭამაც მეტი მოუვიდა, ვერც დაიძინა, სადღესასწაულო საუბარში დიდად მონანილებობაც ვერ მიიღო, უფრო სხვებსა და საკუთარ თავს უსმენდა. ახლა უკვე სამხრის დრო იყო. არაფერი აკლდა. ადამიანს ნესტივით რომ გაუჯდება, ისეთ უგუნებობას გრძნობდა. „ახლა ძილის მეტი არაფერი მინდა“ – გაიფიქრა ჯევედეთ ბეიმ. ნიკაპი ჩამოქაჩა და გემრიელად დაამთქნარა, თუმცა პირი არ გაუღია, თვალებიდან ცრემლები წამოსცვივდა.

**თურქულიდან თარგმნეს
ნანა და ნოდარ ჯანაშიაძე**

* * *

მურმან ლებანიძის ის სტრიქონები ლექსიდან „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“

ოთხ მეფეს სულ სისხლის ცრემლებით უცრემლია, ოთხივეს საბრალლო ლექსები უწერია,

– რა დროს ლექსიაო, მოუკვდა პატრონი! – ხმლით შემოვარდნილა ერეკლე-პატრონი...

თავისებურ გამოკამათებად მოჩანს გალაკტიონ ტაბიძის მრწამსთან, პოემაში რომ გამოეთქვა ექსპრესიული ჟინით („სა-უბარი ლირიკის შესახებ“) და დაბეჯითებით ამტკიცებდა, პოეზიამ იხსნა ჩვენი ქვეყანა გადაგვარება-გადაჯიშებისაგან და დამპყრობს ყოველთვის ლექსი უფრო აშინებდა, ვიდრე აჯანყებანიო.

და ისე გამოდის, რომ იმ ოთხ მეფესაც – თეიმურაზ პირველს, არჩილს, ვახტანგ მეექვსესა თუ თეიმურაზ მეორეს – სულ სისხლის ცრემლებით რომ უცრემლია, ხმლის ქნევაზე მეტად ლექსით დაუმტკიცებიათ, საქართველო დაჩოქებას არ აპირებს და ვერც ვერავინ და ვერაფერი მოერევაო.

მურმან ლებანიძისათვის გალაკტიონი გამორჩეული სახელი გახლდათ, აღიარებდა მის ძლევა-მოსილებას, ლექსების ციკლსაც შექმნიდა მასზე, ერთიან სახოტბო თხზულებად რომ წარმოგვიდგება, მაგრამ ამჯერად თავისი გულის კარნახს მიჰყვებოდა და იმ საბრალლო, სისხლის ცრემლებით შეთხზულ სტრიქონებზე მეტად ერეკლე მეორის მძაფრი წამოძახილი ხიბლავდა და აღტაცების კილოსაც მას მიაღვენებდა: რა დროს ლექსიაო, მოუკვდა პატრონი!.. და მის ხმლით შემოვარდნასაც იმ იმედით გახედავდა, მაშინ რომ მარცხით გათავებულყო, მაგრამ ხელახალი ამოკაშკაშება დააჟანგებული მახვილისა უკვე აღარ იქნებოდა ამოდ ჩავლილი.

უფლისციხესთან დასადგრელი სისხლის მაცნე ყაყაჩოს წვეთი უშუალოდ ამიტომაც ეხმიანება ამ სტრიქონს.

გალაკტიონისათვის აკაკი გახლდათ გამორჩეული სახელი, აღიარებდა მის ძლევა-მოსილებას და თავის ლექსებსა და ესეისტურ ჩანაწერებში თანდათან მის მონუმენტურ სახებას გამოჰკვეთდა... მაგრამ რა ექნა, როგორ ერწმუნა „ბაში-აჩუკის“ ის პასაჟი, პერსონაჟები თეიმურაზ პირველს რომ აქიაქებენ: ლექსების წერას გადაჰყვან, სხვა

ვერაფრისთვის იცლის და ქვეყანა ამიტომაც ველარ გამართულა წელშიო.

არ დაგიდევენ, რომ ტრაგიკული მეფე განარჩევდა ლექსის შექმნის ჟამს ომიანობის ჟამისაგან.

გალაკტიონისათვის რომ გეკითხათ, არამცთუ პოეზიაზე უნდა აეღოთ ხელი თეიმურაზსაც და იმ მეფე-მგონებსაც, არამედ ხმლის ქნევის სანაცვლოდაც ლექსაობისათვის უნდა მიეცათ თავი და ქვეყანა ამით უფრო განმტკიცდებოდა.

ძალიან არ ეჭაშნიკებოდა, რომ მოსწრებოდა, თუ რარიგ ძრახავდა თავის წინამორბედებს ხმლით შემოვარდნილი – ლექსის პერსონაჟი – ერეკლე მეორე, და აშიაზე უთუოდ რაღაც საპასუხოს მიანერდა.

დავით ერისთავი რომ შესწრებოდა?

„სამშობლოს“ გადმომკეთებელი – და დიდი ხმაურისა და გამოძახილის გამომწვევი მაშინდელ საზოგადოებაში ამ სპექტაკლის ტრიუმფალური დადგმის შემდეგ – ისედაც თავს იწონებდა საღალბო სტრიქონების, კალამბურების, პაროდული ვარიანტების შექმნით და მურმან ლებანიძის ეს სტროფი არც მას დატოვებდა გულგრილს.

ეგაა, გალაკტიონისაგან განსხვავებით, სავსებით გაიზიარებდა მის სულსიკვეთებას და „ბაში-აჩუკის“ იმ პასაჟითაც მოიხიბლებოდა, იმის გამოქვეყნებასაც რომ მოსწრებოდა.

აბა – იქამდე მიწევნაც კი არ ეღირსა!..

მაგრამ აკაკი წერეთელი თუ მხოლოდ თეიმურაზ პირველს ედავებოდა და მის პოეტობას სწუნობდა, დავით ერისთავი ერთიანად მოუსვამდა ხელს მეფეებსაც და ყველა სხვასაც, ვისაც პოეზიისაკენ მიუწევდა გული.

კომედიაში „საზოგადო საქმე“ ლევანის მიერ წარმოქმნილი ის სუსხიანი ფრაზები იქნებ პერსონაჟის თვალსაზრისი და განწყობილება და არა თვით ავტორისა?

იონა მეუნარგია დარწმუნებულია, დავით ერისთავმა თავისი გულისთქმა გაჰხვია პერსონაჟის სიტყვებშიო; და დარწმუნებულიც იმიტომაცა, რომ ხშირად მოესმინა, თუ როგორ აღშფოთებულიყო „სამშობლოს“ შემოქმედი: ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ბევრი ლექსი იბეჭდებო.

იქნებ სცენიდან მიეწვდინა ხმა საზოგადოებისათვის და უფრო ჩაეგდო გულისხმაში?

და პერსონაჟს ააბობოქრებდა:

„რაც ქართული ენა გაჩენილა, არა ყოფილა ისეთი კაცი, რომ ლექსი არ ეწეროს. ლექსს წერდა მეფე, სახლთუ-



ხუცესი, სარდალი, მოლაშქრე, მდივანი, თავადი, აზნაური, გლეხი! ლექსი და სიმღერა – ეს იყო ჩვენი დევიზი! ვარდ-ზამბახი, ია-ვარდი, ბულბულთ ყეფა, სევდის ბალი – აი, ჩვენი ნალვანი! ერთი მითხარით, განა დრო ჰქონდათ, რომ სხვა რამეზე ეფიქრათ? რომ შემეძლოს, კანონს გამოვცემდი და ლექსის დამწერს ციმბირს გავაგზავნივდი“.

და გიხარია ადამიანს, კიდეც კარგი, საამისო შეძლება არ გააჩნდაო.

მთელი საქართველოს გადასახლება მოუწევდა ციმბირში და ეგაა.

პლატონის უღმობელი კანონი კინალამ განმეორდეს რეალობაში – პოეტებს რომ არ უნდა დაედგომებოდათ საქართველოში, თორემ ქვეყნისათვის სასიკეთო არაფერი გამოუვათ ხელიდან. ეგ არის, პლატონი პოეტების გამორეკვას რომ ურჩევდა სახელმწიფოს მეთაურებს, მცირე გუნდს გულისხმობდა, რომელთა გამოძევებაც შემწინვეელი დარჩებოდა.

ჩვენში კი რა გამოდიოდა...

ასეა თუ ისე, იურიდიული კანონის გამოცემას თუ არავინ დაანებებდა დავით ერისთავს, ლიტერატურული და მორალური კანონი ხომ მის ხელთ იყო.

ბოლოსდაბოლოს, რედაქტორები მაინც გაფრთხილდებოდნენ.

თურმე ესეც ვერა – სულ არაფერი დატყობია მაშინდელ გამოცემებს... შემდგომდროინდელს ხომ არა და არა.

უნებურად მეორდებოდა იმისი განწყობილება მურმან ლებანიძის ლექსში და ერეკლე მეფე თითქოს დავით ერისთავის ჯავრს იყრიდა.

... ახლა კი ჩემთვის ნათელიაო, – თავისას ირწმუნებოდა გალაკტიონი, – თუ ივერიის მცირეზე მცირე რიცხობრივად პატარა ერი, მარად ყოველმხრივ შემორტყმული უამრავ მტერით, თუ როგორ გადარჩაო:

– აქ პოეზია იყო მისი შემჭიდროება...

გალაკტიონის კანონი ეს გახლდათ.

თუმც დავით ერისთავსაც გაუგებდა, მის გულისწყრომასაც დიდი ტკივილის გამჟღავნებად აღიარებდა, ეგაა, ლექსების ნიაღვრის შემყურე თვითონ უფრო ცინიკურ გუნებაზე დგებოდა, ვიდრე დრამატულზე, და დიდსა თუ პატარას, ნაცნობსა თუ უცნობს რომ გააჩერებდა, აუცილებლად ჰკითხავდა, როდის გამოდის შენი ნიგნო.

– ლექსებს არა ვწერ, ბატონო გალაკტიონ, – შეცბუნდებოდა თანამოსაუბრე.

ის კი:

– რატომ მერე, ყველა წერს და შენ რა დაგემართა? დანერე, ძამიკო, შენც დანერე!..

კანონი თუ უშველის, მკაცრი სასჯელის გარდუვალობაო, – სხვა გზას ვერც ხედავდა დავით ერისთავი.

უშველიდა ვითომ? ციმბირის შიში შეაოკებდა ლექსის უინს?

მაინც რა გულუბრყვილონი იყვნენ ეს ძველი მოღვაწენა.

* * *

საქართველოში უცხოური ტელესერიალების ბუშია დანყებულნი.

რალა თბილისი და რალა სხვა ქალაქები, რალა სხვა ქალაქები და რალა დაბა-სოფლები.

სინათლევც ამიტომ უფრო უხარიათ.

გენერატორებსაც უფრო ამიტომ იძენენ.

ზოგი გამეორებით ჩვენებასაც თვალმოუშორებლად შეჰყურებს, ზოგს ეამაყება, რომ ერთი სერიაც არ გამოჩენია, ზოგი დაუფარავად ლანძღავს კინონიდუსტრიის ამ ნაკადს და დასაციინის ყველას, ვისი სულის საზრდოდაც ტელესერიალები ქცეულა, მაგრამ... თვითონაც ისე მისჩერებია ეკრანს, როგორც ამ ყაიდის ფილმების თაყვანისმცემელი.

თანდათან მოდური გახდება სერიალებზე ათვალწუნებული ლაპარაკი და... მაღულად ყურება.

სნობურმა გარემომ იმხანად ასე მოითხოვა.

მურად კემულარია არ დაგიდევთ მოდისა თუ სნობური გემოვნების კაპრიზებს, არც ის აკრთობს, ვინ როგორ გაიგებს ჩემს ნათქვამსო, და სადაც მოხვდება, ტელესე-



მხატვარი კარლო ფაჩულია

რიალების მიმართ ქებას არ იშურებს: ღმერთმა დალოცოს ტელესერიალების მომგონიო.

ერთხელაც ვილაც ჩაეკითხება:

– მართლა ასე მოგწონს თუ... ირონიას გამოხატავ?

– რა ირონია, – ის გაიოცებს, – გულით მიხარია ტელესერიალების ასე დამკვიდრება. ჩემი ცოლ-შვილი ყოველ საღამოს ტელევიზორს რომ მიუჯდება, მე ხელს აღარავინ მიშლის. დავსხდებით ორნი ჩვენთვის, წყნარად სამზარეულოში და შევექცევით ღვინოს.

– ორნი... ვინ? ოლეგი? გია?

– მე და დოქი.

– ააააა...

– მერე მესამეც შემოგვესწრება.

– ანდრო? უჩა? ვანო?

– ბინდი... ბინდი შემოგვესწრება, და მივუყვებით ტაბტი ბურანის გზებს.

„ესეც პოეტი ყოფილა“ – გაიფიქრებ.

მურადი კი თავისას:

– ღმერთმა დალოცოს ტელესერიალების მომგონი!..

თავი
უფადარს მამნივა

აზვავებულ-აზვირთებულ- ქართველი ფეოდალები თავიანთ მეფეზე საჩივლე- ლად ისპაანს რომ გარბოდ- ნენ, სულაც არ არის გასაკვირი. სეფიანთა ირანის ხელი- სუფლებას საქართველოში შუღლის გაღვივება დიდად ეა- მებოდა, და შეძლებისდაგვარად, ხელსაც უწყობდა. მაგრამ, როგორც ირკვევა, უცხო ხილი არც ის ყოფილა, მეფე ისპა- ანს რომ მიეშურება აზვავებულ-აზვირთებულ ფეოდალთა დასათრგუნად.

ზურაბ არაგვის ერისთავი, სახელოვანი გმირი მარტყო- ფისა და მარაბდისა, ერთ მშვენიერ დღეს განუდგა თავის სი- მამრს – თეიმურაზ პირველს; ქართლის ტახტის უზურპატო- რად მიჩნეული მეფე კახეთისა, ქართლის დიდებულთა თით- ქმის ერთსულოვანი მხარდაჭერით, ქართლიდან განდევნა და კანონიერი უფლებანი აღუდგინა ქართლის ბაგრატიონთ- ა და ნაშიერს – მაჰმადიან სვიმონ-ხანს, რომელიც ათიოდე წლის წინათ ქართლის გამგებლად დანიშნა შაჰ-აბასმა და რომელსაც მარტოოდენ თბილისი და სომხით-საბარათიანო ეჭირა მარტყოფ-მარაბდის შედეგად.

ზურაბ ერისთავის გარჯით ქართლის ტახტზე წამოსკუ- პებული სვიმონ-ხანი დიდად ემადლიერებოდა თავის მწყა- ლობელს, სიყვარულით „მამას“ ეძახდა, უსიტყვოდ ემორჩი- ლებოდა და მის დაუკითხავად ერთ ნაბიჯსაც არ დგამდა.

ზურაბ ერისთავის განდგომა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ბაზალეთის ომში (1626 წ.) დამარცხების შემდეგ გიორ- გი სააკაძესთან ერთად ოსმალეთში გადახვენილი მუხრან- ბატონის სამფლობელო თეიმურაზ მეფემ თავის ვაჟს უბოძა, თუმცა ზურაბი თავად ფიქრობდა სამუხრანოს დაპატრონე- ბას, როგორც ჯილდოს ბაზალეთში გამარჯვებისათვის.

ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ამისი მხილველი უღონო ქმნილი ბატონი თეიმურაზ ნარვიდა წინაშე ყაენისა და უფა- დარიდამ მოსწერა ზურაბს: შეუგვანებელ არს განწირვა სი- ძისაგან სიმამრისა“.

თქვენ წარმოიდგინეთ, რომ თეიმურაზის მუქარაც კი საკმარისი აღმოჩნდა უარშიო ზურაბ ერისთავის მოსათვი- ნიერებლად.

ასე რამ შეაშინა უშიში ფეოდალი, რომ თავის პროტეჟეს სასწრაფოდ უღალატა და ისპაანისკენ დაძრული თეიმურა- ზი შუაგზიდან უკან მოაბრუნა?

ნუთუ მართლა გასჭრა ზებედე ეპისკოპოსის მოწოდე- ბამ, როგორც გვარწმუნებენ საქართველოში დამკვიდრებუ- ლი კათოლიკე მისიონერები?

ეპისკოპოსს ასე უთქვამს ზურაბისათვის: მაჰმადიანი მე- ფე რომ გააბატონე, უღვთო რჯული მთელ ქართლს მოედე- ბაო. დროზე გამოასწორე შეცდომა, თორემ მახვილი ღვთისა უკვე აღმართულა შენს თავზე და საცაა დაემეგბაო.

ვერდიქტი იყო ტლანქი და უღმობელი: „უკვე დროა, რომ ელია კაზანმა თავი გაა- ნებოს იმ ხელის კბენას, რო- მელიც მას პურს აჭმევს (ერთობ მაძღრისადა!), და თავისი რეჟისორული ტლანტი შესწიროს ისეთი ფილმებისა თუ სპექტაკლების შექმნას, რომლებიც ცილს კი არ დასწამე- ბენ ამერიკულ სინამდვილეს, არამედ ზოტბას შეასხამენ“.

ამას წერდა ჰენრი ჰარტი, რედაქტორი ყოველთვიური ჟურნალისა „ფილმზ ინ რევიუ“.

აგზორი
აღთქმული მიწისა

ზებედე ეპისკოპოსის სიტ- ყვებს ზურაბ ერისთავის სუ- ლი ძალუმად შეუნჯღრევიდა.

ჯაკომო დი სტეფანო რომში დროებით გამგზავრებულ პიეტრო ავიტაბილეს (ქარ- თლში მყოფ მისიონერთა წინამძღვარს) 1630 წლის 18 ნოემ- ბრით დათარიღებულ წერილში აუწყებს, რომ ეპისკოპოსის ქადაგების შედეგად გუნებაშეცვლილი ზურაბი, სამი აზნაუ- რის თანხლებით, თავს დაესხა სვიმონ-ხანს, რომელიც სხვი- ლოს ციხეში დიდი ღზინის შემდეგ ტკბილ ძილს მისცემოდა, და მძინარეს თავი მოჰკვეთა. მერე მოკვეთილი თავი ხელში მიაჩქრა თავის სიძეს – გიორგი ჩერქეზს, რათა დაუყოვნებ- ლივ მიერთმიათ ძღვნად თეიმურაზ მეფისათვის.

„თავი უფადარს მამნივა ყაენთან წასვლის მნდომელსა“, – გადმოგვცემს თეიმურაზ პირველი არჩილ მეფის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“.

ისპაანს აღარ წასულა და შაჰ-სეფის ამცნო: სვიმონ-ხა- ნის მკვლელობაში ბრალი არ მიმიძღვისო. ზურაბმა ჩემად უგრძნობლად მოკლაო.

იტალიურ წყაროში აღნიშნულია, რომ თეიმურაზი „ხმლის გაუშიშვლებლად“ დაეპატრონა ორ პროვინციას (ე.ი. სომხით-საბარათიანოს) და მთელი ქართლიც, თბილისის გა- მოკლებით, ისევ მას დაემორჩილა.

ცხადია, რომ სვიმონ-ხანის მკვლელობა ხელსაყრელი იყო, უპირველეს ყოვლისა, თეიმურაზ მეფისათვის.

ენ. „პარიზის ქრონიკა“ ანუ „ცხოვრება საქართველოი- სა“ მოგვითხრობს: „... იმავე წელიწადს იმდენი ისარჯა კახმა ბატონმა თეიმურაზ, თავისი ქალი და სიძე ერისთავი ზურაბ და მისივე ყმა, ჩერქეზი გიორგი, მოღალატე შეუყენა და მძინარე ბატონი სვიმონ ცხვილოს დააკვლევინა“.

ივანე ჯავახიშვილი ყურადღებას ამახვილებდა იმ გარე- მოებაზე, რომ თეიმურაზ პირველს მოკლული სვიმონ-ხანის ბიძა – შემდგომში ქართლის მეფედ დანიშნული როსტომი რომ შემოერიგებინა, მისთვის კახეთის სამი სოფელი მიუცია „ნასისხლად“ და ამით თავისი მონაწილეობა დანაშაულში თითქოს დაუდასტურებია.

ნიკო ბერძენიშვილი უპირატესობას ანიჭებდა ფარსადან გორგიჯანიძის ცნობას და უფრო კატეგორიულად ასკვნიდა: „თეიმურაზ მეფე იმდენს ეცადა, რომ მამულით გაუმძღარი ერისთავი გადაიბირა. სიმამრმა სიძეს სვიმონ-ხანის მოკვლა შეუკვეთა და ჯილდოდ თიანეთს შეჰპირდა“.

მას შემდეგ თეიმურაზი ყოფილა მკვლელობა სვიმონ-ხანისა? არ არის გამორიცხული ამგვარი ვარაუდიც: ზურაბ ერისთავმა სვიმონ-ხანი მოკლა ყოველგვარი შეკვეთის გა- რეშე – თეიმურაზ მეფის საამებლად, ჩატეხილი ხიდის აღ- სადგენად. ამ შემთხვევაში, თეიმურაზ პირველი მკვლელო- ბის მხოლოდ პასიურ შთამაგონებლად უნდა ჩაითვალოს.

ორმოცდასამი წლის ელია კაზანი სახელგანთქმული კაცი იყო. სცენაზე დადგმული ჰქონდა გამოჩენილი ამერიკელი დრამატურგების – ტენესი უილიამსის, არტურ მილერის, ტორნტონ უაილდერისა და სხვათა პიესები. 1944 წლიდან 1952 წლამდე გადაღებული ჰქონდა 8 ფილმი (ნელინადში – თითო ფილმი!). მას იცნობდნენ როგორც უნიჭიერეს რეჟისორ-პედაგოგს, რომლის ხელმძღვანელობით აღიზარდა არაერთი თვალსაჩინო ოსტატი სცენისა და ეკრანისა.

ანტიამერიკული საქმიანობის გამოძიებულ კომისიაში გამოცხადებულ კაზანს თავი ღირსეულად ეჭირა, მაგრამ განმეორებით რომ გამოიძახეს, გამბედაობამ უღალატა და... თავი შეირცხვინა.

არტურ მილერის პიესაში „დაცემის შემდეგ“ (1964) იურისტი მიკი, ვისი პროტოტიპიც ელია კაზანი გახლავთ, თავის მეგობარს ეუბნება: მე გამაგდებენ ფირმიდან, თუკი უარს ვიტყვი კომისიასთან თანამშრომლობაზე.

ხოლო ელია კაზანი მწერალ ლილიან ჰელმანთან საუბრისას თავს ასე იმართლებდა: სპიროს სკურასმა მითხრა, ერთ ფილმსაც ველარ გადაიღებო (სპიროს სკურასი იყო კინოსტუდია „XX სენჩური ფოქსის“ პრეზიდენტი).

რეჟისორი ჰერბერტ ბიბერმანი, რომელიც კაზანის მსგავსად წარსდა აღნიშნული კომისიის წინაშე, ოლონდ სულმოკლეობა არ გამოუჩენია, რის გამოც „შავ სიაში“ შეიტანეს და წლების მანძილზე უმუშევარი იყო, თავის ზოგიერთ კოლეგას დიდსულოვნად ექომაგებოდა:

„აბა სხვა რაღა დარჩენოდათ?! ტელევიზორები გაეყიდათ თუ ოფიციალტებად ან პარაკმახერებად ემუშავათ? შრომის მოთხოვნილება შეიძლება უფრო ძლიერიც კი იყოს, ვიდრე ფიზიოლოგიური მოთხოვნილება კვებისა. შემოქმედებითი შიმშილი კაცს არა კლავს, მაგრამ ცხოვრების აზრს უკარგავს და მემუშრნედ გადააქცევს“.

გამოხდა ხანი.

1959 წელს ზემოხსენებულმა სპიროს სკურასმა ჰოლივუდის ვარსკვლავს ინგრიდ ბერგმანს მომხიბლავი კონტრაქტი შესთავაზა და დაუსახელა რამდენიმე სახელმწივეტილი რეჟისორი: ვისთანაც გნებავთ მუშაობა, ის ამოირჩიეთო. რჩეულთა შორის იყო შვიდი წლის წინათ შერისხული ელია კაზანიც.



ელია კაზანი

1952 წელს მომხდარი გარიგებით ელია კაზანმა მოიპოვა უფლება, რომ გაეგრძელებინა თავისი პროფესიული მოღვაწეობა.

კაზანის მიერ გადაღებული ფილმი „ამერიკა, ამერიკა“ თავისი ეპიკური სიმძლავრით შეადარეს ბეთჰოვენის მეშვიდე სიმფონიას.

რეჟისორი ფილმის შესავალში ამბობს:

„მე, ელია კაზანი, წარმოშობით ბერძენი, დაბადებული თურქეთში, გავხდი ამერიკელი – ბიძაჩემის მოგზაურობის წყალობით“.

ფილმის მთავარი გმირია ბერძენი ჭაბუკი სტავროს თოფოჯოღლუ (რეჟისორის ნამდვილი გვარი – კაზანჯიოღლუ), რომელიც თურქეთიდან გადაიხვევება შეერთებულ შტატებში.

ფილმის სცენარი კაზანის კალამს ეკუთვნოდა და პროდიუსერიც თვითონ იყო.

„ამერიკა, ამერიკა“ – ავტობიოგრაფიული ფილმი.

ამ ფილმში სტავროსის კვალზე თოფოჯოღლუს მთელი ოჯახი ჩადის ამერიკაში (სინამდვილეშიც ასე მოხდა. მომავალი რეჟისორის ბიძას გაჰყვა კაზანჯიოღლუთა მთელი ოჯახი).

ათასი გასაჭირი და დამცირება გადაიტანა, ათასი ფათე-რაკი და ტანჯვა-წვალება იგემა თურქეთის დედაქალაქის დუქან-ბარებსა და ჯურღმულებში; ძარცვავდნენ და ცემდნენ, ატყუებდნენ და მოკვლასაც უპირებდნენ, თვითონაც მშვენივრად ისწავლა მოტყუება, ძარცვა და კაცისკვლა; და ყოველივე ამის შემდეგ 19 წლის სტავროსი, ჯოჯოხეთში მყოფი გახელებით რომ ოცნებობდა ამერიკაზე, რომელიც ალტყმულ მინად ელანდებოდა, ბოლოს და ბოლოს ფეხს დაადგამს ამ საოცნებო მინას, მოწინებით დაიჩოქებს და ღიმილად გადაქცეული, თითქმის რელიგიური ექსტაზით, ეამბორება იმიგრაციული ბიუროს ჭუჭყიან, მილიონთაგან ნაფურთხ საფეხურებს. ეს განსანმენდელი ჯოჯოხეთიდან თავდაღწეულმა უნდა გაიაროს, რათა თავი ამოცოს სამოთხეში, სადაც ორი-სამი წელი მოუწევს თავის რჩენა ფეხსაცმლის წმენდით.

სოციოლოგიური გამოკვლევის თანახმად, ამერიკელთა სტატისტიკური უმრავლესობის წარმოდგენით, 90 სხვადასხვა პროფესიის შედარებით სტატუსში ფეხსაცმლის მწმენდელის პროფესიას უჭირავს უკანასკნელი, 90-ე ადგილი.

ასეთია სამოთხეში დაბინავების ფასი.

საქართველოს პარლამენტთან არსებული ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში ბიბლიოთეკისა და „თეიმურაზ მეტრეველის ფონდის“ ინიციატივით გაიმართა ჯგერალ გორდულაძის წიგნის „Metri-ეველი საინტერესო ვინმე“ — წარდგინება. ლიტერატურულ თავყრილობას ესწრებოდნენ ჟურნალისტები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები.

ჟურნალისტებმა იოსებ ჭუმბურიძემ, ვილენ მარდაღიევილი-მა, ელგუჯა ლებანიძემ, ლუბა ელიაშვილმა, გიორგი გიგაურმა, მწერალმა ნოდარ კობერიძემ, თემურ შაშიაშვილმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს ცნობილი ჟურნალისტი, მრავალი გაზეთის რე-

დაქტორი თეიმურაზ მეტრეველი, თვალი გადაავლეს მის მიერ განვლილ ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზას. აღნიშნეს მისი ღვაწლი ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში.

წიგნის წარდგინებას უძღვებოდა ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი ნინო გედენიძე. მან სტუმრებს შეხვედრის დასასრულს აუწყა, რომ ეროვნული ბიბლიოთეკა და „თეიმურაზ მეტრეველის ფონდი“ 2006 წლის მარტში ჟურნალისტიკის დღეებს დაუკავშირებენ თეიმურაზ მეტრეველის ახალი წიგნის გამოსვლასა და წლის საუკეთესო ჟურნალისტის დაჯილდოებას სპეციალური პრიზით.